არისტოტელე

პოლიტიკა

წიგნი პირველი

თავი I

ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. ყოველი კავშირი კი რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია. ამრიგად, ცხადია, რომ ყველა მიისწრაფვის რაიმე სიკეთისაკენ, უმთავრესი სიკეთისაკენ მიისწრაფის ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც მოიცავს ყოველივეს და ეს არის ე.წ. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კავშირი.

სწორნი არ არიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვნელი, მეფე, ოჯახის უფროსი და ბატონი ერთი და იგივეა. მათი აზრით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რაოდენობით და არა თვისებით. მაგალითად, ვისაც ადამიანების მცირე რაოდენობა ემორჩილება, ის ბატონია, ვისაც ადამიანების უფრო მეტი რაოდენობა ემორჩილება, ის ოჯახის უფროსია, ვისაც უფრო მეტი რაოდენობა ემორჩილება, ის ან რესპუბლიკის მეთაურია, ან მეფეა. ისინი ფიქრობენ, რომ არავითარი განსხვავება არაა დიდ სახლსა და პატარა სახელმწიფოს შორის.

სახელმწიფოს მეთაური მეფისაგან იმით განსხვავდება, რომ მეფე მართავს მემკვიდრეობის უფლებით, სახელმწიფოს მეთაური კი კანონების ცოდნით და ის ხან ქვეშევრდომია, ხან კი ხელმძღვანელი. ეს თვალსაზრისი სწორი არაა, რაც ცხადი გახდება მაშინ, თუ ზემოთქმულს განვიხილავთ იმ მეთოდით, რომლითაც აქამდე ვხელმძღვანელობდით. როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც აუცილებელია, რომ რთული მოვლენა არართულ ნაწილებად დავშალოთ, ისინი რთულის უმცირესი ნაწილები უნდა იყვნენ. ასევე, თუ განვიხილავთ იმ ნაწილებს, რისგანაც სახელმწიფო შედგება, მაშინ დავინახავთ, თუ რით განსხვავდებიან სახელმწიფოები ერთმანეთისაგან და შეიძლება თუ არა რაიმე მეცნიერული ახსნა მოვუნახოთ თითოეულ პოლიტიკურ მოვლენას.

ვინც საგნებს განიხილავს მათი წარმოშობიდან, ის როგორც ამ სფეროში, ისე სხვაგან დიდ წარმატებებს მიაღწევს. აუცილებელია. თავიდანვე იმ მოვლენების დაწყვილება, რომელთაც ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ, მაგალითად, ქალისა და კაცისა შთამომავლო-

ბის დატოვების მიზნით და ეს ხდება არა წინასწარი განზრახვით, არამედ ბუნებრივად, როგორც სხვა ცხოველებსა და მცენარეებში სხვა, თავის მსგავს არსებათა დატოვების მიზნით. აუცილებელია ხელმძღვანელისა და ქვეშევრდომის არსებობა თავდაცვის მიზნით. იმას, ვისაც შეუძლია გონებით მოვლენების წინასწარი განჭვრეტა, ის თავისი ბუნებით ხელმძღვანელი და მბრძანებელია. ხოლო ვისაც შეუძლია ამის განხორციელება ფიზიკური ძალებით, ის ქვეშევრდომია და მონური ბუნების მქონე. მაშასადამე, მონასა და ბატონს ერთი და იგივე ინტერესები ჰქონიათ, ქალი და მონა თავისი ბუნებით განსხვავდებიან, მაგრამ ბუნება არ ჰქმნის ისე ძუნწად, როგორც მჭედლები დელფოსის დანას, არამედ ბუნება ერთს მეორისათვის ჰქმნის. ყოველი მოვლენა უკეთ შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ ის ემსახურება არა ბევრს, არამედ ერთ საქმეს.

ბარბაროსებში მონა და ქალი ერთ საფეხურზე დგანან, რადგან ბარბაროსებს ბუნებრივი ხელმძღვანელი არა ჰყავთ და მათში კავშირი იქმნება მონა ქალისა და მონა კაცის დაახლოების გზით, ამიტომაც ამბობს პოეტი: „ბარბაროსებს შეჰფერით, რომ მათზე ბერძნები ბატონობდნენ[1]", ეს კი იმიტომ, რომ ბარბაროსებსა და მონებს ერთნაირი ბუნება აქვთ.

ურთიერთობის ამ ორი ფორმიდან პირველად ოჯახი წარმოიშობა და სწორად ამბობს ჰესიოდე:

„პირველად იშვა სახლი, ქალი და ხარი, მიწას რომ ხნავს". ღარიბებს ხომ მსახურის ნაცვლად ხარი ჰყავთ. ყოველდღიური ბუნებრივი ურთიერთობისათვის კავშირს ოჯახი ანუ გვარი წარმოადგენს. ამას ქარონდე უწოდებს ერთ მაგიდაზე მკვებავთ, ეპიმენიდე კრეტელი კი - ერთად მცხოვრებთ.

რამდენიმე ოჯახის პირველ გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და რომელიც არ იქმნება მხოლოდ ერთი დღისთვის, სოფელი წარმოადგენს. როგორც

[1] ევრიპიდე, IA1400.

ჩანს, სოფელი ბუნებრივად არის ოჯახების კოლონია, ამიტომაც მის მცხოვრებთ ზოგი უწოდებს ერთი ძუძუთი გაზრდილ ძმებს, ზოგი კი შვილებს ან შვილიშვილებს.

პირველ ქალაქებსა და დღესაც ზოგიერთ ტომებს სათავეში მეფეები ჰყავთ, რომლებიც ქვეშევრდომები იყვნენ. ყოველ ოჯახს ოჯახის უფროსი მართავს, ხოლო ოჯახის წევრები ერთმანეთს ენათესავებიან. ამიტომ ამბობდა ჰომეროსი: „თითოეული ადგენს კანონს თავისი ბავშვებისა და ცოლებისათვის[2]". ეს სოფლები გაბნეული იყვნენ და საერთოდ, ჩვენი წინაპრები ასე ცხოვრობდნენ. ღმერთების შესახებაც ამბობენ, რომ მათ მეფეები მართავენ და დღესაც სახელმწიფოების ნაწილს მეფეები ჰყავთ. ადამიანები, როგორც ღმერთების გარეგნობას თავის გარეგნობას ამსგავსებენ, ასევე ამსგავსებენ მათი ცხოვრების ფორმასაც.

რამდენიმე დასახლებამ შექმნა დასრულებული სახელმწიფო, რომელთაგან თითოეულს აქვს სრული დამოუკიდებლობა, როგორც ეპოსშიც არის ნათქვამი. ამათგან სახელმწიფოების ნაწილის მიზანია მხოლოდ არსებობის შენარჩუნება, ნაწილისა კი ბედნიერი არსებობა. მაშასადამე, ყოველი ქალაქი-სახელმწიფო ბუნებრივად არის წარმოშობილი, როგორც ადრე არსებული კავშირები. ქალაქი- სახელმწიფოები წარმოადგენენ წინამორბედი კავშირების დასრულებას, რადგან მათი ბუნება ვლინდება მათსავე განვითარების დასრულებაში. და სწორედ ეს შეადგენს ყოველი მოვლენის არსებას, მაგალითად, ადამიანისა, ცხენისა და სახლისა. გარდა ამისა, მიზანი და დასასრული არის საუკეთესო რამ, ხოლო მიზანი და ყველაზე უკეთესი რამ არის დამოუკიდებლობა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სახელმწიფო-ქალაქი ბუნებრივი მოვლენაა და რომ ადამიანი არის პოლიტიკური არსება. ხოლო ვინც სახელმწიფოს გარეთ იმყოფება თავისი სურვილით და არა შემთხვევით, ის ან ცუდი ადამიანია, ან ადამიანზე მაღლა მდგომი, როგორც ჰომეროსიც ამბობს გაკიცხვით, „ის იყო ბოგანო, კანონგარეშე და უსახლკარო[3]".

---

[2] ჰომეროსი, „ოდისეა", IX, 114.

[3] ჰომეროსი, „ილიადა", IX, 63.

ასეთი ადამიანი ომის მოყვარეც არის და ისე არსებობს, როგორც განმარტოვებული პაიკი სათამაშო დაფაზე.

ცხადია, რომ ადამიანი არის პოლიტიკური არსება უფრო მეტად, ვიდრე ფუტკრები ან ჯოგურად მცხოვრები ცხოველები. როგორც უკვე ვთქვით, ბუნება ტყუილუბრალოდ არაფერს არ აკეთებს. ცხოველთა შორის მხოლოდ ადამიანს აქვს მეტყველების უნარი. ხმა ტანჯვისა და სიამოვნების ნიშანია, რაც სხვა ცხოველებსაც ახასიათებთ. მათი ბუნების განვითარებამ მიაღწია იმ დონეს, რომ მათ აქვთ ტანჯვისა და სიამოვნების შეგრძნების უნარი, რასაც ისინი ერთმანეთს მიანიშნებენ. სიტყვა კი ნათელყოფს სასარგებლოსა და საზიანოს, სამართლიანსა და უსამართლოს. განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ეს ადამიანისთვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ მას აქვს შეგრძნება სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის და სხვა შეგრძნებები. ყოველივე ეს მთლიანობაში წარმოადგენს ოჯახისა და სახელმწიფოს საფუძველს.

ბუნებრივად, როგორც ოჯახთან, ისე სხვა საგნებთან შედარებით, პირველი არის ქალაქი- სახელმწიფო, რადგან მთელი აუცილებლად წინ უსწრებს ნაწილს და მთელის მოსპობა სპობს ხელს, ფეხს და სხვას, თუმცა მათ მაინც შეიძლება ვუწოდოთ ხელი ან ფეხი, მაგრამ ჰომონიმურად[4]. როგორც ამბობენ, ხელს ან ფეხს უწოდებენ ქვისგან გამოთლილსაც. ადამიანის სიკვდილის შემდეგ ხელი მხოლოდ სიტყვიერად იწოდება ხელად. ყოველი საგანი განსაზღვრულია როგორე მოქმედებით, ისე თავისი უნარით, ამიტომ თუ მას ეს თვისებები აღარა აქვს, მაშ ის არც არსებულა და თუ არსებობს, მხოლოდ სიტყვიერად.

ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფო ბუნებრივად უფრო პირველადია, ვიდრე ცალკეული ადამიანი და თუ ადამიანებს სახელმწიფოსაგან დაცილებულთ არ შეუძლიათ არსებობა დამოუკიდებლად, მაშ მათ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოსთან, როგორც სხვა ნაწი-

[4] ჰომონიმები - სიტყვები, რომლებიც გრამატიკულად და ფონეტიკურად ერთმანეთის მსგავსნი არიან, აზრობრივად და შინაარსით კი განსხვავებული.

ლებს მთელთან, მაგრამ ვისაც არ შეუძლია სახელმწიფოში ყოფნა, ან არ სჭირდება ის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, მაშინ ის ან მხეცია, ან ღმერთი.

ბუნებრივად თითეულ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება სახელმწიფოებრივი ურთიერთობისაკენ, ხოლო ვინც პირველად შემოიღო სახელმწიფოებრივი კავშირი, მან ადამიანებს დიდი სიკეთე მოუტანა. ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფას, ის ცოცხალ არსებათა შორის საუკეთესოა. ხოლო ადამიანი, მოცილებული კანონსა და სამართალს, ყველაზე მდაბალი არსებაა, რადგან ყველაზე უფრო დიდი საშინელებაა შეიარაღებული უსამართლობა. ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება და ზნეობა, რომლის გამოყენება შეიძლება საწინააღმდეგო მიმართულებითაც, ამიტომ უზნეო ადამიანი უსინდისო და მხეცური ბუნებისაა სათნოების გარეშე როგორც სქესობრივ, ისე სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხში, სამართლიანობა კი სახელმწიფოებრივი მოვლენაა, რადგან სამართალი არის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საშუალება და სამართლიანობის საზომი.

თავი II

მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, თუ რა ნაწილებისაგან შედგება სახელმწიფო, ახლა, პირველ ყოვლისა, უნდა ვიმსჯელოთ ეკონომიის[5] შესახებ, რადგან ყველა სახელმწიფო ოჯახებისაგან შედგება, ხოლო ეკონომია კი შედგება იმავე ნაწილებისაგან, რისგანაც ოჯახი. კვლევა ყოველთვის უნდა დავიწყოთ უმცირესი ნაწილებისგან. ირკვევა, რომ ოჯახი თავისი დასრულებული სახით შედგება მონებისა და თავისუფალი ადამიანებისაგან. ოჯახის ყველაზე პირველი და მთავარი ნაწილებია ბატონი და მონა, მამა და შვილი, ქმარი და ცოლი, ამიტომ უნდა ვიკვლიოთ, თუ რას წარმოადგენს თითოეული მათგანი და როგორი უნდა იყოს ის. ამათგან პირველია ბატონის სამართალი, მეორეა ცოლ-ქმრული სამართალი. თუმცა ცოლ-ქმრული ურთიერთობისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება სპეციფიკური სიტყვა. მესამეა მშობლის სამართალი, არც ამას აქვს მისი დამახასიათებელი სახელი. როგორც უკვე ვთქვით, ახლა ამ სამი ნაწილის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ. არსებობს კიდევ ერთი ნაწილი, რომლის შესახებ ზოგი ამბობს, რომ ის არის ეკონომია, ზოგი კი მას თვლის ოჯახის უმთავრეს ნაწილად. ამიტომ განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ის. მე ვგულისხმობ ე.წ. ქონების დაგროვების ხელოვნებას.

პირველ ყოვლისა, ვილაპარაკოთ ბატონისა და მონის შესახებ, რათა გავიგოთ, თუ რა აუცილებელი მოთხოვნილება უდევს მას საფუძვლად და რათა შევძლოთ ამის შესახებ უფრო მეტი ცოდნის მიღწევა, ვიდრე ეს გააჩნიათ ამჟამად არსებულ თეორიებს. ზოგს ჰგონია, რომ ბატონობა მონაზე არის რაღაც მეცნიერება და რომ ეკონომიის მეცნიერება, მონაზე ბატონობის მეცნიერება, პოლიტიკა და მონარქია ერთი და იგივეა, როგორც დასაწყისშივე ვთქვი. ზოგი კი ფიქრობს, რომ მონათმფლობელობა ბუნებას ეწინააღმდეგება, რადგან მონა და ბატონი არსებობს კანო-

[5] ეკონომია - სახლის ან ოჯახის მმართველობა, სახლის ან ოჯახის მეურნეობა, ოჯახის კანონმდებლობა. წარმოსდგება ორი ბერძნული სიტყვიდან: „ოიკია” - სახლი და „ნომოს“ კანონი.

ნის საფუძველზე, ბუნებრივად კი ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშასადამე, ის არც სამართლიანია, რადგან იძულებას ემყარება.

ქონება ოჯახის ნაწილია, ხოლო ქონების მოპოვების ცოდნა არის ეკონომიის მეცნიერების ნაწილი. თუ სურთ საქმის ბოლომდე მიყვანა, ყოველ ხელობაში აუცილებელია ამისათვის საჭირო იარაღების ქონება. აუცილებელი საარსებო საშუალებების გარეშე კი შეუძლებელია როგორც ცხოვრება, ისე კარგად ცხოვრება. საოჯახო მეურნეობაში ზოგი იარაღი სულიერია, ზოგიც უსულო. მაგალითად, გემის მართვაში საჭე უსულო იარაღია, მესაჭე კი სულიერი, ამიტომ დამხმარე ადამიანი საქმიანობაში ერთგვარი იარაღია. ასევე ქონება არის საარსებო იარაღი, ხოლო ქონების მოპოვება მოითხოვს მრავალი იარაღის გამოყენებას. მონაც ცოცხალი ქონებაა და როგორც იარაღი, იგი სხვა იარაღებზე წინ დგას. ყოველ იარაღს რომ თვითონ შეეძლოს სამუშაოს დამთავრება ბრძანების შესაბამისად, ანდა წინასწარი განჭვრეტით, როგორც დედალოსის[6] ქანდაკებებს, ანდა ჰეფესტეს სამფეხას[7], რომელთა შესახებ პოეტი ამბობს[8], რომ ისინი თვითონ შედიოდნენ ღმერთების თავყრილო-

---

[6] დედალოსი - ძველი ბერძენი არქიტექტორი და სკულპტორი. იგი ითვლება პირველ მოქანდაკედ. მითი მას მიაწერს თავისი ძმისწულის მკვლელობას, რომელმაც მას აჯობა ხელოვნებაში. ამიტომ დედალოსი ათენიდან გარბის კუნძულ კრეტაზე მეფე მინოსთან. მინოსის ბრძანებით ის აგებს ლაბირინთს, სადაც იმყოფებოდა ურჩხული მონოტავრი. დედალოსმა ასწავლა არიადნას, როგორ გამოეყვანა ლაბირინთიდან თეზევსი, რომელმაც ურჩხული მოკლა. ამიტომ სდევნის მას მეფე მინოსი. მაგრამ მან თავის შვილ იკაროსთან ერთად ბუმბულის ფრთებით, რაც სანთლით დაიმაგრა, გაფრინდა კუნძულ კრეტადან. მაგრამ იკაროსი, რომელიც მზეს მიუახლოვდა, დადნა და ჩავარდა ზღვაში, რომელიც დღესაც მის სახელს ატარებს.

[7] ჰეფესტი ძველი ბერძნული მითოლოგიით ცეცხლის ღმერთია, ზევსისა და ჰერას შვილი; მფარველობს მჭედლებს. მისი სახელოსნო მოთავსებული იყო კუნძულ ეტნასთან ახლოს. მას გამოსახავენ ფართო მხრებითა და კოჭლს.

[8] ჰომეროსი, „ილიადა”, XVII, 369.

ბაზე, ასევე საქსოვი დაზგები რომ თვითონ ქსოვდნენ, ხოლო პლექტრი[9] თვითონ უკრავდეს კითარაზე, მაშინ არქიტექტორებს არ დასჭირდებოდათ თანაშემწეები და ბატონებს - მონები.

დასახელებული იარაღები საშუალებებია, ხოლო ქონება - არსებობის შენარჩუნებისათვის საჭირო რამ. საქსოვი დაზგა, გარდა მისი გამოყენებისა, სხვა საგანსაც ჰქმნის, ტანისამოსი და საწოლი კი მხოლოდ გამოიყენებიან. ამას გარდა, შემოქმედება და პრაქტიკული მოქმედება ერთმანეთისგან განსხვავდებიან, თუმცა ორივეს სჭირდება იარაღები, რომლებიც ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ცხოვრება არის პრაქტიკული მოქმედება, მონა კი ცხოვრებაში დამხმარე საშუალებაა.

ქონებას ხმარობენ ნაწილის მნიშვნელობით, ნაწილი კი არა მხოლოდ სხვა საგნის ნაწილია, არამედ საერთოდ, სხვა რამეა. ასევეა ქონებაც. ამიტომ ბატონი არის მონის მხოლოდ ბატონი, მონა კი არა მხოლოდ ბატონის მონაა, არამედ მთლიანად მისი საკუთრებაა. აქედან ცხადია, თუ რა არის მონა და რა თვისებები აქვს მას. ის, ვინც ეკუთვნის არა თავის თავს, არამედ სხვას, მაგრამ მაინც ადამიანია, ის მონაა. საერთოდ, ადამიანი, რომელიც ეკუთვნის სხვას, ქონებას წარმოადგენს, თუმცა ადამიანია. ხოლო ქონება არის ცხოვრებაში გამოსაყენებელი იარაღი და დამოუკიდებლად არსებობს.

ახლა უნდა ვიკვლიოთ კითხვა იმის შესახებ, ბუნებრივია თუ არა მონობა და სამართლიანია და კარგი მონის არსებობა თუ არა, თუ ყოველი მონობა ბუნებას ეწინააღმდეგება? ამის კვლევა ძნელი არაა, როგორც თეორიულად, ისე არსებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე. ხელმძღვანელობა და მორჩილება არა მხოლოდ აუცილებელია, არამედ სასარგებლოც არის, რადგან დაბადებიდანვე ზოგი განკუთვნილია ხელმძღვანელობისათვის, ზოგი კი მორჩილებისათვის. არსებობს როგორც ხელმძღვანელობის, ისე მორჩილების მრავალი ფორმა. ხელმძღვანელობა კარგია იქ, სადაც დაქვემდებარებულნი კარგნი არიან, მა-

[9] პლექტი - იარაღი, რომელიც მზადდება ხისგან ან ლითონისგან, სპილოს ძვლისა ან რქისაგან და იხმარებოდა საკრავის სიმების ასაჟღერებლად.

გალითად, კარგია ადამიანების ხელმძღვანელობა, ვიდრე მხეცებისა. კარგი ოსტატისაგან შესრულებული საქმეც კარგია. ხოლო საქმე კეთდება იქ, სადაც ერთი მხარე ხელმძღვანელობს, მეორე კი ემორჩილება, სადაც კი ერთი მთელი მიღებულია მრავალისაგან, იქნება ეს წყვეტილი, თუ უწყვეტი სიმრავლე, იქ ყველგან არსებობს ხელმძღვანელი და დაქვემდებარებული მხარე. მთელს ბუნებაში ეს დამახასიათებელია სულიერი არსებებისათვის, მაგრამ იქაც კი, სადაც არ არსებობს სიცოცხლე, მაინც არსებობს რაღაც ხელმძღვანელი, მაგალითად, მუსიკაში, მაგრამ ეს საკითხი უნდა განხილულ იქნას ეგზოტერიულ გამოკვლევებში[10].

ცოცხალი არსება, პირველ ყოვლისა, შედგება სულისა და სხეულისაგან. ამათგან ბუნებრივად სული ხელმძღვანელია, სხეული დაქვემდებარებული. რადგან ვაწარმოებთ ბუნებრივი მოვლენების განხილვას, ამიტომ ისინი უნდა განიხილებოდნენ ბუნებრივ მდგომარეობაში და არა დამახინჯებული. მაშასადამე, ადამიანი უნდა განვიხილოთ საუკეთესო მდგომარეობაში, როგორც შემდგარი სულისა და სხეულისაგან, რადგან საუკეთესო მდგომარეობაში კარგად ვლინდება საკვლევი საკითხი. ცუდ ადამიანებში, ან ცუდი თვისებების მქონე ადამიანებში, როგორც ჩანს, სხეული ხშირად ხელმძღვანელობს სულს, რადგან ისინი ან ცუდი ადამიანები არიან, ან ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობაში იმყოფებიან.

ჩვენ ვამბობთ, რომ პირველ ყოვლისა, ცოცხალ არსებებში იმყოფება როგორც ბატონობის, ისე პოლიტიკური ხელმძღვანელობის საწყისი. როდესაც სული ხელმძღვანელობს სხეულს, მაშინ გვაქვს ბატონობის საწყისი, ხოლო როდესაც გონება ექვემდებარება ვნებებს, მაშინ პოლიტიკური და მეფური საწყისი. აქედან ცხადია, რომ უკეთესია, რომ სული მართავდეს სხეულს, ხოლო აზროვნება და გონიერება მართავდეს პათე-

[10] არისტოტელე ეგზოტერიულ შრომებს წერდა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ის წერდა აგრეთვე ეზოტერიულ შრომებს, განკუთვნილს მკითხველთა ვიწრო წრის, ძირითადად, თავისი მოწაფეებისათვის.

ტიკურ ნაწილს, მაგრამ თუ მოხდა პირიქით და ადგილი აქვს მისწრაფებას თანასწორობისაკენ, ეს საზიანო იქნება სულის ყველა ნაწილისთვის. იგივე დამოკიდებულებაა ყველა ცოცხალ არსებებში. თავისი ბუნებით შინაური ცხოველები სჯობიან გარეულებს, ამიტომ უკეთესია, რომ მათ ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, რადგან ამით ისინი თავს გადაირჩენენ. ასევე მამაკაცი თავისი ბუნებით ქალზე უფრო ძლიერია, ქალი კი სუსტია, ამიტომ პირველი ხელმძღვანელია, მეორე დაქვემდებარებული. ეს აუცილებლად ყველა ადამიანს ეხება.

ისინი, რომლებიც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ადამიანი მხეცისგან, ასეთი ადამიანების საქმეა ფიზიკური ძალის გამოყენება. და ეს მათთვის უკეთესია, რადგან ასეთი ადამიანები მონები არიან და უკეთესია, რომ ისინი ექვემდებარებოდნენ ისეთ ადამიანებს, როგორიც უკვე ვთქვით. თავისი ბუნებით მონა ისეთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია სხვას ეკუთვნოდეს და ეკუთვნის კიდეც სხვას. იგი აზროვნებს იმდენად, რამდენადაც შეიგრძნობს და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი მას არა აქვს. სხვა ცოცხალ არსებებს კი შეგრძნების უნარიც კი არა აქვთ და ვნებებს ემორჩილებიან. მათ მიერ მოტანილი სარგებლობა მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან. ორივენი, როგორც შინაური ცხოველები, ისე მონები გვეხმარებიან სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.

ბუნებას სურს, რომ მონისა და თავისუფალი ადამიანის სხეული განსხვავებული იყოს. ამიტომ მონებს მისცა ფიზიკური შრომისათვის საჭირო ძლიერი სხეული, თავისუფალი ადამიანები კი წელში გამართულნი დადიან და გამოუსადეგნი არიან ფიზიკური შრომისათვის, სამაგიეროდ ისინი გამოდგებიან სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, რაც განიყოფება საომარი და მშვიდობიანობის პოლიტიკად. მაგრამ შეიძლება მოხდეს საწინააღმდეგოდ, რადგან ზოგს მხოლოდ სხეული აქეს თავისუფალი ადამიანისა, ზოგს კი მხოლოდ სული.

აქედან ცხადია, რომ თუ კი სხეულებრივი განსხვავება ისეთივე იქნებოდა, როგორიც ადამიანებსა და ღმერთების გამოსახულებებს შორის,

მაშინ ყველა იტყოდა, რომ ვინც ამათში დაბალ დონეზე დგას, ის მონობის ღირსია. თუ ეს სწორია სხეულის შესახებ, უფრო სწორი იქნება მისი გამოყენება სულის განსაზღვრებაში. თუმცა სულიერი მშვენიერების დანახვა ისე ადვილი არაა, როგორც სხეულებრივისა. ცხადია, რომ ბუნებრივად ზოგი თავისუფალია, ზოგი კი მონაა და რომ ამ უკანასკნელთ მონობა შეჰფერით. ეს სამართლიანიც არის.

ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ ვინც ამის საწინააღმდეგოს ამბობს, როგორღაც სწორად მსჯელობს, რადგან „მონასა" და „მონობას" ორი მნიშვნელობა აქვს. ზოგი ამბობს, რომ მონა და მონობა არის კანონით დადგენილი მოვლენა, კანონი კი ამბობს, რომ ომში დამარცხებული გამარჯვებულის საკუთრებად უნდა იქცეს. ეს კანონი უსამართლობად მიაჩნიათ იმათ, რომლებიც კანონებს ასწორებენ. საშინელებაა, რომ ვისაც იძულება შეუძლია და უფრო ძლიერია თავისი უნარით, ჰყავდეს მონა და ხელმძღვანელობდეს მას იძულების საშუალებით. ზოგი ასე ფიქრობს, ზოგი - ისე, ბრძენთა შორისაც კი.

აღნიშნული კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზეზია ის, რომ ზნეობა შეიძლება შეგვხვდეს იმათშიც, ვისაც სხვებზე მეტად შეუძლია ხარჯვაცა და იძულებაც და სიძლიერე წარმოადგენს რაღაც სიკეთის სიჭარბეს. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ იძულება არ არსებობს სათნოების გარეშე. მაშასადამე, ყოველი კამათი სამართლიანობას ეხება, სამართლიანობა კი ადამიანებისადმი კეთილგანწყობას ნიშნავს. ზოგს კი სამართლიანად მიაჩნია ის, რომ ძლიერი სუსტს ხელმძღვანელობდეს. თუ ამ შეხედულებებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, დავინახავთ, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს არც ძალა და არც სარწმუნო საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ სათნო ადამიანი არ უნდა ხელმძღვანელობდეს და არც უნდა ბატონობდეს.

ზოგნი, ემყარებიან რა სამართლიანობის რაღაც პრინციპს (კანონი ხომ ერთგვარი სამართლიანობაა), სამართლიანად მიაჩნიათ ომის შემდეგ ადამიანების დამონება, მაგრამ ამავე დროს არ ამბობენ, რომ ომის მიზეზი შეიძლება უსამართლობა იყოს და ის, ვინც არაა ღირსი მონობი-

სა, არ შეიძლება მონად იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აქედან გამომდინარეობს, რომ კეთილშობილი წარმოშობის ადამიანი შეიძლება იქცეს მონად და იყოს მონებად გაყიდულთა შთამომავალი. ამ თვალსაზრისის მომხრეთ არ სურთ, რომ ამათ მონები უწოდონ, არამედ მათ ბარბაროსებს უწოდებენ, მიუხედავად ამისა, როცა ისინი ამას ამტკიცებენ, სხვა რამეს კი არ იკვლევენ, არამედ იკვლევენ ბუნებრივი მონობის საკითხს, რაც ჩვენ დასაწყისშივე ვთქვით. ამრიგად, აუცილებელია იმის თქმა, რომ ზოგი ადამიანი ყოველთვის მონაა, ზოგი კი არასოდეს.

ასევე მსჯელობენ ისინი კეთილშობილი წარმოშობის ადამიანების შესახებ. ისინი კეთილშობილად თვლიან კეთილშობილთ არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ ყველგან. ბარბაროსები კი კეთილშობილად თვლიან მხოლოდ თავის სამშობლოში კეთილშობილთ. თითქოს ზოგი ადამიანი საერთოდ კეთილშობილი და თავისუფალია, ზოგი კი არა, როგორც ამბობს თეოდექტეს ელენე:

„ვინ გაბედავდა ეწოდებინა ჩემთვის მსახური, ორმხრივ ღვთაებრივ წარმოშობის წინაპართ მქონეს[11]?"

როდესაც ისინი ამას ამბობენ, სხვა არაფრით არ ასხვავებენ მონასა და თავისუფალს, კეთილშობილსა და არაკეთილშობილს, სათნოებისა და ბოროტების გარდა. აქედან კი გამომდინარეობს, რომ როგორც ადამიანისაგან იშვება ადამიანი და მხეცისაგან მხეცი, ასევე კეთილი მშობლებიდან იშვება კეთილი შვილი. ბუნებაც ხშირად მიისწრაფის აქეთკენ, მაგრამ არ ძალუძს ამის განხორციელება.

ამ კამათს აქვს გარკვეული აზრი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობენ ადამიანები ბუნებით მონები და ბუნებით თავისუფალნი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს ისეთი განსხვავება, რომ ერთისათვის სასარგებლოა იყოს მონა, მეორისათვის - იყოს ბატონი, და ეს სამართლიანიც არის, რომ ერთი ხელმძღვანელობდეს, მეორე კი მორჩილებდეს. უნდა ხელმძღვანელობდეს ის, ვისაც მოსდგამს ხელმძღვანელობისა და ბატონობის თვისება, ბოროტება კი ორივე მხარისთვის

[11] თეოდექტე - ტრაგიკოსი პოეტი, არისტოტელეს მეგობარი.

საზიანოა. ერთი და იგივე სასარგებლოა, როგორც ნაწილისათვის, ისე მთელისთვის, როგორც სულისთვის, ისე სხეულისთვის. მონა კი არის ბატონის ნაწილი, თუმცა სხეულს დაცილებული სულიერი ნაწილი. მაშასადამე, სასარგებლოა მონისა და ბატონის მეგობრობა, თუ ეს მეგობრობა ემყარება მათ ბუნებრივ თვისებებს. ისინი კი, რომლებიც მისდევენ არა ამ გზას, არამედ კანონსა და იძულებას, საწინააღმდეგო შედეგს მიიღებენ.

აქედან ცხადია, რომ ერთი და იგივე არაა მონისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, აგრეთვე ხელმძღვანელობის სხვა ფორმები, რასაც ამტკიცებს ზოგიერთი. ერთი მხრივ, არსებობს თავისუფალთა და მეორეს მხრივ, მონების ხელმძღვანელობა. ამას გარდა, ყოველ ოჯახს ყავს ერთი ხელმძღვანელი და ის არის ერთმმართველი. იგი ხელმძღვანელობს თავისუფალ და მასთან თანასწორ ადამიანებს.

ბატონს კი უწოდებენ კაცს არა ცოდნის გამო, არამედ თავისი მდგომარეობის გამო, ასევე უწოდებენ მონასა და თავისუფალ ადამიანს. უნდა არსებობდეს ერთგვარი მეცნიერება ბატონობისა და მონობის შესახებ. მონობის შესახებ მეცნიერებას ასწავლიდნენ სირაკუზაში. იქ გასამრჯელოსაც კი იღებდნენ იმისთვის, რომ ბავშვებისათვის ესწავლებინათ, თუ როგორ მომსახურებოდნენ ბატონს. მრავალ სხვა ცოდნათა შორის არსებობს აგრეთვე მზარეულობისა და მრავალი სხვა ამგვარი ცოდნა, რაც განეკუთვნება მომსახურების სფეროს. საქმეები ხომ ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ზოგი მათგანი უფრო საპატიოა, ზოგი კი უფრო აუცილებელი, ანუ როგორც ანდაზა ამბობს: „მონა განსხვავდება მონისაგან და ბატონი ბატონისაგან". ყველა ეს ცოდნა განკუთვნილია მონებისათვის. ბატონობისათვის განკუთვნილი მეცნიერება კი ეხება მონის გამოყენებას. ბატონობა არ ნიშნავს მონების შეძენას, არამედ მათ გამოყენებას. ამ ცოდნაში კი არაფერია არც დიდი, არც ამაღლებული. ის, რაც მონამ უნდა შეასრულოს, იმის ცოდნა ბატონსაც ევალება. ვისაც სურს თავი აარიდოს ამ საქმიანობას, მაშინ ამ მოვალეობას ასრულებს მისი საქმეების მმართველი, თვითონ კი ეწევა პოლიტიკოსობასა და ფილოსოფიურ

მოღვაწეობას. მონების შეძენის მეცნიერება კი ორივესაგან განსხვავდება და ის წარმოადგენს თავისებურ მეცნიერებას ომისა და ნადირობის შესახებ.

ასეთია ამ მეთოდით მიღებული გაგება მონისა და ბატონისა.

თავი III

საერთოდ, ყოველგვარი ქონებისა და მოპოვების შესახებ ჩვენ გამოვიყენებთ იმ მეთოდს, რომლითაც უკვე ვხელმძღვანელობდით, რადგან მონაც ქონების რაღაც ნაწილია. პირველ ყოვლისა, ვინმემ შეიძლება იკითხოს, თუ რა არის ქონების მოპოვების მეცნიერება? ის იგივეა, რაც ეკონომიკა, მისი ნაწილია, თუ დამხმარე მეცნიერებაა? ის ისეთსავე მიმართებაშია ოჯახის გაძღოლის ცოდნასთან, როგორც მაქოს დამზადება ქსოვის ხელოვნებასთან, ან როგორც სპილენძის დამუშავების ცოდნა მოქანდაკეობასთან. ეს ორივე დამხმარე მეცნიერება ერთნაირად არ ემსახურება ძირითადს, არამედ ერთი ემსახურება იარაღით, მეორე კი მასალით, მე ვგულისხმობ იმ მასალას, რომლითაც სრულდება საქმე. მაგალითად, მატყლი ეხმარება მქსოველს, ხოლო სპილენძი - მოქანდაკეს. ცხადია, რომ ეკონომიკა (იგ. ოჯახის გაძღოლა) არაა იგივე, რაც ქონების მოპოვების ხელოვნება, რადგან ერთი მათგანი ეხება ქონების დაგროვებას, მეორე - გამოყენებას, მაგრამ რომელი მეცნიერების საქმე იქნება სახლისათვის საჭირო მოთხოვნილებების საგნების გამოყენება, თუ არა ეკონომიკისა? სადავოა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ქონების მოპოვების ხელოვნება არის ეკონომიკის რაიმე ნაწილი, თუ ის სულ სხვა სახისაა? მაგრამ თუ საჭიროა ქონების მოპოვების მეცნიერების განხილვა, უნდა გაირკვეს, თუ რა არის ქონება და რა არის ქონების მოპოვება... ქონებას და სიმდიდრის ცნებას კი მრავალი ნაწილი აქვს. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს, რომ მიწათმოქმედება არის ეკონომიკის ნაწილი, თუ ის ცოდნის რაღაც სხვა სახეა? და საერთოდ, გასარკვევია საკითხი საკვების მოპოვებისა და დაგროვების შესახებ.

საკვების მრავალი სახე არსებობს, ამიტომ მრავალგვარია ადამიანთა და ცხოველთა არსებობის სახეები, საკვების გარეშე შეუძლებელია არსებობა. ამიტომ საკვების სხვადასხვაობამ გამოიწვია ცხოველთა ცხოვრების სახეთა განსხვავება. ცხოველებიდან ზოგო ჯოგურ ცხოვრებას ეწევა, ზოგი კი ცხოვრობს განცალკევებულად იმისდა მიხედვით, თუ რა საკვები შეეფერება მათ. ნაწილი მათგანი იკვებება ცხოველური საკ-

ვებით, ნაწილი მცენარეულით, ნაწილი კი ორივეთი, ასე რომ, ბუნებამ განუსაზღვრა მათ ცხოვრებისა და საკვების ადვილად მოპოვების გზა. ბუნებრივად ყველა ცხოველს არ ესიამოვნება ერთი და იგივე საკვები, არამედ სხვადასხვა და ამიტომ ცხოველური და მცენარეული საკვები განასხვავებს ცხოველების არსებობის ფორმას.

იგივე ითქმის ადამიანებზე, მათი ცხოვრების სახეებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ისინი, რომლებიც ზარმაცნი არიან, ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას. ისინი ყოველდღიურ საკვებს წვალების გარეშე იოლად შოულობენ ცხოველებისგან. საკვების მოპოვების მიზნით ისინი იძულებულნი არიან გადააადგილონ ჯოგი და თვითონაც მიჰყვნენ მას. მიწათმოქმედნი ცხოვრობენ მიწის დამუშავებით, ზოგი ცხოვრობს ნადირობით, ნადირობის სახეები კი განსხვავებულია. მაგალითად, ზოგი ცხოვრობს ძარცვით, ზოგი - მეთევზეობით, ეს ისინი, რომლებიც ცხოვრობენ ტბებთან, მდინარეებთან, ზღვებთან და ჭაობებთან, სადაც თევზი უხვად მოიპოვება. ზოგი ნადირობს ფრინველებზე და გარეულ მხეცებზე. ადამიანთა მეტი ნაწილი კი ცხოვრობს მიწათმოქმედებით და მისი დამუშავებით მიღებული ნაყოფით.

დაახლოებით ასეთია იმათი ცხოვრების ფორმები, რომლებიც საკვებს საკუთარი შრომით მოიპოვებენ და არა გაცვლა-გამოცვლითა და ვაჭრობით. შრომის სახეებია მიწის დამუშავება, მომთაბარეობა, მეთევზეობა, ნადირობა, ყაჩაღობა. ზოგიც ცხოვრობს სიამოვნებით, აერთებს რა საქმიანობის რამდენიმეე სახეს და როცა რაიმე აკლია, ცხოვრების ერთ სახეს მეორით ავსებს, რათა ამით მიაღწიოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მაგალითად, აერთებენ მომთაბარეობას და ყაჩაღობას, მიწათმოქმედებას და ნადირობას. ასევე იქცევიან სხვებიც, რომლებიც ეწევიან ისეთ ცხოვრებას, საითკენაც უბიძგებს მათ გაჭირვება.

როგორც ჩანს, ბუნებამ ყველას განუსაზღვრა ქონების ერთი და იგივე სახე დაბადებიდან სიკვდილამდე. ზოგი ცხოველი თავის შვილებს დაბადებიდანვე აწვდის იმდენ საკვებს, რაც საკმარისია, მანამ, სანამ ისინი თვითონ შესძლებდნენ საკვების მოპოვებას, მაგალითად, ჭიანჭველები

და კვერცხის მდებლები, ხოლო ის ცხოველები, რომლებიც ცხოველებს ბადებენ, მათ გარკვეული ხნის განმავლობაში საკვები თავის თავშივე აქვთ რძის სახით. აქედან ცხადია და დაკვირვებიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მცენარეები არსებობენ ცხოველებისათვის, ცხოველები კი ადამიანებისათვის. შინაური ცხოველები არსებობენ ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და საკვებად. გარეული მხეცების უმრავლესობა ადამიანის საკვებად და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის გამოსადეგი, როგორიცაა, მაგალითად, ტანისამოსისა და სხვადასხვა იარაღების დამზადება. თუ ბუნება არაფერს არ ქმნის უმიზნოდ და ტყუილ-უბრალოდ, მაშინ აუცილებელია, რომ ბუნებამ ყოველივე ეს შექმნა ადამიანისათვის.

საომარი ხელოვნებაც თავისი ბუნებით როგორღაც ქონების მოპოვების ხელოვნებაა, ნადირობა მისი ნაწილია. ნადირობა კი დასაშვებია არა მხოლოდ მხეცებზე, არამედ ადამიანებზეც, რომლებიც დაბადებულნი არიან მორჩილებისათვის, მაგრამ არ სურთ მორჩილება, რაც თავისი არსით სამართლიანობაა.

ქონების დაგროვების ერთი სახე არსებითად არის ეკონომიკის ნაწილი. იგი არსებობს ან თავისთავად, ან უნდა მოპოვებული იქნას იმათ მიერ, რომლებსაც სჭირდებათ ქონება ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ანდა საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობებისათვის. როგორც ჩანს, ნამდვილი სიმდიდრე ყოველივე ამას მოიცავს. ქონება, რომელიც საჭიროა კარგი ცხოვრებისათვის, არაა განუსაზღვრელი და როგორც სოლონიც ამბობს, ლექსში: „ადამიანებს არა აქვთ მითითებული სიმდიდრის საზღვარი”.

მაგრამ ეს საზღვარი არსებობს აქ ისევე, როგორც სხვა ხელოვნებებში. არც ერთი ხელოვნების იარაღი არაა განუსაზღვრელი არც სიდიდით და არც სიმრავლით, სიმდიდრე კი არის ეკონომისტებისა და პოლიტიკური მოღვაწეებისთვის იარაღთა სიმრავლე.

ამრიგად, ცხადია, რომ ქონების მოპოვების ხელოვნება ბუნებრივად არსებობს ეკონომისტებისა და პოლიტიკოსებისათვის და ცხადია ისიც, თუ რა მიზეზით არსებობს ის.

არსებობს ქონების დაგროვების სხვა სახე, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ფულის მოხვეჭის ხელოვნებას. ამ ხელოვნების გამო ვარაუდობენ, რომ სიმდიდრისა და ფულის დაგროვებას საზღვარი არა აქვს. ბევრი კი ფიქრობს, რომ ფულის დაგროვება და სიმდიდრის დაგროვება ერთი და იგივეა მათი სიახლოვის გამო, მაგრამ ისინი არც იგივეობრივნი არიან და არც ძალიან განსხვავებულნი, ამათგან ერთი ბუნებრივად არსებობს, მეორე კი არა, რადგან ის ერთგვარი გამოცდილებისა და ხელოვნების შედეგია.

ამ საკითხის კვლევა აქედან უნდა დავიწყოთ: ყოველ ქონებას ორგვარი გამოყენება აქვს, ორივე შემთხვევაში საგანს იყენებენ, მაგრამ არა ერთნაირად. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მას იყენებენ ოჯახის საჭიროებისათვის, მეორე შემთხვევაში კი არა. ფეხსაცმელი გამოდგება როგორც ჩასაცმელად, ისე გაცვლა-გამოცვლისათვის, თუმცა ორივე შემთხვევაში ხდება ფეხსაცმელის მოხმარება. ის, ვინც სცვლის ფეხსაცმელს ან ფულზე, ან საკვებზე, იგი იყენებს ფეხსაცმელს არა როგორც ფეხსაცმელს, არამედ, იყენებს მას არაპირდაპირი დანიშნულებით, რადგან ფეხსაცმელი არაა შექმნილი გაცვლა- გამოცვლისათვის. იგივე მდგომარეობაა ქონების სხვა ფორმებში, რადგან გაცვლა-გამოცვლა ყველაფრისა შეიძლება. თავდაპირველად გაცვლა-გამოცვლა ბუნებრივად დაიწყო, რადგან ადამიანებს ზოგი საგანი ბევრი ჰქონდათ, ზოგი ნაკლები. აქედან ცხადი ხდება ისიც, რომ წვრილმან ვაჭრობას არა აქვს კავშირი ქონების დაგროვების ხელოვნებასთან. თავდაპირველ გაერთიანებაში, რაც სახლს წარმოადგენდა, გაცვლა-გამოცვლა არ იყო საჭირო, მაგრამ როდესაც ეს გაერთიანებები გაიზარდნენ, საჭირო გახდა გაცვლა-გამოცვლა. თავდაპირველად ამ გაერთიანებებს ყველაფერი საერთო ჰქონდათ, მაგრამ როდესაც ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, მაშინ ერთი რამ ერთ ოჯახს ჰქონდა ბევრი და მეორე ოჯახს - მეორე. გა-

ჭირვების გამო იძულებული გახდნენ მიემართათ გაცველა-გამოცვლისათვის. ბევრი ბარბაროსული ტომი ახლაც მიმართავს ასეთ გაცვლა-გამოცვლას, ისინი სცვლიან ერთმანეთში აუცილებელი მოთხოვნილებების საგნებს, მაგალითად, ღვინოს პურზე და პირიქით, ასევე ცვლიან სხვა საგნებსაც.

ასეთი გაცვლა-გამოცვლა არაა ბუნების საწინააღმდეგო და არც ქონების მოხვეჭის რაიმე ფორმაა ის, რადგან ამით ხდება შევსება ბუნებრივი მოთხოვნილების საგნების არასაკმარისობისა. აქედან შემდეგში თანმიმდევრულად განვითარდა ფულის დაგროვების ხელოვნება, როდესაც გახდა საჭირო სხვა ქვეყნების დახმარება. იმისათვის, რომ შემოეტანათ ის, რაც აკლდათ და გაეტანათ, რაც ზედმეტი იყო, გაჩნდა ფულის შემოღების აუცილებლობა, რადგან ადვილი არ იყო ბუნებრივი მოთხოვნილების ყველა საგნის გატანა. იმისათვის, რომ ეწარმოებინათ გაცვლა-გამოცვლა, მიეცათ სხვისთვის და მათგანაც მიეღოთ, საჭირო იყო ისეთი საგნების გამოყენება, რომლებიც თავისთავად მოთხოვნილების საგნებს წარმოადგენდნენ და ამავე დროს ადვილი იყო მათი გამოყენება გაცვლა- გამოცვლაში, ასეთი კი იყო რკინა, ვერცხლი და სხვა. თავდაპირველად ადვილად, მარტივად განსაზღვრავდნენ მათ სიდიდესა და წონას, ბოლოს კი, რათა განთავისუფლებულიყვნენ გაზომვისაგან, დაიწყეს ბეჭდით აღნიშვნა, რაც მიუთითებდა საგნის ღირებულებაზე.

მას შემდეგ, რაც ხმარებაში შემოიღეს ფული აუცილებელი გაცვლა-გამოცვლის საწარმოებლად, წარმოიშვა ქონების დაგროვების სხვა სახე, სპეკულაცია, რაც თავდაპირველად მარტივად წარმოებდა, მაგრამ გამოცდილებისა და დაოსტატების წყალობით იმაში, თუ საიდან და როგორ წარმოებდა გაცვლა-გამოცვლა, იგი დიდ მოგებას იძლეოდა. ამიტომ, როგორც ჩანს, ქონების მოპოვების ხელოვნება ძირითადად ფულს ეხება და მისი საქმეა იმის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება მისი დაგროვება დიდი რაოდენობით. მაშ, ის არის სიმდიდრისა და ქონების დაგროვების ხელოვნება. ამიტომ ზოგჯერ სიმდიდრედ მიაჩნდათ ფულის დაგროვება, რაც ვაჭრობის და ქონების დაგროვების ხელოვნებაა. ზოგჯერ

კი პირიქით, ფიქრობენ, რომ ფული არაფერი არაა, რომ ის ცარიელი სიტყვაა, რომელსაც შინაარსი არა აქვს. და თუ შეიცვალნენ ისინი, ვინც მათ იყენებს, ფულს არავითარი ღირებულება არ ექნება, არ იქნება გამოსადეგი ცხოვრებაში და ხშირად, ვისაც ბევრი ფული აქვს, აუცილებელ საკვებსაც კი ვერ შოულობს. ამრიგად, უაზრობაა ისეთი სიმდიდრის ფლობა, რომლის მქონებელი შეიძლება შიმშილით მოკვდეს. და როგორც ყვებიან მიდასის[12] შესახებ, მისი სურვილების უსაზღვროების გამო, რასაც კი მას აძლევდნენ, ყველაფერი ოქროდ იქცეოდა.

ამიტომ ისინი, რომლებიც ასხვავებენ სიმდიდრისა და ფულის დაგროვების ხელოვნებას, სწორად იქცევიან, რადგან ფულის დაგროვება და სიმდიდრე სულ სხვა და სხვა რამაა. ერთი მათგანი ეკონომიკის შესწავლის საგანია, მეორე კი ვაჭრობისა, რაც სიმდიდრეს ჰქმნის არა ყოველი ხერხით, არამედ საგანთა გაცვლა-გამოცვლით, და ვფიქრობ, რომ ამის საშუალება არის ფული, რადგან ფული არის გაცვლა-გამოცვლის საფუძველი და მიზანი, ამ ხელოვნებით მოპოვებული ქონება განუსაზღვრელია. როგორც მედიცინის მიზანია აბსოლუტური ჯანმრთელობის მიღწევა, ასევე ყოველ ხელოვნებას აქვს აბსოლუტური მიზნისკენ მისწრაფება, მათ ყველაზე უფრო მეტად ამ უსაზღვრო მიზნის მიღწევა სურთ, მაგრამ მიზნის მისაღწევი საშუალებები კი განსაზღვრულია, რადგან თვითონ მიზანია მათი საზღვარი. ასევე ქონების მოპოვების ხელოვნებასაც არა აქვს თავისი საზღვარი, მისი მიზანი კი არის სიმდიდრე და ქონების დაგროვება. ეკონომიკას კი ამ მხრივ აქვს საზღვარი, რადგან მის მიზანს არ შეადგენს ფულის დაგროვება. მაშასადამე, ჩანს, რომ ყოველ სიმდიდრეს თავისი საზღვარი უნდა ჰქონდეს. როგორც ვხედავთ, მივიღეთ საწინააღმდეგო შედეგი. ყველანი, რომლებიც ეწევიან ქონების დაგროვებას, უსაზღვროდ ზრდიან ფულის რაოდენობას. ეს კი იმიტომ,

[12] მეფე მიდასი - ფრიგიის მეფე ჩვ. წ.ა. VIII საუკუნეში. ბერძნული მითოლოგიით ღმერთმა დიონისემ მას მისცა უნარი ყოველივე ოქროდ ექცია. რათა განთავისუფლებულიყო ამ თვისებისაგან, იბანავა მდინარე პაქტოლში. მუსიკალურ შეჯიბრში მან პირველობა მიაკუთვნა პანს, რის გამოც აპოლონმა დასაჯა სახედრის ყურებით. აქედან წარმოსდგება გამოთქმა „მიდასის ყურები“.

რომ ეს ორი რამ ერთმანეთთან ახლოა, ისინი ერთმანეთს ემთხვევიან იმ საშუალებების გამოყენებაში, რაც მათ სჭირდებათ მიზნის მისაღწევად. ორივე ეხება ქონების გამოყენებას, მაგრამ არა ერთნაირად. ამათგან ერთს სრულიად განსხვავებული მიზანი აქვს, მეორეს კი ქონების რაოდენობის გაზრდა, ამიტომ ზოგი ფიქრობს, რომ ეს არის ეკონომიკის საქმე და იქვე დასძენს, რომ ფულის მარაგი ან უნდა შენარჩუნებული იქნას, ანდა გაზრდილი უსასრულო რაოდენობით.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ მათ სურთ ცხოვრების უზრუნველყოფა და არა ბედნიერი ცხოვრება და რადგან ეს ვნება უსაზღვროა, ამიტომ სურთ, რომ მისი მისაღწევი საშუალებებიც განუსაზღვრელი იყოს. ისინიც კი, რომლებიც მიისწრაფიან კეთილდღეობისაკენ, ეძებენ იმას, რაც სხეულებრივ სიამოვნებას იწვევს და რადგან ჰგონიათ, რომ ამისათვის საჭიროა ქონება, ამიტომ მთელ ცხოვრებას ატარებენ ქონებაზე ზრუნვით. აი, აქედან წარმოიშვა ხელოვნების მეორე ფორმა - ქონების დაგროვების ხელოვნება და რადგან ჰგონიათ, რომ სიამოვნების მიღება შეიძლება ქონების დიდი სიუხვითაც, ამიტომ ეძებენ ისინი ამ გადაჭარბებული სიამოვნების დაკმაყოფილების საშუალებებს. მაგრამ ამის მიღწევა მათ არ ძალუძთ ქონების დაგროვების ხელოვნებით, ამიტომ მის მიღწევას სხვა საშუალებებითაც ცდილობენ. ამ მიზნით თითოეული იყენებს თავის უნარს ბუნების საწინააღმდეგოდ. მაგალითად, სიმამაცე მდგომარეობს არა სიმდიდრეში, არამედ გაბედულებაში, ასევე სტრატეგიისა და მედიცინის ცოდნის მიზანია არა სიმდიდრე, არამედ პირველის მიზანია გამარჯვება, მეორისა - ჯანმრთელობა. ესენი კი ყოველივეს აკეთებენ ქონების დასაგროვებლად, თითქოს ის იყოს ისეთი მიზანი, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყველა.

ამრიგად, უკვე ითქვა ქონების მოპოვების არა აუცილებელი ხელოვნების შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის, რა მიზეზით იქცა ის ჩვენი მოთხოვნილების საგნად, ხოლო ის ხელოვნება, რომელიც ემსახურება აუცილებლად საჭირო ქონების დაგროვებას, განსხვავდება ამ არასაჭირო ხელოვნებისაგან თავისი არსებით. ის ეხება საკვების მოპოვებასა და ოჯა-

ხის ხელმძღვანელობას და არა ისე განუსაზღვრელია, როგორც ზემოდასახელებული ხელოვნება, არამედ მას გარკვეული საზღვრები აქვს. ახლა ნათელია ის კითხვაც, რომელიც დასაწყისში იყო დასმული იმის შესახებ, რომ პოლიტიკოსის საქმეა თუ არა ქონების მოპოვების ხელოვნება? ვფიქრობთ, რომ ის პოლიტიკოსის საქმეა. ისევე, როგორც პოლიტიკა კი არ ჰქმნის ადამიანებს, არამედ იყენებს მათ ისე, როგორც ისინი ბუნებას შეუქმნია, ასევე საკვებსაც იძლევა ბუნება, ან მიწა, ან ზღვა და სხვა რამ, მაგრამ თუ როგორ უნდა იყოს ყოველივე ეს მოხმარებული, ეხება ოჯახის უფროსს. ასევე ქსოვის ხელოვნების საქმეა არა მატყლის დამზადება, არამედ მისი გამოყენება, აგრეთვე იმის ცოდნა, თუ რომელი მატყლია ვარგისი და გამოსადეგი და რომელი ცუდი და უვარგისი.

შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვა, რატომაა ქონების დაგროვების ხელოვნება ეკონომიკის ნაწილი, მედიცინა კი არა? ჯანმრთელობა ხომ ისევე სჭირდებათ ოჯახის წევრებს, როგორც სიცოცხლე და სხვა რამ აუცილებელი არსებობისათვის. ერთის მხრივ, ოჯახის უფროსის და ხელმძღვანელის საქმეა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მეორეს მხრივ კი არა, რადგან ეს ექიმს ეხება. ასევე ქონების საკითხებიც ოჯახის უფროსის საქმე უნდა იყოს, მეორეს მხრივ კი არა, არამედ დამხმარე ხელოვნებისა, მაგრამ უფრო მეტად კი ის ბუნებრივად უნდა არსებობდეს, რადგან ბუნების საქმეა საკვებით იმათი უზრუნველყოფა, ვინც მან შექმნა, ყველა არსება კი საკვებს, როგორც მემკვიდრეობას, იღებს იმისგან, რისგანაც ის შეიქმნა. ამიტომაც ბუნებრივია ადამიანისათვის საკვების მიღება მცენარეების ნაყოფისა და ცხოველებისაგან.

როგორც ვთქვით, საკვების მოპოვების ხელოვნება ორგვარია: ერთია ვაჭრობა, მეორე - ეკონომიკა, ეს უკანასკნელი გამოწვეულია აუცილებელი მოთხოვნილებით და საქებია, ვაჭრობა კი გასაკიცხია და სამართლიანად, რადგან ის გამოწვეულია არა ბუნებრივი მოთხოვნილებით, არამედ გაცვლა-გამოცვლით. გონივრულია ის სიძულვილიც, რასაც მევახშეობა იწვევს, რადგან ის ფულის დაგროვებას ემსახურება და არა იმ დანიშნულებას, რისთვისაც შექმნილი იყო ფული. ფული შეიქმნა გაც-

ვლა-გამოცვლის მიზნით, მევახშეობა კი იწვევს ფულის დაგროვებას. აქედანვე მიიღო მან თავისი სახელწოდებაც[13]. რადგან შვილები ჰგვანან თავის მშობლებს, ასევე პროცენტები ფულს ფულიდან ჰქმნიან, ამიტომ ქონების დაგროვების ეს სახე ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება ბუნებას.

[13] წარმოებულია ბერძნული სიტყვიდან „ტოკოს", რაც პროცენტებს ნიშნავს. ეტიმოლოგიურად კი ნიშნავს ნაყოფს, მოსავალს, დაბადებას.

თავი IV

რადგან საკმარისად განვიხილეთ საკითხის თეორიული მხარე, ახლა უნდა შევუდგეთ მისი პრაქტიკული მხარის განხილვას. თეორიული განხილვა თავისუფალი კვლევის საგანია, ემპირიული კი შეზღუდულია აუცილებლობით. ქონების დაგროვების ცოდნის ნაწილი გამოდგება პრაქტიკაში ქონების შესყიდვისას, კერძოდ, ცხენების, ხარების, ცხვრებისა და სხვათა შეძენისას. იმის გასარკვევად, თუ რომელი მათგანია უფრო სასარგებლო და სად და როგორ შევიძინოთ ისინი, საჭიროა გამოცდილება იმისა, თუ რომელი მათგანია უფრო მომგებიანი გაცვლა-გამოცვლაში, რომელი საქონელი რომელ ადგილებში იშოვება, რადგან ისინი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ხარისხისა არიან.

შემდეგ, მიწათმოქმედებაში საჭიროა როგორც ხორბლის მოყვანის ცოდნა, ისე მეხილეობის, მეფუტკრეობის, ასევე ცხოველების, თევზების, ფრინველებისა და სხვა. საჭიროა ცოდნა იმისა, თუ რომელთაგან შეიძლება მეტი სარგებლობის მიღება. ესენი არიან ძირითადი ნაწილები სიმდიდრის დაგროვების ხელოვნებისა, მისი პირდაპირი მნიშვნელობით. გაცვლა-გამოცვლის ყველაზე ძირითადი ნაწილია ვაჭრობა, რომელსაც თავის მხრივ სამი ნაწილი აქვს; საზღვაო, სატრანზიტო და საცალო ვაჭრობა. ესენი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ერთნი ნაკლებ სახიფათონი არიან, მეორენი კი მეტად შემოსავლიანი. ქონების დაგროვების მეორე სახეა მევახშეობა, მესამე - დაქირავებული შრომა, რომელიც იყოფა ხელოსნებად და ფიზიკურ მომუშავეებად. ამ უკანასკნელთ ხელობა არ იციან. ქონების მოპოვების მესამე სახე მდებარეობს პირველსა და ამას შორის. მისი ერთი ნაწილია ქონების მოპოვება ბუნებრივი სახით, მეორე კი ვაჭრობით მოპოვება. ამათგან პირველს კავშირი აქვს მიწასთან და იმ მოვლენასთან, რომელთაც წარმოქმნის მიწა უნაყოფოდ, მაგრამ, რაც სასარგებლოა, მაგალითად, ხე-ტყის დამზადება და მადნეულის მოპოვება. ამას კი მრავალი სახე აქვს, რადგან წიაღისეული სიმდიდრის მრავალი ფორმა არსებობს. დასახელებული

საქმიანობებიდან ხელოვნებას ყველაზე მეტად ის საქმიანობა განეკუთვნება, რომელსაც შემთხვევა ნაკლებ ურევია. ხელოსნობაა ის საქმიანობა, სადაც ადამიანები იღებენ სხეულის დაზიანებას. მონურია ის შრომა, სადაც ძირითადად ფიზიკური შრომის გამოყენებაა საჭირო, ხოლო ყველაზე ნაკლებ კეთილშობილურია შრომა, სადაც ყველაზე ნაკლებ არის საჭირო ზნეობა.

ზოგადად უკვე ვთქვით ქონების მოპოვების თითოეული სახის შესახებ, თითოეულ მათგანზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა საქმისათვის სასარგებლოა, მაგრამ ის დამქანცველი იქნებოდა მით უმეტეს, რომ ამის შესახებ არსებობს შრომები ქარეტიდე პარიელისა, აპოლოდორე ლემნოსელისა, რომლებსაც აქვთ შრომები როგორც მიწათმოქმედების, ისე მებაღეობის შესახებ, ასევე ნაწარმოებები მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგის შესახებ. ვინც დაინტერესდება, აქედან მიიღებს მისთვის საჭირო ცნობებს.

კარგი იქნებოდა აგრეთვე აქა-იქ გაფანტული მონაყოლების შეგროვება იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა ზოგმა გამდიდრება. ყოველივე ეს, მაგალითად, თალეს მილეთელის[14] თვალსაზრისი სასარგებლო იქნებოდა იმათთვის, ვინც პატივს სცემს სიმდიდრეს. თალეს მილეთელი ფილოსოფიის გამოყენებით გამოთქვამს ზოგად მოსაზრებებს ამ საკითხის შესახებ. როგორც ამბობენ, მან ასტრონომიაზე დაყრდნობით იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ ზამთარში მომავალ წელს ზეთისხილის დიდი მოსავალი, მან თავისი ცოტაოდენი ფული მისცა ზეთის გამოსახდელების პატრონებს და იჯარით შეისყიდა მთელი ზეთისხილის სახდელები. როცა მოვიდა დრო ზეთისხილის შეგროვებისა, ყველას დასჭირდა ერთდროულად და სასწრაფოდ ზეთის სახდელები. მან მათ მოსთხოვა იმდენი თანხა გამოსასყიდათ, რამდენიც მოესურვებოდა. ამით

[14] თალესი მილეთელი - პირველი ბერძენი ფილოსოფოსი VII საუკუნეში ჩვ. წ.ა. მან დააარსა პირველი ფილოსოფიური სკოლა. ყოველივეს საწყისად თვლიდა წყალს, ამტკიცებდა, რომ ყოველივე სავსეა ღმერთებით. იწინასწარმეტყველა 585 წლის მზის დაბნელება. იგი იხსენიება „შვიდ ბრძენთა შორის”.

მან შეაგროვა დიდი ქონება და დაამტკიცა, რომ ფილოსოფოსებისათვის ადვილია გამდიდრება, თუ კი მოისურვებენ, მაგრამ ისინი ამაზე არა ზრუნავენ. როგორც გვაცნობებენ, თალესმა ასე დაამტკიცა თავისი სიბრძნე. როგორც ვთქვით, საერთოდ, შესაძლებელია გამდიდრება, თუ კაცი შესძლებს რაიმე საქმიანობაში მონოპოლიის მოპოვებას. ზოგი ქალაქიც მიმართავს ხოლმე ამ მეთოდს. როცა შემოაკლდებათ ქონება, ისინი მიმართავენ ხოლმე ვაჭრობაში მონოპოლიას. სიცილიაში ერთმა კაცმა ნასესხები ფულით შეისყიდა მთელი რკინა რკინის დამმუშავებელი საწყობებიდან და როდესაც სავაჭრო ცენტრებიდან მოვიდნენ ვაჭრები, რკინას მხოლოდ ის ყიდდა. თუმა მან არსებულ ფასებს ბევრი არ მოუმატა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შესძლო ორმოცდაათ ტალანტზე ასი ტალანტი მოეგო. ეს რომ გაიგო დიონისემ, ბრძანა, რომ ამ კაცს წაეღო თავისი ქონება, მაგრამ თვითონაც აღარ დარჩენილიყო სირაკუზაში, რადგან მან იპოვა ისეთი გზა, რაც არ იყო სასარგებლო დიონისეს საქმიანობისთვის. ეს შემთხვევა იგივეა, რაც თალესისა, რადგან ორივემ შესძლო მონოპოლიის მოპოვება. ამის ცოდნა სასარგებლო იქნება აგრეთვე პოლიტიკოსებისთვის. მრავალ სახელმწიფოს, ისევე როგორც ოჯახებს, სჭირდებათ ფული და ასეთი გზა ფულის მოპოვებისა. ამიტომაც ზოგი პოლიტიკოსი მოღვაწეობას ეწევა მხოლოდ ამ მიმართულებით.

თავი V

არსებობს ოჯახის ხელმძღვანელობის სამი ნაწილი; ერთია ბატონის ხელმძღვანელობა, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, მეორე - მამისა, მესამე - ქმრისა, ანუ ცოლისა და ბავშვების ხელმძღვანელობა. თუმცა ორივენი თავისუფალნი არიან, მაგრამ მათ ერთნაირად არ ხელმძღვანელობდნენ, ცოლს ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკური მეთოდებით, ბავშვებს - მეფურით. მამაკაცი უფრო მეტადაა მოწოდებული ხელმძღვანელობისათვის, ვიდრე ქალი, თუ რაიმე არ მოხდა ბუნების საწინააღმდეგო. ასევე უფროსი და სრულწლოვანი უნდა ხელმძღვანელობდეს ახალგაზრდასა და არასრულწლოვანს, პოლიტიკურ მმართველობაში კი მეტწილად წარმოებს ადგილმონაცვლეობა მმართველთა და ქვეშევრდომთა შორის, რადგან მათ სურთ მიაღწიონ ბუნებრივ თანასწორობას და მათ შორის არ ჰქონდეს ადგილი განსხვავებას. მაგრამ როდესაც ერთი ხელმძღვანელობს და მეორე ემორჩილება, საჭირო ხდება, რომ მათ შორის იყოს განსხვავება როგორც ფორმით, ისე სიტყვით და პატივისცემის თვალსაზრისით, ისევე, როგორც თქვა ამასისმა ფეხსაბანი თასის შესახებ[15].

მამაკაცი ქალს ხელმძღვანელობს ზემოთქმული მეთოდით, ხოლო ბავშვების ხელმძღვანელობა უფრო მეფის ხელმძღვანელობასა ჰგავს. მშობლები შვილებს ხელმძღვანელობენ სიყვარულის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ უფროსები არიან, რაც მეფური მმართველობის ფორმაა. მშვენივრად თქვა ჰომეროსმა, როცა ზევსს უწოდა ღმერთებისა და ადა-

---

[15] ამასისი - იგივე იახმოს II, ეგვიპტელების მეფე VI საუკ. ჩვ. წ.ა. წარმოშობით იყო დაბალი ფენებიდან, რის გამოც მას მოსახლეობა პატივს არ სცემდა. მაშინ მან თასიდან, რომელშიც ფეხს იბანდა, გამოაქანდაკა ღმერთი და ხალხმა ქანდაკებას თაყვანი სცა. მაშინ ამასისს უთქვამს, ღმერთის ქანდაკება არის ფეხსაბანი თასიდან გაკეთებული და თუ მას თაყვანსა სცემთ, მაშ მეც უნდა მცეთ პატივი, მიუხედავად ჩემი წარმოშობისაო. ამასისი სპარსელების აგრესიისაგან თავდასაცავად ცდილობდა ბერძენ მეფეებთან ახლო კავშირი ჰქონდა.

მიანების მამა[16]. ის გულისხმობდა, რომ ის ყველა ამათი მამა იყო. მართალია, მეფე იმავე წარმოშობისაა, რაც მისი ქვეშევრდომები, მაგრამ ის მათგან მაინც განსხვაებულია, როგორც უფროსი უმცროსისაგან და მშობელი შვილებისაგან.

ცხადია, რომ ოჯახის მეურნეობა უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს ადამიანებზე, ვიდრე ქონების დაგროვებაზე; ადამიანების ზნეობაზე უფრო მეტად, ვიდრე ქონებაზე, რასაც სიმდიდრეს ვუწოდებთ, და თავისუფლებზე უფრო მეტად, ვიდრე მონებზე.

მონის შესახებ, პირველ ყოვლისა, შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვა: აქვს თუ არა მონას მომსახურებისა და მუშაობის გარდა სხვა რამ უფრო საპატიო თვისება, მაგალითად, ზნეობა, სიმამაცე, სამართლიანობა და სხვა ამგვარი თვისებები, თუ მას სხვა არაფერი არ შეუძლია, ფიზიკური მუშაობის გარდა? მაგრამ ორივე პასუხს თან ახლავს სიძნელე. თუ მას ეს სათნოებები აქვს, რით გასხვავდება ის თავისუფლისაგან? თუ არა აქვს, მაშინ ეს უაზრობა იქნებოდა, ისინიც ხომ ადამიანები არიან და გონებაც აქეთ. დაახლოებით, იგივე საკითხია გასარკვევი ქალისა და ბავშის შესახებ. რომელია მათი სათნოება? ქალს უნდა ჰქონდეს თუ არა გონიერება, სიმამაცე, სამართლიანობა, და ბავშვი თავშეუკავებელია და გონიერი, თუ არა? საერთოდ კი გასარკვევია, როგორია ხელმძღვანელისა და ქვეშევრდომის ბუნება? მათ ერთნაირი ზნეობა აქვთ, თუ სხვადასხვა. თუ ორთავეს ერთნაირად ახასიათებთ სიკეთეცა და მშვენიერებაც[17]. რატომ უნდა იყოს ერთი მხარე მუდამ მმართველი, მეორე კი დაქვემდებარებული? ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან მეტ-ნაკლებობით, ხელმძღვანელობა და ქვეშევრდომობა ერთმანეთისგან განსხვავდება სახით და არა რაოდენობით. საკვირველი იქნებოდა, რომ ერთ მხარეს ჰქონდეს სათნოება, მეორეს კი არა. თუ მეთაური არაა გონიერი და სამართლიანი, როგორ შესძლებდა ის კარგად ხელმძღვანელობას? ქვე-

---

[16] ამასისის შესახებ იხ. ჰეროდოტე, II, 172. 16. „ილიადა”, IS44.

[17] კალოკაგათია - ნიშნავს ზნეობრივ სისუფთავეს, პატიოსნებას; წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვიდან: „კალოს” - მშვენიერი, „აგათო” - კეთილი.

შევრდომი კი, სათნოების გარეშე ვერ იქნებოდა სწორად წარმართული, რადგან ვინც უზნეოა და მხდალი, ვერაფერს მიზანმეწონილს ვერ გააკეთებს. ამრიგად, აუცილებელია, რომ ორივე მხარე ზნეობრივი იყოს, მაგრამ მათ ზნეობრიობაში არსებობს განსხვავება, ისევე როგორც განსხვავებულია ქვეშევრდომთა ხასიათები. ეს ცხადი გახდება სულის მაგალითზე. ბუნებრივადაც ადამიანთა ნაწილი ხელმძღვანელია, ნაწილი კი ქვეშევრდომი და მათ სათნოებაც განსხვავებული აქვთ, რადგან ერთი გონიერია, მეორე კი უგუნური.

ცხადია, ასეთივე მდგომარეობაა სხვა შემთხვევებშიც, ასე რომ, ბუნებრივად არსებობს მრავალი სახე ხელმძღვანელისა და ქვეშევრდომისა, რადგან სხვადასხვაგვარად ხელმძღვანელობენ თავისუფალი ადამიანები მონებს, ქმარი - ცოლს და მამა - შვილს. ამაში ყველას აქვს სულის ნაწილი, მაგრამ განსხვავებული. მონას სრულებით არა აქვს ნებისყოფა, ქალს აქვს, მაგრამ სუსტად განვითარებული, ბავშვს აქვს, მაგრამ არასრულყოფილ ფორმაში, ხელმძღვანელს კი გონიერება სრულყოფილი უნდა ჰქონდეს, რადგან ხელმძღვანელობის შედეგი ეკუთვნის ხელმძღვანელს, ხოლო ხელმძღვანელი არის გონება, დანარჩენ მოვლენებ'ში კი გონიერება შემთხვევით გვხვდება. იგივე უნდა ითქვას ზნეობრივი სათნოებების შესახებ, ის ყველას უნდა ჰქონდეს, მაგრამ არა ერთნაირად, არამედ ისე, როგორც ეს საჭიროა მათი საქმიანობისთვის. ამრიგად, ცხადია, რომ იგივე უნდა მივიღოთ ეთიკური სათნოების შესახებაც. ის ახასიათებს ყველა ადამიანს, მაგრამ არა ერთნაირად. მაგალითად, ერთნაირი არაა ქალისა და მამაკაცის სათნოება, არც სიმამაცე და სამართლიანობა ახასიათებთ მათ ერთნაირად, როგორც სოკრატე ფიქრობდა, არამედ არსებობს სიმამაცე მეთაურისა და ქვეშევრდომისა, ასევე სხვა სათნოებები. ეს უფრო ცხადი გახდება საკითხის დაწვრილებით განხილვისას. ისინი, რომლებიც ზოგადად მსჯელობენ, სცდებიან, როცა ამტკიცებენ, რომ სათნოება არის სწორი მოქმედება ან კარგი სულიერი განწყობა და სხვა ამდაგვარი, მაგრამ იმათთან შედარებით, რომლებიც სათნოებას განსაზღვრავდნენ, უფრო სწორად მსჯელობენ ისინი, რომ-

ლებიც, როგორც გორგია[18], ჩამოთვლიდნენ ხოლმე სათნოების სახეებს. ყველა სათნოების შესახებ იგივე უნდა ითქვას, რასაც პოეტი ამბობს ქალის შესახებ: „ქალის მშვენება არის სიჩუმე[19]“. იგულისხმება, რომ ყველას თავისებური სათნოება აქვს. ეს გამონათქვამი უდგება ყველა ქალს, მაგრამ არ უდგება არც ერთ მამაკაცს. რადგან ბავშვი არაა ზრდა დასრულებული, ამიტომ ცხადია, რომ მას არა აქვს სრულყოფილი სათნოება. ასეთი სათნოება აქვს მოზრდილსა და ხელმძღვანელს. იგივე ითქმის მონის სათნოებაზე ბატონთან მიმართებაში.

ჩვენ დავადგინეთ, რომ მონა სასარგებლოა ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ამიტომ, ცხადია, რომ მას სჭირდება ცოტაოდენი ზნეობაც, მაგრამ ისე, რომ მისი თავშეუკავებლობისა და სიზარმაცის გამო ხელს არ უშლიდეს საქმიანობაში. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ თუ ყოველივე ზემოთქმული ჭეშმარიტია, მაშინ ხელოსნებსაც უნდა ჰქონდეთ სათნოება, რადგან მათი გადაწყვეტილება ხშირად ზიანს აყენებს მათ საქმეს. იქნებ ისინი დიდად განსხვავდებიან მონებისაგან? მონა განუწყვეტელ ურთიერთობაშია ბატონთან, ხელოსანი კი დაშორებულია მას, ამიტომ ის იმდენად არის სათნო, რამდენადაც მონაა, ხელოსნის საქმიანობა მონობის რაღაც გარკვეული სახეა, მაგრამ მონა ასეთია თავისი ბუნებით, მეწაღე და სხვა ხელოსანი კი არა.

ცხადია, რომ მონამ სათნოებას შეიძლება მიაღწიოს ბატონის დახმარებით, მაგრამ არა ძალის გამოყენებით სწავლების დროს. ასე მსჯელობენ ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მონას კი არ უნდა ელაპარაკო, არამედ უნდა უბრძანო. მაგრამ დარიგება მონას უფრო სჭირდება, ვიდრე ბავშვს.

---

[18] გორგია - ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი, სოფისტი, ორატორი, წარმოშობით ქლეონტინიდან. მისი ორატორობით მოხიბლულმა ათენელებმა ის ათენში მიიწვიეს, სადაც ის დარჩა და ეწეოდა ორატორულ და ფილოსოფიურ მოღვაწეობას.

[19] სოფოკლე, „აიაქსი”, 293.

აი, ამ მეთოდით იქნა ჩვენს მიერ განსაზღვრული ეს საკითხები, ცოლისა და ქმრის, შვილისა და მამის და თითოეული მათგანის ზნეობის და მათი ურთიერთობის შესახებ. თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, როგორ უნდა მივსდიოთ კარგსა და გავურბოდეთ ცუდს, შევეხებით სახელმწიფოს საკითხების განხილვისას.

ყოველი ოჯახი სახელმწიფოს ნაწილია, ადამიანები კი ოჯახის ნაწილები არიან, ამიტომ მათი ზნეობა უნდა წარმოადგენდეს მთელი ოჯახის ზნეობის ნაწილს. ამას გარდა, აუცილებელია, რომ ქალებისა და ბავშვების აღზრდა წარიმართოს სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, მაგრამ რადგან განსხვავებულია სახელმწიფოს სახეები, ამიტომ განსხვავებული უნდა იყოს ბავშვებისა და ქალების სათნოებაც. ამის განხილვა კი აუცილებელია, რადგან ქალები შეადგენენ თავისუფალი მოქალაქეების ნახევარს, ბავშვები კი მომავალი სახელმწიფო მოღვაწენი არიან.

დავადგინეთ რა ნაწილი საკითხებისა, დანარჩენებზე კი სხვაგან გვექნება მსჯელობა, ამიტომ ჩვენი საუბარი ჩავთვალოთ დამთავრებულად და გადავიდეთ პირველ ყოვლისა, საუკეთესო სახელმწიფოებრივი წესწყობილების განხილვაზე იმისდა მიხედვით, რაც უკვე იყო თქმული სხვების მიერ, თანაც გამოვიყენოთ სრულიად ახალი საწყისი პრინციპი.

წიგნი მეორე

თავი I

ჩვენ გადავწყვიტეთ ვიკვლიოთ საუკეთესო სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს იმის საშუალებას, რომ იცხოვროს ისე, როგორც უნდა. მაგრამ საჭიროა აგრეთვე ვიკვლიოთ სხვა სახელმწიფოებრივი ფორმებიც, რომელთა გამოცდილებას იყენებენ ზოგიერთი მათდამი კეთილგანწყობილი სახელმწიფოები და აგრეთვე ის მმართველობებიც, რომელთა შესახებ ლაპარაკობენ მწერლები და რომლებიც მოჩანან დადებით სახელმწიფოებრივ ფორმებად, რათა ავითვისოთ ის, რაც მათში კარგია და სასარგებლო და აგრეთვე იმისთვის, რათა ვიკვლიოთ ამათგან განსხვავებული სახელმწიფოებრივი წყობილებანი. არა იმიტომ, რომ გვსურს ვჩანდეთ ყოვლად ბრძნად, არამედ იმიტომ, რომ არსებული სახელმწიფოებრივი წყობილებანი არ არიან დამაკმაყოფილებელი და ამან გვიკარნახა ჩვენი მეთოდის გამოყენება.

დავიწყოთ იქიდან, რაც ყველაზე მეტად შეჰფერის ასეთი ხასიათის კვლევას. აუცილებელია, რომ ყველა მოქალაქეს ან ყველაფერი საერთო ჰქონდეთ, ან არაფერი არ ჰქონდეთ საერთო, ან ნაწილი ჰქონდეთ საერთო, ნაწილი კი არა. შეუძლებელია, რომ ყველაფერი საერთო ჰქონდეთ, რადგან სახელმწიფო არის ერთგვარი ერთიანობა და პირველ ყოვლისა, ესაა ადგილის ერთიანობა და მოქალაქენი ამ ერთი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან. შემდეგ, თუ მოქალაქეებს სურთ, რომ საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობილება ჰქონდეთ, უკეთესია ყველაფერი საერთო ჰქონდეთ, თუ ზოგი რამ ჰქონდეთ საერთო და ზოგი რამ არა? იქნებ საჭირო იყოს მოქალაქეთა ბავშვების, ცოლების და ქონების გაერთიანება, როგორც ამას ადგილი აქვს პლატონის „სახელმწიფოში", სადაც სოკრატე ამბობს, რომ საერთო უნდა იყოს ბავშვებიც, ცოლებიცა და ქონებაც. მაშ, რა არის უკეთესი, ის, რაც ახლა გვაქვს ჩვენ, თუ რაც წერია „სახელმწიფოს" კანონებში?

ქონების გაერთიანების თეორიას მრავალი სიძნელე ახლავს თან, მაგრამ სოკრატეს მსჯელობიდან კი არ გამომდინარეობს დასკვნა იმის

შესახებ, თუ რა მიზეზით არის საჭირო ეს გაერთიანება. ის საბოლოო მიზანი, რომელიც სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, სოკრატეს მტკიცებით, განუხორციელებელია და თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მიზანი, ამაზე სოკრატე არაფერს ამბობს. თუმცა სოკრატე იზიარებს იმ ჰიპოთეზას, რომ საუკეთესო სახელმწიფო, რაც შეიძლება მეტად, ერთიანი უნდა იყოს. მაგრამ ცხადია, რომ თუ სახელმწიფო განუწყვეტლივ ვითარდება გაერთიანების მიმართულებით, აღარ იქნება სახელმწიფო, რადგან სახელმწიფო ერთგვარი სიმრავლეა თავისი არსებით. თუ ის გაერთიანდება, მაშინ სახელმწიფოს ნაცვლად მივიღებთ ერთ ოჯახს, ერთი ოჯახიდან - ერთ ადამიანს, სახლი კი უფრო მეტად არის ერთი, ვიდრე სახელმწიფო, ხოლო ადამიანი უფრო მეტად არის ერთი, ვიდრე ოჯახი. ის, ვინც შესძლებდა ამის განხორციელებას, ის სახელმწიფოს მოსპობდა, ამიტომ ეს არ უნდა დავუშვათ. სახელმწიფო შედგება არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი ადამიანებისაგან, არამედ განსხვავებული ადამიანებისაგანაც. და სახელმწიფოს ერთგვაროვანი ნაწილები არ ქმნიან.

სახელმწიფო და სამხედრო კავშირი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ სამხედრო კავშირში მნიშვნელობა აქვს რაოდენობას, თუნდაც ის ერთგვაროვანი შედგენილობისა იყოს, რადგან სამხედრო კავშირი იქმნება დახმარების მიზნით და იგი სასწორს მოგვაგონებს, სადაც ის მხარე გადასწონის, რომელიც უფრო მძიმეა. სახელმწიფო კი უნდა გაერთიანდეს, თუმცა ის შედგენილია სახეობრივად განსხვავებული ელემენტებისაგან. სახელმწიფო განსხვავდება აგრეთვე ტომობრივი გაერთიანებისაგან, რადგან მისი ნაწილები არ არიან ისე დაშორებული, როგორც სოფლები, არამედ ცხოვრობენ როგორც არკადიელები[20]. მაშასადამე, თანასწორი ურთიერთკავშირის პრინციპი იცავს სახელმწიფოს, როგორც ამის შესახებ ადრე უკვე ვთქვით „ეთიკებში". ეს პრინციპი აუცი-

[20] არკადია - მთაგორიანი ადგილი პელოპონესის შუაგულში; არკადიის მოსახლეობა ეწეოდა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. განთქმული იყვნენ სტუმართმოყვარეობით და ღვთისმოსაობით. მხატვრები ხშირად ხატავდნენ არკადიელ მწყემსებს, როგორც სუფთა, პატრიარქალური ზნეობის გამოხატულებას.

ლებლად უნდა მოქმედებდეს თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა შორის, რადგან ისინი ყველანი ყოველთვის ხომ ვერ იქნებიან სახელმწიფოს ხელმძღვანელები, არამედ თითოეული უნდა ხელმძღვანელობდეს ან ერთი წლით, ან სხვა წესით, ან დროის სხვადასხვა მონაკვეთით. ამ მეთოდით ყველანი მოხვდებიან სათავეში ისე, თითქოს ადგილს იცვლიდნენ მეწაღეები და მშენებლები და ყოველთვის ერთნი არ იყვნენ მეწაღეები და მეორენი მშენებლები. ეს უკეთესია და უმჯობესია სახელმწიფოებრივი გაერთიანებისთვის. თუმცა, ცხადია, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს მუდამ ერთნი და იგივენი მართავდნენ, თუ ეს შესაძლებელი იქნება, მაგრამ სადაც ამის განხორციელება შეუძლებელია, რადგან ბუნებით ყველანი თანასწორნი არიან და უფრო სამართლიანიც იქნებობა, რომ მმართველობაში, კარგია ის თუ ცუდი, ყველა მონაწილეობდეს. ეს ჰგავს იმ მდგომარეობას, როდესაც ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები თითქოს თანასწორნი და სულ სხვა ადამიანები ხდებიან, როცა რიგრიგობით ერთნი მართავენ, მეორენი კი ემორჩილებიან. ასევე თანამდებობაც უნდა ეკავოთ სხვადასხვა ადამიანებს და არა ერთსა და იმავეთ.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ არაა საჭირო სახელმწიფო იყოს ერთი მთლიანი და ის, რასაც ზოგი თვლის სახელმწიფოს უდიდეს სიკეთედ, სწორედ იმან შეიძლება მოსპოს სახელმწიფო. თუმცა სინამდვილეში ყოველ საგანს უნდა ჰქონდეს მისთვის დამახასიათებელი სიკეთე. სხვა გზითაც ხდება ცხადი, რომ სახელმწიფოსთვის არაა მომგებიანი ძალიან დიდი გაერთიანება. ოჯახი უფრო მეტად არის დამოუკიდებელი, ვიდრე ცალკეული ადამიანი, სახელმწიფო უფრო მეტად, ვიდრე ოჯახი და სახელმწიფო არსებობს მაშინ, როდესაც ის წარმოადგენს მასში გაერთიანებული ადამიანების დამოუკიდებელ ერთეულს. მაგრამ თუ სასურველია უფრო მეტი დამოუკიდებლობა, მაშინ სახელმწიფო ნაკლებ ერთიანი უნდა იყოს, მაგრამ თუ ეს არაა კარგი და უკეთესია, რომ სახელმწიფო ერთიანი იყოს, ამის დამტკიცება ლოგიკურად შეუძლებელია. ასეთ სახელმწიფოში ყველანი ერთდროულად ამბობენ „ეს ჩემია”, ან

„ეს ჩემი არ არის”, რაც სოკრატეს სახელმწიფოს სრული ერთიანობის ნიშნად მიაჩნდა, მაგრამ სიტყვას „ყველა” ორი აზრი აქვს: ერთი სოკრატეს რომ სურს, მეორე კი, როდესაც თითოეული იტყვის „ეს ჩემი შვილია”, „ეს ჩემი ცოლია”. ასევე შეუძლია სთქვას ქონებაზე და ყოველივე სხვაზე, მაგრამ, როდესაც საერთო მფლობელობაში ჰყავთ შვილებიცა და ცოლებიც, მაშინ ამბობენ, რომ „ეს ყველას საკუთრებაა” და არა რომელიმე ერთი ადამიანისა. აქ არც ქონება იქნება რომელიმე ერთი ადამიანის საკუთრება, არამედ ყველასი, მაგრამ რომ ამ გამოთქმაში „ყველანი” არის რაღაც შეუსაბამობა, ეს ცხადია. ასევე გამოთქმებს „ყველა”, „ორივე”, „წყვილი”, „ლუწი” ორი მნიშვნელობა აქვთ და კამათის დროს სოფისტურ დასკვნებსა ჰქმნიან. მაშ, თუ ყველა ამ სიტყვებს ერთი მნიშვნელობით იხმარს, ეს კარგია, მაგრამ განუხორციელებელია, რადგან მას ერთი მნიშვნელობა არა აქვს. ამას გარდა, სოკრატეს მსჯელობას აქვს სხვა მავნე მხარე: ის, რაც საერთო საკუთრებაშია, მასზე ნაკლებ ზრუნავენ ადამიანები, უფრო მეტად ზრუნავენ იმაზე, რაც მათ საკუთრებას წარმოადგენს. საერთო საკუთრებაზე კი ნაკლებ ზრუნავენ, ან ზრუნავენ იმდენად, რამდენადაც ეს ცალკეულ ადამიანს შეეხება. ადამიანები უყურადღებონი არიან იმის მიმართ, რაზეც ჰგონიათ, რომ სხვები ზრუნავენ, როგორც ბევრი მოსამსახურე ხშირად უფრო ცუდად ემსახურება ბატონს, ვიდრე ცოტა. მოქალაქეებს რომ ათასობით შვილები ყოლოდათ და ისინი ყოფილიყვნენ არა ერთი მამის შვილები, არამედ ნებისმიერისა, მაშინ ყველანი ინდიფერენტულნი იქნებოდნენ ამ შვილების მიმართ. გარდა ამისა, თითოეული იტყოდა რომელიმე მოქალაქეზე „ეს ჩემია”, იქნებოდა ის მდიდარი თუ ღარიბი და რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, და თანაც დაეჭვდებოდა, რადგან მისთვის გაურკვეველია, თუ ვინ დაბადა ეს ბავშვი და გადარჩა ის თუ არა. გარდა ამისა, როგორ უკეთესია, ვიხმაროთ გამოთქმა „ჩემი“, ისე როგორც ამას ვიტყოდით ორი ათას ან ათი ათას ადამიანზე, თუ როგორც ახლა ხმარობენ სახელმწიფოებში, ერთსა და იმავე ადამიანს ერთი უწოდებს „ჩემი“ თავის ვაჟს, მეორე - ძმას, მესამე - ბიძაშვილს ან რომელიმე სისხლით ნა-

თესავს ან არა სისხლით ნათესავს. მაგრამ განა უკეთესი არაა, იყო ნათესავი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვიდრე ამგვარი გზით იყო შვილი.

ძნელი იქნებოდა, გაჰქცეოდი იმას, რომ ვინმეს არ ჩაეთვალე ან ძმად, ან შვილად, ან მამად, ან დედად. ნათესაობის დამამტკიცებელი საბუთი გარეგანი მსგავსება იქნებოდა. ამას ამტკიცებენ ისინი, რომლებიც აღწერენ დედამიწის სხვადასხვა ნაწილებს. მაგალითად, ზემო ლიბიაში ყოფილა ზოგიერთი ტომი, რომლებსაც ცოლების ერთიანობა ჰქონიათ, მაგრამ ბავშვებს მაინც მსგავების საფუძველზე ანაწილებენ. ასევე ცხოველებიც შობენ ძალიან მსგავს შვილებს, მაგალითად, ცხენები და ძროხები, ასეთია, კერძოდ, ფარსალელი ფაშატი, რომელსაც მეტსახელად „სამართლიანი“ ეწოდება.

ამას გარდა, ეს გაერთიანება იწვევს ისეთ სიძნელეებს, რომელთა თავიდან აცილება ადვილი არაა. მაგალითად, განზრახულ თუ განუზრახველ სისატიკეს, მკვლელობას, ჩხუბსა და შეურაცხყოფას. ასეთ მოქმედებას არ ჩაიდენენ მამების, დედების, მახლობელი და შორეული ნათესავების მიმართ, ეს უფრო მაშინ ხდება, როდესაც არ იცი, თუ ვისთან გაქვს საქმე, ვიდრე მაშინ, როდესაც სცნობ მათ. როცა სცნობ, მაშინ შეიძლება ჩადენილი დანაშაულის მონანიება, ხოლო თუ არ იცნობ, ეს შეუძლებელია.

უაზრობაა აგრეთვე ის, რომ შვილების ერთიანობის შემოღებისას აკრძალულია სქესობრივი კავშირი, ხოლო სიყვარული კი დაშვებულია. დაშვებულია ისეთი კავშირები, რაც ყველაზე მეტად შეუწყნარებელია, მაგალითად, კავშირი მამასა და შვილს შორის, აგრეთვე ძმებს შორის, უაზრობაა აგრეთვე სქესობრივი კავშირის აკრძალვა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის დიდ სიამოვნებას იწვევს. როგორც ჩანს, ისინი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავენ იმაში, რომ საქმე ეხება კავშირს მამასა და შვილს, თუ ძმათა შორის. ვფიქრობთ, რომ ცოლებისა და შვილების გაერთიანება უფრო მიწათმოქმედთათვის არის საჭირო, ვიდრე მცველებისათვის. ცოლებისა და შვილების გაერთიანებისას ნაკლები იქნება მე-

გობრობა, რაც საჭიროა სახელმწიფოებრივი მმართველობისათვის, რათა ქვეშევრდომნი იყვნენ მორჩილნი და სიახლის მოძულენი. ქალებისა და ბავშვების გაერთიანება სოკრატეს სურდა კანონების გამოსწორების მიზნით, მაგრამ ამან საწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია.

ჩვენის აზრით, ქალაქების უდიდესი სიკეთე მეგობრობაში მდგომარეობს, რადგან ამ შემთხვევაში ნაკლებ ხდება აჯანყებები. სოკრატეც ყველაზე მეტად აქებს ასე გაერთიანებულ სახელმწიფოს. ასეთი სახელმწიფო კი იქმნება მეგობრობის შედეგად, როგორც არისტოფანეც ამბობს სიყვარულის შესახებ თავის სიტყვაში[21]. არისტოფანეს აზრით, მოყვარულთ ძლიერი სიყვარულის გამო სურთ შერწყმა და ორი არსებიდან ერთ არსებად ქცევა. ამიტომ იღუპება ან ორივე, ან ერთი მათგანი, მაგრამ სახელმწიფოში ეს ერთიანობა აუცილებლად წყალ-წყალა ერთიანობა იქნებოდა და იქ ნაკლებ იქნებოდა ხმარებაში გამოთქმები „ჩემი მამა“, ან „ჩემი შვილი“. როგორც მცირე სიტკბო გახსნილი დიდი რაოდენობის წყალში, სიტკბოს შეუგრძნობსა ხდის, ასევე ამ სახელმწიფოში ასეთივე ხდებიან ოჯახის წევრთა ურთიერთობანი, აქ ისინი მხოლოდ სიტყვიერად არსებობენ. აქ ნაკლებ იქნება აუცილებელი მამის ზრუნვა შვილზე, შვილისა მამაზე, და ძმებისა ძმებზე. ადამიანების ერთმანეთზე ზრუნვასა და სიყვარულს იწვევს ორი რამ: საკუთრება და პატივისცემა, მაგრამ არც ერთ ამას ადგილი არ ექნება ისეთ სახელმწიფოში, როცა მიწათმოქმედთა შვილებს გადაიყვანენ მცველთა რიგებში, ან პირიქით. ეს დიდ შფოთს გამოიწვევს. როგორ უნდა მოხდეს ეს? იმათ, რომლებიც გადასცემენ ან სცვლიან ბავშვებს, უნდა იცოდნენ, თუ ვის შვილებს ვის აძლევენ და ის, რაც ადრე იყო ნათქვამი: შეუბრალებლობა, უზნეობა და მკვლელობა ახლა უფრო მეტი იქნება. მცველებში სხვა კლასებიდან გადმოყვანილები მცველებს არ უწოდებენ ძმებს, მამებს, შვილებსა და დედებს. ასევე პირიქით, მცველებიდან სხვა კლასებში გადაყვანილი

[21] არისტოფანე - ცნობილი ბერძენი კომიკოსი პოეტი; ნაგულისხმევია მის მიერ წარმოთქმული სიტყვა სიყვარულის შესახებ ნადიმზე. იხ. პლატონის „ნადიმი”, 198c და ქვემოთ.

ბავშვები. ასე რომ, საჭიროა დიდი სიფრთხილე ამ მოქმედებებში ნათესაური კავშირების გამო.

აი, ის შედეგები, რაც ჩვენ მივიღეთ ამ მეთოდით ბავშვებისა და ცოლების გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით.

თავი II

ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ ქონების საკითხი. იმათ, რომლებსაც სურთ იმოღვაწონ ასეთ სახელმწიფოში, როგორი უნდა იყოს იქ ქონება: უნდა იყოს საერთო თუ არა? ამ საკითხის კვლევა შეიძლება ვაწარმოოთ ბავშვებისა და ქალების შესახებ გამოყენებული პრინციპისაგან დამოუკიდებლად. მე მხედველობაში მაქვს საკითხი იმის შესახებ, რომ ქონება უნდა ეკუთვნოდეს ცალ-ცალკე მოქალაქეებს, როგორც ამას აქვს ახლა ადგილი, თუ ის საერთო მფლობელობაში უნდა გადავიდეს? მაგალითად, მიწის ნაკვეთი უნდა კერძო საკუთრებაში იყოს, ხოლო მიწის ნაყოფი საერთო საკუთრებაში, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ ტომებში, თუ უკეთესია პირიქით, მიწაც საერთო იყოს და მიწის დამუშავებაც, ხოლო ნაყოფი განაწილებულ იქნას კერძო მოხმარებისათვის. როგორც ამბობენ, ბარბაროსები ასე ანაწილებენ საკუთრებას. და ბოლოს, იქნებ როგორც მიწის ნაკვეთი, ისე მისი ნაყოფი საერთო საკუთრებად იქცეს? თუ მიწის დამმუშავებლები სხვები იქნებოდნენ, ეს სულ სხვა ადვილი გზაა. მაგრამ რადგან მიწათმოქმედნი თვითვე შრომობენ, ამიტომ ქონების საკითხთან მრავალი სიძნელეა დაკავშირებული. რადგან შრომასა და დასვენებაში არ იქნება დაცული თანასწორობა, ამიტომ აუცილებელია საჩივრების წარმოშობა იმათ მიმართ, რომლებიც სიამოვნებაში ატარებენ დროს და მეტ საკვებს იღებენ მცირე შრომით, სხვები კი ბევრს შრომობენ და ცოტას იღებენ.

საერთოდ კი, ერთად ცხოვრება და ყოველივეს გაერთიანება, რაც კი ადამიანს ეკუთვნის, ძნელია, განსაკუთრებით ასეთ შემთხვევებში. ამის ნათლად დანახვა შეიძლება იმათში, რომლებიც ერთად მოგზაურობენ. მათ შორის დიდია ქონებრივი სხვაობა, ამიტომ ისინი ყოველ წვრილმანზე ჩხუბობენ, ჩვენ კი განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა გვაქვს იმათთან, რომელთაგან ვსარგებლობთ ყოველდღიური მომსახურებით. ქონების გაერთიანებასთან არის დაკავშირებული როგორც ეს, ისე სხვა მრავალი მსგავსი სიძნელე, მაგრამ გალამაზებული ჩვევებით და მოწეს-

რიგებული კარგი კანონებით, ახლა არსებული წესები არანაკლებ სარგებლობას მოგვიტანდა. ორივე გზით შეიძლება სარგებლობის მიღება. „ორივეში“ მე ვგულისხმობ როგორც საერთო, ისე კერძო საკუთრებას. ქონება საერთო უნდა იყოს მხოლოდ ნაწილობრივ, ძირითადად კი ის კერძო უნდა იყოს. როდესაც ზრუნვა ქონებაზე იქნება განაწილებული ცალკეულ ადამიანებზე, აღარ ექნება ადგილი ურთიერთ საჩივრებს. პირიქით, თითოეული უფრო თავის ქონებაზე იზრუნებს და მეტი შემოსავალიც ექნება, ხოლო სათნოებას, წარმოშობილს საკუთრების მოხმარებიდან, ამართლებს ანდაზა: „მეგობრებს ყველაფერი საერთო აქვთ[22]“. ეს ახლაც არის გატარებული ზოგიერთ სახელმწიფოში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამაში არაფერია შეუძლებელი. ის გვხვდება განსაკუთრებით კარგად მოწყობილ სახელმწიფოებში, რომელთაგან ზოგში ეს უკვე არსებობს, ზოგან კი ახლა ხორციელდება. თუ თითოეულს თავისი საკუთრება ექნება, ნაწილს მისცემს მეგობრებს, ნაწილს თვითონ გამოიყენებს, როგორც საკუთრებას. ასე ხდება ლაკედემონში, სადაც იყენებენ ერთმანეთის მიწებს, აგრეთვე ცხენებსა და ძაღლებს და მოსავალს, როცა გაუჭირდებათ. ამრიგად, ცხადია, რომ უკეთესია ქონება კერძო იყოს, ხოლო მისით სარგებლობა კი საერთო. თუ როგორ განხორციელდება ეს, ეს უკვე კანონმდებლობის პირადი საქმეა. გარდა ამისა, ძნელია იმის გადმოცემა, თუ რაოდენ სასიამოვნოა, როცა რაიმეს შენს საკუთრებად თვლი. თავის თავის სიყვარული ხომ ტყუილუბრალო გრძნობა არაა, ის ბუნებრივად არის თანდაყოლილი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის სამართლიანად არის გასაკიცხი, რადგან თავის თავის გადაჭარბებული სიყვარული არაა თავის თავის ნამდვილი სიყვარული. ასევე ყველას უყვარს ის, რაც მას ეკუთვნის, მაგრამ კიცხავენ მხოლოდ ხარბ ადამიანებს. თუმცა რაოდენ სასიამოვნოა ეხმარებოდე მეგობარს, სტუმარს, ამხანაგებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების არსებობის შემ-

[22] ეს გამონათქვამები მიეწერება პითაგორას. ისინი გამოყენებული აქვს აგრეთვე პლატონს. იხ. დიოგენე ლაერტელი, X, II. პლატონი, „სახელმწიფო”, წ. IV, 424.

თხვევაში, რასაც არ ექნება ადგილი იქ, სადაც ცდილობენ ყველაფერი გააერთიანონ. ისინი ცხადად სპობენ ორი სათნოების შედეგებს, როგორიცაა მორიდება ქალებთან ურთიერთობაში და გონიერება სხვისი ცოლებით გატაცებაში. ამას გარდა, ის სპობს უხვობასა და ხელგაშლილობას, რადგან სიუხვე არ გამოვლინდება მაშინ, როცა ადამიანი არაფერს არ სჩადის სიუხვის მაგვარს. სიუხვე თავს იჩენს მაშინ, როდესაც შეგიძლია ქონების დახარჯვა.

ეს კანონები შეიძლება მშვენიერად მოგეჩვენოს, როცა გაიგებ, რომ შეიძლება განხორციელდეს საკვირველი მეგობრობა ყველასი ყველას მიმართ, ეს გესიამოვნება განსაკუთრებით მაშინ, როცა ვინმე ლაპარაკობს იმ ბოროტებაზე, რაც ახლა ქალაქებში არსებობს იმის გამო, რომ ქონება არაა საერთო მფლობელობაში. მე ვგულისხმობ პროცესებს ერთმანეთის წინააღმდეგ ვალების გამო, ცრუმოწმეებს, აგრეთვე მლიქვნელობას მდიდრების საამებლად. მაგრამ ყოველივე ამას ადგილი აქვს არა იმიტომ, რომ ქონება არაა გაერთიანებული, არამედ მოქალაქეთა უზნეობის გამო. ჩვენ ვხედავთ, რომ ქონების გაერთიანებისას უფრო მეტ წინააღმდეგობებს აქვს ადგილი, ვიდრე კერძო საკუთრების არსებობისას. და როდესაც ვამბობთ, რომ საერთო საკუთრებისას ნაკლებია წინააღმდეგობა, ეს იმიტომ, რომ ამ წინააღმდეგობებს ჩვენ ვადარებთ კერძო საკუთრების მქონეთა დიდ რაოდენობას. სამართლიანობა კი მოითხოვს ითქვას არა მხოლოდ ის, რომ გაერთიანების დროს ჰქრება ბოროტება, არამედ ისიც, რომ სიკეთე ჰქრება და როგორც ჩანს, ამიტომ სიცოცხლე სრულიად შეუძლებელი ხდება.

სოკრატეს შეცდომის მიზეზი იყო ის, რომ არ იყო სწორი მისი ამოსავალი დებულება. როგორღაც დასაშვებია სახელმწიფოს, აგრეთვე ოჯახის გაერთიანება, მაგრამ არა აბსოლუტურად. რადგან თუ ასე გაგრძელდა სახელმწიფოს გაერთიანება, შეიძლება მოხდეს ის, რომ სახელმწიფო მოისპოს, რადგან ცუდი სახელმწიფო უახლოვდება არარსებულ სახელმწიფოს. ეს იმას ჰგავს, რომ ვინმემ სიმფონია დაიყვანოს ერთნაირ ბგერებზე, რიტმი კი ერთადერთ ტაქტზე. როგორც ადრეცა ვთქვი, საჭი-

როა სიმრავლე არსებობდეს, მაგრამ ის გაერთიანდეს და ერთად იქცეს აღზრდის საშუალებით. მაგრამ ვისაც სურს სახელმწიფოს გაუმჯობესება სოკრატეს მეთოდით, ის არ იქნება სწორი, რადგან სახელმწიფოს გაუმჯობესება შეიძლება ზნეობით, ფილოსოფიით, კანონებით, როგორც მოიქცნენ ლაკედემონში და კრეტაში, სადაც კანონმდებელმა სისიტიების[23] გაერთიანება მოახდინა. არ შეიძლება იმის არცოდნა, რომ გავიდა დიდი დრო და მრავალი წელი, ამიტომ შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო, რომ ასეთი წყობილება კარგია. ბევრი რამ იქნა აღმოჩენილი, აქედან ზოგი რამ გამოდგა, ზოგი კი არ იქნა გამოყენებული, თუმცა ცნობილი იყო. ეს უფრო ცხადი გახდებოდა, თუ ვინმე ამ სახელმწიფოს სინამდვილედ აქცევდა, მაგრამ ის ვერ შესძლებდა ამ სახელმწიფოს შექმნას ისე, თუ არ გამოყოფდა და არ გამოაცალკევებდა მასში სისიტიებს, ფრატრიებსა და ფილებს[24]. ასე რომ, ახალი კანონებიდან არაფერი არ დარჩებოდა იმის გარდა, რომ მცველები მიწის მუშაობას არ უნდა ეწეოდნენ, რის გატარებასაც ახლა ცდილობენ ლაკედემონელები.

იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელმწიფოს გაერთიანება, სოკრატემ არაფერი თქვა და არც ადვილი იყო ამის თქმა. სახელმწიფოში მოსახლეობის სიმრავლეს ჰქმნიან აგრეთვე უცხოელი მოქალაქენი, მაგრამ სოკრატეს მათ შესახებ არაფერი უთქვამს. არ უთქვამს არც იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედთ საერთო საკუთრება უნდა ჰქონდეთ, თუ ყველას თავისი? თუ ყველას ყველაფერი საერთო ექნება, მაშინ რიღათი იქნებიან მიწათმოქმედნი მცველებისაგან განსხვავებულნი, ანდა როგორ დაემორჩილებიან ისინი მცველების ხელმძღვანელობას, როცა ისინი უფრო ბევრნი არიან; თუ ისინი რაიმე ისეთს არ მოიაზრებენ, რაც მოიაზრეს კრეტელებმა, რომლებმაც მონებს ყველა უფლებები მისცეს, გარდა გიმნაზიაში სიარულისა და იარაღის ტარებისა, მაგრამ თუ მათ

[23] სისიტიები - საერთო, საზოგადოებრივი სასადილოები ძველ რომსა და საბერძნეთში.

[24] ფრატრია - ძმობა, ფილია - მეგობრობა, სიტყვიდან „ფილოს” - მეგობარი. ფილია აწარმოებდა დაოჯახების ორგანიზაციას.

ისეთივე წეს-წყობილება ექნებათ, როგორიც სხვა სახელმწიფოებს, მაშინ რა თავისებურება ექნება მათ გაერთიანებას? ერთ სახელმწიფოში წარმოიშობა აუცილებლად წინააღმდეგობაში მყოფი ორი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოში მცველები იქცევიან გარნიზონად, ხოლო მიწათმოქმედნი და ხელოსნები კი მოქალაქეებად. საჩივრები, სასამართლოები და სხვა ბოროტება, რაც არსებობს სახელმწიფოებში, ამ სახელმწიფოშიც იარსებებს. სოკრატეს აზრით, განათლებისათვის არ იქნება საჭირო ბევრი კანონების შემოღება ბაზრისა და ქალაქის მცველებისათვის, რადგან მათ საჭირო ცოდნა გააჩნიათ, განათლება სჭირდებათ მხოლოდ მცველებს. გარდა ამისა, სოკრატე ადიდებს მიწათმოქმედთა ქონებას, მაგრამ ავალებს მათ გადასახადების შეტანას. ამით ისინი გახდებიან თავხედნი და ამაყნი უფრო მეტად, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში ილოტები, პენეტები და მონები[25]. არაა გარკვეული ყოველივე ეს აუცილებელია, თუ არა? ასევე სოკრატეს არაფერი არა აქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ იქნება მოწყობილი ეს სახელმწიფო, როგორი იქნება მასში განათლება და კანონები? მაგრამ ამის გარკვევა ადვილი არაა, არც იმის დადგენაა უმნიშვნელო, თუ როგორ უნდა შეინარჩუნონ მცველებმა კავშირი. თუ მიწათმოქმედთ ცოლები საერთო ეყოლებათ, ხოლო ქონება საკუთარი, მაშინ სახლზე ვინ იზრუნებს, როცა მამაკაცები მიწაზე სამუშაოდ გავლენ? ხოლო თუ მიწათმოქმედთ საერთო ექნებათ ქონებაცა და ცოლებიც, მაშინ ახალი სიძნელეები წამოიჭრება.

უაზრობაა აგრეთვე ცხოველების მიბაძვა და ქალებისათვის მამაკაცთა საქმიანობის დავალება, რადგან ცხოველებს სახლის საქმისა არაფერი გაეგებათ რა. სახიფათოა აგრეთვე სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დაყენების სოკრატესეული გზა. ის მოითხოვდა, რომ ხელისუფლე-

[25] ილოტები - სპარტანელი მიწათმოქმედნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ რომელიმე სპარტიატს. ისინი მიმაგრებული იყვნენ სპარტიატის მიწის რომელიმე ნაკვეთზე. მიწით სარგებლობისათვის ბატონს უხდიდნენ შემოსავლის ნახევარს. მონებისაგან განსხვავებით, მათ ჰქონდათ საწარმოო საშუალებანი, მაგრამ სრულიად უუფლებონი იყვნენ, რის გამოც ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს.

ბის სათავეში ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანები ყოფილიყვნენ. მაგრამ ეს გახდებოდა მიზეზი წინააღმდეგობისა როგორც იმათ მხრივ, რომლებსაც სახელმწიფოს მართვის არავითარი მოწოდება არა აქვთ, აგრეთვე იმათ მხრივ, რომლებიც მეომარნი და ვნებიანნი არიან. სოკრატე ამბობდა, რომ სათავეში აუცილებელია იყვნენ ერთი და იგივე ადამიანები, რადგან სულში ოქროს ნარევი ხან ერთსა და ხან მეორეს კი არა აქვთ, არამედ ერთსა და იმავე ადამიანებს. მისი აზრით, დაბადებითვე ღმერთი ზოგ მცველს ურევს ოქროს, ზოგს ვერცხლს, ხელოსნებსა და მიწათმოქმედთ კი სპილენძსა და რკინას. ართმევს რა მცველებს ბედნიერებას, სამაგიეროდ კანონმდებელმა უნდა მიანიჭოს ბედნიერება მთელ სახელმწიფოს. მაგრამ მთელი სახელმწიფოს ბედნიერება შეუძლებელია, თუ არაა ბედნიერი ან უმრავლესობა, ან თუ ყველა ნაწილი არა, ზოგიერთი მაინც. ბედნიერება ხომ იმავე კატეგორიას არ განეკუთვნება, რასაც ლუწი რიცხვი. რიცხვში შესაძლებელია, რომ მთელს ახასიათებდეს ის, რაც არ ახასიათებს ნაწილებს, მაგრამ სახელმწიფოში ეს შეუძლებელია. თუ მცველები არ იქნებიან ბედნიერი, მაშინ სხვა როგორღა იქნება ბედნიერი, მაგალითად, მიწათმოქმედნი, ან ფიზიკური მუშები?

სახელმწიფოს, რომელზეც ლაპარაკობდა სოკრატე, თან ახლავს როგორც ეს სიძნელეები, ისე სხვა ამაზე არა ნაკლები.

თავი III

დაახლოებით იგივეა ნათქვამი ნაშრომში „კანონების შესახებ“, რაც დაწერილია მოგვიანებით. ამიტომ კარგი იქნებოდა მოკლედ განგვეხილა, რაც იქ არის ნათქვამი სახელმწიფოს შესახებ.

„სახელმწიფოში“ სოკრატე ძალიან ცოტას ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ცოლების, ბავშვების და ქონების გაერთიანება, აგრეთვე სახელმწიფო წეს- წყობილების შესახებ. სოკრატე მთელ მოსახლეობას ყოფდა ორ ნაწილად: მიწათმოქმედებად და მეომრებად. მესამე ნაწილს ის მეომრებიდან გამოყოფდა. ისინი ბჭობდნენ და სახელმწიფოს ხელმძღვანელობდნენ. სოკრატეს არაფერი არა აქვს ნათქვამი იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედნი და ხელოსნები სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობენ, თუ მონაწილეობენ მხოლოდ ნაწილობრივ, არც იმაზე ამბობს არაფერს, რომ მათ ჰქონდათ თუ არა იარაღის ტარების და სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის უფლება. ქალების შესახებ კი ამბობდა, რომ ისინი უნდა მონაწილეობდნენ სახელმწიფოს დაცვაში და ისეთსავე აღზრდას უნდა იღებდნენ, როგორც მეომრები[26]. დანარჩენი მისი მსჯელობა შევსებულია გარეშე საკითხებით, აგრეთვე მოსაზრებებით როგორც საერთოდ აღზრდის, ისე მცველთა აღზრდის შესახებ.

„კანონებში“ მსჯელობის დიდი ნაწილი ეხება კანონებს, ნაკლებია მსჯელობა სახელმწიფოზე. მართალია, მას სურს, რომ შეეხოს ყველა სახელმწიფოს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ახალ სახელმწიფოებრივ სისტემას უბრუნდება. ცოლებისა და ქონების გაერთიანების გარდა, სოკრატე ორთავე სახელმწიფოსთვის საჭიროდ თვლის დანარჩენ თვისებებს: აღზრდის ერთიანობას, აგრეთვე ცხოვრების წესს, გარდა ყოველდღიური აუცილებელი საქმიანობისა, აგრეთვე სისიტიებს, ოღონდ ახალ სახელმწიფოში საჭიროდ თვლის ქალთა სისიტიებს. იარაღის მა-

[26] ამის შესახებ იხ. პლატონი, „სახელმწიფო”, 451c-452a.

ტარებელთა რიცხვს ის განსაზღვრავდა ათასით, ახალ სახელმწიფოში კი ხუთი ათასით[27].

სოკრატეს მსჯელობაში ბევრია მახვილგონიერება, სიახლე და კვლევის მეთოდი, მაგრამ ძნელია ყოველივე ამის მოწონება. არ უნდა დაიმალოს ის, რომ ხალხის ზემოთქმულ სიმრავლეს დასჭირდება ან ბაბილონის სიდიდის ან საერთოდ, უსაზღვროდ დიდი მოცულობის ტერიტორია, რომელიც გამოკვებავდა ხუთი ათას უსაქმურს, ამას გარდა, ქალებისა და მოსამსახურეთა დიდ მასას. მართალია, შეიძლება საკუთარი შეხედულებების გამოთქმა, მაგრამ მასში არაფერი შეუძლებელი არ უნდა იყოს.

ნათქვამია აგრეთვე, რომ კანონმდებელმა კანონების შემოღებისას ორი რამ უნდა გაითვალისწინოს: ტერიტორია და ადამიანები[28]. კარგი იქნებოდა აგრეთვე მეზობელთა მიწების გათვალისწინება, თუ სახელმწიფოს სურს განავითაროს პოლიტიკური ურთიერთობა. სახელმწიფო კი შეიარაღებულ ძალებს იყენებს არა მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის დასაცავად, არამედ გარეშე ტერიტორიაზე სამოქმედოდაც. მიუხედავად იმისა, იზიარებ თუ არა პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ წესს, საჭიროა მტრებისათვის საშიში იყო არა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი შემოიჭრნენ შენს ტერიტორიაზე, არამედ მაშინაც, როცა დატოვეს ის.

საჭირო იყო აგრეთვე სოკრატეს ყურადღება მიექცია ქონების მოცულობისათვის, იქნება უკეთესი ყოფილიყო მისი უფრო ნათელი განსაზღვრა. ის ამბობს, რომ იმდენი უნდა გქონდეს, რომ გონივრულად იცხოვრო. ეს შეიძლება ვინმეს ასე გამოეთქვა: „რომ კარგად იცხოვრო“. მაგრამ სოკრატეს განსაზღვრება ზოგადია, რადგან შეიძლება გონივრული ცხოვრება ტანჯვით ცხოვრებას ნიშნავდეს. ამიტომ უკეთესი იქნებოდა ასეთი განსაზღვრება: „გონივრულად და ხელგაშლილად”, რადგან ცალკე ერთი მათგანი ნიშნავს ფუფუნებით ცხოვრებას, მეორე კი ცხოვრებას

[27] იხ. პლატონის „კანონები”, 734d,e, 740c, 745a.
[28] იქვე, 625c, 704, 847c-e.

ტანჯვით. ეს ის თვისებებია, რაც მხოლოდ ქონების გამოყენებას ეხება, მაგრამ ქონების გამოყენება არ შეიძლება მშვიდად ან მამაცურად, ხოლო გონივრულად და ხელგაშლილად კი შეიძლება. მაშასადამე, ქონების შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნას ასეთი გამოთქმები.

უაზრობაა აგრეთვე ქონების გათანასწორება ისე, რომ არ გაითვალისწინო მოსახლეობის რაოდენობა, არამედ დაუშვა შობადობის განუხრელი ზრდა, როგორც მოსახლეობის რაოდენობის უცვლელად დატოვების საშუალება უშვილოების გათვალისწინებით, რასაც დღესაც აქვს ადგილი სახელმწიფოებში. ამჟამად გაჭირვებული არავინ არ არის, რადგან ქონება მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად იყოფა. მაგრამ ახალ სახელმწიფოში, სადაც არ ხდება ქონების გაყოფა, მოსახლეობის ნამატს, იქნება ის ცოტა თუ ბევრი, არ ექნება არავითარი ქონება.

შეიძლება ვინმეს ერჩია ბავშვების შობადობის შეზღუდვა და არა ქონებისა, რათა დაბადებულნი არ სჭარბობდნენ ქონების ოდენობას. ამის განსაზღვრა შესაძლებელია ყოველგვარი შემთხვევითობის გათვალისწინებით, მაგალითად, ახალშობილთა სიკვდილიანობისა და უშვილოებისა. ამის გაუთვალისწინებლობა, რასაც ადგილი აქვს სახელმწიფოთა უმრავლესობაში, აუცილებლად მოქალაქეთა გაღატაკების მიზეზი გახდება. გაღატაკება კი იწვევს აჯანყებებს და ბოროტმოქმედებას.

კორინთელი ფედონი, რომელიც ერთ-ერთი ძველთაძველი კანონმდებელი იყო, ფიქრობდა, რომ ოჯახებისა და მოქალაქეების რაოდენობა უცვლელი უნდა დარჩენილიყო, ასევე ოჯახის უფროსების რაოდენობა. ქონება კი ყველას თავდაპირველად არათანაბარი უნდა ჰქონოდათ.

„კანონებში“ კი ამის საწინააღმდეგოა ნათქვამი. მაგრამ თუ რა არის უკეთესი, ამის შესახებ ჩვენს მოსაზრებებს ქვემოთ ვიტყვით.

„კანონებში“ გამოტოვებულია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ ხელმძღვანელები როგორ უნდა განსხვავდებოდნენ ქვეშევრდომთაგან. როგორც საქსოვი ქსელი სხვა მატყლისაგან არის დამზადებული, ვიდრე ძაფი, ასევე განსხვადებიან ხელმძღვანელები ქვეშევრდომებისაგან. სოკრატე დასაშვებად თვლის ყოველი ქონების ხუთჯერ მატებას, მაგ-

რამ რატომ არ უდებს საზღვარს მიწის საკუთრებას? ანაწილებს რა მიწის ნაკვეთებს, რომელზეც შენობებია, ეს საზიანო იქნება მეურნეობისათვის. ის უნაწილებს თითოეულ მოქალაქეს ორ-ორ ნაკვეთს, რომლებიც ცალ-ცალკე მდებარეობენ, მაგრამ მოქალაქეს გაუჭირდება ორ სახლში ცხოვრება.

რაც შეეხება სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას, სოკრატეს არ სურს არც დემოკრატიული, არც ოლიგარქიული სახელმწიფო, არამედ მათი შუალედი, რომელსაც ის პოლიტიას უწოდებს და რომელიც შედგება შეიარაღებული მოქალაქეებისაგან. თუ მისი სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებისაგან უფრო ერთიანობით განსხვავდება, მაშინ მისი მსჯელობა სწორია, მაგრამ თუ ის უკეთესია, ვიდრე პირველი კონსტიტუციური სახელმწიფო, მაშინ მისი მსჯელობა სწორი არ არის.

ზოგი ამბობს, რომ ყველას სჯობს ის სახელმწიფო, რომელიც ნარევია ყველა სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ამიტომ აქებენ ლაკონელების სახელმწიფოს, რომელიც შედგება ოლიგარქიისაგან, მონარქიისა და დემოკრატიისაგან. ისინი ბაზილეიას უწოდებენ მონარქიას, გერონტების მმართველობას - ოლიქარგიას, დემოკრატიას კი ეფორების[29] ხელისუფლებას, რადგან ეფორებს ხალხისგან ირჩევენ. ზოგი კი ეფორიას ტირანიად თვლის. დემოკრატიულად კი მიიჩნევენ სისიტიებს და ყოველდღიური ცხოვრების მოწესრიგების სხვა ფორმებს. „კანონებში“ კი ნათქვამია, რომ საუკეთესო სახელმწიფოებრივი სისტემა უნდა შედგებოდეს დემოკრატიისა და ტირანიისაგან, რომელთაც ზოგი სულაც არ

[29] ეფორია - ეფორების ხელისუფლება. ეფორი ნიშნავს მმართველს, ხელმძღვანელს. ეფორებს ირჩევდნენ ყოველწლიურად ხუთი კაცის შემადგენლობით. ისინი განაგებდნენ ფინანსურ საქმეებს, ნიშნავდნენ ჯარის ხელმძღვანელს, ახორციელებდნენ ზედამხედველობას თანამდებობის პირებზე, მეფეზე, მოქალაქეებზე, ილოტებსა და პერიეკებზე.

გერუსია - უხუცესთა საბჭო; წარმოსდგება სიტყვიდან „გერონ” - მოხუცი. გერუსია შედგებოდა 30 კაცისაგან. იგი განიხილავდა სახელმწიფოს მნიშვნელოვან საკითხებს. გერუსია შედგებოდა 60 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეთაგან.

თვლის სახელმწიფოდ, ანდა თვლის ყველაზე უარესად. უფრო სწორნი არიან ისინი, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმების შერევას, რადგან უმჯობესად მიაჩნიათ მრავალი სახელმწიფოს ნარევი. სოკრატეს სახელმწიფო კი არ შეიცავს არაფერს მონარქიულს, არამედ ოლიგარქიულსა და დემოკრატიულს, მაგრამ უფრო ოლიგარქიულისაკენ იხრება. ეს ცხადად ჩანს არქონტების დანიშვნის წესიდან. მათ ნიშნავენ კენჭისყრით წინასწარ შერჩეულ მოქალაქეთაგან, რაც საერთოა ორივე ფორმისათვის. მასში მდიდრებს ევალებათ საერთო კრებებზე დასწრება, ხელმძღვანელების შერჩევა და სხვა პოლიტიკური ფუნქციების შესრულება. დანარჩენი მოსახლეობა კი არ იღებს ამაში მონაწილეობას. ეს მას ოლიგარქიასთან აახლოვებს. ხელმძღვანელების უმრავლესობას მდიდრებისაგან ნიშნავენ. ასევე ყველაზე მაღალ თანამდებობაზე ნიშნავენ ყველაზე მდიდრებს. ოლიგარქიად აქცევს მას აგრეთვე საბჭოს არჩევა: არჩევნებში მონაწილეობს ყველა. ჯერ ირჩევენ ყველაზე მდიდარ მოქალაქეებს, ამავე რაოდენობის თანამდებობის პირებს ირჩევენ მეორე კლასიდან, შემდეგ - მესამედან, მაგრამ არაა აუცილებელი მესამე და მეოთხე კლასიდან ყველას არჩევა, ხოლო მეოთხე კლასის არჩევნებში აუცილებელია პირველი და მეორე კლასის მონაწილეობა. შემდეგ, ყველა კლასის წარმომადგენელთა თანაბარი რიცხვი უნდა იქნას დანიშნული ხელმძღვანელობის შემადგენლობაში. თანამდებობის პირთა უმრავლესობა მდიდარი კლასიდან იქნებიან შერჩეულნი, ხოლო მოსახლეობის ზოგიერთი საუკეთესო წარმომადგენელი არ იქნება არჩეული, რადგან მათ არ ევალებათ არჩევნებში მონაწილეობა. რომ ეს სახელმწიფო არაა შედგენილი დემოკრატიისა და მონარქიისაგან, ეს ცხადია. ამის შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ მაშინ, როცა შევუდგებით სახელმწიფოს საუკეთესო ფორმის განხილვას. საშიშროება არსებობს აგრეთვე ისეთ არჩევნებში, როდესაც ხდება წინასწარ შერჩეულ პირთა დანიშვნა. თუ მოხდა წინასწარი შეთანხმება, თუნდაც ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ, არჩევნები ყოველთვის ამ შეთანხმების მიხედვით წარიმართება.

ამრიგად, ასეთი სახე აქვს სახელმწიფოს წყობას, აღწერილს „კანონებში”.

თავი IV

არსებობენ აგრეთვე სხვაგვარი სახელმწიფოებრივი წყობის პროექტები, ზოგი შედგენილი კერძო პირებისაგან, ზოგი ფილოსოფოსებისაგან, ზოგიც პოლიტიკოსებისგან. ყველა ესენი არსებულ და დღეს მოქმედ პოლიტიკურ წყობასთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ზემოხსენებულ ორთან. არც ერთ მათგანს არ შემოჰქონდა სიახლე ბავშვთა და ქალთა გაერთიანების სახით, ან სისიტიების შემოღების სახით, არამედ ისინი უფრო ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებებიდან ამოდიოდნენ. ზოგი ფიქრობდა, რომ საჭიროა ქონებრივი ურთიერთობის უკეთ მოწესრიგება, რადგან ყველა აχანყება ქონების გამო ხდება. ამიტომ თალეს ქალკედონელმა პირველმა აუცილებლად ჩათვალა მოქალაქეების ქონების გათანაბრება. იგი ფიქრობდა, რომ ამის გაკეთება არაა ძნელი სახელმწიფოში, რომელიც ჩამოყალიბებას იწყებს, გაძნელდება უკვე ჩამოყალიბებულში, მაგრამ იქაც საჭიროა ქონების სასწრაფოდ გათანაბრება შემდეგნაირად: მდიდრებმა უნდა გასცენ მზითევი და არ უნდა მიიღონ, ღარიბებმა კი უნდა მიიღონ, მაგრამ არ უნდა გასცენ. პლატონი, როდესაც „კანონებს" წერდა, უშვებდა ქონებაში ერთგვარ უთანასწორობას, ფიქრობდა, რომ არც ერთ მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს ისეთი ქონება, რომელიც ხუთზე მეტად გადააჭარბებდა ყველაზე ღარიბის ქონებას, როგორც ადრეცა ვთქვით. იმათ, რომლებიც ასეთ კანონებს ადგენენ, აღარ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან, რაც მათ უკვე გამორჩათ, რომ როცა განსაზღვრავდნენ ქონების ოდენობას, უნდა დაედგინათ აგრეთვე ბავშვების რაოდენობა. რადგან როდესაც შვილების რიცხვი სჭარბობს ქონებას, მაშინ კანონი კარგავს ძალას. და ესეც რომ არ იყოს, მდგომარეობა მაინც მძიმე ხდება, როდესაც ბევრი მდიდარი მოქალაქე გაღატაკდება.

საზოგადოებრივ ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ქონების გათანაბრებას, რაც, ეტყობა, უკვე იცოდნენ წინამორბედებმა. მაგალითად, სოლონმა შემოიღო კანონი, რაც სხვებსაც აქვთ და რომელიც კრძა-

ლავდა იმდენი ქონების შეძენას, ვისაც რამდენი უნდოდა. კანონები კრძალავდნენ აგრეთვე ქონების გაყიდვას, თუ არ იქნა დამტკიცებული, რომ რაიმე უბედური შემთხვევა მოხდა. არსებობს აგრეთვე კანონი, რომელიც იცავს ძველისძველ მიწის ნაკვეთებს. ამ კანონების უარყოფამ ლაკედემონში გამოიწვია დემოკრატიული წეს-წყობილება, რადგან შესაძლებელი გახდა დიდი ქონების გარეშეც სახელმწიფოს სათავეში მოხვედრა. შეიძლება აგრეთვე მოხდეს ქონების გათანასწორება, ანდა ქონება შეიძლება იყოს ძალიან დიდი და მაშინ ადამიანები ფუფუნებაში იცხოვრებენ, ანდა იყოს ძალიან მცირე, მაშინ ადამიანები გაღატაკდებიან. აქედან ცხადია, რომ არაა საკმარისი კანონმდებელის მიერ ქონების გათანასწორება, არამედ მისი მიზანი უნდა იყოს უფრო საშუალო ქონების მიღწევა. მაგრამ კიდეც რომ მოახერხოს ვინმემ ქონების გათანასწორება და საშუალოზე დაყვანა, ეს არანაირად არ იქნება სასარგებლო, რადგან უფრო მეტად საჭიროა ადამიანთა სურვილების გათანაბრება, ვიდრე ქონებისა. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს კანონების საშუალებით ადამიანების აღზრდის შემთხვევაში. თალესი ალბათ იტყოდა, რომ ისიც ეთანხმება ამას. ის ფიქრობდა, რომ სახელმწიფოში საჭიროა არსებობდეს თანასწორობა ორ რამეში: ქონებასა და ბავშვების აღზრდაში.

საჭიროა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს აღზრდა, რადგან არ კმარა იმის თქმა, რომ ის ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს, რადგან აღზრდა მართლაც შეიძლება იყოს ერთნაირი, მაგრამ ადამიანებში მაინც იყოს ძლიერი სწრაფვა ქონების მოხვეჭისა და პატივმოყვარეობისაკენ, ანდა ორივესაკენ. გარდა ამისა, აჯანყებას იწვევს არა მხოლოდ ქონებრივი უთანასწორობა, არამედ უთანასწორობა პატივისცემაში. მოტივი აჯანყებისა კი შეიძლება იყოს ერთმანეთის საწინააღმდეგო. მასა აჯანყებას იწყებს ქონებრივი უთანასწორობის გამო, ხოლო მაღალი კლასების წარმომადგენელნი პატივისცემაში გათანასწორების გა-

მო, ამიტომაცაა ნათქვამი: „ერთნაირი პატივისცემა ხვდათ წილად მხდალსა და მამაცს”[30].

ადამიანები უსამართლობას სჩადიან არა მხოლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, რის თავიდან აცილება შეიძლება ქონების გათანაბრებით, რათა არ ქურდობდნენ სიცივისა და შიმშილის გამო, არამედ იმიტომაც, რათა ცხოვრობდნენ სიამოვნებით და ასრულებდნენ თავის სურვილებს. ადამიანები სჩადიან უსამართლობას იმ სურვილების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სცილდებიან აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს. მაგრამ არა მხოლოდ ამიტომ, არამედ იმ მიზნითაც, რათა სცხოვრობდნენ სიამოვნებით ტანჯვის გარეშე.

რა საშუალება შველის ამ სამ მანკიერებას? ზოგს შველის მცირე ქონება და შრომა, ზოგს სათნოება, ზოგი კი, რომელთაც სურთ საკუთარი ძალებით მიაღწიონ კეთილდღეობას, მიმართავენ მხოლოდ ფილოსოფიას, რადგან სხვა საშუალებები ადამიანების დახმარებას მოითხოვს. დიდ უსამართლობას სჩადიან ისინი, რომლებიც მიისწრაფიან ზედმეტი ქონებისა და არა აუცილებელისაკენ, მაგალითად, ტირანები, რომლებიც ქონებას იმიტომ არ აგროვებენ, რომ სცივათ. ამიტომ დიდი პატივი ხვდებათ ხოლმე წილად იმათ, რომლებიც კლავენ არა ქურდს, არამედ ტირანს, რის გამოც თალესის გზა არის მხოლოდ მცირე ბოროტების თავიდან აცილების გზა. თალესს სურს თავისი სახელმწიფოს შიგნით ურთიერთობის კარგად მოწესრიგება, მაგრამ საჭიროა ურთიერთობის მოწესრიგება აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებთან და სხვა ერებთან. საჭიროა აგრეთვე სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, რაზეც თალესი არაფერს ამბობს.

იგივე უნდა ითქვას ქონების შესახებაც. საჭიროა სახელმწიფოს ჰქონდეს ქონება არა მხოლოდ შინაგანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ გარეშე საფრთხისაგან თავდასაცავადაც. მაგრამ არაა საჭირო იმდენი ქონება, რომ ის მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების

[30] „ილიადა”, IX, 319.

შურს იწვევდეს, ხოლო ვისაც დიდი ქონება აქვს, არ შეეძლოს თავდაცვა შემოჭრილი მტრისაგან, მაგრამ არც ისე მცირე ქონება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, რომ არ შეეძლოს წარმატების მიღწევა თანასწორი და მსგავსი ძალის მქონე სახელმწიფოსთან ბრძოლაში. მას არაფერი აქვს ნათქვამი არც იმის შესახებ, თუ საერთოდ რა სარგებლობა მოაქვს ქონებას. უკეთესი იქნებოდა, რომ ქონება ისე ყოფილიყო განსაზღვრული, რომ მტრებს ვერ შესძლებოდათ მასთან ბრძოლა ზედმეტი ქონების მოსაპოვებლად. მაგალითად, ევბულემ ჰკითხა ავტოფრადატს, რომელსაც ატარნეის ალყაში მოქცევა სურდა, თუ რამდენი ხანი დასჭირდებოდა ციხე-სიმაგრის ასაღებად. მაშინ ევბულემ შესთავაზა ავტოფრადატს უფრო მცირე თანხა, ვიდრე მას ალყაში დაეხარჯებოდა, მაგრამ ხელი აეღო ატარნეის ალყაზე. ავტოფრადატი დათანხმდა და მოხსნა ატარნეის ალყა[31]. ქონების გათანასწორებას ის სარგებლობა მოაქვს, რომ მოქალაქენი ერთმანეთს აღარ ებრძვიან, მაგრამ რაიმე დიდი შედეგი მას მაინც არ მოსდევს. ნიჭიერი ადამიანები არ იქნებიან გათანაბრების მომხრე, რადგან არ ისურვებენ სხვებთან გათანასწორებას და ამიტომ ხშირად მოაწყობენ აჯანყებებს. გარდა ამისა, ადამიანთა უზნეობას არა აქვს საზღვარი და თუ დასაწყისში მათთვის საკმარისია ორი ობოლი, როდესაც მიეჩვევიან, მეტს მოინდომებენ და ასე უსაზღვროდ. ადამიანთა სურვილებიც განუსაზღვრელია, ამიტომ ზოგი მათ დაკმაყოფილებას ანდომებს მთელ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში მთავარია არა ქონების გათანასწორება, არამედ ის, რომ კარგ ადამიანებს არ სურდეთ ქონების ზედმეტი დაგროვება, ხოლო ცუდ ადამიანებს არ შეეძლოთ, ეს კი მოხდება მაშინ, თუ ამ უკანასკნელთ კარგ ადამიანებთან შედარებით გაცილებით დაბლა დავაყენებთ, მაგრამ ისე, რომ მათ მიმართ არ იქნეს ჩადენილი უსამართლობა.

გარდა ამისა, იგი სწორად არ მსჯელობდა არც ქონების გათანასწორების შესახებ. იგი ათანასწორებდა მხოლოდ მიწის საკუთრებას, მაგ-

[31] ატარნეი ეკუთვნოდა ევბულეს. ატარნეის ალყას აწარმოებდა სპარსი მხედართმთავარი ავტოფრადატი 365-350 წწ. ჩვ. წ.ა.

რამ არსებობს აგრეთვე საკუთრება მონებზე, ჯოგებზე და ფულზე, აგრეთვე დიდძალი ე.წ. „მოძრავი ქონება“. საჭიროა ან ამ ქონების გათანასწორების გზების ძიება, ან რაიმე საშუალო გზის გამონახვა, ანდა უცვლელად დატოვება. თალესის კანონმდებლობიდან ცხადია, რომ მას სურს პატარა სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რადგან ხელოსნები მთლიანად იქცევიან საზოგადოების საკუთრებად და სახელმწიფოს ზედმეტად არ გადატვირთავენ, მაგრამ თუ ისინი სახელმწიფოს საკუთრებაში იქნებიან, მაშინ უნდა ეწეოდნენ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, ისევე, როგორც ეს მოხდა ეპიდამნოსში, ანდა, რაც დიოფანტეს სურდა შემოეღო ათენში[32].

აი, დაახლოებით ყველაფერი ის, რაც თალესის მიერ არის ნათქვამი კარგად ან ცუდად სახელმწიფოს შესახებ.

[32] დიოფანტე - ცნობილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწე IV საუკ. II ნახევარში ჩვ. წ.ა.

თავი V

ჰიპოდამე ევრიფონტის ძე მილეთელმა[33] გამოიგონა ქალაქების დაყოფა, შეადგინა პირეის გეგმა. ის ყოფილა გადაჭარბებით პატივმოყვარე, უყვარდა ზედმეტად კოხტაობა, დიდ ყურადღებას აქცევდა თავის თმას და ძვირფას სამკაულებს, ატარებდა უბრალო, მაგრამ თბილ ტანისამოსს არა მხოლოდ ზამთარში, ზაფხულშიც კი. ცდილობდა გამოჩენილიყო მთელი ბუნების მცოდნედ. მან პირველმა იმათ შორის, რომლებიც არ პოლიტიკოსობდნენ, სცადა გამოეთქვა თავისი მოსაზრება საუკეთესო სახელმწიფოს შესახებ. იგი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო უნდა შედგებოდეს 10.000 მოქალაქისაგან, უნდა გაიყოს სამ ნაწილად: პირველ ნაწილს შეადგენენ ხელოსნები, მეორეს - მიწათმოქმედნი, მესამეს - სახელმწიფოს მცველები და იარაღის მქონე მოქალაქენი. მან მიწაც სამ ნაწილად დაჰყო: წმინდა მიწები, საზოგადოებისა და კერძო საკუთრებაში მყოფი. წმინდა მიწები განკუთვნილი იყო ღვთის მსახურებისათვის, მეორე ნაწილში უნდა ეცხოვრათ სახელმწიფოს მცველებს და ის უნდა ყოფილიყო საერთო. მიწათმოქმედთ კი მიწა კერძო საკუთრებაში უნდა ჰქონოდათ. სასამართლოც სამგვარი უნდა ყოფილიყო: ერთი არჩევდა საქმეებს შეურაცხყოფის შესახებ, მეორე - ზარალის მიყენების საკითხებს, მესამე - მკვლელობას. მანვე შემოიტანა კანონი უმაღლესი სასამართლოს შესახებ. ის უნდა ყოფილიყო ერთი და უნდა ჰქონოდა უფლება განეხილა ყველა ის საქმე, რომელიც ეგონათ, რომ სწორად არ იყო გარჩეული. ამ სასამართლოს შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ მოხუცები, რომელთაც ხალხი ირჩევდა. სასამართლოებს განჩინება გამოჰქონდათ არა კენჭისყრით, არამედ ყოველ მოსამართლეს უნდა ჰქონოდა ფირფიტა, რომელზეც აღნიშნავდა, თუ რას უსჯის ის ბრალდებულს. თუ მთლად ამართლებს, ფირფიტას ცარიელს სტოვებს, თუ ნაწილობრივ ბრალს სდებს და ნაწილობრივ ამართლებს, ამას ის გარკვევით აღნიშ-

[33] ჰიპოდამე მილეთელი - V საუკ. II ნახევრის ათენელი არქიტექტორი. მას მიეწერება ქალაქ პირეის, ფურიის, როდოსისა და სხვათა დაგეგმვა.

ნავს. ის ფიქრობდა, რომ არსებული კანონები არ იყო სწორად შედგენილი, რადგან აიძულებდა მოსამართლეს გამოეტანა დადებული ფიცის საწინააღმდეგო განაჩენი. მანვე შემოიტანა კანონი იმის შესახებ, რომ ვინც რაიმე სასარგებლო მოიგონა სახელმწიფოსთვის, მისთვის მიეგოთ სათანადო პატივი, ხოლო ომში დაღუპულათა შვილები აღზრდილიყვნენ სახელმწიფოს ხარჯზე. ეს კანონი არ ყოფილა შემოტანილი არც ერთი სხვა კანონმდებლის მიერ. მაგრამ ამჟამად ასეთი კანონი არსებობს, როგორც ათენში, ისე სხვა სახელმწიფოებში. სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, მისი აზრით, ხალხი უნდა ირჩევდეს. ხალხი კი შედგება სამი კლასისაგან. არჩეულები ზრუნავენ როგორც საზოგადო საქმეებზე, ისე უცხოელებსა და ობლებზე.

აი, ესაა ჰიპოდამეს კანონის მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი.

პირველ ყოვლისა, დაბრკოლებას იწვევს კანონი მოსახლეობის სამ ნაწილად დაყოფის შესახებ. ყველანი, ხელოსნებიც, მიწათმოქმედნი და იარაღის მქონენიც მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ მიწათმოქმედთ იარაღი არა აქვთ, ხელოსნებს არა აქვთ არც მიწა და არც იარაღი. ასე რომ, ისინი თითქმის იარაღის მქონეთა მონებად იქცევიან. მაშასადამე, შეუძლებელი ხდება, რომ მათ ყველა უფლება ჰქონდეთ, რადგან აუცილებლად იარაღის მქონეთაგან ნიშნავენ სტრატეტებს, სახელმწიფოს მცველებს და უმაღლეს მმართველობას, როგორც ისინი უწოდებენ, ხოლო ისინი, რომლებიც არ მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, როგორ იქნებიან მეგობრულ დამოკიდებულებაში სახელმწიფოს მმართველობასთან? იარაღის მქონენი უფრო ძლიერნი უნდა იყვნენ, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ორი ნაწილი, ეს კი ადვილი არაა, თუ ისინი მრავალრიცხოვანნი არ იქნებიან, მაგრამ თუ ისინი მეტნი იქნებიან, მაშინ დანარჩენი მოსახლეობა როგორღა მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, ან სახელმწიფოს ხელმძღვანელობის არჩევაში? შემდეგ, რა სარგებლობა მოაქვთ მიწათმოქმედთ სახელმწიფოსათვის. ხელოსნები კი აუცილებელნი არიან და ისინი ყველა სახელმწი-

ფოს სჭირდება. მათ შეუძლიათ თავის რჩენა, როგორც ახლა არსებულ სახელმწიფოებში, ისე იქ თავისი ხელობით, მიწათმოქმედნი კი მაშინ იქნებოდნენ სახელმწიფოს კანონიერი ნაწილი, თუ იარაღის მატარებელ მოქალაქეებს უზრუნველყოფდნენ საკვებით. ჰიპოდამესთან კი მათ მიწა აქვთ კერძო საკუთრებაში და თავისთვის ამუშავებენ მას. შემდეგ, თუ მიწა საერთო იქნებოდა და მას დაამუშავებდნენ სახელმწიფოს მცველები საკვების მოსაპოვებლად, მაშინ ისინი რით იქნებოდნენ მიწათმოქმედთაგან განსხვავებული? ეს განსხვავება კი სურს შეინარჩუნოს კანონმდებელმა. მაგრამ თუ იქნებოდნენ სხვა ადამიანები, განსხვავებულნი როგორც გლეხების, ისე მეომრებისაგან, მაშინ სახელმწიფოში შეიქმნებოდა მეოთხე ნაწილი, რომელსაც არ ექნებოდა არავითარი უფლებები და სახელმწიფოსთვის უცხო იქნებოდა, მაგრამ თუ ვინმე ერთსა და იმავე ადამიანებს დაავალებდა, როგორც საკუთარი, ისე საერთო მიწის დამუშავებას, მაშინ ერთი ადამიანი ვერ მოიყვანდა იმდენ მოსავალს, რომ საკმარისი ყოფილიყო ორი ოჯახისათვის და მას რატომ არ უნდა მიეღო საკვები როგორც თავისი ნაკვეთიდან, ისე საერთოდან, როგორც თავისთვის, ისე მცველებისათვის?! ყოველივე ამას შემდეგ მოსდევს მრავალი არეულობა.

კანონი კარგად არაა შედგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებაც. ბრალდება მარტივად არის დაწერილი, გადაწყვეტილებაში კი არის დანაყოფები. ამ შემთხვევაში მოსამართლე შუამავლად იქცევა. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მომრიგებელ მოსამართლესთან და თანაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი რამდენიმენი არიან, მაშინ ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, მაგრამ სასამართლოებში ასე არ ხდება. პირიქით, აქ კანონმდებელთა უმრავლესობა ცდილობს, რომ მოსამართლენი ერთმანეთთან არ შეთანხმდნენ. შემდეგ, როგორ არ შეიქმნება არეულობა, როდესაც მოსამართლე ფიქრობს, რომ ბრალეულმა იმდენი არ უნდა გადაიხადოს, რამდენსაც მოსარჩლე მოითხოვს, მოსარჩლე მოით-

ხოვს ოც მნას[34], მოსამართლე კი უსჯის ათი მნის გადახდას. ერთი უსჯის მეტს, მეორე ნაკლებს, მესამე უსჯის ხუთ მნას, შემდეგი - ოთხს. ამრიგად, ცხადია, რომ მათი შეხედულებები ერთმანეთს სცილდება. შეიძლება მოხდეს ისიც, რომ ზოგი მოითხოვდეს მთელი თანხის გადახდას, ზოგი კი არაფრისა. როგორ მოხდება ამ შემთხვევაში ხმების დათვლა? შემდეგ, არავინ არ აიძულებს მოსამართლეს დაარღვიოს მიცემული ფიცი, თუ განაჩენი დაწერილია მარტივად. მაგრამ განაჩენში არაფერი არაა ნათქვამი, რომ მსჯავრდებულმა არაფერი არ უნდა გადაიხადოს. ნათქვამია მხოლოდ ის, რომ მან არ უნდა გადაიხადოს ოცი მნა. ის მოსამართლე არღვევს ფიცს, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება ოცი მნის გადახდაზე ისე, რომ არაა დარწმუნებული, რომ ბრალდებულის ვალი ნამდვილად შეადგენს ოც მნას.

კანონი იმის შესახებ, რომ ვინც რაიმე აღმოაჩინა სასარგებლო სახელმწიფოსათვის და ამიტომ საჭიროა მისი პატივისცემა, არაა უხიფათო სახელმწიფოსთვის. ეს სიახლენი მხოლოდ სასიამოვნოა მოსასმენად, სინამდვილეში კი მას მოსდევს მრავალი ცილისწამება და შესაძლებელია, სახელმწიფოს რყევაც კი. მაგრამ ეს დაკავშირებულია სხვა პრობლემებთან და სხვა კვლევასთან.

ზოგი კითხულობს, თუ რაა უკეთესი და სასარგებლო სახელმწიფოსთვის, შესცვალონ თუ არა მამაპაპეული კანონები, იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდა უკეთესი კანონები? ძნელია მოითხოვო შეცვლა, თუ ამას არ მოაქვს სარგებლობა. შესაძლებელია ვინმემ შემოიღოს ისეთი კანონი, რომ კანონებისა და სახელმწიფოს შეცვლას სარგებლობა მოაქვს.

რადგან ჩვენ ამ საკითხს შევეხეთ, უკეთესი იქნებოდა მასზე უფრო დეტალურად შეჩერება, რადგან, როგორც ვთქვით, ამასთან დაკავშირებულია გარკვეული დაბრკოლებები. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ უკეთესია კანონების შეცვლა. მართლაც, სხვა დარგებში უკვე მოხდა ცვლი-

[34] მნა - წონისა და ფულის ერთეული ძველ საბერძნეთში, მისი წონა ფინიკიაში შეადგენდა 364 გრ. ვერცხლით, ევბეაში - 436 გრ.

ლებები, მაგალითად, შეიცვალა მამა-პაპეული მედიცინა, ასევე სპორტი და სხვა ხელოვნებები და რადგან პოლიტიკაც მათ განეკუთვნება, ცხადია, აქაც ისეთივე მდგომარეობა იქნება. ამის დამტკიცება შეიძლება ფაქტებით, რადგან ძველი კანონები ძალიან მარტივნი და ბარბაროსულნი იყვნენ. ბერძნები ძველად შეიარაღებულნი დადიოდნენ და ერთმანეთისგან ცოლებს ყიდულობდნენ. ძველთაგან შემორჩენილი კანონები ძალიან გულუბრყვილონი არიან. მაგალითად, ქ. კიმში არის ასეთი კანონი, რომ თუ მოსარჩელე მოიყვანს თავის ნათესავებს მოწმედ, რომ მკვლელობა მოხდა, მაშინ გაქცეული მკვლელად ითვლება. ყოველი ადამიანი ისწრაფვის რაიმე სიკეთისაკენ და არა იმისაკენ, რაც მამა- პაპისაგან არის მიღებული. პირველი ადამიანები მიწიდან იყვნენ წარმოშობილი ანდა რაღაც დიდ უბედურებას გადარჩენილნი. ისინი ჰგვანდნენ დღევანდელ ადამიანებს, მაგრამ უგუნურნი იყვნენ, როგორც ამბობენ ხოლმე მიწიდან წარმოშობილებზე, ამიტომ უგუნურება იქნებოდა მათ კანონებზე დაყრდნობა. ამას გარდა, დაწერილი კანონების უცვლელად დატოვება არასოდეს არაა კარგი, როგორც სხვა ხელოვნებებში, ასევე პოლიტიკაში. შეუძლებელია ყოველივეს ზუსტად დაწერა, საჭიროა კანონების ზოგადად მოხაზვა, ხოლო მოქმედება ეხება კონკრეტულ შემთხვევებს. აქედან ცხადია, რომ კანონები როდისმე უნდა შეიცვალოს. მაგრამ ვინც ამ საკითხის კვლევას აწარმოებს, მას დიდი სიფრთხილე მართებს. თუ კანონების შეცვლა იწვევს მხოლოდ მცირე გაუმჯობესებას, ხოლო კანონების შეცვლის მიჩვევა კი ცუდია, მაშინ საჭიროა აპატიო კანონმდებლებს და მმართველებს ზოგიერთი შეცდომა. მათი შეცვლა იმდენ სარგებლობას არ მოიტანს, რამდენსაც ზიანს, რადგან ხალხი მიეჩვევა ხელმძღვანელებისადმი უნდობლობას.

მცდარია ხელოვნებიდან მოტანილი მაგალითი, რადგან ერთი და იგივე არაა - შესცვლი ხელოვნებას, თუ კანონს. კანონს ხალხის დასარწმუნებლად, ჩვეულების გარდა, სხვა საშუალება არა აქვს. ხოლო მიჩვევას დიდი დრო სჭირდება. ასე რომ, როდესაც ადამიანები არსებულ კანონებს ახლითა ცვლიან, ამით ასუსტებენ კანონების გავლენას. თუ კა-

ნონებსა სცვლი, საკითხავია, ყველას სცვლი და თანაც მთელ სახელმწიფოში, თუ არა, აგრეთვე ვინ სცვლის, შემთხვევითი კაცი, თუ გარკვეული პიროვნება? ამაში დიდია გასხვავება.

მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ საკითხს არ ვეხებით და სხვა დროისათვის გადაგვაქვს.

თავი VI

ლაკედემონელთა და კრეტელთა სახელმწიფოს განხილვა შეიძლება ვაწარმოოთ ორგვარად: პირველი, შეესაბამება თუ არა მათი კანონები საუკეთესო სახელმწიფოს და მეორე, ეწინააღმდეგება თუ არა ეს კანონები თავისსავე საფუძველსა და მეთოდს და ამ სახელმწიფოს წესწყობილებას.

ყველა თანახმაა იმაზე, რომ ვისაც სურს კარგად მოაწყოს სახელმწიფო, მან უნდა გაათავისუფლოს მოქალაქენი ყოველდღიურად საარსებო საშუალებებზე ზრუნვისაგან, მაგრამ ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ამას. თესალიელი პენესეტები[35] ხშირად ებრძოდნენ თავის ბატონებს, ასევე სპარტელი ილოტები. ისინი თითქოს უცდიდნენ რაიმე უბედურებას, რომ აჯანყება მოეწყოთ, კრეტელებში კი ასეთი რამ არ მომხდარა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მათი მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც ურთიერთშორის ომობდნენ, არასოდეს არ ემხრობოდნენ აჯანყებულებს, რადგან ეს მათთვის არ იყო სასარგებლო. მათაც ხომ ყავდათ თავისი პერიეკები[36]. სპარტელების მეზობელი სახელმწიფოები კი ყველანი მისი მტრები არიან: არგეველები, მესენელები და არკადიელები. თესალიაში თავიდანვე ჰქონდა ადგილი აჯანყებას, რადგან ისინი ეომებოდნენ მეზობელ სახელმწიფოებს: აქეველებს, პერებელებს და მაგნეზიელებს. სხვა არა იყოს რა, ძნელია ზრუნვა ქვეშევრდომებზე; ძნელია აგრეთვე მათთან ურთიერთობის დასამყარებელი გზის გამონახვა. თუ თავისუფლებას მისცემ, ისინი თავხედდებიან და თავს ხელმძღვანელებს უტოლებენ, თუ ძალას გამოიყენებ, შეგიძულებენ და შენს წინააღმდეგ დაიწყებენ მოქმედებას. ცხადია, რომ

---

[35] პენესეტები - თესალიელი გლეხები, რომლებიც ემსახურებოდნენ ბატონებს, ამუშავებდნენ მათ მიწებს და სამაგიერო გადასახადს აძლევდნენ ბატონს შემოსავლიდან.

[36] პერიეკები - სპარტელი გლეხები, რომლებსაც არავითარი უფლებები არა ჰქონდათ, თუმცა მოქალაქეებად ითვლებოდნენ.

ვისაც ასეთი ურთიერთობა აქვთ ილოტებთან, მათ ვერ გამოუნახავთ კარგი გზა.

შემდეგ, ქალთა განთავისუფლება ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პრინციპებს და მის კეთილდღეობას. როგორც ოჯახი შედგება ორი ნაწილისაგან: კაცისა და ქალისაგან, ასევე სახელმწიფოც ორად იყოფა: მამაკაცთა და ქალთა სიმრავლედ. ასე რომ, იმ სახელმწიფოში, სადაც ცუდადაა დაყენებული ქალთა საკითხი, შეიძლება ითქვას, იქ სახელმწიფოს ნახევარი კანონმდებლობას არ ექვემდებარება, რაც მოხდა კიდეც ლაკედემონში. კანონმდებელმა მოინდომა მთელი სახელმწიფოს ზნეობრივი გაჯანსაღება. მან ამას მიაღწია კიდეც მამაკაცებში, ქალებში კი ვერა. ქალები იქ ცხოვრობენ ფუფუნებაში და დაუსჯელად, მიუხედავად სრული აღვირახსნილობისა. ამიტომ აუცილებელია, რომ ასეთ სახელმწიფოში პატივს სცემდნენ სიმდიდრეს, განსაკუთრებით იქ, სადაც ქალები მძლავრობენ. ამიტომ მრავალი მეომარი ტომი და ზოგი სხვა ტომიც უპირატესობას აძლევს მამაკაცებთან თანაცხოვრებას. ამიტომ სწორი იყო პირველი მითოლოგი როცა არესი აფროდიტეს დაუკავშირა. ყველა ლტოლვა, იქნება ის მომართული ქალებისა, თუ კაცებისადმი, ვნების შედეგი უნდა იყოს. ლაკონიაში ქალების ჰეგემონიის დროს ბევრი რამ იყო მათ განკარგულებაში. მაინც რა განსხვავებაა იმაში, ქალები მართავენ სახელმწიფოს, თუ მართავენ არქონტებს? შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. თავაწყვეტილობას ყოველდღიურ ცხოვრებაში არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ის შეიძლება სასარგებლო იყოს ომში. ამან ლაკონელებს დიდი ზიანი მოუტანა, რაც ცხადი გახდა თებელების შემოსევისას[37]. როგორც სხვა ქალაქებში, აქაც ქალებს არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ, პირიქით, მათ მეტი არევ-დარევა გამოიწვიეს, ვიდრე მტრებმა.

[37] თებელების თავდასხმა სპარტაზე მოხდა 369 წ. ჩვ. წ.ა. სპარტელმა ქალებმა დიდი ხმაური ასტეხეს და ქმრები საყვედურებით აავსეს, რამაც ჯარში დაბნეულობა გამოიწვია.

თავიდან ლაკონელებს ეგონათ, რომ გონივრული იქნებოდა ქალების განთავისუფლება, რადგან ჯარი ხანგრძლივად არ იყო სახლში, ებრძოდა რა არგეველებს, მესენელებსა და არკადიელებს. მშვიდობიანობა რომ ჩამოვარდა, ხელმძღვანელ მამაკაცებს სამხედრო სამსახურში კარგი მომზადება ჰქონდათ მიღებული. საერთოდ, სამხედრო სამსახურს მრავალი დადებითი მხარე აქვს. როგორც ამბობენ, ლიკურგემ მოინდომა თავისი კანონების ქალებზე გავრცელება, მაგრამ როდესაც წააწყდა მათ წინააღმდეგობას, იძულებული გახდა უკან დაეხია. აი, ესაა როგორც ამის, ისე დაშვებული შეცდომების მიზეზი. მაგრამ ჩვენ ვიკვლევთ არა იმას, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი, არამედ იმას, თუ რა არის სწორი და რა არასწორი. ქალების შესახებ ზემოთქმული კანონი, როგორც ადრეც ვთქვით, არ უნდა იყოს კარგი, რადგან შეუფერებელია სახელმწიფოსათვის, აგრეთვე იმიტომ, რომ ის ხელს უწყობს მომხვეჭელობას.

ქონების შესახებ ახლახანს განხილულ კანონს აკრიტიკებენ იმიტომ, რომ ის იწვევს ზოგის გამდიდრებას, ზოგის გაღატაკებას. მაშასადამე, მიწებს ხელთ იგდებს მოსახლეობის მცირე ნაწილი. ეს გამოწვეულია იმით, რომ კანონები ცუდად არის შედგენილი. კანონმდებელი სწორად მოიქცა, როცა აკრძალა ქონების ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ როდესაც ნებას რთავს ქონების გაჩუქებაზე, ან მემკვიდრეობით დატოვებაზე, შედეგი ისევე მძიმე იქნება, როგორც პირველ შემთხვევაში. ამას გარდა, ქალებს ეკუთვნით მიწის ხუთი ნაწილიდან ორი წილი. ბევრია აგრეთვე მემკვიდრე ქალები, ხოლო ქალიშვილებს ეძლევათ დიდი მზითევი. უკეთესი იქნებოდა, თუ მზითევს სულ არ მისცემდნენ, ან აძლევდნენ ნაკლებს, ანდა ზომიერად. ახლა კი მამას შეუძლია, ვისზეც უნდა, იმაზე გაათხოვოს მემკვიდრე ქალი და თუ მამა მოკვდება ისე, რომ ანდერძს არ დატოვებს, მაშინ მემკვიდრეს შეუძლია ქონება დაუტოვოს იმას, ვინც მოესურვება. ამის შედეგად, მიწას, რომელსაც შეეძლო გამოეკვება ათას ხუთასი მხედარი და 30.000 მძიმედ შეიარაღებული მეომარი, ახლა ათასსაც კი ვერ გამოკვებავს. ამ ფაქტებით ცხადი ხდება, რომ ამ საკითხის შესახებ კა-

ნონები ცუდად არის შედგენილი. ამიტომ იყო, რომ სახელმწიფომ მტრის ერთ შემოტევასაც კი ვერ გაუძლო და მოსახლეობის სიმცირის გამო დამარცხდა[38]. წინამორბედი მეფეები მოქალაქეობას აძლევდნენ იმათაც, ვინც არ იყო მოქალაქე, ამიტომ მაშინ არ იყო მოსახლეობის სიმცირე. თუმცა ომს დიდხანს აწარმოებდნენ და სპარტიატების რიცხვი 10.000 შეადგენდა. სწორია თუ არა ეს ცნობა, ეს კი არაა მთავარი, არამედ ის, რომ სახელმწიფო ქონების გათანაბრებისას მოსახლეობის რაოდენობის მატებაზე უნდა ზრუნავდეს. პირიქით, არსებობს კანონი, რომელიც აბრკოლებს შობადობის საკითხში შესწორების შეტანას. კანონმდებელს, სურს რა ჰყავდეს სპარტიატების მეტი რაოდენობა, აქეზებს მოქალაქეებს, რომ მეტი შვილები იყოლიონ. მათ აქვთ ასეთი კანონი, რომ სამი ვაჟის მამა თავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან, ოთხის - თავისუფლდება ყოველგვარი ვალდებულებისაგან. მაგრამ ცხადია, რომ მოსახლეობის გამრავლების დროს მიწის არსებული განაწილების შედეგად, აუცილებლად მრავალი მოქალაქე გაღარიბდება.

ცუდი მდგომარეობაა ეფორიაში. ეფორები წყვეტენ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. ისინი ყველანი ხალხიდან არიან გამოსული. ასე რომ, ხშირად მმართველობაში ხვდებიან სრულიად ღარიბი ადამიანები, რომლებიც გამოუვალი მდგომარეობის გამო ადვილად მოსასყიდნი არიან. ეს ხდებოდა ადრე და ახლა ცხადი გახდა ადრიოსის საქმიდან. მოისყიდეს რა ზოგიერთი მათგანი, მათ რამდენადაც კი მათზე იყო დამოკიდებული, დაღუპეს სახელმწიფო. ეფორების ძალაუფლება ძალიან დიდია და ის წააგავს ტირანიას. ამიტომ მეფეებიც კი იძულებულნი არიან მიმართონ დემაგოგიას, რამაც ავნო სახელმწიფოს და არისტოკრატიიდან წარმოშვა დემოკრატია. ეფორების მმართველობა აერთიანებს სახელმწიფოს, რადგა ხალხი მშვიდადაა იმის გამო, რომ მონაწილეობს უმაღლეს მმართველობაში. ამრიგად, ამ შემთხვევით, თუ კანონმდებლის ზეგავლენით შეიქმნა სახელმწიფოსთვის მომგებიანი მდგომარე-

[38] იგულისხმება ლაკედემონის დამარცხება ლევკტროსთან ბრძოლაში 371 წ. ჩვ. წ.ა.

ობა, ამიტომ სახელმწიფომ, რომელსაც სურს გაიხანგრძლივოს არსებობა, უნდა მიაღწიოს იმას, რომ მის შემადგენელ ნაწილებს სურდეთ მისი არსებობის შენარჩუნება. მეფეები ამას საკუთარი ღირსებით აღწევენ, მაღალზნეობრივი ადამიანები - გერუსიის მეშვეობით, რადგან ძალაუფლება ჯილდოდ ეძლევა ზნეობრივს. ხალხი კი ამას ეფორიის მეშვეობით აღწევს. ეფორიაში ირჩევენ ყველა კლასის წარმომადგენლებს, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა იმ მეთოდით, როგორც ახლა ხდება, რადგან ეს მეთოდი ძალიან ბავშვურია. ეფორებს უფლება აქვთ გადაწყვიტონ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, თვითონ კი შემთხვევითი პირები არიან. ამიტომ უკეთესი იყო, რომ მათ გადაწყვეტილება გამოეტანათ არა საკუთარი თვალსაზრისით, არამედ კანონის საფუძველზე. ეფორების ცხოვრების ფორმაც არ შეესატყვისება სახელმწიფოს ინტერესებს, ისინი ეწევიან ძალიან თავისუფალ ცხოვრებას, სხვების მიმართ კი გადაჭარბებულ სიმკაცრეს იჩენენ. არ შეუძლიათ რა თავშეკავება, ისინი კანონის გვერდის ავლით ეძლევიან სხეულებრივ სიამოვნებას.

მაგრამ საქმე კარგად არაა არც გერონტების ხელისუფლებაში. ისინი არიან წესიერნი და კარგად აღზრდილნი, რაც სავსებით საკმარისია პატიოსანი ადამიანისათვის, და ამიტომ მაშინვე იბადება კითხვა, თუ რა სარგებლობა მოაქვთ მათ სახელმწიფოსთვის? ისინი ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე წყვეტენ დიდ სადავო საკითხებს. მაგრამ არსებობს როგორც სხეულის, ისე გონების სიბერე. მათ მიღებული აქვთ ისეთი განათლება, რომ კანონმდებელიც კი არ ენდობა მათ პატიოსნებას, რის გამოც ისინი არ არიან უსაფრთხონი სახელმწიფოსთვის. ისინიც ადვილად მოსასყიდნი არიან და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს ხშირად ღალატობენ. მაშასადამე, უკეთესი იქნებოდა, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ განთავისუფლებული ყოველი პასუხისმგებლობისაგან. დღეს კი ისინი განთავისუფლებული არიან. ვფიქრობთ, რომ ეფორები აკონტროლებენ მთელ მმართველობას, ეს კი ეფორებს დიდ უპირატესობას აძლევს.

საერთოდ, ვფიქრობთ, რომ ეფორებს არ უნდა ჰქონდეთ ასეთი კონტროლის უფლება, გარდა ამისა, გერონტების არჩევნების მეთოდი ბავშვურია და არც ისაა სწორი, როდესაც თვითონ აცხადებენ თავის თავს ამა თუ იმ თანამდებობის ღირსად, რომელზეც წარმოებს არჩევნები. საჭირო კია, რომ სათავეში ხვდებოდეს კაცი, მიუხედავად იმისა, სურს მას ეს თუ არა. ამ შემთხვევაში, როგორც სახელმწიფოს სხვა საკითხებში, კანონმდებელი მოქმედებდა შემდეგი მოსაზრებებით: მას სურდა, მოქალაქეებში გაეღვივებინა პატივმოყვარეობის გრძნობა და გამოეყენებინა ის გერონტების არჩევნებში, ამიტომაც არავინ არ მოინდომებდა სათავეში მოხვედრას, თუ არა პატივმოყვარე. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა წინასწარ განზრახული დანაშაული ხდება პატივმოყვარეობისა და მომხვეჭელობის გამო.

კარგია, თუ ცუდი, რომ სახელმწიფოს მართავდეს მეფე, ამის შესახებ ჩვენ სხვაგან გვექნება ლაპარაკი. ეს კარგი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხდებოდა არა ისე, როგორც ახლა ხდება, არამედ თუ მეფედ დასვამდნენ კაცს მთელი მისი ცხოვრების გათვალისწინების საფუძველზე. ცხადია ისიც, რომ არც კანონმდებელი ფიქრობს, რომ მეფე აქციოს კეთილ და მშვენიერ ადამიანად. იგი არაა დარწმუნებული, რომ მეფეები საკმარისად კარგი ადამიანები არიან. ამიტომაც მეფის ამალას აყოლებდნენ მის მტრებს იმ იმედით, რომ მათ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება იხსნიდა სახელმწიფოს.

არც სისიტიებისა და ე.წ. ფიდიტიების შესახებ მათი გადაწყვეტილება არაა სწორი. საჭიროა, რომ სახსრებს სისიტიებისათვის იხდიდეს სახელმწიფო, როგორც ეს კრეტაშია მიღებული. ლაკედემონელებში გადასახადი შეაქვს თითოეულ მოქალაქეს, მაგრამ ზოგ ძალიან ღარიბ მოქალაქეს არ შეუძლია დანახარჯის გადახდა. ამიტომ შედეგად ვიღებთ იმის საწინააღმდეგოს, რაც კანონმდებელს ჰქონდა განზრახული. მათი მიზანი იყო, რომ სისიტიების სტრუქტურა დემოკრატიული ყოფილიყო, მაგრამ გამოვიდა ის, რომ ისინი ყველაზე ნაკლებ დემოკრატიულნი არიან. ძალიან ღარიბთათვის ადვილი არაა მონაწილეობის მიღება სი-

სიტიებში, მაგრამ მამა-პაპეული კანონით, ვისაც არ შეუძლია გადასახადების შეტანა, არც მონაწილეობს სისიტიებში.

კანონს ფლოტის შესახებ ზოგნი უკვე აკრიტიკებდნენ და ისინი სწორიც იყვნენ, რადგან ეს კანონი აჯანყებების მიზეზი იყო. მონარქიაში სტრატეგები მუდმივად არიან არჩეულნი და მათ ფლოტის ხელმძღვანელობა დაავალეს, რის გამოც ის მეორე მეფობად აქციეს. ამის შესახებ უკვე იყო გამოთქმული შენიშვნები, მაგალითად, პლატონის „კანონებში[39]“. რადგან მთელი ეს კანონმდებლობა გამიზნულია სათნოების ნაწილისათვის, საომარი სათნოებისათვის, რაც სასარგებლოა ძალაუფლების მოპოვებისათვის, ამიტომაც იყო, რომ სპარტელები კარგად გრძნობდნენ თავს, სანამ ომობდნენ და როგორც კი მიაღწევდნენ ძალაუფლებას, იღუპებოდნენ, რადგან მათ არ იცოდნენ არც დასვენების გამოყენება და არც ცხოვრების სხვა ფორმა, საომარი ცხოვრების გარდა. ამაზე არა ნაკლებია მეორე შეცდომა: ისინი ამბობენ, რომ სიკეთით და არა ბოროტებით შეიძლება მეორე სიკეთის მიღწევა. ეს შეიძლება სწორიც კი იყო, მაგრამ ის აღარ იყო სწორი, რომ ისინი ამას ზნეობაზე მაღლა აყენებდნენ.

სპარტელებში ცუდია აგრეთვე კანონმდებლობა საერთო ქონების შესახებ. სპარტას სახელმწიფოებრივი ფინანსები არ იძლევა დიდი ომების წარმოების საშუალებას, რადგან მიწის დიდი ნაწილი არის სპარტიატების ხელში და გადასახადებს ისინი ცუდად იხდიან, რადგან ერთიმეორეს არ ავალებენ გადასახადის შეტანას, ამიტომ იღებენ საწინააღმდეგოს იმ სარგებლობისა, რაც კანონმდებელს ჰქონდა გამიზნული. ამით სახელმწიფო ღარიბდება, ხოლო კერძო მესაკუთრენი სიმდიდრის მომხვეჭნი ხდებიან.

ამრიგად, უკვე ვთქვით ლაკედემონელების სახელმწიფოს შესახებ. ჩვენ შევეხეთ იმ პუნქტებს, რაც ყველაზე მეტად იყო გაკრიტიკებული.

---

[39] იხ. პლატონის „კანონები”, წიგნი I, თავი I, 630e.

თავი VII

კრეტელების სახელმწიფო წყობა სპარტელებისას უახლოვდება. მათი კონსტიტუციის პრინციპების ნაწილი არაა უარესი, მაგრამ უმრავლესობა კი ნაკლებადაა გამოკვეთილი. რჩება შთაბეჭდილება, რომ ლაკონელების კონსტიტუცია, ძირითადად, კრეტელების მიბაძვით შეიქმნა, რაზეც უკვე ვთქვით. უმრავლესობა ძველი დაწესებულებისა ნაკლებ იყო განვითარებული, ვიდრე ახლები. იმასაც ამბობენ, რომ როცა ლიკურგმა უარი თქვა მეფე ხარილეოსის მეურვეობაზე და სამოგზაუროდ წავიდა, დროის მეტი ნაწილი კრეტაზე გაატარა მათთან ნათესაობის გამო. ლიკიელები მაშინ ლაკონელების მოსახლენი იყვნენ და როდესაც ლაკედემონი დატოვეს, მიიღეს ადგილობრივი კანონები, რომლის მიხედვით ისინი ახლაც ცხოვრობენ. ეს კანონები თავიდან მეფე მინოსის მიერ იყო შედგენილი.

კუნძული კრეტა ბუნებრივად თითქოს განკუთვნილია ელინების მმართველად და მდებარეობაც მას მშვენიერი აქვს. ის მოთავსებულია ზღვის ნაპირას, სადაც ბერძნებს გაშენებული აქვთ თავისი სახლ-კარი. კრეტა მცირე მანძილით არის დაშორებული პელოპონესს, ხოლო აზიას დაცილებულია ტრიოპიონითა და როდოსით. როგორც ჩანს, მეფე მინოსმა თავისი უფლებები ზღვაზე გაავრცელა, დაიპყრო კუნძულების ნაწილი, ნაწილზე თავისი ხალხი დაასახლა, ბოლოს შეუტია სიცილიას და სიცოცხლე იქ, კამიკოსზე დაასრულა.

კრეტელების კონსტიტუციას აქვს მსგავსება ლაკონელებთან. მიწას ლაკონიაში ამუშავებენ ილოტები, კრეტელებში - პერიეკები. ორივეს აქვთ სისიტიები. ძველად მათ ლაკონელები უწოდებდნენ არა ფიდიტიებს, არამედ ანდრიას, როგორც კრეტელები, რაც ცხადყოფს, რომ ეს დაწესებულება კრეტელებიდან არის გადმოღებული. მათ საერთო აქვთ კონსტიტუციაც. ლაკონელებში ძალაუფლება ეკუთვნით ეფორებს, როგორც კრეტელებში კოსმებს, იმ განსხვავებით, რომ ეფორების რაოდენობა უდრის ხუთს, კოსმებისა - ათს. რიცხვი გერონტებისა, რომელსაც

ლაკონელები გერსუსიას უწოდებენ, ეტოლება კრეტელების საბჭოს რიცხვს. კრეტელებს ადრე მონარქია ჰქონიათ, მაგრამ შემდეგ გაუუქმებიათ და ჯარის ხელმძღვანელობა კოსმებისათვის გადაუციათ. სახალხო კრებაში ყველა იღებს მონაწილეობას, მაგრამ უფლებები კი არავის არა აქვს, რადგან აქ მხოლოდ კენჭს უყრიან გერონტებისა და კოსმების გადაწყვეტილებას.

სისიტიები კრეტელებს უკეთ ჰქონდათ მოწყობილი, ვიდრე ლაკონელებს. ლაკედემონში თითოეულმა ადამიანმა უნდა გადაიხადოს მისთვის განკუთვნილი გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას კანონი ართმევს მოქალაქეობას, რაც ადრეც ვთქვით. კრეტაში კი სისიტია უფრო საერთო ხასიათს ატარებს. მთელი მოსავლიდან, საზოგადო მიწებიდან, საზოგადო საკუთრებაში მყოფი ჯოგებიდან და მთელი იმ შემოსავლიდან, რაც პერიეკებს მოჰყავთ, ნაწილი ხმარდება კულტის მსახურებას, ნაწილი საზოგადო საქმეს და ნაწილი სისიტიებს. ასე რომ, ყველანი - ქალებიც, ბავშვებიცა და მამაკაცებიც იკვევებიან საერთო ხარჯზე, ხოლო იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჭამა- სმაში თავშეკავებას, ამაზე კანონმდებლებმა ბევრი იფილოსოფოსეს. ასევე ქალებთან კავშირის შესახებ, რომ ბევრი ბავშვი არ დაბადებულიყო. ამიტომ დაუშვეს კავშირი მამაკაცთა შორის. კარგია ეს თუ ცუდი, ამაზე სხვაგან, უფრო შესაფერ დროს გვექნება ლაპარაკი. ის კი ცხადია, რომ სისიტიები კრეტელებს უკეთ აქვთ მოწყობილი, ვიდრე ლაკონელებს.

მაგრამ კოსმების საქმე კრეტელებთან უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე ლაკონელებთან. ის უარყოფითი მხარეები, რაც ახასიათებს ეფორების მმართველობას, ახასიათებს კოსმებსაც, რადგან ორივეგან არის შესაძლებელი სათავეში შემთხვევითი ადამიანების მოხვედრა. მაგრამ ის სარგებლობა, რაც მოაქვს სახელმწიფოსთვის ეფორებს, კოსმებში არ გვხვდება, რადგან გერონტების არჩევნებში მონაწილეობს მთელი მოსახლეობა, რომელიც ამიტომ დაინტერესებულია სახელმწიფო ხელისუფლების შენარჩუნებით. კრეტაში კი კოსმებს მთელი მოსახლეობა არ ირჩევს. მათ ირჩევენ გარკვეული გვარებიდან, ხოლო გერონტებს ირჩე-

ვენ იმათგან, ვინც ადრე კოსმად იყო, მათ შესახებ კი შეიძლება იგივეს თქმა, რაც ლაკედემონელების შესახებ. ისინი მართავენ სახელმწიფოს პასუხიმგებლობის გარეშე მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც დიდი პატივია მათ დამსახურებებთან შედარებით. ამას გარდა, ისინი მართავენ არა დაწერილი კანონებით, არამედ საკუთარი შეხედულებით, რაც სახიფათოა.

მოსახლეობის სიმშვიდე, რომელიც არ მონაწილეობს სახელმწიფოს ცხოვრებაში, არ ნიშნავს ამ წეს-წყობილების სისწორეს. ამას გარდა, კოსმებს არა აქვთ ისეთი შემოსავალი, როგორიც ეფორებს, რადგან კოსმები ცხოვრობენ კუნძულზე, შორს იმათგან, ვისაც მათი მოსყიდვა შეუძლია. ის საშუალება, რომლითაც კრეტელები ცდილობენ შეცდომების გამოსწორებას, უაზროა და გამოდგება არა რესპუბლიკის, არამედ მონარქიისათვის. კოსმებს სწორად აძევებენ ხოლმე ამბოხებული მათივე ამხანაგები და კერძო პირები, კოსმებს მათი მოღვაწეობის განმავლობაში აქვთ უფლება უარი თქვან ხელმძღვანელობაზე. მაგრამ კარგი იქნებოდა ყოველივე ეს მომხდარიყო კანონის საფუძველზე და არა ადამიანების სურვილით, რადგან ეს სახიფათოა. ყველაზე ცუდი შედეგი კოსმების ხელმძღვანელობის გაუქმებისა არის ის, რომ ძლიერ მოქალაქეებს ხშირად აღარ სურთ დაემორჩილონ სასამართლოს გადაწყვეტილებას. აქედან ცხადი ხდება, რომ კრეტელების კანონმდებლობას აქვს რაღაც საერთო პოლიტიასთან, მაგრამ ის უფრო მონარქიას უახლოვდება. მასში გაბატონებული კლასი დემოსი და ფილები იწყებენ აჯანყებას, წარმოშობენ ანარქიას და ერთმანეთს ებრძვიან. რითი განსხვავდება ეს მდგომარეობა დროებითი უხელისუფლებობისაგან? ის ხომ სპობს სახელმწიფოებრივ კავშირს.

სახელმწიფოში, სადაც ასეთი მდგომარეობაა, არის იმის საშიშროება, რომ მას თავს დაესხას, ვისაც სურს და საამისო უნარიც აქვს და თავის ნადავლად აქციოს, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ სახელმწიფოს იცავს მისი ადგილმდებარეობა. უცხოელების გაძევებაც, დაახლოებით, იმავე შედეგს იძლევა. ამიტომ კრეტაში პერიეკები მშვიდად არიან, ხოლო

ილოტები ხშირად აწყობენ აჯანყებას. კრეტელებს არა აქვთ არავითარი გარეშე საკუთრება. მხოლოდ ბოლო ხანს მიაღწია კუნძულამდე გარეშე ომმა, რამაც მათი კანონების სისუსტე გამოამჟღავნა.

აი, ყველაფერი ის, რაც გვინდოდა გვეთქვა ამ სახელმწიფოს შესახებ.

თავი VIII

კართაგენელებს კარგი კონსტიტუცია უნდა ჰქონდეთ, რაც ბევრად სჯობს სხვა სახელმწიფოების კონსტიტუციას. ის უფრო ლაკონელების კონსტიტუციასთან არის ახლოს. საერთოდ, კრეტელების, ლაკონელებისა და კართაგენელების კონსტიტუცია ერთმანეთთან ახლოს არის და სხვებისგან კი დიდად განსხვავდება. კართაგენელებს ბევრი რამ კარგად აქვთ მოწესრიგებული, რასაც ამტკიცებს ის, რომ იქ ხალხი ნებაყოფლობით ემორჩილება არსებულ წეს-წყობილებას და იქ ადგილი არ ჰქონია არც ერთ ისეთ აჯანყებას, რომლის ხსენება ღირდეს. არც ტირანიას ჰქონია იქ ადგილი.

ლაკონელების სისიტიებს შეესაბამება კართაგენელების ფიდიტიების კავშირი, ხოლო ლაკონელების ეფორების ნაცვლად კართაგენელებს აქვთ ორგანო ას ოთხის შემადგენლობით და ის არაა უარესი ეფორების ხელისუფლებაზე, რადგან ეფორებს ირჩევენ შემთხვევითი ხალხიდან, კართაგენში კი კეთილშობილი ადამიანებიდან. მეფისა და გერუსიას ანალოგიური კართაგენში არის მეფე და გერუსია, მაგრამ კართაგენელების უპირატესობა იმაშია, რომ აქ მეფეები არ ეკუთვნიან ერთსა და იმავე გვარს და არც შემთხვევითი ადამიანები არიან. კართაგენში ირჩევენ მათ არა წლოვანების, არამედ ღირსებების მიხედვით. ლაკედემონელებში გერონტებს, აქვთ რა მონიჭებული დიდი უფლებები, თუ ისინი არიან უმნიშვნელო ადამიანები, დიდი ზიანი მოაქვთ სახელმწიფოსათვის და უკვე მოუტანეს კიდეც ლაკონელებს.

რომ ადგილი აქვს გადახვევას სწორი სახელმწიფოებრივი წყობილებიდან, ეს ცხადია ყველა ზემოდასახელებული სახელმწიფოს მაგალითზე. არისტოკრატიული სახელმწიფოდან და რესპუბლიკიდან ერთნი იხრებიან უფრო დემოკრატიისაკენ, მეორენი - ოლიგარქიისაკენ. მეფეებს გერონტებთან შეთანხმებით გადაწყვეტილება ხან გამოაქვთ საერთო კრებაზე, ხან კი არა. თუ ისინი ვერ შეთანხმდნენ, მაშინ საკითხს ხალხი წყვეტს და თუ გააქვთ საკითხი სახალხო კრებაზე, გააქვთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოისმინონ ხელისუფლების თვალსაზრისი, არამედ იმი-

ტომაც, რომ გადაწყვეტილება გამოიტანონ. ამას გარდა, ვისაც კი სურს, შეუძლია გააკრიტიკოს ეს გადაწყვეტილება, რასაც სხვა სახელმწიფოებში არ ვხვდებით. პენტარქია[40], რომელსაც აქვს უფლება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისა, კოოპტაციის წესით ირჩევს როგორც თავის თავს, ისე ასის დიდ საბჭოს. გარდა ამისა, ისინი სათავეში უფრო დიდხანს რჩებიან და ხელმძღვანელობენ მაშინაც, როცა ვადა უკვე გაუვიდათ, ისე მაშინ, როცა მხოლოდ აპირებენ სათავეში ასვლას. ეს დამახასიათებელია ოლიგარქიული სახელმწიფოსთვის. ხოლო მუშაობა ხელფასის გარეშე და თანამდებობის მიღება არა კენჭის ყრით დამახასიათებელია არისტოკრატიული სახელმწიფოსთვის. ამას გარდა, კართაგენში ყველა საქმეს განიხილავს სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და არა სხვადასხვა პირები, როგორც ამას ადგილი აქვს ლაკედემონში. ამრიგად, კართაგენელების არისტოკრატიული სახელმწიფო უფრო მეტად ოლიგარქიულში გადაიზარდა შემდეგი მოსაზრებების გამო, რასაც უმრავლესობა იზიარებს: სახელმწიფოს მმართველნი (არქონტები) უნდა არჩეულ იქნან მხოლოდ კეთილშობილი წარმოშობის ნიშნით, არამედ სიმდიდრის ნიშნითაც, რადგან ღარიბებს არ შეუძლიათ არც კარგი ხელმძღვანელობა და არც თავისუფალი დრო აქვთ. თუ არჩევა ხდება სიმდიდრის ნიშნით, ეს ოლიგარქიისთვის არის დამახასიათებელი, თუ ზნეობის მიხედვით - არისტოკრატიულისთვის. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მესამე სახის წყობილებასთან და ეს არის კართაგენული წყობილება. ისინი ამ ორივე ნიშნით ირჩევენ დიდი თანამდებობის პირებს: მეფეებსა და მხედართმთავრებს.

უნდა აღინიშნოს კანონმდებლების შეცდომა, რაც მდგომარეობს არისტოკრატიულიდან გადახრაში. კანონმდებელი თავიდანვე ყურადღებას უნდა აქცევდეს იმას, რომ საუკეთესო ადამიანებს ჰქონდეთ თავისუფალი დრო და არ სჩადიოდნენ არავითარ უღირს საქციელს არა მხოლოდ სათავეში ყოფნისას, არამედ როგორც კერძო პირებიც. საჭიროა

[40] პენტარქია - ხუთის ხელისუფლება. წარმოსდგება ორი ბერძნული სიტყვიდან: „პენტა” - ხუთი, „არქია”- ხელისუფლება.

ყურადღების მიქცევა ქონებაზე თავისუფალი დროის მოპოვების მიზნით, მაგრამ ცუდია, როცა ისეთი მაღალი თანამდებობები, როგორიცაა მეფისა და სტრატეგის, შეიძლება შესყიდულ იქნას. ეს კანონი სიმდიდრეს ზნეობაზე უფრო მეტად პატივსაცემად ხდის და მთელ სახელმწიფოს კი ანგარებას აჩვევს, ხოლო რასაც პატივსაცემად თვლიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, იმასვე სთვლიან მოქალაქენი პატივსაცემად. სადაც ყველაზე მეტად პატიოსნება არ ფასობს, იქ არ იქნება მყარი არისტოკრატიული წეს-წყობილება. ლოგიკურია, რომ ისინი, რომლებიც თანამდებობას ფულით ყიდულობენ, ეჩვევიან ყველაფრიდან მოგების მიღებას, რადგან ისინი დანახარჯით არიან სათავეში მოხვედრილი. წარმოუდგენელია, რომ პატიოსან კაცს სურდეს აქედან მოგების მიღება, ხოლო ცუდ ადამიანს იმის აღებაც არ სურდეს, რაც დახარჯა. მაშასადამე, სახელმწიფოს უნდა მართავდეს ის, ვისაც შეუძლია კარგად მართავდეს მას. თუ კანონმდებელმა ვერ შესძლო დახმარებოდა პატიოსან ადამიანებს გაჭირვებაში, კარგი იქნებოდა, რომ მაღალი თანამდებობის პირებისათვის მაინც მიეცა თავისუფალი დრო.

ცუდია აგრეთვე ის, როდესაც ერთსა და იმავე ადამიანს აქვს რამდენიმე დიდი თანამდებობა, რასაც დიდი გასაქანი აქვს კართაგენში. ერთი ადამიანი კარგად გაუძღვება ერთ საქმეს, ამიტომ საჭიროა, რომ კანონმდებელმა ამას მიაქციოს ყურადღება და არ დაუშვას, რომ ერთი და იგივე ადამიანი სალამურზეც უკრავდეს და წაღებსაც კერავდეს. ამიტომ იქ, სადაც სახელმწიფო არაა პატარა, უფრო სწორი და უფრო დემოკრატიული იქნებოდა, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მიეღო მოსახლეობის მეტ რაოდენობას. ამ შემთხვევაში თითოეული ადამიანი თავის საქმეს უფრო კარგად და უფრო სწრაფად გააკეთებდა და საზოგადოებისთვის სასარგებლოც იქნებოდა. ეს ცხადია მეომრებსა და მეზღვაურებში, სადაც ყველაზე ერთნაირად ნაწილდება ხელმძღვანელობაცა და ქვეშევრდომობაც.

მართალია, კართაგენელების სახელმწიფო ოლიგარქიულია, მაგრამ ისინი მშვენივრად იცილებენ თავიდან ზედმეტ გამდიდრებას, რადგან

მოსახლეობის ქონების ნაწილს ყოველთვის უგზავნიან სხვა ქალაქებსაც. ამით ისინი ასწორებენ შეცდომას კანონებში და სახელმწიფოსაც უფრო მყარს ხდიან. მართალია, ყველაფერი დამოკიდებულია შემთხვევაზე, მაგრამ კანონმდებელი ვალდებულია თავიდან აიშოროს მოსახლეობის აჯანყება. ახლა რომ მოხდეს რაიმე უბედურება და ხალხი აღდგეს მმართველობის წინააღმდეგ, არ არსებობს არავითარი საშუალება მშვიდობის აღსადგენად.

ასეთია ის დადებითი, რაც ახასიათებს ლაკედემონელების, კრეტელებისა და კართაგენელების სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას.

თავი IX

ზოგნი, რომლებიც გამოთქვამენ თვალსაზრისს სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების შესახებ, სრულიად არ მონაწილეობენ პოლიტიკურ საქმიანობაში, არამედ ცხოვრობენ კერძო მოქალაქეებად. თუ კი რამ თქვეს მათ ღირებული სახელმწიფოზე, ჩვენ თითქმის ყველაფერი უკვე მოვიხსენეთ ზემოთ. იყვნენ ისეთი კანონმდებელნიც, რომლებიც მოღვაწეობდნენ თავის სახელმწიფოში, ზოგი კი უცხოეთში ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამათგან ზოგი კანონებსა ჰქმნიდა, ზოგი კი სახელმწიფო წეს-წყობილებასაც. მაგალითად, სოლონი და ლიკურგე მოღვაწეობდნენ როგორც კანონმდებლობაში, ისე სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასაც აყალიბებდნენ.

ლაკედემონელების შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. სოლონის შესახებ კი ამბობენ, რომ ის საუკეთესო კანონმდებელი იყო, მან მოსპო ოლიგარქია, რომელიც მმართველობის სუსტი ფორმა იყო, ბოლო მოუღო ხალხის მონობას და ჩამოაყალიბა დემოკრატია, შესანიშნავად შეურია რა ერთმანეთში მამა-პაპეული და რესპუბლიკური სახელმწიფოს კანონები. არეოპაგის საბჭო იყო ოლიგარქიული, სახელმწიფო ხელმძღვანელობის არჩევნები - არისტოკრატიული, ხოლო სასამართლო - დემოკრატიული. როგორც ჩანს, სოლონმა ყოველივე ადრე არსებული არ დაარღვია. მაგალითად, საბჭოს და სახელმწიფო ხელმძღვანელობის არჩევნები, ხოლო დემოკრატია განახორციელა იმით, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო სასამართლოში მონაწილეობის მიღება. ზოგი კი მას ჰკიცხავს იმიტომ, რომ გააუქმა ორივე ინსტიტუტი, ყველაზე მეტად გაძლიერა სასამართლო, რომლის შემადგენლობას კენჭისყრით ირჩევდნენ. როდესაც სასამართლო გაძლიერდა, მაშინ ხალხის, როგორც ტირანის წინაშე, დაიწყეს მლიქვნელობა და ამით სახელმწიფო იქცა ახლანდელ დემოკრატიად.

მაგრამ ეფიალტე და პერიკლე კი ამცირებდნენ არეოპაგის ძალას. პერიკლემ სასამართლოში სამსახურისათვის ხელფასიც კი შემოიღო. ამ-

რიგად, თითოეული დემაგოგი ზრდიდა დემოკრატიის ძალას მის თანამედროვე მდგომარეობამდე. როგორც ჩანს, ეს მოხდა არა სოლონის ჩანაფიქრის მიხედვით, არამედ შექმნილი მდგომარეობის გამო. ხალხმა მოიპოვა რა ზღვაზე ჰეგემონია სპარსელებთან ომში, გაამაყდა და ხელმძღვანელებად აიყვანა ცუდი ადამიანები, ნაცვლად პატიოსანი პოლიტიკოსებისა. როგორც ჩანს, სოლონმა ხალხს მისცა აუცილებელი უფლებები - სახელმწიფოს ხელმძღვანელების არჩევა და მათგან პასუხის მოთხოვნა. ამის გარეშე ხალხი მონურ მდგომარეობაში იქნებოდა და სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი. მაგრამ სოლონი ყოველ დიდ თანამდებობაზე ნიშნავდა ცნობილ და მდიდარ ადამიანებს დიდი მონათმფლობელებისაგან, ძევგიტებისაგან[41] და მესამე ფენიდან, ე.წ. მხედრების ფენიდან. მეოთხე იყო ღარიბთა ფენა, რომელიც სრულიად არ მონაწილეობდა მმართველობაში.

კანონმდებელნი იყვნენ აგრეთვე ზალევკე - ეპიზეფირულ ლოკრელებში, ქარონდე კატანელი[42] - თავის სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოებში, ქალკედონიის ქალაქებში, იტალიასა და სიცილიაში. ზოგნი ასახელებენ აგრეთვე ონომაკრიტს, რომელიც პირველი კანონმდებელი გახდა. იგი წარმოშობით ლოკრელი იყო, მაგრამ განათლება მიიღო კრეტაზე, სადაც იგი ცხოვრობდა და დაოსტატდა წინასწარმეტყველების ხელოვნებაში. იგი იყო ფალეტის ამხანაგი. ფალეტის მსმენელები იყვნენ ლიკურგე და ზალევკე, ხოლო ზალევკეს მსმენელი ყოფილა ქარონდე.

ფილოლაო კორინთელი იყო, თებელების კანონმდებელი. იგი წარმოშობით იყო ბაკხიდების გვარიდან, მას შეუყვარდა დიოკლე, რომელმაც გაიმარჯვა ოლიმპიურ შეჯიბრებაში. დიოკლემ დატოვა ქალაქი, რადგან უარყო თავისი დედის აკიონეს სიყვარული და წავიდა ქალაქ თებეში, სადაც ორივემ დაასრულა სიცოცხლე. ხალხი ახლაც აჩვენებს მათ საფლავებს. ერთი საფლავიდან მეორე კარგად ჩანს, მაგრამ კორინთის მიწა ერთი საფლავიდან კარგად მოჩანს, მეორედან კი არა. ჰყვებიან,

---

[41] ძევგიტი - მეომარი, რომელიც იბრძოდა ორცხენიანი ეტლით.

[42] ზალევკი და ქარონდე - ცნობილი ბერძენი კანონმდებლები.

რომ თვითონვე შეარჩიეს საფლავები ისე, რომ დიოკლეს საფლავიდან არ ყოფილიყო ხილვადი კორინთი, რომელიც მან შეიძულა, ფილოლაოს საფლავიდან კი დასანახი ყოფილიყო. ორივენი დასახლდნენ თებეში ზემოხსენებული მიზეზის გამო. ფილოლაო გახდა თებელების კანონმდებელი, მან შეადგინა კანონები, როგორც სხვა საკითხებზე, ისე შობადობის შესახებ. ამ კანონს თებელები უწოდებდნენ „შვილად აყვანის კანონს". ეს კანონი მან სპეციალურად შემოიღო, რათა სამემკვიდრო მიწების რაოდენობა არ გაზრდილიყო.

ქარონდეს კანონებში არაფერია ახალი, ცრუმოწმეების პასუხისგებაში მიცემის გარდა. მან პირველმა გასცა ბრძანება ამის შესახებ. თავისი კანონების სიზუსტით იგი თანამედროვე კანონმდებელთა შორისაც კი გამოირჩევა.

ფალესის კანონებში ახალია ქონების გათანაბრების პუნქტი, პლატონთან ახალია ქალების, ბავშვებისა და ქონების გაერთიანება და ქალთა სისიტიები, ასევე კანონი სიმთვრალის შესახებ, რომლის მიხედვით, ნადიმებს ხელმძღვანელობდნენ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები. მასვე ეკუთვნის სამხედრო ვარჯიშის მოწესრიგება. მოვარჯიშენი ერთნაირად უნდა ფლობდნენ ორივე ხელს. დაუშვებელია, რომ ერთი ხელი იყოს გავარჯიშებული, მეორე კი არა.

დრაკონტმა შემოიღო კანონები უკვე არსებული სახელმწიფო წყობილებისათვის. მასში ახალი არაფერი არაა, რომ ღირდეს მასზე ყურადღების შეჩერება, გარდა სასჯელის გამკაცრებისა და დამძიმებისა,

პიტაკე[43] იყო კანონმდებელი, მაგრამ არა სახელმწიფოსთვის. მან შემოიღო კანონი მთვრალების შესახებ, რომლებიც თუ ვინმეს სცემდნენ, უფრო მეტად უნდა დასჯილიყვნენ, ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში მყოფნი, რადგან მთვრალები მეტ უმსგავსობას სჩადიან, ვიდრე ფხიზლები. პიტაკე, ამრიგად, უფრო საზოგადოების სარგებლობაზე ფიქრობდა, ვიდრე მთვრალების შებრალებაზე.

---

[43] პიტაკე მიტილენელი, დაიბადა 651 წ. სახელმწიფოს სათავეში ედგა 579-569 წწ. ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი.

იყო აგრეთვე ანდროდამე რეგინელი - ქალკედონელების კანონმდებელი თრაკიაში. მისი კანონები ეხება მკვლელობასა და მემკვიდრე ქალებს. მაგრამ არავინ არ აღნიშნავს რაიმე ახალს მის კანონებში.

ამრიგად, ასეთი მეთოდით განვიხილეთ, როგორც არსებული სახელმწიფოები, ისე კანონმდებლების მიერ შედგენილი პროექტები.

წიგნი მესამე

თავი I

ის, ვინც იკვლევს ცალკეული სახელმწიფოთა არსსა და თვისებებს, მან, პირველ ყოვლისა, უნდა დაადგინოს, თუ რა არის ახელმწიფო. ამჟამად კი წარმოებს დავა იმის გამო, რომ ზოგის აზრით, მოქმედება ჩადენილია სახელმწიფოს მიერ, ზოგის აზრით კი, არა სახელმწიფოს, არამედ ოლიგარქის ან ტირანის მიერ. ყოველი პოლიტიკოსის ან კანონმდებლის მოქმედება ჩვენ მიგვაჩნია სახელმწიფოსთვის გამიზნულად. სახელმწიფოს კონსტიტუცია სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთათვის შედგენილი წესი.

სახელმწიფო კი, როგორც ყოველივე სხვა, არის მრავალი ნაწილისაგან შედგენილი მთელი. რადგან სახელმწიფო შესდგება მოქალაქეთა სიმრავლისაგან, ამიტომ პირველ რიგში უნდა ვიკვლიოთ, თუ ვინ არის მოქალაქე და ვის უნდა ვუწოდოთ ეს სახელი.

ამ საკითხზე ხშირად წარმოებს დავა, რადგან მოქალაქე ყველას ერთნაირად არ ესმის. ხშირად ის, ვინც დემოკრატიაში მოქალაქედ ითვლება, ოლიგარქიაში არ ითვლება მოქალაქედ. ჩვენ აქ არ შევეხებით საკითხს იმ მოქალაქეთა შესახებ, რომლებმაც მოქალაქის სახელი მიიღეს რაღაც სხვა გზით. მაგალითად, არსებობენ ნაწყალობევი მოქალაქენი. მოქალაქედ არ ითვლება არც ის, ვინც სახელმწიფოში მხოლოდ ცხოვრობს, მაგალითად, მეტეკები[44] და მონები, რომლებსაც აქვთ მოქალაქეებთან საერთო ადგილსამყოფელი. მოქალაქენი არ არიან არც ისინი, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლოში და იყვნენ ან მოსარჩლენი ან მოპასუხენი. ეს უფლება ეძლევათ უცხოელ მოქალაქეებსაც, თანახმად შეთანხმებისა, თუ ეს შეთანხმებაში იქნება აღნიშნული, მაგრამ მეტეკებს ბევრგან ეს უფლება საბოლოოდ არა აქვთ მიცემული. მათთვის

[44] მეტეკი - უცხოელი, სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი. მათ არ ჰქონდათ ათენელი მოქალაქეების უფლებები. ათენელ მოქალაქეებს შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ჰქონდათ მაღალი თანამდებობის მიღების, ათენელი ქალის შერთვის, უძრავი ქონების ფლობის, აგრეთვე მსხვერპლშეწირვების ჩატარების უფლება და სხვ.

აუცილებელია პროსტატის[45] აყვანა. ასე რომ, მეტეკების უფლებები სახელმწიფოში შეზღუდულია. ასევე ბავშვები არასრულწლოვანების გამო არ არიან შეტანილი მოქალაქეთა სიაში და მოხუცები, რომლებიც განთავისუფლებული არიან მოქალაქის მოვალეობებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ორივენი მოქალაქენი არიან, მაგრამ არა აბსოლუტური მნიშვნელობით, არამედ ერთს ვუმატებთ „არასრულწლოვანი", მეორეს - „მოწიფულობას გადასული", ანდა რაიმე სხვა ამდაგვარს. ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩვენი აზრი ისედაც გასაგებია, მაგრამ ჩვენ ვიკვლევთ მოქალაქის ნებას მისი აბსოლუტური მნიშვნელობით ისე, რომ მას არ დასჭირდეს არავითარი შესწორება, ეს კი საჭიროა, რადგან როგორც პატივაყრილ, ისე გაძევებულ მოქალაქეებს უჩნდებათ ხოლმე დაბრკოლებანი, რაც გადაწყვეტას მოითხოვს.

მოქალაქის ცნება იმაზე უკეთ ვერ განისაზღვრება, თუ არა სასამართლოსა და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლებით. ზოგი სახელმწიფოს მმართველი არჩეულია დროებით. ასე რომ, ერთსა და იმავე ადამიანს არ შეუძლია ხელმეორედ იმავე თანამდებობაზე დარჩენა, ან შეუძლია გარკვეული ვადის შემდეგ, ზოგი თანამდებობის ვადა კი განუსაზღვრელია, მაგალითად, სასამართლოს და სახალხო კრების მონაწილისა. მაგრამ ვინმეს შეიძლება ეთქვა, რომ ისინი არც სახელმწიფოს მმართველნი არიან და არც სახელმწიფოს გამგებლობაში მონაწილეობენ. განა სასაცილო არ იქნებოდა, რომ ყველაზე ძლიერი ადამიანები მოკლებული იყვნენ სახელმწიფოს მართვის უფლებას? მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ სახელწოდებაზე. არ არსებობს სასამართლოსა და სახალხო კრების მონაწილისათვის საერთო სახელი და ცნების განუსაზღვრელობის გამო განუსაზღვრელი რჩება მათი უფლებებიც. ამრიგად, ჩვენ მოქალაქეებად ვთვლით

[45] პროსტატი - მეტეკის მეურვე, რომელიც ასრულებდა შუამავლის როლს მეტეკსა და ხელისუფლებას შორის. პროსტატი უნდა ყოფილიყო სრულუფლებიანი მოქალაქე და ევალებოდა მეტეკის უფლებების დაცვა.

იმათ, რომლებიც ამ გზით მონაწილეობენ სახელმწიფოს მმართველობაში.

იმათთვის, ვისაც კი მოქალაქე ეწოდება, ყველაზე უფრო შესაფერისი იქნება ეს განსაზღვრება. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის, რომ სადაც სუბსტანციას აქვს სახეობრივი განსხვავებები, ამ განსხვავებებში ერთი იქნება პირველი, მეორე იქნება შემდეგი და სხვა. ამათ ან საერთოდ არა აქვთ ზოგადი ბუნება, ან სუსტად აქვთ განვითარებული. ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ზოგი მათგანი პირველია, ზოგი მომდევნო. მცდარი პოლიტიკური სისტემები, რომლებიც სწორი სახელმწიფოებრივი წყობილებიდან არიან გადახრილი, აუცილებლად დაბლა დგანან სწორ პოლიტიკურ სისტემებზე. თუ რას ვგულისხმობ სწორიდან გადახრაში, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი.

ცხადია, რომ მოქალაქენი ერთმანეთისგან განსხვავდებიან სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების შესაბამისად. მაშასადამე, მოქალაქის ცნება ყველაზე მეტად უდგება დემოკრატიულ სახელმწიფოში მცხოვრებთ, ის შეიძლება მიუდგეს სხვა სახელმწიფოს მცხოვრებთაც, მაგრამ ეს აუცილებელი არაა. ზოგ სახელმწიფოში ხალხს არა აქვს უფლებები, არც სახალხო კრებას იწვევენ, არამედ იწვევენ სენატს და სასამართლო საქმეების წარმოება დანაწილებული აქვთ. მაგალითად, ლაკედემონში საქმეებს ხელშეკრულებების შესახებ არჩევენ სხვადასხვა ეფორები, მკვლელობებს - გერონტები, ასევე სხვა საქმეებს - სხვა თანამდებობის პირები. მაგრამ ასე არაა კართაგენში, იქ სასამართლო საქმეებს გარკვეული პირები აწარმოებენ.

მაშასადამე, ჩვენი განსაზღვრება მოქალაქის შესახებ უნდა შესწორებულ იქნას. სხვა სახელმწიფოებში არაა გაურკვეველი სახალხო კრებისა და სასამართლოების ხელმძღვნელობა, არამედ ის დადგენილია ხელისუფლების მიერ. ამათგან ან ყველას, ან ზოგიერთს ეძლევა უფლება ყველა ან ზოგიერთი საქმის გარჩევისა და გადაწყვეტილების გამოტანისა. აქედან ცხადია, თუ ვინ არის მოქალაქე. მოქალაქეს ვუწოდებთ

იმას, ვისაც აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ამ სახელმწიფო სათათბირო და სამოსამართლო ორგანოებში და მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის ადამიანების ისეთი კავშირი, რაც საკმარისია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. პრაქტიკულად კი მოქალაქედ ითვლება ის, ვინც ორმხრივ, როგორც მამის, ისე დედის მხრივ არის მოქალაქე და არა მხოლოდ ერთის მხრივ, ზოგნი კი უფრო შორს მიდიან და მეორე ან მესამე თაობის წინაპრებში ეძებენ მოქალაქეობას. სახელმწიფოებრივი საკითხების ასეთი გადაწყვეტა იწვევს კითხვას, თუ როგორ უნდა დადგინდეს მესამე ან მეოთხე წინამორბედი თაობის მოქალაქეობა? გორგია ლეონტინელმა, რომელიც ასეთსავე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ირონიულად თქვა: „როგორც სანაყი გაკეთებულია ოსტატისაგან, ასევე ლარისელი - მისი შემოქმედისაგან", რადგან ზოგი ლარისელი იყო ლარისების[46] ოსტატი. საქმე კი სულ მარტივადაა. თუ კაცი მონაწილეობს სახელმწიფო მმართველობაში, ზემომოტანილი განსაზღვრების თანახმად, ის ამ სახელმწიფოს მოქალაქეა. მაგრამ შეუძლებელია ეს განსაზღვრება გავრცელდეს იმ მოქალაქე ქალზე ან კაცზე, რომელნიც იყვნენ პირველი დამაარსებლები და მოსახლენი ამ ქალაქისა.

უფრო მეტი დაბრკოლებები წარმოიშობა იმათ მიმართ, ვინც მოქალაქეობა მიიღო გადატრიალების შემდეგ, როგორც მოიქცა ტირანების გაძევების შემდეგ კლისთენე[47]. მან ბევრი უცხოელი და მონა-მეტეკი გაიყვანა ფილებში. აქ კამათი ეხება არა იმას, თუ ვინ არის მოქალაქე და ვინ არა, არამედ იმას, სამართლიანად თუ უსამართლოდ აქვს მას მიღებული მოქალაქეობა. მაგრამ თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ვიღაც არაა სამართლიანად მოქალაქე, მაშინ ეს არის უსამართლობა და სიყალბე. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ სახელმწიფო ხელმძღვანელს თანამდებობა მოპოვებული აქვს უსამართლო გზით და ჩვენ კი მას მმარ-

---

[46] ლარისა - ქალაქი თესალიაში. „ლარისელს" აქვს ორი მნიშვნელობა: ქ. ლარისის მცხოვრებისა და ლარისების ანუ ქოთნების მკეთებელი ოსტატისა.

[47] ტირანების გაძევება მოხდა 509 წ. ჩვ. წ.ა. კლისთენის რეფორმები ჩატარდა 508-507 წწ. ჩვ. წ.ა.

თველს ვუწოდებთ, რაც არაა სწორი. მოქალაქე კი დამოკიდებულია სახელმწიფო მმართველობისაგან, რადგან მოქალაქედ ითვლება სახელმწიფო მმართველობაში მონაწილე, როგორც უკვე ვთქვით. მაშ, მოქალაქენი ესენი არიან. მაგრამ რაც შეეხება თანამდებობას, სამართლიანად, თუ უსამართლოდ აქვს კაცს მოპოვებული, ეს დაკავშირებულია ზემოთქმულ სადავო საკითხთან.

დაბრკოლებას იწვევს აგრეთვე საკოთხი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ქმედება ჩადენილია სახელმწიფოს მიერ თუ არა, როდესაც ოლიგარქიიდან ან ტირანიიდან ხდება გადასვლა დემოკრატიაში? ამ დროს ზოგი უარს ამბობს ხელშეკრულების შესრულებაზე, რადგან ფიქრობს, რომ ეს ვალდებულება იკისრა არა სახელმწიფომ, არამედ ტირანმა და მრავალი სხვა ამდაგვარი. მაგალითად, მიუთითებენ იმაზეც, რომ ზოგი სახელმწიფო არსებობს ძალმომრეობისათვის, და არა ხალხის კეთილდღეობისათვის. მართალია, ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფო ასე ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ სახელმწიფოს მოქმედებები მაინც ითვლება სახელმწიფოებრივ მოქმედებებად ისევე, როგორ ოლიგარქიული ან ტირანიული სახელმწიფოსი.

ამ სიძნელესთან არის დაკავშირებული აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო იგივე დარჩა თუ არა, როცა მან სახე იცვალა? ამ საკითხის ყველაზე მარტივი გადაწყვეტა იქნება მოსახლეობისა და ტერიტორიის კელევა. შეიძლება მოხდეს ის, რომ ტერიტორია და ადამიანები ერთმანეთს დაშორდნენ, ერთნი გადასახლდნენ ერთ ადგილას, მეორენი მეორეგან, მაგრამ ეს დაბრკოლება ადვილი გადასაწყვეტია, რადგან სიტყვა „სახელმწიფო" მრავალი მნიშვნელობით იხმარება.

ეს გარემოება აიოლებს საკითხის კვლევას, ასევე თუ ადამიანები ერთსა და იმავე ადგილზე ცხოვრობენ, რა შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ეს იგივე სახელმწიფოა? აქ საქმე კედლებზე არაა დამოკიდებული, რადგან შეიძლებოდა პელოპონესის შემოღობვაც ერთი კედლით. იგივე ითქმის ბაბილონზე და სხვა ქალაქებზე, რომლებსაც აქეთ უფრო მეტად მოსახლეობის, ვიდრე ტერიტორიის აღწერა. როგორც ამბობენ, ბაბი-

ლონის აღების მესამე დღესაც კი ქალაქის ერთმა ნაწილმა არაფერი არ იცოდა ამის შესახებ. მაგრამ უკეთესი იყო ამ საკითხის კვლევა გადაგვედო სხვა დროისათვის. პოლიტიკურ მოღვაწეს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან საკითხი ქალაქის სიდიდის შესახებ, აგრეთვე რა უფრო საასარგებლოა, ერთი თუ მრავალი ტომის მოსახლეობა და რომელი ტომებისა? თუ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობს ერთი და იმავე ტომის ხალხი, მაშინ რა უნდა ითქვას, რომ სანამ ეს ტომი სახლობს ამ ტერიტორიაზე, სახელმწიფო იგივეა, თუ არა? თუმცა მასში განუწყვეტლივ ზოგი კვდება, ზოგი იბადება. როგორც მდინარეზე ვამბობთ, რომ იგივეა, თუმცა მასში წყალის ნაწილი ჩაედინება, ნაწილი კი გამოედინება, იქნებ უნდა ითქვას, რომ ადამიანები იგივე დარჩნენ, იმავე მიზეზით, სახელმწიფო კი შეიცვალა. თუ სახელმწიფო არის ერთგვარი კავშირი, ხოლო მოქალაქეთა კავშირი ჰქმნის სახელმწიფოს, მაშინ თუ სახელმწიფომ იცვალა სახე, ქალაქიც აუცილებლად სხვა იქნება და არა იგივე. როგორც გუნდი ხან კომიკურია, ხან ტრაგიკული, რის გამო ჩვენ ვამბობთ, რომ ის სხვაა, თუმცა ადამიანები იგივე დარჩნენ, ასევე კავშირებმა და გაერთიანებებმა თუ სახე იცვალეს, ისინი სხვა კავშირები და სხვა გაერთიანებები იქნებიან. ჰარმონიაზეც ვამბობთ, რომ ის ხან დროულია, ხან ფრიგიული, თუმცა ის ერთი და იგივე ბგერებისაგან შედგება. თუ ეს ასეა, მაშინ ქალაქებზეც უნდა ვიმსჯელოთ მისი კონსტიტუციის მიხედვით, ასევე სახელმწიფოზეც. სახელწოდებაც შეიძლება ვიხმაროთ იმისგან დამოუკიდებლად, ცხოვრობენ მასში იგივე, თუ სრულიად სხვა ადამიანები, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა მოვალეობის შესრულება ან არ შესრულება, როცა სახელმწიფო შეიცვალა, ან შეიცვალა მისი კონსტიტუცია, ეს სულ სხვა საკითხია.

თავი II

იმის შემდეგ, რაც ვთქვით, უნდა ვიკვლიოთ საკითხი იმის შესახებ, რომ ზნეობრივი ერთნაირად უნდა ეწოდოს როგორც კარგ ადამიანს, ისე კარგ მოქალაქეს, თუ არა? თუ გვინდა რომ ეს გავარკვიოთ, მაშინ, პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ ზოგადად, თუ ვინ არის კარგი მოქალაქე. რა დამოკიდებულებაშიც არის მეზღვაური მთელ ეკიპაჟთან, ასეთსავე დამოკიდებულებაშია მოქალაქე საზოგადოებასთან. მეზღვაურებს კი გემზე ერთნაირი უფლებები არა აქვთ. ერთი ნიჩბოსანია, მეორე - მესაჭე, მესამე - მესაჭის დამხმარე, სხვებს კი სხვა სახელწოდებები აქვთ. ამიტომ ცხადია, რომ თითოეულ მათგანს თავისი ზნეობა ექნება. ზოგადი განსაზღვრება კი ყველას ერთნაირად მიუდგება. ყოველი მეზღვაურის მიზანს შეადგენს ბედნიერი მგზავრობა, ამიტომ თითოეული მათგანი ამ მიზნისაკენ მიისწრაფვის. იგივე ითქმის მოქალაქეებზეც. თუმცა ისინი განსხვავებული არიან, მათი კავშირის მიზანია კეთილდღეობა. მათი კავშირი კი სახელმწიფოს წარმოადგენს. ამიტომ მოქალაქის ზნეობა სახელმწიფოზე არის დამოკიდებული.

რადგან სახელმწიფო წეს-წყობილება მრავალგვარია, ამიტომ ცხადია, რომ კარგი მოქალაქის ზნეობა ერთგვაროვანი არ იქნება. ჩვენ კი კარგ კაცს ვუწოდებთ იმ ადამიანს, თუ მას აქვს რომელიმე ერთი სრულყოფილი სათნოება. ცხადია, რომ შესაძლებელია ადამიანი იყოს კარგი მოქალაქე იმ სათნოების გარეშე, რომლის გამო ის კარგ კაცად ითვლება. მაგრამ მოქალაქის სათნოების შესახებ მოკამათენი მივიდნენ ამავე დასკვნამდე სხვა გზითაც. თუ შეუძლებელია, რომ სახელმწიფო მთლიანად კარგი მოქალაქეებისაგან შედგებოდეს, მაშინ საჭიროა, რომ თითოეული მოქალაქე კარგად ასრულებდეს თავის საქმეს. ეს კი დამოკიდებულია მის ზნეობაზე. მაგრამ რადგან ყველა მოქალაქე არ შეიძლება ერთნაირი იყოს, ამიტომ ერთი და იგივე არ იქნება მოქალაქის და ადამიანის ზნეობა. თუ სახელმწიფოში ყველა მოქალაქე კარგი იქნება, მაშინ სახელმწიფოც საუკეთესო იქნება, მაგრამ შეუძლებელია, რომ სა-

ხელმწიფოში ყველა ადამიანი კარგი იყოს, თუ არაა აუცილებელი, რომ კარგი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე კარგი ადამიანი იყოს.

სახელმწიფო შედგება განსხვავებული ნაწილებისაგან, როგორც ყოველი ცოცხალი არსება შედგება სულისა და სხეულისაგან. სული შედგება აზროვნებისა და ნებისყოფისაგან, ოჯახი შედგება მამაკაცისა და ქალისაგან, ქონება - ბატონისა და მონისაგან, სახელმწიფო კი მოიცავს ყოველივე ამას და კიდევ სხვა მოვლენებს. ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ ყველა მოქალაქის სათნოება ერთნაირი იყოს, როგორც ქოროში ქოროს ხელმძღვანელისა და მონაწილისა. აქედან ცხადია, რომ კარგი ადამიანის და კარგი მოქალაქის სათნოება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ იქნებ იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც ექნება როგორც კარგი კაცის, ისე კარგი სახელმწიფო მოღვაწის სათნოება? ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფოს კარგი ხელმძღვანელი უნდა იყოს სათნო და გონიერი. პოლიტიკოსი კი გონიერი უნდა იყოს. იმასაც ამბობენ, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელის აღზრდა თავიდანვე განსხვავებული უნდა იყოს. მაგალითად, მეფის ვაჟებს ასწავლიან ცხენოსნობას და საომარ ხელოვნებას. აკი ევრიპიდეც ამბობს: „მე არ მინდა მახვილგონიერება, არამედ ის, რაც სახელმწიფოს სჭირდება[48]“. იგულისხმება, რომ მეფეთათვის არსებობს სპეციფიკური სათნოება. კარგი მმართველისა და კარგი მოქალაქის სათნოება ერთი და იგივეა. მაგრამ რადგან მოქალაქე ქვეშევრდომია, ამიტომ მოქალაქისა და ადამიანის სათნოება ერთი და იგივე არ იქნება. ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ რომელიმე ერთ ადამიანზე. ხელმძღვანელი და მოქალაქე ერთი და იგივე არაა. ალბათ, ამიტომ თქვა იაზონმა, რომ შიმშილობს, როცა ტირანი არაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არ იცის, თუ როგორ უნდა იყოს ის ჩვეულებრივი მოქალაქე. საქებია ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია როგორც ხელმძღვანელობა, ისე მორჩილება და ვფიქრობთ, რომ მოქალაქის სათნოება უნდა იყოს, როგორც კარგად ხელმძღვანელობის, ისე მორჩილების თვისება. თუ კარგ ადამიანს უნდა შეეძლოს ხელმძღვანელობა, ხოლო მოქალაქეს უნდა ჰქონდეს

[48] ფრაგმენტი ევრიპიდეს დაკარგული ტრაგედიიდან „ეოლა”, ფრ. 17.

ორივე ეს თვისება, მაშინ ორივე ერთნაირად საქები ვერ იქნება. თუ მათი სათნოებები არაა ერთი და იგივე, მაშინ ქვეშევრდომმა და ხელმძღვანელმა ერთნაირი განათლება არ უნდა მიიღონ, ხოლო მოქალაქემ უნდა იცოდეს ორივე ეს საქმიანობა და მონაწილეობდეს ორივეში. ყოველივე ეს უფრო ნათელი გახდება მომდევნო მსჯელობიდან.

არსებობს ბატონის უფლება, რაც ეხება აუცილებელ სამუშაოებს და რომელთა შესრულება ბატონისათვის არაა სავალდებულო, მაგრამ ამ სამუშაოთა გამოყენება კი მას შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მონის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მე ვგულისხმობ ისეთ სამუშაოებს, რაც მსახურს შეეფერება. არსებობს მონის მრავალი სახეობა. რადგან სამუშაოების მრავალი სახეობა არსებობს. ამათგან ნაწილი ხელოსნებია. ესენი, როგორც მათი სახელწოდებაც მიგვანიშნებს, საკუთარი ხელით ირჩენენ თავს. მათ რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ხელოსანი-ოსტატები, ამიტომ ძველად ზოგიერთ სახელმწიფოში ხელოსნებს არ ჰქონდათ უფლება მიეღოთ მონაწილეობა მმართველობაში მანამ, სანამ არ შეიქმნა უკიდურესი დემოკრატია. ამიტომ დაქვემდებარებული ადამიანების საქმიანობას არ უნდა მისდევდეს არც კარგი პოლიტიკოსი, არც კარგი მოქალაქე, არც კარგი ადამიანი, თუ არა საკუთარი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა განსხვავება ბატონსა და მონას შორის. მაგრამ არსებობს ხელმძღვანელობა მსგავსი გვარისა და თანაც თავისუფალი ადამიანებისა. ჩვენ ამას ვუწოდებთ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ეს ხელმძღვანელობა კაცმა ისე უნდა შეისწავლოს, რომ გაიაროს ქვეშევრდომის მდგომარეობა. მაგალითად, ცხენოსნების ხელმძღვანელმა უნდა იმუშაოს ცხენოსნად, სარდალმა - რიგით ჯარისკაცად და შეისწავლოს ჯარის დიდი და პატარა რაზმის ხელმძღვანელობა. ამიტომ სწორადაა ნათქვამი, რომ ვერ იქნები კარგი ხელმძღვანელი, თუ არ გისწავლია ქვეშევრდომობა.

თითოეული მათგანის ზნეობა განსხვავებულია, მაგრამ კარგ მოქალაქეს უნდა შეეძლოს როგორც მორჩილება, ისე ხელმძღვანელობა. მო-

ქალაქის სათნოება სწორედ ესაა, რომ შეეძლოს თავისუფალი ადამიანების ხელმძღვანელობა და ქვეშევრდომობაც. ასეთივეა კარგი ადამიანის სათნოებაც, თუმცა ხელმძღვანელის და ქვეშევრდომის გონიერება და სამართლიანობა განსხვავებულია. თუ თავისუფალი ადამიანი ქვეშევრდომია, მას ერთი სახის სათნოება ექნება, კერძოდ, სამართლიანობა, მაგრამ მას ექნება სათნოების სხვადასხვა სახე, იმის და მიხედვით, არის ის ხელმძღვანელი თუ ქვეშევრდომი. მაგალითად, განსხვავდება მამაკაცისა და ქალის გონიერება და სიმამაცე. ვფიქრობთ, რომ თუ მამაკაცი იქნებოდა ისეთი მამაცი, როგორც მამაცი ქალი, ის მხდალი იქნებოდა, ხოლო ქალი გამოჩნდებოდა ყბედად, თუ ის იქნებოდა ისე მორიდებული, როგორც მამაკაცი. სახლის მეურნეობაშიც მათ განსხვავებული ვალდებულებები აქვთ: მამაკაცის საქმეა ქონების მოპოვება, ქალისა - მისი დაცვა და შენახვა.

გონიერება არის მხოლოდ ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისება. სხვა სათნოებები კი საერთო აქვთ ხელმძღვანელსა და ქვეშევრდომს. ქვეშევრდომს მოეთხოვება არა გონიერება, არამედ ჭეშმარიტი თვალსაზრისი. ქვეშევრდოში შეიძლება შევადაროთ სალამურის შემქმნელს, ხელმძღვანელი კი მასზე დამკვრელსა და მის გამომყენებელს.

აქედან ცხადი გახდა, ერთი და იგივეა თუ განსხვავებული კარგი ადამიანისა და კარგი მოქალაქის ზნეობა, და როგორ არიან ისინი იგივეობრივი ან განსხვავებული.

თავი III

მოქალაქის შესახებ გადასაწყვეტი დაგვრჩა კიდევ რამდენიმე საკითხი. მოქალაქედ ითვლება ის, ვინც მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში. ისმის კითხვა, ხელოსანიც უნდა მივაკუთვნოთ თუ არა მოქალაქეთა რიცხვს? მაგრამ თუ მათაც ჩავთლით მოქალაქეებად, მაშინ ყველა მოქალაქეს არ ექნება მოქალაქის სათნოება, რადგან ხელოსნებიც მოქალაქენი არიან. მაგრამ თუ ხელოსნები არ არიან მოქალაქენი, მაშინ რომელ კლასს უნდა მივაკუთვნოთ ისინი? ხელოსნები არ არიან არც მეტეკები, არც უცხოელები. იქნებ ამ მსჯელობიდან არ გამომდინარეობს არავითარი უაზრობა, რადგან არც მონები და არც მონობიდან განთავისუფლებულნი არ მოეკუთვნებიან ამ კლასებს. სწორია ის, რომ სახელმწიფოს მოქალაქეებად არ უნდა ჩაითვალონ ყველა ისინი, რომელთა გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია. ბავშვებიც მოქალაქენი არიან, მაგრამ არა იმ აზრით, როგორც მამაკაცები. მამაკაცები მოქალაქენი არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბავშვები კი მხოლოდ პირობითად, რადგან ისინი არასრულყოფილი მოქალაქენი არიან.

ძველ დროში ზოგ სახელმწიფოში ხელოსნებად ჰყავდათ მონები და უცხოელები. მათი დიდი ნაწილი ახლაც ამ მდგომარეობაშია. საუკეთესო სახელმწიფოში კი ხელოსნებს არ აძლევენ მოქალაქეობას. მაგრამ თუ ხელოსანიც მოქალაქეა, მაშინ ის სათნოება, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ყველას არა აქვს, აქვთ მხოლოდ თავისუფალ მოქალაქეებს, ისიც არა ყველას, არამედ იმათ, რომლებიც თავისუფალი არიან არსებობისათვის აუცილებელი შრომისაგან. ერთი ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ საარსებო საშუალებების მოსაპოვებელ სამუშაოებს ასრულებენ მონები, ხოლო საზოგადოებისათვის საჭირო საქმიანობას ეწევიან ხელოსნები და დღიურად დაქირავებული მუშები. თუ ოდნავ დავუფიქრდებით, ცხადი გახდება, თუ რა მდგომარეობაშია ეს ხალხი. მცირედი თვალის გადავლება ცხადყოფს ზემოთქმულს, რადგან ბევრია სახელმწიფოს ფორმები, ამიტომ ბევრია მოქალაქეთა სახეებიც, განსა-

კუთრებით ქვეშევრდომი მოქალაქეებისა. თუ ზოგ სახელმწიფოში ხელოსნები ისევე, როგორც დღიური დაქირავებული მუშები, მოქალაქეებად ითვლებიან, ზოგან ეს დაუშვებელია, მაგალითად, არისტოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც პატივსა სცემენ ღირსებასა და სათნოებას. ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ხელოსნის, ან დღიური დაქირავებული მუშის ცხოვრებით, ვერ შეეჩვევიან სათნოებას. ოლიგარქიული ტიპის სახელმწიფოში დღიური მუშები არ შეიძლება გახდნენ მოქალაქენი, რადგან სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში დაიშვებიან დიდი ქონების მფლობელნი. ხელოსნები შეიძლება გახდნენ მოქალაქენი, რადგან მრავალმა ხელოსანმა თავის ოსტატობით დიდი ქონება მოიპოვა, თებეში კი არსებობს ასეთი კანონი, რომ ვინც ათი წლის განმავლობაში არ ჩამოშორდებოდა ბაზარს, ვერ მიიღებდა მმართველობაში მონაწილეობას. ბევრ სახელმწიფოში კანონი მოქალაქეებად თვლის უცხოელებსაც კი. ზოგიერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, თუ დედა მოქალაქეა, შვილიც მოქალაქედ ითვლება, ბევრგან კი უკანონოდ შობილებს მოქალაქეებად აცხადებენ კეთილშობილი ადამიანების სიმცირის გამო. კანონების ასე გამოყენება დასაშვებია მოსახლეობის ნაკლებობის გამო. მოსახლეობის მომატებისთანავე თანდათან მოქალაქეებად დაიშვებიან მხოლოდ მოქალაქე დედის შვილები, ბოლოს მოქალაქეებად იღებენ ორივე მხრივ მოქალაქეების შვილებს. აქედან ცხადი ხდება, რომ მოქალაქის მრავალი სახეობა არსებობს და აგრეთვე ის, რომ მოქალაქე ძირითადად ეწოდება იმას, ვისაც სახელმწიფოში ყველა უფლებები აქვს და როგორც ჰომეროსი აბობს: „თითქოს ვიყავი ვინმე პატივაყრილი მოხეტიალე[49]". ხოლო ვისაც არ ჰქონდა მოქალაქის ყველა უფლება, ის მეტეკად ითვლებოდა. სადაც ეს ურთიერთობა მიჩქმალულია, ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი შეცდომაში შეიყვანონ.

აქედან ცხადია, ერთი და იგივეა თუ სხვადასხვა კარგი ადამიანი და პატიოსანი მოქალაქე. ზოგ სახელმწიფოში ეს ერთი და იგივეა, ზოგან კი სხვადასხვა. სადაც ეს ორი რამ იგივეობრივია, კარგი ადამიანი და კარგი

[49] „ილიადა", XII, 59, IX, 648.

მოქალაქეა ის, ვისაც აქვს ან შეიძლება ჰქონდეს უფლება დამოუკიდებ-
ლად ან სხვებთან ერთად იზრუნოს საზოგადოებრივ საქმეებზე.

თავი IV

განვსაზღვრეთ რა ყოველივე ეს, ახლა უნდა ვიკვლიოთ, რამდენი სახელმწიფოებრივი ფორმა უნდა დავუშვათ, ერთი თუ მრავალი. თუ მრავალი უნდა არსებობდეს, მაშინ უნდა გაირკვეს, როგორი უნდა იყვნენ ისინი, რამდენი და რით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სახელმწიფოში უმაღლეს თანამდებობებს აწესრიგებს კონსტიტუცია, მათ შორის, პირველ რიგში, ყველაზე ძირითად თანამდებობას. სახელმწიფოში ყველაზე უმაღლეს ძალას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელობა, სახელმწიფოს კი ხელმძღვანელობა აყალიბებს. მე ვგულისხმობ შემდეგს: დემოკრატიაში სახელმწიფოს ხელმძღვანელობა არის ხალხის ხელში, ოლიგარქიაში ის უმცირესობის ხელშია, ამიტომ ჩვენ მათ განსხვავებულ სახელმწიფოებრივ ფორმებად ვთვლით. იგივე უნდა ითქვას სხელმწიფოს სხვა ფორმების შესახებ.

პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, თუ რა მიზნით ჩამოყალიბდა სახელმწიფო და რამდენი სახის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა არსებობს როგორც ადამიანის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ჩვენი საუბრის დასაწყისში უკვე განვსაზღვრეთ სახლის მეურნეობა და აგრეთვე ბატონის უფლებები, ვთქვით აგრეთვე, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არის პოლიტიკური არსება. ამიტომ ის ადამიანებიც კი, რომლებსაც არ სჭირდებათ დახმარება, მაინც მიისწრაფიან თანაცხოვრებისაკენ. აქეთკენ მათ უბიძგებს აგრეთვე საერთო სარგებლობა, რადგან თითოეულს წილად ხვდება ხოლმე კარგი ცხოვრების სიკეთე. სწორედ ეს არის მიზანი, როგორც ყველასი ერთად, ისე თითოეულისა ცალ-ცალკე. ისინი მიისწრაფიან ერთად ცხოვრებისაკენ არსებობის შენარჩუნების მიზნით და მონაწილეობენ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რადგან თვით საცოცხლეში არის მოცემული სიკეთის რაღაც ნაწილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაბრკოლებები ბევრად ჭარბობს სიცოცხლის სიკეთეს. ადამიანთა უმრავლესობა იტანს მრავალ

უბედურებას, მიჯაჭვული სიცოცხლეზე, თითქოს მასში იყოს რაღაც ბედნიერება და ბუნებრივი სიტკბოება.

ხელისუფლების ფორმათა განსხვავება არ უნდა იყოს ძნელი. ჩვენ ამის შესახებ ხშირად გვითქვამს ეგზოტერიულ საუბრებში. სიმართლე რომ ითქვას, მონაზე ბატონობა ბუნებრივად სასარგებლოა როგორც ბატონისათვის, ისე მონისათვის, თუმცა ის უფრო ბატონისათვის არის სასარგებლო, მონისათვის კი მხოლოდ შემთხვევით. მონის გარდაცვალების შემთხვევაში ბატონს აღარავითარი უფლებები არა აქვს მონაზე. ბავშვებისა და ქალების ხელმძღვანელობას და საერთოდ, ოჯახის ხელმძღვანელობას ჩვენ ვუწოდეთ ოჯახის მეურნეობა (ეკონომია). იგი მიზნად ისახავს ან დაქვემდებარებულ პირთა, ან ორივე მხარის კეთილდღეობას, მაგრამ ის უფრო მეტად დაქვემდებარებულ პირთა კეთილდღეობას ისახავს მიზნად, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა ხელოვნებებში, მაგალითად მედიცინასა და სპორტში. შემთხვევით ის შეიძლება ხელმძღვანელის მიზანსაც ემსახურებოდეს, რადგან არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ სპორტის მასწავლებელი თვითონაც მონაწილეობდეს სპორტულ ვარჯიშობებში, ისევე, როგორც მესაჭე არის ერთ-ერთი მეზღვაურთაგანი. როგორც ვარჯიშის ხელმძღვანელის, ისევე მესაჭის მიზანს შეადგენს იმათი სიკეთე, ვისაც ისინი ხელმძღვანელობენ, მაგრამ როდესაც ისინი ერთდროულად ხდებიან დაქვემდებარებულიცა და ხელმძღვანელიც, მაშინ ისინი შემთხვევით იღებენ სარგებლობის ნაწილს, ერთის მხრივ, მესაჭე - მეზღვაური და მეორეს მხრივ, ვარჯიშის ხელმძღვანელი - მოვარჯიშე.

რაც შეეხება სახელმწიფოს მართვას, როდესაც სახელმწიფო ხელმძღვანელობს მოქალაქეების თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის პრინციპით, მაშინ სახელმწიფოს სათავეში ბუნებრივად რიგრიგობით ხვდებიან სხვადასხვა მოქალაქენი და თითოეული მათგანი მორიგეობით ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. როდესაც ვინმე, იყო რა სათავეში, ზრუნავდა სხვის სიკეთეზე, ასევე მოითხოვს, რომ სხვამ იზრუნოს მის სიკეთეზე. ახლა კი იმ სარგებლობის გამო, რაც გაერთიანე-

ბამ და სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ გამოიწვია, ყველას სურს სახელმწიფოს სათავეში განუწყვეტელი ყოფნა, თითქოს შეეძლოთ განუწყვეტლივ ჯანმრთელი იყვნენ, მაშინ, როდესაც ავადმყოფობისაკენ მიდრეკილება ხელმძღვანელებსაც აქვთ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მიისწრაფიან ხელისუფლების სათავეებისაკენ.

აქედან ცხადია, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადო სარგებლობას, აბსოლუტური სამართლიანობის თვალსაზრისით სწორი სახელმწიფოებრივი ფორმები არიან. ხოლო ის სახელმწიფოები, რომლებიც მხოლოდ ხელმძღვანელი პირების სარგებლობას ემსახურებიან, არასწორ სახელმწიფოებრივ ფორმებსა და სწორი სახელმწიფოებრივი წყობიდან გადახრას წარმოადგენენ. ესენი დესპოტური სახელმწიფოები არიან, თვით სახელმწიფო კი წარმოადგენს თავისუფალი ადამიანების კავშირს.

განვსაზღვრეთ რა ეს, ამის შემდეგ უნდა გავარკვიოთ, თუ რამდენი სახელმწიფოებრივი წყობა არსებობს, აქედან რამდენია სრულყოფილი, ანუ სწორი მმართველობის ფორმა, რომლებია ისინი? ამით ნათელი გახდება აგრეთვე სწორიდან გადახრილი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმებიც.

თავი V

სახელმწიფო და სახელმწიფოს მმართველობა ერთსა და იმავეს ნიშნავს, მაგრამ სახელმწიფოს მმართველობა არის უმაღლესი ძალა სახელმწიფოში. ძალაუფლება კი არის ან ერთის, ან უმცირესობის, ან უმრავლესობის ხელში. იქნება ძალაუფლება ერთის, უმცირესობის, თუ უმრავლესობის ხელში, თუ ის ზრუნავს საზოგადოების სარგებლობაზე, მაშ, ეს სახელმწიფო აუცილებლად ყოფილა სწორი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა, ხოლო სახელმწიფო, რომელიც ემსახურება ერთის, ან უმცირესობის, ან უმრავლესობის სარგებლობას, წარმოადგენს სწორი მმართველობის დამახინჯებას. ასეთ სახელმწიფოებში მცხოვრებნი ან აღარ არიან მოქალაქენი, ანდა ისინიც უნდა იღებდნენ წილს საერთო სარგებლობიდან.

იმ მონარქიულ სახელმწიფოს, რომელიც მიზნად ისახავს მთელი საზოგადოების სარგებლობას, ჩვენ ბაზილეიას ვუწოდებთ. უმცირესობის, მაგრამ ერთზე მეტის მმართველობას ჩვენ ვუწოდებთ არისტოკრატიას ან იმიტომ, რომ მას ხელმძღვანელობენ საუკეთესო ადამიანები, ანდა იმიტომ, რომ ისინი წარმართავენ სახელმწიფოსაც და მოქალაქეებსაც საუკეთესო მიზნისაკენ. ხოლო როდესაც უმრავლესობა ზრუნავს საზოგადო სარგებლობაზე, ასეთ სახელმწიფოს ყველა უწოდებს საერთო სახელს - პოლიტეიას. ასეთი დაყოფა გონივრულიცაა, რადგან შეიძლება ზნეობით გამოირჩეოდეს ან ერთი ადამიანი, ან უმცირესობა, მაგრამ ძნელია, რომ ყველას ყოველგვარი სათნოება ჰქონდეს. ეს უფრო სამხედრო საქმეშია შესაძლებელი, რადგან სამხედრო სათნოება უმრავლესობისთვის არის დამახასიათებელი. ასეთ სახელმწიფოში ძალაუფლება არის მეომრების ხელში და მმართველობაშიც ისინი მონაწილეობენ, რომლებსაც იარაღი აქვთ. გადახრები სახელმწიფოს ზემოთქმული ფორმებიდან შემდეგია: მონარქიიდან წარმოიშობა ტირანია[50], არის-

[50] ტირანია - იგივეა, რაც დიქტატურა. სახელმწიფოს ხელმძღვანელი სათავეში მოსულია ძალით და არა ხალხის ნება-სურვილით. ტირანია არის დესპოტური

ტოკრატიიდან - ოლიგარქია, პოლიტეადან - დემოკრატია. ტირანია იგივე მონარქიაა, რომელიც ემსახურება მხოლოდ ერთი მმართველის სარგებლობას, ოლიგარქი ემსახურება მდიდრებს, დემოკრატია კი - ღარიბების ინტერესებს. მაგრამ საერთო სარგებლობაზე არც ერთი ამ ფორმათაგანი არ ზრუნავს.

საჭიროა ცოტა უფრო ვრცლად ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფოს თითოეული ეს სახეობა, მაგრამ ამას თან ახლავს ერთგვარი სიძნელე, რადგან საკითხის განხილვა მეცნიერული და არა მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით, ნიშნავს იმას, რომ არ იქნას გამოტოვებული ან უყურადღებოდ დატოვებული არც ერთი დეტალი და თითოეულ მათგანზე გამოვლენილ იქნას ჭეშმარიტება.

როგორც უკვე ვთქვით, ტირანია არის მონარქია, მაგრამ საზოგადოების დესპოტური მართვა. ოლიგარქიაში ძალაუფლება ეკუთვნის მდიდრებს, დემოკრატიაში პირიქით, მართავენ არა სიმდიდრის მქონენი, არამედ ღარიბნი. პირველი დაბრკოლება, რაც თან ახლავს ამ განსაზღვრებას, არის შემდეგი; სახელმწიფოში ძალაუფლება არის მდიდრების ხელში, მაგრამ ისინი შეადგენენ უმრავლესობას, ხოლო დემოკრატია კი მაშინ არსებობს, როცა სახელმწიფოს მართავს უმრავლესობა. ასევე პირიქით, თუ ეს შეიძლება მოხდეს, ღარიბები არიან მცირერიცხოვანნი, შედარებით მდიდრებთან, მაგრამ ძალაუფლება არის ღარიბების ხელში. ჩვენ კი ვთქვით, რომ ოლიგარქიაში ძალაუფლება არის უმცირესობის ხელში. მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს შესახებ ჩვენი განსაზღვრებები სწორი არ ყოფილა. მაგრამ თუ ვინმე შეაერთებდა უმცირესობის სიმდიდრეს და უმრავლესობის სიღარიბეს, მიიღებდა ოლიგარქიის ასეთ განსაზღვრებას: ოლიგარქია არის სახელმწიფო, სადაც ძალაუფლება არის მცირერიცხოვანი მდიდრების ხელში, დემოკრატია კი არის სახელმწიფო, სადაც ძალაუფლება ეკუთვნის მრავალრიცხოვან ღარიბებს, მაგრამ ამას თან ახლავს სხვა სიძნელე. რა ვუ-

---

მმართველობა, როგორც დიქტატურა. საბერძნეთში არსებობდა VII-VI სს. ჩვენს ერამდე და შემდეგაც.

წოდოთ ახლახან დასახელებულ სახელმწიფოებს, რომელთაგან ერთში ძალაუფლება ეკუთვნის მდიდარ უმრავლესობას, მეორეში კი ღარიბ უმცირესობას? ამავე დროს ესენი არიან ძლიერი სახელმწიფოები და მათ გარდა, არ არსებობს სხვა სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება.

როგორც ჩანს, უნდა დავასკვნათ შემდეგი: ცხადია, რომ სახელმწიფოს მართავს უმცირესობა, თუ უმრავლესობა, ეს დემოკრატიის და ოლიგარქიის შემთხვევითი ნიშანია, რადგან ყველა სახელმწიფოში მდიდრები მცირერიცხოვანნი არიან, ღარიბები კი მრავალრიცხოვანი. მაშასადამე, ამ სახელმწიფოთა განსხვავების მთავარი მიზეზი ეს არაა. ის, რითაც დემოკრატია და ოლიგარქია განსხვავდება ერთმანეთისაგან - ეს არის სიმდიდრე და სიღარიბე. იქ, სადაც სახელმწიფოს მართავენ სიმდიდრის საფუძველზე, მმართველნი იქნებიან ბევრნი თუ ცოტანი, სულ ერთია, რადგან წეს- წყობილება მაინც ოლიგარქიული იქნება; სადაც მართავენ ღარიბები, იქ იქნება დემოკრატია, მაგრამ როგორც ვთქვით, ერთგან მართავს ბევრი, მეორეგან კი მცირე რაოდენობა ხალხისა. მდიდრები მცირერიცხოვანნი არიან, მაგრამ თავისუფლება ყველა მოქალაქეს აქვს, ამიტომაც ორივე მხარე იბრძვის მმართველობაში მოხვედრისათვის.

პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ დემოკრატიისა და ოლიგარქიის განმასხვავებელი ნიშნები და რა ითვლება სამართლიანად ოლიგარქიასა და დემოკრატიაში. სამართლიანობა ყველას თავისებურად ესმის და მიდიან გარკვეულ პუნქტამდე, მაგრამ რასაც ისინი სამართლიანობას უწოდებენ, არაა სამართლიანობა აბსოლუტური მნიშვნელობით. მაგალითად, ფიქრობდნენ, რომ სამართლიანობა უნდა იყოს თანასწორობა და ეს სწორიცაა, მაგრამ არა ყველასათვის, არამედ თანასწორთათვის. უთანასწორობაც სამართლიანობაა, და ეს სწორიცაა, - მაგრამ არა ყველასათვის, არამედ არათანასწორთათვის, მაგრამ მათ მხედველობიდან რჩებათ კითხვა „ვისთვის?” ამის მიზეზი კი ისაა, რომ ისინი განსჯიან თავის თავის მიხედვით, ხოლო უმრავლესობა თავის საქმეებში ცუდი მოსამართლეა. სამართლიანობა ნიშნავს ვინმესთვის

სამართლიანობას და იგი განსხვავდება ადამიანებისა და საგნების მიხედვით, როგორც ადრეცა ვთქვით „ეთიკაში". საგანთა შორის თანასწორობას ყველა ეთანხმება, ადამიანთა თანასწორობაზე კი დავობენ, ძირითადად, ახლახანს დასახელებული მიზეზების გამო, რომ კაცი თავის თავზე ცუდად მსჯელობს, შემდეგ იმის გამოც, რომ ორივე მხარე მსჯელობს სამართლიანობის ნაწილზე, მაგრამ ჰგონიათ, რომ მსჯელობენ აბსოლუტურ სამართლიანობაზე.

ზოგი კი ფიქრობს, რომ თუ ადამიანები რამეში უთანასწორო არიან, მაგალითად, ქონებაში, ისინი საერთოდ უთანასწორონი არიან. მეორენი კი აღნიშნავენ რა ადამიანთა თანასწორობას, მაგალითად, თავისუფლებაში, ჰგონიათ, რომ ისინი ყველაფერში თანასწორნი არიან. მაგრამ ყველაზე მთავარ მომენტზე კი არაფერს ამბობენ. ისინი, რომლებიც ქონების მოპოვების მიზნით დაუკავშირდნენ სახელმწიფოს და გაერთიანდნენ მასში, იმდენადვე მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, რამდენადაც მოგების მიღებაში. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება ოლიგარქიული მმართველობის ფორმასთან. არ იქნებოდა სამართლიანი, რომ ვინც 100 მნის საერთო ჯამში შეიტანა მხოლოდ ერთი მნა და ვინც შეიტანა დანარჩენი თანხა, იღებდნენ თანასწორ წილს, როგორც ძირითადი თანხიდან, ისე მოგებიდან. მაგრამ სახელმწიფო იქმნება არა მხოლოდ არსებობისათვის, არამედ უფრო მეტად ბედნიერი არსებობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მონებსა და ცხოველებსაც ექნებოდათ სახელმწიფო, მაგრამ ასეთი სახელმწიფო არ არსებობს, რადგან მათ არც ბედნიერება სურთ და არც სახელმწიფოს საკუთარი არჩევანით მოწყობა. სახელმწიფო არ შეიქმნება სამხედრო კავშირის სახით უსამართლობისაგან თავდასაცავად და არც გაცვლა-გამოცვლისა და ურთიერთდახმარებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ტირენელები და კართაგენელებიც და ყველა, რომლებსაც კი ერთმანეთში დადებული აქვთ ხელშეკრულება, იქცეოდნენ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებად. მათ შორის დადებული ხელშეკრულება კი ეხება საქონლის შემოტანას, აგრეთვე ერთიმეორის დაცვას უსამართლობისაგან და წერილობით ხელშეკრულე-

ბა აქვთ დადებული ურთიერთის სამხედრო დახმარებაზე. ყოველივე ამაში მათ ერთი ხელმძღვანელი არა ჰყავთ, არამედ თითოეულ მხარეს თავის ხელმძღვანელი ჰყავს, ისინი არ ზრუნავენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მეორე მხარე, არც იმაზე, რომ ხელშეკრულების დამდებმა რომელიმე მხარემ არ ჩაიდინოს რაიმე უზნეობა, არამედ ზრუნავენ მხოლოდ იმაზე, რომ ერთი მეორეს რაიმე უსამართლობა არ მიაყენონ. პოლიტიკურ სიკეთესა და ბოროტებაზე სახელმწიფოში ზრუნავენ ისინი, რომლებიც ზრუნავენ კანონიერების დაცვაზე. ცხადია ისიც, რომ ზნეობაზე იზრუნებს ის სახელმწიფო, რომელიც ჭეშმარიტად და არა მხოლოდ სიტყვით იწოდება სახელმწიფოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ურთიერთობა შეიძლება იქცეს სამხედრო კავშირად, რომელიც სხვა სამხედრო კავშირებისაგან მხოლოდ ტერიტორიით იქნება განსხვავებული.

კანონიც ხომ ერთგვარი ხელშეკრულებაა, როგორც ამბობდა სოფისტი ლიკოფრონე[51].

ის გარანტიაა ურთიერთსამართლიანი დამოკიდებულებისა და არა საშუალება მოქალაქეთა კეთილად და სამართლიანად აღზრდისა, რაც, ცხადია, სწორია. ვინმეს რომ შეეერთებინა მეგარელებისა და კორინთელების ქალაქის ტერიტორიები ისე, რომ მათი კედლები ერთმანეთს შეხებოდა, ერთ სახელმწიფოს მაინც ვერ მიიღებდა. ეს არ მოხდებოდა არც მაშინ, სახელმწიფოში ეპიგამია[52] რომ შემოეღოთ, რაც სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმაა. ერთი სახელმწიფო არ წარმოიშობოდა არც მაშინ, თუ ადამიანები დაშორებული იქნებოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ არა ისე ძალიან, რომ მათ შორის შეუძლებელი ყოფილიყო ყოველი კავშირი, მაგრამ მათ ექნებოდათ კანონი იმის შესახებ, რომ ერთმანეთის მიმართ უსამართლობა არ ჩაედინათ გაცვლა-გამოცვლის დროს. მაგალითად, თუ ერთი არის მშენებელი, მეორე - მიწათმოქმედი, მესამე - მეწაღე და ა.შ. მათი რიცხვი რომ ათი ათასი ყო-

[51] ლიკოფრონე უნდა იყოს სოფისტ გორგიას მოწაფე.

[52] ეპიგამია - ხელშეკრულება სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა ქორწინებაში შესვლის ნებართვის მესახებ.

ფილიყო, მათ ურთიერთშორის არ ექნებოდათ სხვა ურთიერთობა, გარდა გაცვლა-გამოცვლისა და სამხედრო კავშირისა, ამ შემთხვევაშიც ისინი ვერ შექმნიდნენ ერთ სახელმწიფოს. რა არის ამის მიზეზი? ყოველ შემთხვევაში, ამის მიზეზი არ არის ტერიტორიული სიშორე, რადგან ისინი ურთიერთობის დროს ერთმანეთს უახლოვდებიან, მაგრამ თითოეული მათგანი სარგებლობს საკუთარი სახლით, როგორც საკუთარი სახელმწიფოთი და ამრიგად, მათ ექნებოდათ სამხედრო მეგობრობა, რაც ითვალისწინებს ურთიერთდახმარებას მესამე მხარის თავდასხმის შემთხვევაში. თუ კარგად დავაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც ასე შეიქმნება სახელმწიფო, თუ ისინი ერთმანეთთან ისეთსავე ურთიერთობაში იქნებოდნენ, როგორც სახელმწიფოში გაერთიანებამდე. ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფო არ არის ტერიტორიის ერთიანობა და არც ხელშეკრულება, დადებული ურთიერთთავდაუსხმელობისა და გაცვლა- გამოცვლის შესახებ. ყოველივე ეს აუცილებლად იარსებებს, თუ იარსებებს სახელმწიფო, რადგან სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი, შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით. მაგრამ სახელმწიფო არ შეიქმნება არც მაშინ. თუ ადამიანები არ ცხოვრობენ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე და ურთიერთქორწინებაში ვერ შედიან. ამიტომ შეიქმნა ქალაქები, დანათესავება, მსხვერპლეწირვების დღესასწაულები, ძმობანი. ესაა მეგობრობის შედეგი, რადგან თანაცხოვრებას მეგობრები ირჩევენ. ამრიგად, სახელმწიფოს მიზანია ბედნიერი ცხოვრება და ყოველივე დანარჩენი ამ მიზანს ემსახურება.

სახელმწიფო არის გვარებისა და სოფლების კავშირი, შექმნილი სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრების მოპოვების მიზნით. ასეთი ცხოვრება კი, ჩვენის აზრით, არის ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრება. სახელმწიფო არსებობს მშვენიერი ცხოვრებისათვის და არა ადამიანთა თანაცხოვრებისათვის. ამიტომაც ისინი, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს სახელმწიფოს გაერთიანებას, უფრო მეტად არიან ღირსი იყვნენ სახელმწიფოს სათავეში, ვიდრე ისინი, რომლებიც არიან თავი-

სუფალნი, ან კეთილშობილი წარმოშობისა, ან მდიდარნი, ანდა სხვა უპირატესობათა მქონენი, მაგრამ რომლებიც მათზე დაბლა დგანან პოლიტიკური ან ზნეობრივი სათნოებით.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ყველა ისინი რომლებიც დავობენ სახელმწიფო საკითხებზე, მხოლოდ ნაწილობრივ არიან მართალი.

თავი VI

ძნელი გადასაწყვეტია აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება: ხალხს, მდიდრებს, პატიოსან ადამიანებს, ყველაზე ღირსეულს, თუ ტირანს? ყველა ამ კითხვას თან ახლავს სიძნელე, რატომ? განა უსამართლობა არ იქნებოდა, თუ ღარიბები, რომლებიც მრავალრიცხოვანნი არიან, გაინაწილებდნენ მდიდრების ქონებას? იტყვიან - „დიახ, ეს სწორია, რადგან ასე გადაწყვიტა უმაღლესმა ხელისუფლებამ". მაგრამ მაშინ რაღა იქნება უკიდურესი უსამართლობა? შემდეგ, თუ უმრავლესობა ყოველივეს მიიღებს და შემდეგ დაიწყებს უმცირესობის ქონების განაწილებას, ცხადია, ეს დაღუპავს სახელმწიფოს, მაგრამ სათნოება არ ღუპავს სათნო ადამიანს, არც სამართლიანობა ღუპავს სახელმწიფოს, მაშასადამე, ეს კანონი არაა სამართლიანი. ამას გარდა, ტირანის ყველა მოქმედება სამართლიანად უნდა ჩათვლილიყო, რადგან ის როგორც ძლიერი, ძალადობით მოქმედებს ისევე, როგორც ღარიბების უმრავლესობა მოქმედებს მდიდრების წინააღმდეგ. იქნებ სამართლიანი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს მართავდეს მდიდრების უმცირესობა? მაგრამ თუ ისინი ასევე მოიქცევიან, ქონებას დასტაცებენ და წაართმევენ უმრავლესობას, განა ეს სამართლიანი იქნება? არც ერთი ამ მოქმედებათაგანი არაა სწორი, რადგან ყოველივე ეს არის ცუდი და უსამართლო. იქნებ სახელმწიფოს უნდა მართავდნენ პატიოსანი ადამიანები და ყველაზე მეტი უფლებები მათ უნდა ჰქონდეთ? მაგრამ ეს აუცილებლად ნიშნავს იმას, რომ ყველა დანარჩენნი არ იქნებიან პატიცემული და არც მმართველობაში მონაწილეობის უფლება ექნებათ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სახელმწიფოს ხელმღვანელობა არის პატივსაცემი რამ და თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ერთსა და იმავე პირებს ექნებათ, მაშინ დანარჩენნი მოკლებული იქნებიან ამ პატივს.

იქნებ უკეთესი იყოს, რომ სახელმწიფოს მართავდეს ერთი, მაგრამ ყველაზე პატიოსანი ადამიანი? მაგრამ მმართველობის ეს ფორმა კიდევ

უფრო მეტად იქნება ოლიგარქიული, რადგან მოქალაქეების უმრავლესობა მოკლებული იქნება მმართველობაში მონაწილეობის უფლებას.

ასევე ვინმეს შეიძლება ეთქვა, რომ ცუდია, როცა ძლიერია ადამიანი და არა კანონი, რადგან ადამიანის სული ვნებების ზემოქმედებას განიცდის. დავუშვათ, რომ მიღებულია დემოკრატიული ან ოლიგარქიული კანონი. როგორ გადაწყვეტდა ის აღნიშნულ სიძნელეებს? შეიქმნებოდა ისეთივე მძიმე მდგომარეობა, რაც ზემოთ აღვნიშნეთ.

სხვა საკითხების შესახებ მსჯელობა ჩვენ სხვაგან გვექნება. რომ ძალაუფლება უნდა იყოს უფრო მოქალაქეთა უმრავლესობის ხელში, ვიდრე მცირერიცხოვანი არისტოკრატიისა, ეს უფრო სწორია, რადგან ისინი გადაწყვეტდნენ ზემოდასახელებულ სიძნელეებს. ხალხის სიმრავლეში თითოეული შეიძლება არ იყოს კარგი ადამიანი, მაგრამ ერთიანობაში ისინი შეიძლება უკეთესნი იყვნენ, ვიდრე ინდივიდუალურად. ისევე, როგორც საერთო ძალებით შექმნილი სადილი შეიძლება უკეთესი აღმოჩნდეს, ვიდრე ერთი ადამიანის დანახარჯით შექმნილი. არიან რა მრავალნი, თითოეულს აქვს ზნეობისა და გონიერების ნაწილი, ხოლო გაერთიანებულნი ისინი შეადგენენ თითქოს ერთ ადამიანს, რომელსაც ექნება ბევრი ფეხი და ხელი, აგრეთვე შეგრძნებები, ჩვევები და განსჯა. ამიტომაც ხალხის სიმრავლე უკეთ მსჯელობს როგორც მუსიკაზე, ისე პოეტურ შემოქმედებაზე. ზოგნი განსჯიან ერთ ნაწილს, ზოგნი მეორეს, ყველანი ერთად კი ყველაფერს. ხოლო პატიოსანი ადამიანები ისე განსხვავდებიან სიმრავლეში შემავალი დანარჩენი ადამიანებისაგან, როგორც მახინჯი მშვენიერისაგან და ხელოვნებით შექმნილი ნახატი ბუნებრივი მოვლენისაგან. ის, რაც ცალ-ცალკე გაფანტული იყო მშვენიერი, როცა შეერთდებიან, ზოგს აღმოაჩნდება ნახატზე უფრო ლამაზი თვალი, ზოგს კი სხვა ნაწილი. ძნელია იმის დადგენა, თუ ყველა ხალხსა და ყველა ერში რით განსხვავდება უმრავლესობა პატიოსანი უმცირესობისაგან. ვფიცავ ზევსს, რომ ამის დადგენა ზოგჯერ შეუძლებელია. და მართლაც, რით განსხვადება ზოგი ხალხი ცხოველებისაგან? შეიძლება ითქვას, რომ ეს ჭეშმარიტია ზოგიერთი ხალხის მიმართ. მაშასადამე,

ზემომოტანილი დაბრკოლება შეიძლება გადაწყვეტილიყო როგორც ასე, ისე მომდევნო მსჯელობითაც.

ვის მიმართ უნდა ჰქონდეთ ძალაუფლება თავისუფალ ადამიანებსა და მოქალაქეთა უმრავლესობას, თუ მათ არ გააჩნიათ არც სიმდიდრე, არც ღირსება და არც სხვა რაიმე სათნოება? მათი მმართველობაში დაშვება არაა უხიფათო, რადგან მათ არ გააჩნიათ არც სამართლიანობა და გონიერება, ამიტომ ისინი აუცილებლად ჩაიდენენ უსამათლობას და შეცდომებსაც დაუშვებენ. მეორეს მხრივ, საშიშია ხელისუფლებისაგან და მაღალი თანამდებობებიდან მათი სრული ჩამოცილება, რადგან მაშინ სახელმწიფოს მრავალი მტერი ეყოლება. ამიტომ რჩება ასეთი გამოსავალი: დავუშვათ ისინი სათათბიროში და სასამართლოში. სოლონი და ზოგიერთი სხვა პოლიტიკოსი მათ უშვებდნენ არქონტების ანგარიშგებაზე და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის არჩევნებზე, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ მაღალი თანამდებობის დაკავებაზე.

უმრავლესობას აქვს საკმარისი შეგრძნების უნარი და საუკეთესო ადამიანებთან შერეულნი, სარგებლობას მოუტანენ სახელმწიფოს, როგორც გაუსუფთავებელი საკვები სუფთასთან შერეული მთელ საკვებს უფრო სასარგებლოს ხდის, ვიდრე მცირე რაოდენობის სუფთა საკვები. ცალკეული ადამიანის განსჯა კი არ არის სრულყოფილი.

ამ წეს-წყობილებას თან ახლავს შემდეგი სიძნელე, რომ თითქოს სწორი განსჯა შეუძლია იმას, ვინც უკვე განკურნა ავადმყოფი დაავადებებისაგან, ეს კი შეუძლია ექიმს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა გამოცდილებისა და ხელოვნების შესახებ. ექიმსვე ევალება ჩააბაროს ანგარიში ამ საქმის მცოდნეთ. ასევე სხვა ხელოვნებაში. ექიმია ის, ვინც ეწევა საექიმო პრაქტიკას, ვინც ამ საქმეში დაოსტატებულია და ვინც შეისწავლა ეს ხელოვნება. ასეთი ადამიანები არსებობენ ე.წ. „ხელოვნებათა” ყველა სფეროში და ჩვენ მათ ვაძლევთ უფლებას იმსჯელონ იმათზე არა ნაკლებ, რომლებიც ამ სფეროში განსწავლული და მცოდნენი არიან.

არჩევნების დროს უნდა გამოყენებულ იქნას იგივე მეთოდი. სწორი არჩევანის წარმოება შეუძლიათ მცოდნე ადამიანებს, მაგალითად, მი-

წის მზომელს - მიწის მზომელის არჩევა, ნაოსნობის მცოდნეს - მესაჭის არჩევა, და თუ ზოგ საქმიანობასა და ხელოვნებაში უბრალო ადამიანებმა ზოგი რამ იციან, მათ მცოდნეებზე უფრო მეტი გავლენა მაინც არა აქვთ. ამ მსჯელობის საფუძველზე არ შეიძლება ხალხის მასას მიეცეს დიდი გასაქანი სახელმწიფოს მმართველობისა და მოსამართლეების არჩევნებში. ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებელია, ყოველივე ეს არ იყოს სწორი, მაგრამ თუ ხალხი ძალიან არაა დამონებული, თითოეული მათგანი ცალკე ცუდი მსაჯულია, ვიდრე მცოდნე, მაგრამ ყველანი ერთად ან უკეთესი არიან, ვიდრე მცოდნე ანდა მასზე უარესნი არ არიან. ზოგჯერ მხოლოდ მშენებელი ოსტატი არაა საუკეთესო მსაჯი იმათთან შედარებით, რომლებიც ხელობას არ ფლობენ. მაგალითად, სახლი იცის არა მხოლოდ იმან, ვინც ის ააგო, არამედ იცის იმანაც, ვინც მას იყენებს, ხოლო იყენებს მას სახლის პატრონი. ისევე როგორც საქმე უკეთ იცის მესაჭემ, ვიდრე მისმა ოსტატმა და ნადიმზე სტუმარი უკეთ მსჯელობს, ვიდრე მზარეული.

ვფიქრობთ, რომ ეს სიძნელე ვინმემ შეიძლება ამ გზით ადვილად გადაწყვიტოს, მაგრამ ამას მოსდევს სხვა სიძნელე. ვფიქრობთ, რომ უაზრობაა, რომ მნიშვნელოვან საქმეებში ცუდ ადამიანებს მეტი უფლებები მიეცეს, ვიდრე წესიერ ადამიანებს, რადგან დიდი საქმეა, როგორც მაღალი თანამდებობის პირთა არჩევნები, ისე მათი შემოწმება. ზოგი სახელმწიფო, როგორც უკვე ვთქვით, ამ საქმეს ხალხს ანდობს, რადგან ამგვარ საქმეებში სახალხო კრებას აქვს გადმწყვეტი მნიშვნელობა. სახალხო კრებაში კი მონაწილეობენ, თათბირობენ და ასამართლებენ ნაკლები ქონების მქონე ადამიანები, თანაც ნებისმიერი ასაკისა, ხოლო ფინანსურ და სამხედრო საქმეს, აგრეთვე სახელმწიფო ხელმძღვანელობას კი აწარმოებენ დიდი ქონების მფლობელნი. ასევე შეიძლება გადაწყდეს სხვა სიძნელეც და ეს სწორი იქნება, რადგან არც მოსამართლე, არც საბჭოს წევრი და არც სახალხო კრების მონაწილე არ წარმოადგენენ ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლებას წარმოადგენს სასამართლო, საბჭო და ხალხი. ხოლო დასახელებული პირები ამ დაწესებულებების ნაწილი

არიან. მე მხედველობაში მაქვს საბჭოს, სახალხო კრებისა და სასამართლოს წევრები. ასე რომ, სამართლიანი იქნება, თუ ყველაზე მეტი ძალაუფლება ხალხს ექნება, ხოლო ხალხიც, საბჭოცა და სასამართლოც შედგება მრავალი ადამიანისაგან, მაგრამ ყველაზე მეტი ქონება აქვთ სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, იქნება ეს ცალკე აღებული პიროვნება, თუ ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფი.

ეს საკითხი ასე უნდა გადაწყდეს. ზემოთ დასახელებული სიძნელე კი ცხადყოფს, რომ უმაღლესი ხელისუფლება სახელმწიფოში სხვას არავის არ უნდა ეკუთვნოდეს, სწორად შედგენილი კანონების გარდა. ხოლო სახელმწიფო ხელმძღვანელს, იქნება ის ერთი, თუ მრავალი, ძალაუფლება აქვს იქ, სადაც კანონები არ განსაზღვრავენ რაიმე მოვლენას, რადგან ადვილი არაა ყველა საკითხის ნათელყოფა ზოგადი მსჯელობით. მაგრამ თუ როგორი უნდა იყოს სწორად შედგენილი კანონი, არსად არაა გარკვეული. ამას გარდა, რჩება გადასაწყვეტი ზემოთ დასახელებული სიძნელე. თუმცა როგორც სახელმწიფო წეს-წყობილება, ისე კანონები, შეიძლება იყოს კარგიცა და ცუდიც, სამართლიანიცა და უსამართლოც. ცხადია ის, რომ კანონები უნდა შეესაბამებოდნენ სახელმწიფო წეს-წყობილებას და თუ ეს ასეა, მაშინ წესიერ სახელმწიფოში კანონები სამართლიანი იქნება და დამახინჯებულ სახელმწიფოებში კანონები სამართლიანი არ იქნება.

თავი VII

რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მაშინ მათ შორის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სფეროს მიზანი იგივე იქნება, ასეთი სფერო კი არის პოლიტიკა. პოლიტიკაში კი სიკეთე არის სამართლიანობა, ხოლო სამართლიანობა არის სასარგებლო მთელი საზოგადოებისათვის. ზოგი ფიქრობს, რომ სამართლიანობა არის ყველას თანასწორობა, რაც ერთგვარად ეთანხმება იმ ფილოსოფიურ მსჯელობას, რაც მოცემულია ეთიკური ცნების განსაზღვრებაში. რა არის ან ვის ეხება სამართლიანობა? ისინი ფიქრობენ, რომ სამართლიანობა არის თანასწორი ადამიანებისათვის თანასწორი წილის მიცემა. მაგრამ არ უნდა დარჩეს აუხსნელი, თუ რა არის თანასწორობა და უთანასწორობა. ეს საკითხი დგას აგრეთვე პოლიტიკის ფილოსოფიაში. ზოგი ამბობს, რომ ხელმძღვანელი თანამდებობები თანასწორად არ უნდა განაწილდეს, არამედ უნდა მიეცეს იმას, ვისაც ჭარბად აქვთ სიკეთე, თუნდაც ყველა სხვა თვისებით არ განსხვავდებოდეს და დანარჩენი ადამიანების მსგავსი იყოს. ამ შემთხვევაში მას ექნებოდა განსხვავებული უფლებები და ღირსებები. თუ ეს სწორია, მაშინ ფერის, სიმაღლის ან სხვა ნებისმიერი სიკეთის მიხედვით იქნება განსხვავებული პოლიტიკოსის უფლებები და უპირატესობანი. მაგრამ იქნებ ყოველივე ეს სიცრუეა? ეს ცხადი გახდება სხვა მეცნიერებისა და ხელოვნების განხილვის შემდეგ. თუ ფლეიტისტებში ვინმე უკეთეს ფლეიტას მისცემს იმ დამკვრელს, რომელიც სხვებზე უკეთესია წარმოშობით, ამით ის უკეთესი ფლეიტისტი ვერ გახდება. ამიტომ უკეთესი ინსტრუმენტი უნდა მიეცეს იმას, ვინც უკეთ უკრავს. თუ ჩვენი ნათქვამი ნათელი არაა, ის უფრო ცხადი გახდება მომდევნო მსჯელობით. დავუშვათ, რომ რომელიმე მოქალაქე არის კარგი ფლეიტისტი და ამით სჯობს სხვებს, მაგრამ ჩამორჩება მათ კეთილშობილი წარმოშობით და სილამაზით. თითოეული მათგანის სიკეთე სჭარბობს ფლეიტაზე კარგ დაკვრას (მე ვგულისხმობ კეთილშობილ წარმოშობას და სილამაზეს) და ისინი ბევრად სჯობიან ფლეიტისტს, ვიდრე ეს

თავისი ხელოვნებით მათ. მიუხედავად ამისა, ფლეიტა უნდა მიეცეს მაინც საუკეთესო ფლეიტისტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მუსიკაში უპირატესობა უნდა ჰქონოდა სიმდიდრესა და კეთილშობილებას, მაგრამ ამას მუსიკაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამას გარდა, ნებისმიერი სიკეთე შეიძლება შეგვედარებინა სხვა სიკეთისათვის და თუ სიმაღლე არის რაღაც უპირატესობა, მაშინ ის შეიძლება შეგვედარებინა სიმდიდრისა და თავისუფლებისათვის. თუ ერთი ადამიანი გამოირჩევა სიმაღლით, მეორე სათნოებით და თუ სიმაღლეს სათნოება ბევრად სჯობს, მაშ შესაძლებელი ყოფილა ყოველივეს შედარება ყოველივესთან. თუ ერთი უფრო მაღალია, ვიდრე მეორე, ცხადია, რომ იარსებებს მესამე სიდიდე, რომელიც როგორღაც მათი თანასწორი იქნება. და თუ ეს დაუშვებელია, მაშინ, ცხადია, რომ პოლიტიკაშიც გონივრული იქნებოდა, თუ ხელმძღვანელები არ იდავებდნენ ყოველგვარ უთანასწორობაზე. თუ ერთნი უფრო ნელნი არიან, მეორენი უფრო ჩქარნი, ამის გამო პოლიტიკაში მეორეთ უფრო მეტი უფლებები არ უნდა ჰქონდეთ, ვიდრე პირველთ. სპორტულ ვარჯიშობებში ამას მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოში კი დავა უნდა წარმოებდეს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილთა შორის. მაშასადამე, გონივრული იქნებოდა, თუ სახელმწიფოში პატივისცემას მოითხოვდნენ კეთილშობილნი, მდიდრები და თავისუფალნი. სახელმწიფოში უნდა იყვნენ ისინიც, რომელნიც გადასახადს იხდიან და ისინიც, რომელნიც თავისუფალნი არიან, რადგან სახელმწიფო არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ღარიბებისა და მონებისაგან. ამრიგად, სახელმწიფოში საჭიროა სამართლიანობაცა და პოლიტიკური ზნეობაც. პირველი პირობის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა, მეორე პირობის გარეშე კი შეუძლებელია მშვენიერი ცხოვრება.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოსათვის საჭიროა ან ყველა, ან ზოგი ამ პირობათაგანი, ხოლო კარგი ცხოვრებისათვის მართებული იქნებოდა აღზრდა და უფრო მეტად ზნეობრიობის არსებობა. როგორც ადრეც ითქვა. არ შეიძლება, რომ ერთი რამით თანასწორნი ყველაფერში თანას-

წორნი იყვნენ და არც ერთ რამეში არათანასწორნი - ყველაფერში არა-თანასწორნი, რადგან ყოველივე ეს არის გადახვევა სწორი სახელმწი-ფოებრივი ფორმიდან.

ადრეც ითქვა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობაზე პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს ყველას, რაც ერთის მხრივ სწორია. მაგრამ აბსოლუ-ტური თვალსაზრისით ყველას პრეტენზია არ არის მართებული. მაგა-ლითად, მდიდრები ამტკიცებდნენ, რომ მიწის მეტი ნაწილი მათ ეკუთ-ვნით, მაშინ როდესაც მიწა საერთო საკუთრებაა, თუმცა მდიდრები მი-უთითებენ იმასაც, რომ ისინი საიმედონი არიან ვალდებულებების შეს-რულებაში. თავისუფალი მოქალაქენი და კეთილშობილნი კი ამტკიცე-ბენ, რომ ისინი ერთმანეთთან ახლოს დგანან, მაგრამ კეთილშობილნი უფრო მეტად არიან მოქალაქენი, ვიდრე არაკეთილშობილნი. კეთილ-შობილება კი ყველგან პატივისცემას იმსახურებს. ამას გარდა, უკეთესი მშობლებიდან წარმოშობილნი უკეთესნიც არიან. კეთილშობილება კი არის სათნოება, რომელიც გვარს ახასიათებს. ასევე ჩვენ ვიტყოდით, რომ სწორია პრეტენზიები სამართლიანობაზე, რადგან სამართლიანო-ბა არის საერთო სათნოება, რომელსაც მისდევენ დანარჩენი სათნოება-ნი. ასევე სამართლიანია უმრავლესობის პრეტენზიები უმცირესობის მიმართ, რადგან უმრავლესობა, შედარებით უმცირესობასთან, არის როგორც ძლიერი, ისე უფრო მდიდარი და უკეთესი.

თუ ყველა ესენი, მე ვგულისხმობ კარგ ადამიანებს, მდიდრებსა და კეთილშობილთ, აგრეთვე მოქალაქეების მასა, იქნებოდნენ ერთ სახელ-მწიფოში, მაშინ წარმოიშობოდა თუ არა დავა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს? საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მართავ-დეს სახელმწიფოს, უნდა გადაწყდეს სახელმწიფოს ფორმათა შესაბამი-სად, რადგან სახელმწიფოები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთი-საგან: ზოგ სახელმწიფოს მართავენ მდიდრები, ზოგს პატიოსანი ადა-მიანები. ასევეა სხვა სახელმწიფოებშიც, მაგრამ კითხვა ეხება იმას, თუ ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს, როცა ისინი ყველანი ერთად არსე-ბობენ?

თუ პატიოსანი ადამიანების რიცხვი ყველგან ძალიან ცოტაა, მაშინ რა გზას უნდა დავადგეთ? უმცირესობის უნარი საქმით უნდა შემოწმდეს, შეუძლიათ თუ არა მათ სახელმწიფოს მართვა, თუ მათი რიცხვი იმდენი უნდა იყოს, რომ მათ ცალკე სახელმწიფო უნდა შეადგინონ? რთულია აგრეთვე კითხვა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის სახელმწიფოებრივი პატივი, რაზეც ყველა დავობს. სავარაუდოა, რომ არ იქნებოდა მართებული, რომ სახელმწიფოს მდიდრები მართავდნენ, ან წარმოშობით კეთილშობილნი. ცხადია, რომ გამოჩნდებოდა ვინმე ყველაზე მდიდარი, მას უნდა ემართა სახელმწიფო, ანდა იმას, ვინც თავისი კეთილშობილებით სჯობდა სხვებს. იგივე შედეგებს მივიღებდით არისტოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც საჭიროებას ემყარება. თუ იქ ვინმე პატიოსანი კაცი გამოჩნდებოდა, საუკეთესო იმათ შორის, რომლებიც პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევიან, მაშინ მას უნდა ეკუთვნოდეს ყველაზე მეტი უფლებები. ასევე თუ ხალხი არის უფრო ძლიერი, ვიდრე უმცირესობა და თუ მათში აღმოჩნდებოდა ან ერთი, ან ერთზე მეტი, მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე მთელი ხალხი და ისინი იქნებიან ყველაზე ძლიერი, მათ უნდა ეკუთვნოდეთ უმაღლესი ხელისუფლება და არა უმრავლესობას. აქედან ცხადია, რომ არც ერთი ამათგანი არაა სწორი, ვინც კი აცხადებს პრეტენზიას სახელმწიფოს მართვაზე და დანარჩენის მორჩილებაზე. ხალხის მასას შეიძლება ეთქვა სავსებით სამართლიანად, როგორც იმათთვის, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოს მართვას თავისი სათნოების გამო, ისე იმათთვის, რომლებიც თავის სიმდიდრეს ემყარებიან, რომ არაფერი არ აბრკოლებს იმას, რომ ზოგჯერ უმრავლესობა სჯობდეს მდიდრების უმცირესობას, ოღონდ არა ინდივიდუალურად, არამედ მთლიანობაში.

იმ საკითხზე, რომელსაც იკვლევენ და რომელზეც დავობენ, შეიძლება პასუხის გაცემა ზემოთქმულის შესაბამისად. კითხვა ეხება იმას, რომ კანონმდებელი, რომელსაც სურს სამართლიანი კანონების შემოღება, რას უნდა ემყარებოდეს, უკეთესი ადამიანების, თუ უმრავლესობის სარგებლობას? საკითხის სწორი გადაწყვეტა იქნებოდა თანასწორობის

დაშვება, ხოლო თანასწორობა გულისხმობს მთელი სახელმწიფოს და ყველა მოქალაქის სარგებლობას. მოქალაქე კი არის ის, ვინც მონაწილეობს როგორც სახელმწიფოს მართვაში, ისე ქვეშევრდომობაში, მაგრამ მოქალაქის აზრი იცვლება სახელმწიფოების განსხვავების შესაბამისად. საუკეთესო სახელმწიფოში მოქალაქეა ის, ვისაც აქვს უფლება თავისი სურვილის მიხედვით მონაწილეობდეს მმართველობაშიც და ქვეშევრდომობაშიც ისეთი ცხოვრების მისაღწევად, რაც ზნეობას შეესაბამება.

თავი VIII

ისინი, იქნება ის ერთი თუ მრავალი, მაგრამ არა ისე ბევრი, რომ მთელი სახელმწიფო შეედგინათ, რომლებიც ისე სჯობიან სხვებს, რომ სხვები მათ ვერ შეედრებიან ვერც სათნოებით და ვერც სახელმწიფოს მართვის უნარით, ისინი არ ჩაითვლებიან სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად. ამიტომ უსამართლობას ჩაიდენდნენ ისინი, რომლებიც მათ გაუთანაბრებდნენ სხვებს, რომლებთანაც ისინი თანასწორნი არ არიან არც სათნოებითა და არც პოლიტიკური მოღვაწეობის უნარით. ასეთი ადამიანი, როგორც ღმერთი, ისე არსებობს ადამიანთა შორის. აქედან ცხადია, რომ კანონმდებლობა საჭიროა წარმოშობითა და უნარით თანასწორ ადამიანთათვის. ზემოხსესებულ ადამიანებს კი კანონი არ სჭირდებათ, რადგან ისინი თვითონ არიან კანონი და სასაცილო იქნებოდა ის კაცი, ვინც შეეცდებოდა მათთვის კანონის მიყენებას. მათ იგივე შეეძლოთ ეთქვათ, რაც ანტისთენეს მიხედვით[53], ლომებმა უთხრეს კურდღლებს, რომლებიც კრებაზე სიტყვით გამოდიოდნენ და ყველას გათანასწორებას მოითხოვდნენ. ამავე მიზეზით დემოკრატიული ქალაქები აწესებენ ოსტრაკიზმს[54], ფიქრობენ რა, რომ ამყარებენ თანასწორობას. იმათ, რომლებიც სხვებს სჯობდნენ ან ქონებით, ან მეგობრების სიმრავლით, ან სხვა რაიმე პოლიტიკური უპირატესობით, ოსტრაკიზმის წესით გარკვეული ვადით აძევებდნენ სახელმწიფოდან, როგორც მითშია მოყოლილი. არგონავტებმა იმავე მიზეზით დატოვეს ჰერაკლე, რადგან ის მათ ბევრად სჭარბობდა წონით. ამიტომ არც ისინი, რომლებიც კიცხავენ ტირანიას და არც ეს რჩევა, რომელიც მისცა პერიანდრემ თრაზიბუ-

[53] ანტისთენე - V-IV სს. ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, კინიკური სკოლის დამაარსებელი.

[54] ოსტრაკიზმი - კანონი, რომლის საფუძველზე სახელმწიფოს მეთაურს შეეძლო სახელმწიფოდან გაეძევებინა ან სიკვდილით დაესაჯა ის მოქალაქენი, რომლებსაც სხვებთან შედარებით რაიმე უპირატესობა ჰქონდათ.

ლეს[55], არ შეიძლება სწორი იყოს. როგორც გადმოგვცემენ, პერიანდრემ არაფერი არ უთხრა მასთან რჩევისათვის გამოგზავნილ შიკრიკს, მაგრამ დაიწყო ყანაში მაღალი თავთავების ამოგლეჯა და ასე გაათანასწორა ყანა. შიკრიკმა ვერაფერი ვერ გაიგო, მაგრამ თრაზიბულეს კი შეატყობინა მომხდარის შესახებ. თრაზიბულემ კი გაიგო ისე, რომ საჭიროა გამოჩენილი ადამიანების მოსპობა, რაც მომგებიანია არა მარტო ტირანებისათვის და ამას სჩადიან არა მხოლოდ ტირანები, არამედ ოლიგარქიაშიც და დემოკრატიაშიც. ოსტრაკიზმის მიზანია ხელი შეუშალონ გამოჩენილ ადამიანებს მოქმედებაში გაძევების საშუალებით. ასევე ექცევიან ქალაქებსა და ერებს ძლიერი სახელმწიფოები. მაგალითად, ათენელები ასე ექცევიან ლესბოსელებს, ქიოსელებსა და სამოსელებს, რადგან მათ ძლიერი მმართველობა აქვთ, ამით ასუსტებენ ამ ქალაქებს, მიუხედავად მათ შორის დადებული ხელშეკრულებისა. ამიტომაც სპარსეთის მეფე მიდილიებს, ბაბილონელებსა და სხვა ტომებს ხშირად ესხმოდა ხოლმე თავს, რადგან ისინი ძალიან ამაყობდნენ იმით, რომ ოდესღაც გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდათ.

ეს პრობლემა, საერთოდ, ყველა სახელმწიფოს წინაშე დგას, მათ შორის სწორი სახელმწიფო მმართველობის წინაშეც. არასწორი მმართველობის მქონე სახელმწიფოებში ეს ხდება მათი საკუთარი ინტერესების შესაბამისად, მაგრამ მას მიმართავენ ის სახელმწიფოებიც, რომლებსაც აქვთ დასახული საზოგადო მიზანი. ეს ცხადი გახდება მეცნიერებებისა და ხელოვნებებიდან მოტანილი მაგალითებით. მხატვარი არ დაუშვებს, რომ ცხოველს, რომელსაც ის ხატავს, ჰქონდეს ისეთი ფეხი, რომელიც სიმეტრიას დაარღვევდა, თუნდაც ეს ფეხი გამოირჩეოდეს სილამაზით. არც გემთმშენებელი დაუშვებს, რომ კიჩო, ან გემის სხვა რომელიმე ნაწილი გამოირჩეოდეს დანარჩენი ნაწილებისაგან, ხოლო ქოროს

---

[55] პერიანდრე იყო ქ. კორინთოს ტირანი VII-VI სს. ჩვ. წ.ა. მან ჩაატარა მრავალი სასარგებლო რეფორმა, შემოიერთა ქალაქები კერკირი, ამბრაკია, პოტიდეია და სხვ. ის მიაკუთვნეს შვიდ ბრძენს.

თრაზიბულე - მილეთის ტირანი.

ხელმძღვანელი არ მიიღებს გუნდში იმას, ვინც მთელ გუნდს სჭარბობს ხმის სიძლიერითა და სილამაზით. ასე რომ, არაფერი არ აბრკოლებს იმას, რომ მონარქები სხვა ქალაქებთან შეთანხმებით ამავე ღონისძიებას ატარებდნენ, რაც სასარგებლოა, როგორც პირადად მათი ძალაუფლების განრიდებისათვის, ისე სახელმწიფოსთვის. მაშასადამე, სადაც ადგილი აქვს აშკარა უპირატესობას, იქ ოსტრაკიზმი ერთგვარად გამართლებულია პოლიტიკურად. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ კანონმდებელს თავიდანვე ისე მოეწყო საქმე, რომ ასეთი მკურნალობა არ დასჭირებოდა. მხოლოდ მეორე ცურვისას[56], თუ საჭირო გახდა, შეიძლება საქმის გამოსწორება ამ მეთოდით. ქალაქებში კი მას ასე არ იყენებდნენ, რადგან მხედველობაში ჰქონდათ არა ქალაქის, არამედ საკუთარი პარტიის სარგებლობა. ცხადია, რომ არასწორი მმართველობის მქონე სახელმწიფოებისათვის ოსტრაკიზმი სასარგებლოა და სამართლიანი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ის არაა სამართლიანი აბსოლუტური მნიშვნელობით.

დადებით სახელმწიფოებრივ სისტემებში დიდ სიძნელეს წარმოშობს არა უპირატესობა ისეთ სათნოებებში, როგორიცაა ძალაუფლება, სიმდიდრე ან პოპულარობა, არამედ უპირატესობა ზნეობრივ სათნოებაში. როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში? არ შეიძლება, რომ ასეთი უპირატესობის მქონე კაცი გადაადგილებულ ან გაძევებულ იქნას. მაგრამ მასზე არც მბრძანებლობა შეიძლება. ეს იგივე იქნებოდა, რომ ძალაუფლების განაწილების დროს ზევსზე ბატონობას მოითხოვდნენ. რჩება ერთი ბუნებრივი გზა, ყველა დაემორჩილოს ამ კაცს სიამოვნებით.

ასე რომ, ის გახდება ამ სახელმწიფოს მეფე სამუდამოდ.

---

[56] „მეორედ ცურვა” გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ზურგის ქარმა იცვალა მიმართულება და გემი იძულებულია ნიჩბებით იმოძრაოს.

თავი IX

ზემომოტანილი მსჯელობის შემდეგ კარგი იქნებოდა გადასვლა მონარქიაზე და მისი განხილვა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მონარქია არის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი სწორი ფორმა. გასარკვევია, ის სასარგებლოა თუ არა იმ სახელმწიფოებისა და ქვეყნებისათვის, რომელშიაც სურთ კარგად იცხოვრონ, თუ ამისთვის უკეთესი იქნებოდა სხვა რომელიმე სახელმწიფოებრივი წყობა? ან იქნებ ის ზოგან სასარგებლოა, ზოგან კი არა? პირველ ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, მას ერთი სახე აქვს, თუ მრავალი? ადვილია მიხვედრა, რომ სამეფო ხელისუფლების მრავალი ფორმა არსებობს. ვფიქრობთ, რომ სპარტელების სახელმწიფო სხვა სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტადაა შექმნილი კანონიერების საფუძველზე, მაგრამ იგი ყველა საკითხს არ წყვეტს, ხოლო როდესაც მონარქი ტოვებს სახელმწიფოს ფარგლებს, მაშინ ის ხდება სამხედრო ძალების მთავარსარდალი. გარდა ამისა, მას აქვს უფლება რელიგიური საქმეების ხელმძღვანელობისა. ამრიგად, ეს სამეფო ხელისუფლება არის სამხედრო საქმის განუსაზღვრელი ხელმძღვანელობის უფლების მქონე. მაგრამ მას არა აქვს სიკვდილით დასჯის უფლება. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ძველ დროში საომარი ექსპედიციების დროს შეურაცხყოფის შემთხვევაში შეიძლება ესარგებლა ამ უფლებით. როგორც ჰომეროსი ყვება, როდესაც აგამემნონმა საერთო კრებაზე მოისმინა ლანძღვა-გინება, თავი შეიკავა, მაგრამ როდესაც ჯარი საომრად მიდიოდა, მაშინ კი ჰქონდა დასჯის უფლება: „თუ ვინშე შორს დგას ბრძოლის ველიდან, ვინ დაიცავს მას ძაღლების და ფრინველებისგან, რადგან ჩემს ხელშია სიკვდილის ნება[57].”

ესაა სამეფო ხელისუფლების ერთ-ერთი სახე - სამხედრო სამსახური მთელი ცხოვრების მანძილზე.

---

[57] „ილიადა”, II, 391 და ქვ. „ილიადას” ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში არაა უკანასკნელი სტრიქონი.

ამას გარდა, არსებობს მონარქიის სხვა სახეები. მაგალითად, ბარბაროსულ ტომებში მათ ისეთივე უფლებები აქვთ, როგორიც ტირანს, ზოგი მათგანი კანონით არის დანიშნული, ზოგი კი მემკვიდრეობის უფლებით. ბარბაროსული ტომები უფრო მონური ბუნებისანი არიან, ვიდრე ბერძნები, და აზიელები უფრო მეტად, ვიდრე ევროპელები. ამიტომ ბარბაროსები ითმენენ დესპოტურ მმართველობას უკმაყოფილების გარეშე. აი, ამიტომაც არის იქ მმართველობა ტირანული, ხოლო მყარია იმიტომ, რომ იგი მემკვიდრეობითია და ემყარება კანონს. ამავე მიზეზით, მეფეს დაცვა ყავს არა ტირანული, არამედ სამეფო ხასიათისა. მეფეს იცავენ შეიარაღებული მოქალაქენი, ტირანებს კი გარეშე ძალები. მეფეები მართავენ სახელმწიფოს კანონითა და ქვეშევრდომთა ნებასურვილით, ტირანები კი იძულებით. ამიტომ ტირანი თავს იცავს მოქალაქეებისაგან, მეფეებს კი მოქალაქენი იცავენ.

არსებობს მონარქიის ორი სახე. ერთ-ერთი ჰქონდათ ძველ ბერძნებს და მას „ესიმნეტა" ეწოდებოდა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო არჩეული ტირანი, რომელიც განსხვავდებოდა ბარბაროსულისაგან არა იმით, რომ კანონს არ ემყარებოდა, არამედ იმით, რომ არ იყო მხოლოდ მემკვიდრეობითი. ასეთი მეფეები ზოგნი მთელი ცხოვრების მანძილზე რჩებიან სათავეში, ზოგი კი გარკვეული დროის მანძილზე და გარკვეული საქმეებისათვის, მაგალითად, როგორც მიტილენელებმა აირჩიეს პიტაკე გაქცეული ანტიმენიდესა და პოეტ ალკეოსისაგან თავდასაცავად[58]. რომ პიტაკე აირჩიეს ტირანად, ამას ადასტურებს ალკეოსი ერთ-ერთ თავის სალაღობო სიმღერაში, სადაც ის კიცხავს მოქალაქეებს იმიტომ, რომ „მათ ერთხმად ქებით დასვეს სამშობლოს დამღუპველი პიტაკე მშვიდობიანი და მრავალტანჯული ქალაქის ტირანად".

ეს მონარქიები იყვნენ და არიან დესპოტური ხასიათის გამო ტირანული, მაგრამ რადგან არჩეული იყვნენ და თანაც ხალხის ნებით, ამიტომ მეფობად ითვლებოდნენ.

[58] ანტიმენიდე და პოეტი ალკეოსი ძმები ყოფილან.

მეოთხე სახე სამეფო ხელისუფლებისა გმირულ დროში იყო ნებაყოფლობითი და მემკვიდრეობითი ხასიათისა, ამიტომ ისინი კანონიერნიც იყვნენ. პირველ მეფეებს ბევრი სიკეთე მოჰქონდათ ხალხისათვის ან ხელოვნებით, ან ომით, ან იმით, რომ აერთიანებდნენ სახელმწიფოს და ახალ მიწებს მოიპოვებდნენ. ამიტომ ისინი გახდნენ ხალხისათვის სასურველი მეფეები და მიიღეს მეფობის მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. მათ ევალებოდათ ომის ხელმძღვანელობა, მსხვერპლშეწირვების ჩატარება, რაც სასულიერო წოდებას არ ეხებოდა და სასამართლო საქმეების გარჩევა. სასამართლო საქმეებს ზოგი არჩევდა ფიცის ქვეშ, ზოგი არა, ფიცის დადება კი ხდებოდა კვერთხის აწევით. ძველ დროში მეფეები მართავდნენ სახელმწიფოს, როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებს, შემდეგში კი ზოგ ფუნქციებზე თვით მეფეებმა თქვეს უარი, ზოგი კი ხალხმა ჩამოართვა. ზოგ სახელმწიფოში მათ დაუტოვეს მხოლოდ მსხვერპლშეწირვების უფლება. ზოგან კი, რათა ეთქვათ, რომ სამეფო ხელისუფლება ყავთ, მათ მისცეს მხოლოდ სახელმწიფოს გარეთ ომის ხელმძღვანელობის უფლება.

თავი X

აი, ასეთია სამეფო ხელისუფლების ფორმები, რიცხვით ოთხი. ერთია სამეფო ხელისუფლება გმირული დროისა, რომელიც მოქალაქეთა ნება-სურვილით იყო არჩეული, მაგრამ მისი უფლებები ზოგ რამეში შეზღუდული იყო. იგი იყო მთავარსარდალიც, მოსამართლეცა და რელიგიური ცერემონიების ხელმძღვანელიც; მეორე სახეა ბარბაროსების სამეფო ხელისუფლება, რომელიც მემკვიდრეობითია და დესპოტურია კანონიერების საფუძველზე; მესამეა „ესუმნეტია", ე.ი. ტირანია, რომელიც არჩეულია; მეოთხეა ლაკონელების სამეფო, მარტივად რომ ვთქვათ, ის არის მემკვიდრეობით მიღებული სამხედრო ხელმძღვანელობა მთელი ცხოვრების მანძილზე. ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეს მონარქიები. მონარქიის მეხუთე სახეა სახელმწიფო, სადაც ერთი ადამიანი სარგებლობს დიდი უფლებებით, როგორც მთელ ხალხზე, ისე სახელმწიფოში და აწესრიგებს საზოგადო საქმეებს. ეს მონარქია არის ოჯახური მეურნეობის ხელმძღვანელობის თავისებური ფორმა. ეს აბსოლუტური მონარქია განაგებს როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხებს, იქნება ეს ხალხი ერთი, თუ მრავალი.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობს, დაახლოებით, ორი ფორმა მონარქიისა, რომელნიც ჩვენ ახლა უნდა განვიხილოთ. ესაა ლაკონელებისა და ახლახანს განხილული. დანარჩენები კი თავსდებიან ამ ორ მონარქიას შორის. ისინი თავისი უფლებებით უფრო სუსტნი არიან, ვიდრე აბსოლუტური მონარქია, მაგრამ უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე სპარტელების მონარქია. ამრიგად, გადასაწყვეტია ორი საკითხი: პირველი, სასარგებლოა თუ არა სახელმწიფოსათვის ჰყავდეს მთელი ცხოვრების მანძილზე მეფე - მთავარსარდალი და ის მემკვიდრეობით უნდა იყოს მეფე, თუ არჩევით? მეორე კითხვა: სასარგებლოა თუ არა, რომ ერთი კაცი იყოს ყველაზე მეტად ძლიერი? კვლევა მეფე-სარდლის შესახებ უფრო კანონმდებლობას ეხება, ვიდრე პოლიტიკას, რადგან ასეთი თანამ-

დებობა არსებობს ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში. მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ამას არ შევეხებით.

მონარქიის შემდეგი ფორმა უახლოვდება კონსტიტუციურ სახელმწიფოს. საჭიროა მისი განხილვა და თანაც იმ სიძნელეების გადაწყვეტა, რომელიც მას თან ახლავს.

ჩვენი კვლევის პირველი კითხვა ეხება იმას, თუ რა უფრო სასარგებლოა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობდეს საუკეთესო ადამიანი, თუ საუკეთესო კანონი? ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ სასარგებლოა მეფის ქვეშევრდომობა, ამბობენ, რომ კანონები მხოლოდ ზოგადს ითვალისწინებს და არა კონკრეტულ შემთხვევებს, ასე რომ, ნებისმიერ ხელოვნებაში უაზრობა იქნება დაწერილი კანონებით ხელმძღვანელობა. ეგვიპტეშიც ოთხი დღის გასვლის შემდეგ ექიმს უფლება ჰქონდა გადაეხვია დადგენილი კანონებისაგან, მაგრამ თუ უფრო ადრე გადაუხვევდა, ამაზე თვითონ იყო პასუხისმგებელი. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელიც ხელმძღვანელობს დაწერილი წესებითა და კანონებით, არაა საუკეთესო სახელმწიფო იმავე მიზეზით. მაგრამ ისინი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს, უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ ზოგადი კანონებით, რადგან უკეთესია ის, რასაც არ ახასიათებს განცდები, არც საერთოდ და არც მიჩვევის გამო. კანონებს ეს არ ახასიათებთ, რაც ყოველი ადამიანის სულისთვის არის აუცილებელი. მაგრამ ვინმემ შეიძლება თქვას, რომ პირიქით, მეფე სჯობს კანონებს, რადგან მეფე კონკრეტულ შემთხვევებს უკეთ მოიაზრებს. რომ მეფე თვითონ უნდა იყოს კანონმდებელი და უნდა ადგენდეს კანონებს, ეს ცხადია, მაგრამ კანონები კარგავენ ძალას იქ, სადაც მათ ამახინჯებენ. მაგრამ როდესაც კანონს არ ძალუძს საერთოდ ან კარგად საკითხის გადაწყვეტა, მაშინ რა სჯობს, ერთი საუკეთესო ადამიანი მართავდეს სახელმწიფოს, თუ ყველა? აი, ახლა კი ისინი იკრიბებიან, თათბირობენ და განაჩენი გამოაქვთ, მაგრამ ყველა ეს განაჩენი კონკრეტულ შემთხვევას ეხება. თუ ავიღებთ ერთ რომელიმე ადამიანს, ის შეიძლება ცუდი აღმოჩნდეს, მაგრამ სახელმწიფო შედგება მრავალი მოქალაქისაგან და როგორც საერთო თანხით გამარ-

თული ნადიმი უფრო მშვენიერია, ვიდრე ერთი კაცის უბრალო სადილი, ასევე ხალხი უკეთ განსჯის, ვიდრე ნებისმიერი ერთი ადამიანი. გარდა ამისა, უმრავლესობა ნაკლებ შეიძლება იყოს უზნეო. როგორც დიდი რაოდენობის წყალი უფრო სუფთაა, ასევე ბევრი მცირესთან შედარებით ნაკლებ ექვემდებარება წახდენას. ერთ ადამიანს შეიძლება დაეუფლოს ბრაზი, ან სხვა რაიმე ვნება, რაც დაამახინჯებს მის მიერ გამოტანილ განაჩენს, მაგრამ ძნელია, რომ მთელი ხალხი ბრაზობდეს, ან სცდებოდეს. ხალხის მასის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე თავისუფალი მოქალაქენი, რომლებიც არასოდეს არაფერს არ სჩადიან კანონის საწინააღმდეგოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონს აუცილებლად რაიმე ნაკლი აქვს.

თუ ეს შეუძლებელია მოხდეს სიმრავლეში და თუ ხალხის უმრავლესობა შედგება კარგი ადამიანებისა და მოქალაქეებისაგან, მაშინ ისმის კითხვა: ვის შეუძლია მართოს სახელმწიფო უფრო უშეცდომოდ, ერთს, თუ უმრავლესობას, რომლებიც ამავე დროს კარგები არიან? განა ნათელი არაა, რომ უკეთ მართვა შეუძლია უმრავლესობას. მაგრამ მასას შეუძლია აჯანყება, ერთს კი არა. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება გვეთქვა, რომ უმრავლესობას ისეთივე კარგი სულიერი თვისებები აქვს, როგორც იმ ერთს. თუ უმრავლესობის მმართველობას, რომელიც შედგება მთლიანად კარგი ადამიანებისაგან, ვუწოდებთ არისტოკრატიას, ხოლო ერთის მმართველობას - სამეფოს, ქალაქებისათვის უფრო სასურველი იქნება არისტოკრატია, ვიდრე მონარქია. ექნება მთავრობას შეიარაღებული ძალები, თუ არა, სულ ერთია, მთავარია, რომ ხელისუფლებაში მონაწილეობდეს მრავალი ასეთი ადამიანი.

ძველ დროში მონარქიების არსებობა შეიძლება იმითაც იყო გამოწვეული, რომ იშვიათი იყო ზნეობით დიდად გამორჩეული ადამიანები. მით უმეტეს, რომ მაშინ სახელმწიფოები მცირედ დასახლებული იყვნენ. გარდა ამისა, მეფედ სვამდნენ ადამიანს ხალხისათვის ქველმოქმედების გამო, რაც კარგ ადამიანებს შეუძლიათ. მაგრამ როდესაც გამოჩნდა სათნოებოთ ბევრი მსგავსი ადამიანი, აღარავის არ სურდა მე-

ფეს დამორჩილებოდა, ამიტომ დაიწყეს რაღაც საერთო სახის მმართველობის ძებნა და ასე შექმნეს კონსტიტუციური სახელმწიფო. მაგრამ როდესაც ზნეობა დაეცა და საერთო ქონებიდან გამდიდრება დაიწყეს, ლოგიკური იყო აქედან ოლიგარქიის წარმოშობა. ოლიგარქიაში კი პატივს სცემენ სიმდიდრეს. ოლიგარქია ჯერ ტირანიაში გადაიზარდა, ტირანიიდან კი დემოკრატიაში. მდიდრები სიხარბის გამო ამცირებდნენ თავის რაოდენობას, სამაგიეროდ ძლიერდებოდა ხალხის მასა, რომელიც თავს დაესხა მდიდრებს და ასე შეიქმნა დემოკრატია, და რადგანაც სახელმწიფოებიც გაიზარდნენ რიცხობრივად, ადვილი არ იყო სხვა სახელმწიფოებრიობის შექმნა, გარდა დემოკრატიისა.

თუ ვინმე უპირატესობას მისცემს მონარქიას, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ მეფეთა შვილების მიმართ, თუ მეფეთა შთამომავალთაც უნდა იმეფონ? შეიძლება მათ შორის აღმოჩნდეს რომელიმე უვარგისი, ამიტომ მეფეს არ უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მეფობა შვილებს გადასცეს. მაგრამ არაა ადვილი ამაში მისი ნდობა. ეს მოითხოვს დიდ სათნოებას, ვიდრე ეს ადამიანის ბუნებას მოსდგამს.

ძნელი გადასაწყვეტია აგრეთვე კითხვა შეიარაღებული დაცვის შესახებ: ვინც მეფობას აპირებს, მას უნდა ჰყავდეს სამხედრო ძალა, თუ ის შესძლებს აიძულოს ისინი, რომლებსაც არ სურთ დაემორჩილონ მას? ანდა როგორ შესძლებს ის მმართველობის განხორციელებას? გინდაც ის კანონით იყოს სათავეში მოხვედრილი და არაფერს არ აკეთებდეს თავისი სურვილით კანონის საწინააღმდეგოს, მაინც აუცილებელია, რომ მას ჰყავდეს გარკვეული შეიარაღებული ძალა, რომელიც კანონიერებას დაიცავდა. ამ საკითხის სწრაფად და დაუბრკოლებლად გადაწყვეტა შეიძლება მონარქიაში. მეფეს უნდა ჰყავდეს ისეთი ძალა, რომ ჭარბობდეს როგორც ცალკეულ მოქალაქეს, ისე მრავალს, მაგრამ უფრო სუსტი, ვიდრე მთელი მოსახლეობაა. ასე იყო ძველ დროშიც. მცველებს უნიშნავდნენ იმას, ვისაც ირჩევდნენ ტირანად ან ესუმნეტად. ამიტომ იყო, რომ როდესაც დიონისემ მცველები მოითხოვა, ვიღაცამ ურჩია სირაკუზელებს, რომ მისთვის მიეცათ იმდენი მცველი, რამდენიც ითხოვა.

თავი XI

ჩვენ ახლა უნდა ვიკვლიოთ ისეთი მეფე, რომელიც ყველაფერს საკუთარი სურვილით აკეთებს. როგორც უკვე ვთქვით, მონარქია, რომელიც კანონიერად არსებობს, არ წარმოადგენს რესპუბლიკური სახელმწიფოს რაიმე სახეობას. ყველა სახელმწიფოში, როგორც არისტოკრატიულში, ისე დემოკრატიულში, არსებობს მუდმივი სამხედრო თანამდებობა და ბევრი სახელმწიფო ამ თანამდებობას აძლევს რომელიმე ერთ კაცს. ასეთი თანამდებობა არსებობს ეპიდამოსში და ოპუნტში, თუმცა ნაწილობრივ შეზღუდული უფლებით.

ე.წ. აბსოლუტურ მონარქიაში კი მეფე განაგებს ყოველივეს საკუთარი სურვილით. ზოგი ფიქრობს, რომ ბუნებრივად ერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს ყველა მოქალაქეზე უფრო ძლიერი მაშინ, როდესაც სახელმწიფო შედგება ერთნაირი მოქალაქეებისაგან, ხოლო ბუნებრივად თანასწორ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თანასწორი უფლებები და პატივისცემა. თუ არათანაბარი სხეულის მქონე ადამიანებისათვის მავნეა ერთნაირი კვება და ტანისამოსი, იგივე უნდა ითქვას პატივისცემის შესახებ. ამიტომ არ ვარგა თანასწორობა არათანასწორთა შორის. ამიტომ არ იქნებოდა სამართლიანი, რომ ერთი ყოველთვის ხელმძღვანელობდეს, ხოლო მეორე ემორჩილებოდეს, არამედ ხელმძღვანელობაცა და ქვეშევრდომობაც რიგრიგობით უნდა იყოს. აი, ესაა კანონიერება, ხოლო კანონი - ეს წესრიგია. უმჯობესია, რომ ბატონობდეს კანონი და არა რომელიმე ერთი მოქალაქე. ამავე კანონის მიხედვით, თუ უკეთესი იქნება, რომ სახელმწიფოს მართავდეს რამდენიმე მოქალაქე, ისინი დანიშნულ უნდა იქნენ კანონის მცველებად და კანონის გამტარებლებად. აუცილებელია, რომ იყოს ვინმე სახელმწიფოს ხელმღძვანელი, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, რომ ის ყოფილიყო ერთი ვინმე, მაშინ, როდესაც ყველანი თანასწორნი არიან, მაგრამ თუ ვინმე ამბობს, რომ კანონს არ შეუძლია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, ამის გადაწყვეტა არც ადამიანს შეუძლია. კანონი აძლევს ხელმძღვანელ პირებს აუცილებელი მოვლენე-

ბის ცოდნას, ასწავლის სამართლიანი განაჩენის გამოტანას და მის თანმიმდევრულ გატარებას ცხოვრებაში, შეცდომების გასწორებას, თუ გამოცდილება აჩვენებს, რომ შესწორებული სჯობს არსებულს. ის ვინც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს უნდა მართავდეს გონება, ის მოუწოდებს, რომ სახელმწიფოს მართავდეს კანონები და ღმერთი, ხოლო ვინც მოუწოდებს, რომ სახელმწიფოს მართავდეს ადამიანი, ის მოითხოვს მმართველობაში აგრეთვე ცხოველის შემოყვანას. ვნება და მრისხანება ცხოველური თვისებებია და ის ამახინჯებს მმართველ პირებს, თუნდაც ისინი საუკეთესო ადამიანები იყვნენ.

შედარება ხელოვნებასთან კი არ ვარგა, რადგან არ ვარგა მკურნალობა დაწერილი რეცეპტებით. უკეთესი იქნებოდა, თუ მკურნალობას აწარმოებდნენ ისინი, რომლებმაც იციან ეს ხელოვნება, რადგან ექიმები არაფერს გააკეთებენ გონების საწინააღმდეგოს მეგობრობის გულისათვის, არამედ გასამრჯელოზეც კი უარს ამბობენ, სანამ ავადმყოფს არ მოარჩენენ. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელები ბევრ რამეს წყვეტენ სიძულვილის ან კეთილგანწყობილების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა ეჭვი, რომ ექიმი, მტრებისაგან ჩაგონებული, ცდილობს ავადმყოფის დაღუპვას მოგების მიზნით, მაშინ ჯობს დაწერილი რეცეპტებით მკურნალობა. ავადმყოფი ექიმები სხვა ექიმებს იწვევენ, ხოლო სპორტის მასწავლებლები სხვა მასწავლებლებს, როცა თვითონ არ ძალუძთ სწორი შეფასება, რადგან განსასჯელები შინაურები არიან, თვითონ კი ვნებების ზემოქმედებას განიცდიან. ამრიგად, ცხადია, რომ როდესაც კაცი სიმართლეს ეძებს, ის ეძებს შუალედს[59]. ხოლო ასეთი შუალედი არის კანონი. გარდა ამისა, ის კანონები, რომელიც შედგენილია ჩვეულების შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანი არიან და უფრო ძირითად საკითხებს ეხებიან, ვიდრე დაწერილი კანონები. და ადამიანი, რომელიც მართავს სახელმწიფოს დაწერილი კანონებით, არაა უფრო საიმედო იმასთან შედარებით, ვინც მართავს ქვეყანას ჩვეულებაზე დამყარებული კანონებით. გარდა ამისა, ერთი კაცისათვის ადვილი

[59] არისტოტელე „შუალედში" გულისხმობს მიუკერძებლობას.

არაა ბევრი საქმის გაძღოლა, ამიტომ საჭირო ხდება მრავალი ხელმძღვანელი პირის მოწვევა. მაშ რაშია განსხვავება, ეს თავიდანვე ასე იყო, თუ ერთმა ადამიანმა შემოიღო? ამას გარდა, ადრეც იყო ნათქვამი, რომ სახელმწიფოს უნდა მართავდეს პატიოსანი და ყველაზე კარგი ადამიანი და ეს სამართლიანია, მაგრამ ერთ კარგ კაცს ორი კარგი კაცი არა სჯობს? ამაზეა ნათქვამი: „ორნი ერთად მავალნი[60]". და აგამემნონის სურვილი: „მე რომ ათი ასეთი მრჩეველი მყოლოდა[61]".

ახლაც ზოგან სახელმწიფოს ხელმძღვანელს გამოაქვს განაჩენი, როგორც მოსამართლეს, იმ შემთხვევაში, როცა კანონში არაა შესაბამისი განსაზღვრება. მაგრამ იქ, სადაც კანონს აქვს უნარი გადაწყვიტოს საქმე, იქ არავინ არ დავობს, რომ უკეთესია კანონით მოქმედება. კანონში ზოგი საკითხი გადაჭრილია, ზოგი კი არა და ამიტომ იქმნება სიძნელე და გადასაწყვეტია კითხვა, თუ რაა უკეთესი, რომ მართავდეს კანონი, თუ საუკეთესო ადამიანი? კანონის მომხრენი არ უარყოფენ იმას, რომ ადამიანი უნდა წყვეტდეს აუცილებლად ასეთ საკითხებს, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ერთი კი არ უნდა წყვეტდეს, არამედ ბევრი. ყოველი ხელმძღვანელი პირი უკეთ განსჯის კანონზე დაყრდნობით. უაზრობა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ უკეთესია ხედავდნენ და ისმენდნენ, გამოჰქონდეთ გადაწყვეტილება ორი თვალით და ორი ყურით, მოქმედებდნენ ორი ფეხით და ხელით, ვიდრე მრავალით. მაშინ, როდესაც მეფეები თვითონვე იყენებენ მრავალ თვალსა და ყურს, ხელებსა და ფეხებს, როცა ხელისუფლებაში თავის მეგობრებს მმართველობის თანამონაწილედ იხდიან, მაგრამ თუ ისინი მეგობრები არ არიან, მაშინ მეფის გადაწყვეტილების შესაბამისად არ იმოქმედებენ. მაგრამ თუ ისინი მეგობრები არიან, თანასწორნი და მსგავსნი, თანაც მეგობრები როგორც მეფისა, ისე ხელისუფლებისა და მართავენ სახელმწიფოს, მაშინ თანასწორნი და მსგავსნი მმართველობას მსგავსად და თანასწორად უნდა ახორციელებდნენ.

---

[60] „ილიადა", X, 224.
[61] იქვე, II, 379.

აი, დაახლოებით ყოველივე ის, რასაც მოკამათენი ამბობდნენ მონარქიის წინააღმდეგ.

ეს შეხედულებები სწორია ზოგიერთი ადამიანის მიმართ, ზოგიერთის მიმართ კი არა. სულ სხვაა სამართალი და სარგებლობა მონარქიისათვის, დესპოტური ტიპის სახელმწიფოსთვის და კონსტიტუციური რესპუბლიკისათვის. ტირანია არაა მმართველობის ბუნებრივი ფორმა, არც ის სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ სწორი სახელმწიფოების დამახინჯებას. ისინი ბუნების საწინააღმდეგო წარმონაქმნები არიან. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ მსგავს და თანასწორ მოქალაქეებს შორის არც სასარგებლოა და არც სამართლიანი, ბატონობდეს ერთი ადამიანი და თვითონ იყოს კანონი. ბატონობს ის, როგორც კარგი კარგებზე, თუ როგორ ცუდი ცუდებზე, თუ როგორც ზნეობით მათზე მაღლა მდგომი, თუ რაიმე სხვა გზით ახორციელებს იგი თავის ბატონობას? თუ რა გზაა ეს, ახლა ვილაპარაკებთ ამის შესახებ, თუმცა ამაზე ადრეც იყო ნათქვამი, მაგრამ, პირველ ყოვლისა, დავადგინოთ, თუ რას წარმოადგენს მონარქია, არისტოკრატია და რესპუბლიკა.

მონარქია არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც ხალხი აძლევს ხელმძღვანელობის უფლებას გვარის ისეთ წარმომადგენელს, რომელიც თავისი ზნეობით სხვებზე მაღლა დგას. არისტოკრატიულია ისეთი მმართველობა, სადაც ხალხის მასა ხელმძღვანელობას უთმობს იმას, ვისაც შეუძლია უხელმძღვანელოს თავისუფალ მოქალაქეებს უფრო თავისი ზნეობრივი სათნოებით, ვიდრე პოლიტიკურით. რესპუბლიკა კი არის მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც ხალხის მებრძოლ მასას შეუძლია ხელმძღვანელობაცა და მორჩილებაც კანონების საფუძველზე და სადაც თანამდებობები მდიდარ მოქალაქეებს შორის მათი ღირსების შესაბამისად ნაწილდება.

მაგრამ როდესაც ერთი გვარი, ან რომელიმე ერთი ამ გვარიდან თავისი სათნოებით ბევრად სჯობს სხვებს, მაშინ სამართლიანი იქნებოდა, რომ მთელი ეს გვარი ქცეულიყო სამეფო გვარად და ყველაზე ძლიერად, ხოლო ის ერთი კი გამხდარიყო მეფედ. როგორც ადრეცა ვთქვით, ეს იქ-

ნებოდა იმ სამართალზე დამყარებული, რომლითაც ხელმძღვანელობენ არისტოკრატიული, ოლიგარქიული და დემოკრატიული წყობილების შემქმნელნი. ყველანი უპირატესობას აძლევენ მმართველი პირების ღირსებას, მაგრამ ღირსება ყველას ერთნაირად არ ესმის. არ იქნებოდა მიზანშეწონილი ასეთი ადამიანის მოკვლა, გაძევება, ან მის წინააღმდეგ ოსტრაკიზმის გამოყენება, ან მისი უფლებების შეზღუდვა, რადგან ბუნებრივად ნაწილი არ სჭარბობს მთელს, ხოლო ის ადამიანი, ვისაც ასეთი უპირატესობა აქვს, წარმოადგენს მთელს. ასე რომ, რჩება ასეთი გზა: ვენდოთ ამ ადამიანს და მივცეთ მას არა ნაწილობრივი, არამედ ყოველგვარი უფლებები.

აი, ასე განვსაჯეთ ჩვენ მონარქია, მისი სახეები და არის თუ არა ის სასარგებლო სახელმწიფოებრივი მმართველობა.

თავი XII

რადგან ჩვენ ვთქვით, რომ არსებობს მმართველობის სამი სწორი ფორმა, მათ შორის უკეთესია ის სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო ადამიანები, ასეთი კი არის სახელმწიფო, სადაც ან ერთი ადამიანი, ან მთელი ერთი ტომი, ან ხალხის მასა არის გამორჩეული თავისი ზნეობით. ამათგან ზოგს შეუძლია ხელმძღვანელობა, ზოგს მორჩილება საუკეთესო ცხოვრების მიღწევის მიზნით. წინამორბედი მსჯელობით კი დამტკიცდა, რომ ერთი და იგივეა მოქალაქისა და პიროვნების სათნოება საუკეთესო სახელმწიფოში. ცხადია, რომ იმავე მეთოდებით, რომლითაც ადამიანი ხდება პატიოსანი, შეიძლება მოგვეწყო სახელმწიფოც, იქნებოდა ის არისტოკრატიული, თუ მონარქიული. ასე რომ, არსებობს აღზრდისა და ტრადიციების ერთი და იგივე სისტემა, რომელიც გახდის პატიოსნად, როგორც პიროვნებას, ისე პოლიტიკურ მოღვაწესა და მეფეს.

დავადგინეთ რა ეს, ახლა ვიმსჯელოთ საუკეთესო სახელმწიფოს შესახებ.

თუ როგორ წარმოიქმნება ის ბუნებრივად და როგორაა ორგანიზებული. ახლა აუცილებელია ამის კვლევა.

წიგნი მეოთხე

თავი I

ყველა ხელოვნებასა და მეცნიერებაში, რომელიც ეხება თავის ობიექტს მთლიანობაში და არა მის ნაწილს, გადასაწყვეტია ძირითადად ერთი კითხვა, თუ რა შეჰფერის ამ ობიექტს. მაგალითად, სხეულისათვის სპორტის რომელი სახეობა და რა მოცულობით არის სასარგებლო და უმჯობესი? ბუნებრივად მშვენიერ და კარგად მოვლილ სხეულს აუცილებლად სჭირდება სპორტის საუკეთესო ფორმა. მაგრამ რა სახის სპორტი შეჰფერის ხალხის მასას, ეს საკითხი არის სპორტის ხელოვნების განხილვის საგანი. თუ ვინმეს არა აქვს სურვილი ჰქონდეს სპორტული შეჯიბრის ცოდნა და ჩვევები, სპორტის მასწავლებლები და სპორტსმენები უნდა ცდილობდნენ შესაძლებლობის ფარგლებში განუვითარონ მას ეს უნარი. იგივე ითქმის მედიცინის, გემთმშენებლობის, კერვისა და სხვა ხელოვნების შესახებ.

ამრიგად, ცხადია, რომ იმავე მეცნიერების საგანია საუკეთესო სახელმწიფოს განხილვა, თუ რას წარმოადგენს ის, რა თვისებები აქვს მას, თუ რაიმე გარეგანი ძალა არ აბრკოლებს მის განვითარებას, ვის როგორი სახელმწიფო შეჰფერის. ყველა სახელმწიფოში შეიძლება საუკეთესო მდგომარეობის მიღწევა. ასე რომ, არც კანონმდებლობამ და არც ჭეშმარიტმა პოლიტიკოსმა არ უნდა დატოვონ უყურადღებოდ, როგორც აბსოლუტურად საუკეთესო პოლიტიკური სისტემა, ისე საუკეთესო გარკვეულ პირობებში. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს მესამე ფორმასაც, რომელიც გარკვეულ წანამძღვრებს ემყარება. უნდა შევძლოთ ამ სახელმწიფოს განხილვაც, თუ როგორ წარმოიშობა ის და წარმოშობილი როგორ არსებობს ხანგრძლივად. მე ვგულისხმობ ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც არა აქვს არც საუკეთესო სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, არც სახსრები და არც აუცილებელი მოთხოვნილების საგნები. თანაც იყენებს არა დადებითი სახელმწიფოების გამოცდილებას, არამედ ყველაზე ცუდის. ამას გარდა, საჭიროა იმის ცოდნაც, თუ სახელმწიფოთა უმრავლესობას როგორი წყობილება უფრო შეესაბამება. ბევრი ასეთად თვლის რესპუბლიკურ წყობილებას და ბევრ რამეს სწო-

რად ამბობს, მაგრამ სცდებიან ამის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. ამას გარდა, საჭიროა არა მხოლოდ საუკეთესო სახელმწიფოს განხილვა, არამედ შესაძლებელისაც, რომელიც ადვილად განსახორციელებელია და შეესაბამება ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას. ახლა კი ზოგნი იკვლევენ მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლეს ფორმას, რომელსაც ბევრი რესურსები სჭირდება. ზოგნი კი, ლაპარაკობენ რა ზოგადად, უარყოფენ არსებულ სახელმწიფოებს და აქებენ ან ლაკონელების ანდა სხვა რომელიმე სახელმწიფოს. საჭიროა ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილების შემოღება, რომელიც არსებულთან შედარებით ადვილად მისაღწევია და რომელშიც ადვილია მონაწილეობის მიღება, რადგან არსებულის გასწორება უფრო ძნელია, ვიდრე ახლად შესწავლა. ზემოთქმულის გარდა, პოლიტიკოსებს უნდა შეეძლოთ დაეხმარონ არსებულ სახელმწიფოებს, როგორც ზემოთაცა ვთქვით, მაგრამ ეს შეუძლებელია იქნება, თუ არ ეცოდინებათ რამდენი სახის სახელმწიფოებრივი სისტემა არსებობს. მაგალითად, ზოგი ფიქრობს, რომ არსებობს როგორც დემოკრატიის, ისე ოლიგარქიის ერთი სახე, მაგრამ ეს სწორი არ არის. ე.ი, მათთვის არ უნდა იყოს უცნობი სახელმწიფოთა შორის არსებული განსხვავება და სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმების რაოდენობა. ამის შემდეგ იმავე მოსაზრებების საფუძველზე საჭიროა საუკეთესო კანონებისა და იმის ცოდნა, თუ რომელ სახელმწიფოს რა სახის კანონები შეესაბამება, კანონები კი უნდა შეესაბამებოდნენ სახელმწიფოს და არა პირიქით, სახელმწიფო - კანონებს. კანონი ხელს უწყობს სახელმწიფოში წესრიგს, აწარმოებს უმაღლესი თანამდებობების განაწილებას და განსაზღვრავს ყოველი სახელმწიფოებრივი კავშირის საბოლოო მიზანს. კანონები ადგენენ იმას, თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელები როგორ უნდა მართავდნენ სახელმწიფოს და როგორ უნდა იცავდნენ მას კანონების დამრღვევთაგან. ამრიგად, საჭიროა სახელმწიფოთა შორის არსებული განსხვავების, სახელმწიფოთა ფორმების რაოდენობისა და კანონმდებლობის ცოდნა. შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე კანონი შეეფერებოდეს ყველა სახის ოლიგარქიასა და დემოკრატიას,

რადგან არსებობს ოლიგარქიისა და დემოკრატიის არა ერთი, არამედ მრავალი სახე.

თავი II

ზემომოტანილი მეთოდით ჩვენ განვასხვავეთ სწორი სახელმწიფოს სამი ფორმა: მონარქია, არისტოკრატია და პოლიტეია[62] და მათი დამახინჯების სამი ფორმა: ტირანია - მონარქიის დამახინჯება, ოლიგარქია - არისტოკრატიის დამახინჯება და დემოკრატია - პოლიტეას დამახინჯება. არისტოკრატიისა და მონარქიის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. მსჯელობა საუკეთესო სახელმწიფოს შესახებ ნიშნავს მისი სახელწოდების განხილვას. სახელმწიფოს თითოეული ფორმა გულისხმობს გარკვეული სათნოების შესაბამისი პირობების არსებობას. ზემოთ უკვე დადგენილი იყო, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან არისტოკრატია და მონარქია და როდის შეიძლება სახელმწიფოს ეწოდოს მონარქია. დაგვრჩა განსახილველი სახელმწიფო, რომელიც ატარებს პოლიტეას ზოგად სახელს. ასევე სხვა სახელმწიფოები, როგორიცაა ოლიგარქია, დემოკრატია და ტირანია.

ცხადია, თუ ამ დამახინჯებული ფორმებიდან რომელია უარესი და რომელია მომდევნო. აუცილებელია, რომ უარესია ის სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს გადახრას პირველი და ღვთაებრივი სახელმწიფოდან. ასეთი არ შეიძლება იყოს მონარქია, თუ მისი სახელი ცარიელი სიტყვა არ არის, აგრეთვე მეფის მრავალ უპირატესობათა გამო. ასე რომ, ყველაზე უარესი უნდა იყოს ტირანია, რომელიც დიდად არის გადახრილი კონსტიტუციური სახელმწიფოდან, მეორე ადგილზე ოლიგარქია უნდა დავაყენოთ. არისტოკრატია კონსტიტუციური სახელმწიფოდან კიდევ უფრო მეტადაა დაშორებული. პოლიტეასაგან ზომიერად არის დაშორებული დემოკრატია.

---

[62] არისტოტელე კონსტიტუციურ მონარქიას, რესპუბლიკას უწოდებს „პოლიტეიას", რომელიც მას სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნდა.

ერთ-ერთმა ჩემმა წინამორბედმა მწერალმა[63] იგივე თქვა, მაგრამ ჩვენ არა ვდგავართ იმავე პრინციპიებზე. ის ამბობდა, რომ თუ ავიღებთ ყველა სახელმწიფოებს საუკეთესო მდგომარეობაში, ოლიგარქიასა და სხვებს, მათში ყველაზე უარესი იქნება დემოკრატია, მაგრამ თუ განვიხილავთ მათ ცუდ მდგომარეობაში, მაშინ დემოკრატია იქნება საუკეთესო. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ყველა ეს სახელმწიფო არის არასწორი ფორმა. არც ისაა სწორი, რომ თითქოს ოლიგარქიის ერთი ფორმა სჯობს მეორეს. ჩვენ ვამბობთ, რომ ის სხვა ფორმებთან შედარებით არის ნაკლებ ცუდი.

მაგრამ ამჯერად ყოველივე ამის განხილვას თავი უნდა დავანებოთ. პირველ ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, თუ რით განსხვავდებიან სახელმწიფოები ერთმანეთისაგან. თუ არსებობს დემოკრატიისა და ოლიგარქიის რამდენიმე ფორმა, რა აქვთ მათ საერთო და პოლიტეის შემდეგ რომელი სახელმწიფოა უფრო სასურველი. თუ არსებობს არისტოკრატიის სხვა სახეობაც და თანაც კარგად მოწყობილი, რომელიც არ შეესატყვისება არც ერთ სხვა სახელმწიფოებრივ ფორმას, უნდა განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენს ის. ამის შემდეგ განსახილველია საკითხი, თუ სხვა სახელმწიფოებისათვის რომელი წყობაა უფრო მისაღები. ზოგი უფრო დემოკრატიას აძლევს უპირატესობას, შედარებით ოლიგარქიასთან, ზოგი კი პირიქით. განსახილველია აგრეთვე საკითხი, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის სასურველი მმართველობის ფორმა? ე.ი. უნდა განვიხილოთ ოლიგარქიისა და დემოკრატიის სხვადასხვა სახეები და ბოლოს, როდესაც ჩვენ ყოველივე ამას მოკლედ განვიხილავთ, შევეცდებით დავადგინოთ, თუ რა ღუპავს და რა იცავს სახელმწიფოს, როგორც ყველას, ისე თითოეულს ცალ-ცალკე და რაა ამის ბუნებრივი მიზეზი.

[63] პლატონი, „პოლიტიკოსი” 302A და ქვ.

თავი III

სახელმწიფოთა მრავალფეროვნების მიზეზი არის მათი შემადგენელი ნაწილების სიმრავლე. ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფოს პირველი შემადგენელი ნაწილია ოჯახი. ამის შემდეგ არსებობენ აუცილებლად მდიდრები და ღარიბები და, საშუალო ფენები. მდიდრებისა და ღარიბების ნაწილს აქვს იარაღი, ნაწილს არა. ხალხი ანუ დემოსი შედგება მიწათმოქმედთაგან, დაქირავებული მუშებისა და ვაჭრებისაგან. მაღალი კლასები განსხვავდებიან სიმდიდრით და მისი მოცულობით, მაგალითად, ცხენების რაოდენობით, რადგან ძნელია ცხენების შენახვა ისე, თუ მდიდარი არა ხარ. ამიტომაც ძველ დროში იმ სახელმწიფოებში, სადაც ძალა ცხენოსან კავალერიას ემყარებოდა, ჩამოყალიბდა ოლიგარქიული წესწყობილება. ეს სახელმწიფოები იყენებდნენ ცხენოსან კავალერიას მეზობლებთან ომში, მაგალითად, ერიტრიელები, ქალკედონელები, მაგნეზიელები და მრავალი სხვა აზიელი ხალხი. გარდა ქონებრივი განსხვავებისა, არსებობს განსხვავება წარმოშობაში, სათნოებაში და სხვა, რაზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ მაშინ, როდესაც განვიხილავდით არისტოკრატიულ წყობილებას. მაშინ ჩვენ ჩამოვთვალეთ ის ნაწილებიც, რისგანაც აუცილებლად შედგება ნებისმიერი სახელმწიფო. ამ ნაწილებისაგან სახელმწიფოს მმართველობაში ყველა მონაწილეობს, ოღონდ ზოგჯერ ბევრი, ზოგჯერ ნაკლები.

აქედან ცხადია, რომ აუცილებელია სახელმწიფოთა სიმრავლის არსებობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან. ამ სახეობრივ განსხვავებას კი ჰქმნის განსხვავება მათ ნაწილებს შორის. სახელმწიფო - ეს არის ხელმძღვანელობის მოწესრიგება, ეს კი ხდება ან იმ უნარის მიხედვით, რომელიც აქვთ მმართველობაში მონაწილეებს, ანდა მათთვის დამახასიათებელი საერთო თანასწორობის თვისებით. მე ვგულისხმობ ღარიბებსა და მდიდრებს და მათ საერთო თვისებებს. აუცილებელია სახელმწიფოს იმდენი ფორმის არსებობა, რამდენიც მმართველობის ფორმა არსებობს ნაწილების განსხვავების მიხედვით.

მაგრამ არსებობს სახელმწიფოთა ორი სახე, როგორც ქარების შესახებ ამბობენ, რომ არსებობს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქარები. სახელმწიფოების დანარჩენი სახეები არის ამათგან გადახრა. ესენი არიან დემოკრატია და ოლიგარქია. არისტოკრატიას კი თვლიან ოლიგარქიის ერთ-ერთ სახეობად, ე.წ. პოლიტიას კი დემოკრატიისა, როგორც ქარებში დასავლეთის ქარს თვლიან ჩრდილოეთის ქარის სახეობად, ხოლო აღმოსავლეთის ქარს სამხრეთის სახეობად. როგორც ზოგი ამბობს, იგივე მდგომარეობაა ბგერებშიც. აქაც ასხვავებენ ორ სახეობას, დორიულსა და ფრიგიულს, დანარჩენებს კი ან დორიულის, ან ფრიგიულის სახეობად მიიჩნევენ.

როგორც ჩანს, სახელმწიფოების ფორმების შესახებ ისიც ასევე მსჯელობდა, როგორც ჩვენ: არსებობს ერთი ან ორი ჭეშმარიტი და საუკეთესო წყობილება, დანარჩენები კი არიან გადახრა ამ სწორი სახელმწიფოებიდან და როგორც მუსიკაში არსებობს კარგად შეწყობილი მელოდია, ასევე არსებობს კარგი სახელმწიფოებრივი წყობილება. ოლიგარქია ჩვენ მიგვაჩნია დაძაბულ, დესპოტურ მმართველობად, დემოკრატია კი უფრო სუსტ და რბილი მმართველობის ფორმად.

დემოკრატია არ უნდა გავიგოთ მარტივად უბრალო უმრავლესობის მმართველობად, როგორც ფიქრობს ახლაც ზოგიერთი, რადგან როგორც ოლიგარქიაში, ისე ყველგან უმრავლესობას დიდი უფლებები აქვს. თუ სახელმწიფოში ცხოვრობს ათას სამასი მოქალაქე და ამათგან ათასი არის მდიდარი, რომლებიც მმართველობაში არ უშვებენ დანარჩენებს, თავისუფლებს, მაგრამ ღარიბებს, სხვა მხრივ კი მდიდრების მსგავსთ, ამ სახელმწიფოს არავინ არ უწოდებს დემოკრატიულს. ასევე, თუ ღარიბები მცირერიცხოვანი არიან, მაგრამ უფრო ძლიერნი, ვიდრე მდიდრების უმრავლესობა, ამ სახელმწიფოს არავინ არ უწოდებდა ოლიგარქიულს, თუ დანარჩენ მოქალაქეებს, მდიდრებს არა აქვთ არავითარი უფლებები.

უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ დემოკრატია არის მაშინ, როცა ძალაუფლება არის თავისუფალი მოქალაქეების ხელში, ხოლო

ოლიგარქია - მაშინ, როცა ძალაუფლება ეკუთვნის მდიდრებს. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ერთნი ბევრნი არიან, მეორენი - ცოტანი, თავისუფალი მოქალაქენი ბევრნი არიან, მდიდრები ცოტანი. თუ თანამდებობებს გაანაწილებდნენ სიმაღლის ან სილამაზის მიხედვით, როგორც ამას ადგილი აქვს ეთიოპიაში, როგორც ზოგიერთი ამბობს, მაშინ მივიღებდით ოლიგარქიას, რადგან მაღლები და ლამაზები ცოტანი არიან.

ამრიგად, ეს ნიშნები არაა საკმარისი სახელმწიფოების განსხვავებისათვის, რადგან ოლიგარქიასაც და დემოკრატიასაც აქვთ მრავალი ნაწილი. მაშინ უნდა მივიღოთ, რომ არც თავისუფალი მოქალაქენი, რომელნიც უმცირესობას წარმოადგენენ და არც უმრავლესობა არ უნდა მართავდეს სახელმწიფოს, როგორც ეს მოხდა აპოლონიაში, რომელიც იონიის ყურესთან მდებარეობს, და თერაში. ორივეგან პატივისცემით სარგებლობენ კეთილშობილი წარმოშობის მოქალაქენი და ამ კოლონიის პირველი მოსახლენი, თუმცა ისინი მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ. არც მდიდრების მრავალრიცხოვანების გამო ჩაითვლება სახელმწიფო დემოკრატიულად, როგორც მოხდა ეს კოლოფონში, სადაც ძველად მოსახლეობის უმრავლესობამ დიდი ქონება დააგროვა ლიდიელების წინააღმდეგ ომში. ამრიგად, დემოკრატია არსებობს მაშინ, როცა ძალაუფლება ეკუთვნის ღარიბ თავისუფალ მოქალაქეებს, ხოლო ოლიგარქია მაშინ, როცა ძალაუფლება ეკუთვნის კეთილშობილი მდიდრების უმცირესობას.

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები ბევრია და რა არის ამის მიზეზი. მაგრამ ისინი უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე ჩვენ დავასახელეთ. თუ როგორნი არიან ისინი და როგორ არსებობენ, ამაზე ახლა ვიტყვით ზემოთქმულის გათვალისწინებით. ჩვენ გავიზიარეთ შეხედულება, რომ სახელმწიფოს აქვს არა ერთი, არამედ მრავალი შემადგენელი ნაწილი. თუ ჩვენ გვინდა დავადგინოთ ცხოველთა სახეები, ჯერ უნდა გამოვყოთ ის ნაწილები, რომელიც აუცილებელია, მაგალითად, შეგრძნების ორგანოები, საკვების მიმღები და გადამამუშავებელი ნაწი-

ლები, როგორიცაა პირის ღრუ და მუცელი. ამას გარდა ის, რაც ამოძრავებს თითოეულ ამ ნაწილს. თუ ეს არის ცხოველთა ნაწილები, სწორედ ეს წარმოშობს განსხვავებას ცხოველთა შორის. მე ვგულისხმობ პირს, მუცელს, შეგრძნების ორგანოებს და მამოძრავებელ ნაწილებს. ამ ორგანოების სახეების განსხავების შეჯამებით აუცილებლად მივიღებთ ცხოველთა მრავალსახეობას, რადგან არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე ცხოველს ჰქონდეს ბევრი განსხვავებული პირი, ან ყურები და სხვა ორგანოები. და თუ ჩვენ დავაჯამებთ იმ განსხვავებას, რაც ცხოველთა ნაწილებს ახასიათებთ, ვიღებთ ცხოველთა სახეებს. ე.ი, იარსებებს ცხოველთა იმდენი სახეობა, რამდენიც ამ ნაწილების შეკავშირების კომბინაცია. ამავე მეთოდით უნდა განვასხვავოთ ზემოდასახელებული სახელმწიფოები, ხოლო სახელმწიფოები შედგებიან მრავალი ნაწილისაგან, როგორც ზემოთაც ვთქვით.

სახელმწიფოს ერთი ნაწილია საკვების მომპოვებელი, ე.წ. მიწათმოქმედები, მეორე ნაწილს შეადგენენ ე.წ. ხელოსნები, რომლებიც ხელობას მისდევენ და რომელთა გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა. ამათგან ნაწილი არსებობს აუცილებლობის გამო, ნაწილი - ფუფუნებისა და მშვენიერი ცხოვრების მიზნით. მესამე ნაწილს შეადგენენ ვაჭრები. მე ვგულისხმობ იმათ, რომლებიც აწარმოებენ ყიდვა-გაყიდვას, წვრილ და მსხვილ ვაჭრობას. მეოთხეა დღიური მუშები, მეხუთე - მეომრები. ეს უკანასკნელი არანაკლებ არიან საჭირო, ვიდრე ზემოდასახელებულნი, თუ სახელმწიფოს არ სურს იყოს დამონებული თავდამსხმელებისაგან. არ შეიძლება იმ საზოგადოებას ეწოდოს სახელმწიფო, რომელიც მონაა. სახელმწიფო დამოუკიდებელი უნდა იყოს. მონა კი დამოუკიდებელი არაა.

„სახელმწიფოში" მოსწრებულად არის ნათქვამი, მაგრამ არა დამაკმაყოფილებლად. სოკრატე ლაპარაკობს ოთხ ნაწილზე, რომლისაგან უნდა შედგებოდეს სახელმწიფო: მქსოველებზე, მიწათმოქმედებზე, მეწაღეებსა და მშენებლებზე. რადგან ეს არ აღმოჩნდა საკმარისი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, დაუმატა მჭედლები და მწყემსები, რომ-

ლებიც მოიპოვებენ აუცილებელ საარსებო საშუალებებს, დაუმატა აგრეთვე მსხვილი და წვრილი ვაჭრები. ყველა ესენი საკმარისნი არიან პირველი სახელმწიფოს შესაქმნელად. ამათგან უნდა შედგებოდეს ნებისმიერი სახელმწიფო, შექმნილი აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და არა მშვენიერი ცხოვრებისათვის. ამ სახელმწიფოს დასჭირდება აგრეთვე მიწათმოქმედნი და მეწაღეები. თავდაპირველად ის სამხედროებს არ ასახელებდა, სანამ მიწა არ გაიზარდა და მეზობელ სახელმწიფოებთან საომარი მდგომარეობა არ შეიქმნა. მაგრამ ნებისმიერ სახელმწიფოში აუცილებელია სასამართლოს არსებობა და განაჩენის გამოტანა, ამიტომ საჭიროა მეოთხე კლასიც, თუ ვინმე ცოცხალი არსებისთავის უფრო მნიშვნელოვან ნაწილად თვლის სულს, ვიდრე სხეულს. ასევე სახელმწიფოსთვის აუცილებელია ის, რაც არსებობისათვის საჭირო მოთხოვნილებებს ემსახურება. ასეთი კი არის სამხედრო ნაწილი, სასამართლო საქმეების წარმოება და საბჭო, რაც პოლიტიკური ინტელიგენციის როლს ასრულებს. მნიშვნელობა არა აქვს ეს ნაწილები ცალ-ცალკე არსებობენ, თუ ერთი კაცის ხელში არიან თავმოყრილი. შესაძლებელია, რომ სამხედრო სამსახური და მიწის დამუშავება მოუხდეს ერთსა და იმავე ადამიანს. მთავარია არა ის, ჩავთვლით თუ არა რომელიმე ნაწილს სახელმწიფოსთვის საჭიროდ, არამედ ის, რომ შეიარაღებული ძალები ჩავთვალოთ სახელმწიფოს აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. მეშვიდე კლასია ის, რომელიც ზრუნავს ქონებაზე და რომელსაც ჩვენ მდიდრებს ვუწოდებთ. მერვე კლასია ის, რომელიც ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და რომელიც მუშაობს სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, რადგან ხელმძღვანელი პირების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა. აუცილებელია ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა და სამსახური ან მუდმივად, ან რიგრიგობით. გვრჩება ის კლასი, რომელზეც ახლახანს ვლაპარაკობდით. ესაა სათათბიროს წევრები და მოსამართლენი, რომლებიც არჩევენ სადავო საკითხებს. ისინიც უნდა არსებობდნენ სახელმწიფოში, რადგან ისინი ხელს უწყობენ

სამართლიანობისა და სიკეთის წარმოშობას. აუცილებელია, რომ ამათაც ჰქონდეთ სათნოება, რაც საჭიროა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

ზოგს ჰგონია, რომ მას აქვს მრავალგვარი უნარი, მაგალითად, ქვეყნის დაცვის, მიწის დამუშავების, ხელოსნობის, აგრეთვე სათათბირო და მოსამართლისა. ჰგონიათ რა, რომ მრავალი სათნოება გააჩნიათ, ამიტომ შეუძლიათ მრავალ მაღალ თანამდებობაზე მუშაობა, მაგრამ ერთი და იგივე ადამიანი არ შეიძლება იყოს ღარიბიც და მდიდარიც. სახელმწიფოს მთავარ შემადგენელ ნაწილებს კი მდიდრები და ღარიბები წარმოადგენენ. უმეტეს შემთხვევაში ერთი მხარე არის უმცირესობა, მეორე - უმრავლესობა და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილებს. სახელმწიფო წყობილებაც ყალიბდება იმის და მიხედვით, თუ რომელი მათგანი ჭარბობს. როგორც ჩანს, ამის გამო არსებობს ორი სახელმწიფოებრივი წყობილება: დემოკრატია და ოლიგარქია.

თავი IV

ზემოთ ვთქვით, რომ არსებობს სახელმწიფოების მრავალი სახე და რა მიზეზით. ახლა ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რომ არსებობს დემოკრატიისა და ოლიგარქიის მრავალი სახე, რაც ცხადი იყო აგრეთვე ზემოთქმულიდან. არსებობს აგრეთვე ხალხის მრავალი სახეობა. მაგალითად, ერთი სახეობა არის მიწათმოქმედთა, მეორე ხელოსნებისა, მესამე ვაჭრებისა, რომლებიც ყიდვა-გაყიდვას აწარმოებენ, შემდეგი სახეა მეზღვაურებისა, ამათგან ნაწილი მეომრები არიან, ნაწილი მეთევზეობას მისდევს, ნაწილი ტვირთზიდვას ეწევა. ხშირად თითოეული ეს სახეობა არის მრავალრიცხოვანი, მაგალითად, მეთევზეები ტარენტსა და ბიზანტიაში, მეზღვაურები ათენში, მატროსები ეგინასა და ქიოსში, მტვირთავები ტენედოსში. ამას გარდა, არსებობს უღარიბესი მოსახლეობა და მცირე ქონების მფლობელნი, რომელთაც არა აქვთ თავისუფალი დრო. შემდეგ არათავისუფალი მოქალაქენი, რომლებიც არ არიან ორივე მხრივ თავისუფალი მშობლებისაგან წარმოშობილი და სხვა სახეობანი უბრალო ხალხისა. გამორჩეული ხალხი კი ერთმანეთისაგან განსხვავდება სიმდიდრით, კეთილშობილი წარმოშობით, ზნეობით, განათლებითა და სხვა ამგვარი თვისებებით.

ე.წ. „პირველ დემოკრატიაში" გატარებულია ძირითადად თანასწორობის პრინციპი. ამ დემოკრატიაში კანონი ქადაგებს თანასწორობას. არც ღარიბებს და არც მდიდრებს არა აქვთ რაიმე უპირატესობა, არც ერთი მხარე არაა მეტი უფლებების მქონე მეორესთან შედარებით, არამედ ორივე მხარე თანასწორია. რადგან ამ დემოკრატიაში ყველაზე მეტად არსებობს თავისუფლება და თანასწორობა, როგორც ამტკიცებს ზოგიერთი, ამიტომ აქ ყველაზე მეტად მონაწილეობს მოსახლეობა მმართველობაში. რადგან აქ უმრავლესობას ხალხი შეადგენს და მათ დადგენილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ აუცილებელია, რომ ეს სახელმწიფო დემოკრატიული იყოს. აი, ესაა დემოკრატიის ერთი სახე.

დემოკრატიის მეორე სახეობაში ხელმძღვანელი თანამდებობის მიღება დამოკიდებულია ქონებაზე, თუმცა არა დიდ ქონებაზე. მაშასადამე, მმართველობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქონების მფლობელს, ხოლო არმქონე ამ უფლებას მოკლებულია.

შემდეგი სახეობა დემოკრატიისა ისაა, სადაც ყველას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა მმართველობაში. მართვა ხორციელდება კანონების საფუძველზე, მაგრამ მოქალაქის თავისუფალი წარმოშობა ეჭვს არ უნდა ბადებდეს. დემოკრატიის შემდეგ სახეობაში ყველას აქვს უფლება მიიღოს მაღალი თანამდებობა, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ის მოქალაქე იყოს. სახელმწიფოს აქ კანონი მართავს. დემოკრატიის შემდეგ ფორმაში ყველაფერი ისეა, როგორც ზემოთქმულში, მაგრამ ძალაუფლება ეკუთვნის არა კანონს, არამედ ხალხს, ეს კი ხდება იმიტომ, რომ აქ მთავარია სახალხო კრების გადაწყვეტილება და არა კანონი. ამას ახორციელებენ დემაგოგები. იმ სახელმწიფოში, სადაც დემოკრატია ხორციელდება კანონით, დემაგოგებს ადგილი არა აქვთ. იქ საპატიო ადგილები საუკეთესო მოქალაქეებს ეკუთვნით. დემაგოგები ჩნდებიან იქ, სადაც კანონს არა აქვს ძალა, ხალხი ხდება სუვერენული მმართველი, თუ გაერთიანდა. მასა ძლიერია არა ცალ-ცალკე, არამედ ყველანი ერთად. გაუგებარია, თუ რას გულისხმობდა ჰომეროსი, როცა ამბობდა, რომ არ ვარგა, როცა სათავეში მრავალია. იქნება გულისხმობდა იმას, რომ თუ მრავალი მართავს ისე, თითქოს ერთი ყოფილიყო.

როდესაც მასას სურს იყოს ერთმმართველი და სახელმწიფო მართოს, როგორც მონარქმა, მაშინ ის არ მართავს კანონებით და მაშინ ეს სახელმწიფო იქცევა დესპოტურ სახელმწიფოდ, სადაც პატივში იმყოფებიან მლიქვნელნი. ასეთი დემოკრატია ტირანიის ანალოგიურია. მათ ერთნაირი თვისებები აქვთ, ორივე დესპოტურად ექცევა საუკეთესო მოქალაქეებს, გადაწყვეტილებებს იქ ბრძანების ხასიათი აქვს. ორივეგან ვხვდებით დემაგოგებს და მლიქვნელებს, რომლებიც ერთმანეთს ჰგვანან და იგივეობრივნი არიან. თითოეულ მათგანს აქვს დიდი გავლენა ტირანზე, დემაგოგებს კი ასეთ ხალხზე. ამის მიზეზი ისაა, რომ დიდი

მნიშვნელობა ეძლევა გადაწყვეტილებებს და არა კანონს. გადაწყვეტილება კი ხალხს გამოაქვს. ამის შედეგად ხალხი იქცევა დიდ ძალად, რადგან საქმეების უმეტესობას თავისი შეხედულებით წყვეტს. დემაგოგები კი თანამდებობის პირებს ბრალდებებს უყენებენ და ამტკიცებენ, რომ ისინი ხალხმა უნდა გაასამართლოს. ხალხი ამ ბრალდებებს სიამოვნებით ეთანხმება და თანამდებობის პირები კარგავენ თავის უფლებებს. სწორი იქნებოდა, თუ ამ დემოკრატიას უსაყვედურებდნენ, რომ ის არ წარმოადგენს სახელმწიფოს, რადგან სადაც არაა კანონი, იქ არც სახელმწიფოა. კანონი უნდა წყვეტდეს ყველაფერს, ხოლო თანამდებობის პირები და სახელმწიფო კი უნდა წყვეტდნენ კერძო საკითხებს. ასე რომ, თუ დემოკრატია არის სახელმწიფოს ერთ-ერთი სახეობა, ცხადია, რომ ის წყობილება, სადაც ყველაფერს წყვეტს სახალხო კრება, არ იქნება ნამდვილი დემოკრატია, რადგან სახალხო კრების გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს უნივერსალური მნიშვნელობა.

აი, ჩვენი მოსაზრებები დემოკრატიული სახელმწიფოს შესახებ.

თავი V

ოლიგარქიის ერთ-ერთ სახეობას ახასიათებს მდიდრებისათვის უპირატესობის მინიჭება იმდენად, რომ ღარიბები, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, არ მონაწილეობენ სახელმწიფოს მმართველობაში. სახელმწიფოს მმართველობაში დაიშვებიან მხოლოდ ისინი, რომლებმაც შეაგროვეს ქონება.

შემდეგი ფორმა, ოლიგარქია, არის ის, სადაც სათავეში ექცევიან დიდი ქონების პატრონნი და შემდეგ ისინი ირჩევენ იმ თანამდებობის პირებს, რომელნიც აკლიათ. თუ ეს შევსება წარმოებს მდიდრების მთელი შემადგენლობიდან, მაშინ შეიქმნება არისტოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ თუ მოსახლეობის განსაზღვრული ფენიდან, მაშინ ისევ ოლიგარქიას მივიღებთ.

ოლიგარქიის მესამე სახეობაში შვილი იკავებს მამის თანამდებობას. მეოთხე ფორმაში მმართველობა ხორციელდება ზემოთქმულის მიხედვით, მაგრამ საზოგადოებას მართავს არა კანონი, არამედ თანამდებობის პირები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოლიგარქიაში ხდება ტირანიის გადასვლა მონარქიაში, როგორც დემოკრატიისა დემოკრატიაში. ასეთ ოლიგარქიულ სახელმწიფოს უწოდებენ დინასტიურს.

აი, რამდენი სახე არსებობს დემოკრატიისა და ოლიგარქიისა. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის სახელმწიფოები, რომლებიც კანონის მიხედვით დემოკრატიულნი არ არიან, მაგრამ ტრადიციებისა და სოციალური სისტემის მიხედვით კი დემოკრატიულნი არიან. ასევე პირიქით, ზოგიერთი სახელმწიფო კანონის მოხედვით დემოკრატიულია, ხოლო ტრადიციებისა და ცხოვრების წესის მიხედვით კი ოლიგარქიული. ეს მეტწილად ხდება სახელმწიფოებში მომხდარი ცვლილებების შედეგად, როდესაც სწრაფად კი არ ხდება გადასვლა ახალზე, არამედ პატარ-პატარა ცვლილებების დაგროვების გამო. ასე რომ, ადრე არსებული კანონები ინარჩუნებენ თავის ძალას, ძალაუფლება კი გადადის იმათ ხელში, ვინც გადატრიალება მოახდინა.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ დემოკრატიისა და ოლიგარქიის ასეთი სახეები არსებობს. აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობდეს მოსახლეობის ყველა ფენა, ანდა ზოგი მონაწილეობდეს და ზოგი არა. როდესაც მიწათმოქმდენი და საშუალო ფენები არიან სათავეში, მაშინ სახელმწიფოს მართვა ხორციელდება კანონებით, რადგან ისინი შრომით ცხოვრობენ და დასვენება არ შეუძლიათ. ამიტომ ისინი ყველაფერზე მაღლა კანონს აყენებენ და საერთო სახალხო კრებებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში აწყობენ. სხვა მოქალაქენი კი მმართველობაში მონაწილეობენ იმ შემთხვევაში, თუ დააგროვებენ ქონების კანონით დაშვებულ რაოდენობას.

ამგვარად, შეძლების მქონე ყველა მოქალაქე მონაწილეობს მმართველობაში. თუ ეს უფლება ყველას არ ექნება, შეიქმნება ოლიგარქია. მაგრამ თავისუფალი დრო არ ექნება კაცს, თუ ცხოვრების სახსარი არა აქვს. აი, ამ მიზეზის გამო ესაა დემოკრატიის პირველი სახეობა.

დემოკრატიის შემდეგ სახეს აქვს ასეთი განმასხვავებელი ნიშნები: აქ ყველას აქვს უფლება მონაწილეობდეს მმართველობაში, თუ არაა ეჭვი მის კეთილშობილურ წარმოშობაზე. მაგრამ მონაწილეობს ის, ვისაც აქვს საამისო თავისუფალი დრო. ასეთ დემოკრატიაში მართავენ კანონებით, რადგან ხალხს არა აქვს თავისუფალი დრო.

დემოკრატიის მესამე სახისათვის დამახასიათებელია ყველა თავისუფალი მოქალაქის მონაწილეობა მმართველობაში ზემოხსენებული მიზეზის გამო. ასე რომ, ამ სახელმწიფოში ხელმძღვანელობენ კანონით.

მეოთხე სახეობა დემოკრატიისა წარმოიშო დასახელებულ სახელმწიფოებზე გვიან, რადგან სახელმწიფოები ადრინდელთან შედარებით გაიზარდნენ და შემოსავალიც მოემატათ. სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობს უბრალო ხალხის უმრავლესობა და ისინი ეწევიან პოლიტიკურ საქმიანობას, რადგან იღებენ რა ხელფასს, უხვად აქვთ თავისუფალი დრო. ხალხის მასას საკუთარ საქმეებზე ზრუნვა ხელს აღარ უშლის, მდიდრებს კი უშლის, რის გამოც ისინი ხშირად არ ესწრებიან სა-

ხალხო კრებებს და სასამართლოებს. ამიტომ ხალხის მასა ხელთ იგდებს ძალაუფლებას და კანონებიც კარგავენ თავის მნიშვნელობას.

აი, რამდენი სახეობა არსებობს დემოკრატიისა, რატომ არსებობენ ისინი და რა მიზეზით. ოლიგარქიის პორველ სახეობაში ქონება აქვს ხალხს, თუმცა მცირე რაოდენობისა და არა

ძალიან დიდი, რის გამოც მას აქვს საშუალება მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა- გამგეობაში. ესაა ოლიგარქიის პირველი სახე. რადგან აქ ქონების მფლობელი მონაწილეობენ მართველობაში და რადგან მათი რიცხვი დიდია, ამიტომ აუცილებელია, რომ მთელი ძალაუფლება იყოს არა ადამიანების, არამედ კანონების ხელში, რახან ის დიდად არის დაშორებული მონარქიისაგან. აქ ხალხს არა აქვს იმდენი ქონება, რომ არ ზრუნავდეს საარსებო საშუალებების მოპოვებაზე, მაგრამ არა აქვს იმდენად ცოტა, რომ სახელმწიფოს შესანახი გახდეს. ამიტომ ისინი მოითხოვენ, რომ სახელმწიფოს მართავდეს კანონი და არა პიროვნება. რადგან მდიდრები მცირერიცხოვანნი არიან, მაგრამ უფრო მეტად მდიდრები, ვიდრე ოლიგარქიის პირველ ფორმაში, ამიტომ წარმოიშობა ოლიგარქიის მეორე ფორმა, სადაც მდიდრებს დიდი უფლებები აქვთ და ამიტომ მეტ მოთხოვნებს აყენებენ. ისინი ირჩევენ თანამდებობის პირებს დანარჩენი მოსახლეობიდან. მაგრამ ისინი იმდენად ძლიერნი არ არიან, რომ კანონების გარეშე მართონ სახელმწიფო, ამიტომ ადგენენ შესაბამის კანონებს.

როდესაც მცირდება დიდი ქონების მფლობელთა რიცხვი, მაშინ წარმოიშობა ოლიგარქიის მესამე სახე, სადაც მთელი ძალაუფლება ამათ ხელშია. ხოლო მათი სიკვდილის შემდეგ კანონების საფუძველზე მათი ვაჟები იკავებენ მათ თანამდებობებს, მათი ქონება დიდად იზრდება, მომხრეებიც ემატება და ძალაუფლება გადადის არა კანონების, არამედ ადამიანების ხელში. ასეთი დინასტია უახლოედება მონარქიას. ასეთია ოლიგარქიის მეოთხე სახე. ესაა უკიდურესი დემოკრატიის სრულიად საწინააღმდეგო ფორმა.

დემოკრატიისა და ოლიგარქიის გარდა, არსებობს კიდევ ორი სახელმწიფო წეს-წყობილება, რომელთაგან ერთ-ერთს როგორც ყველა, ისე ჩვენც ვთლით ოთხი ფორმიდან ერთ-ერთად. ეს ოთხი ფორმაა: მონარქია, ოლიგარქია, დემოკრატია, არისტოკრატია და მეხუთე ატარებს ყველა სახელმწიფოსათვის საერთო სახელს "პოლიტეია". რადგან ის ხშირად არ გვხვდება, ამიტომ შეუმჩნეველი რჩება იმათთვის, ვინც ცდილობს სახელმწიფოს სახეების ჩამოთვლას და ამიტომ ასახელებენ სახელმწიფოს მხოლოდ ოთხ ფორმას. მაგალითად, პლატონი თავის „სახელმწიფოში". არისტოკრატია ამ სახელმწიფოს სწორად ეწოდება, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვთქვით ჩვენს ზემომოტანილ საუბრებში. ამ სახელს ატარებს ეს სახელმწიფო, როგორც სახელმწიფო, ასევე ადამიანების გამო, რომელნიც ნამდვილად არიან სათნო და არა რაღაც პირობების გამო. ამ ერთ რამეში, ზნეობაში, პოლიტიკოსნი და მოქალაქენი იგივეობრივნი არიან. სხვა სახელმწიფოებში კი მოქალაქენი ასეთნი არიან მხოლოდ სახელმწიფოსთან მიმართებაში. მაგრამ არსებობენ სხვა სახელმწიფოებიც, რომლებიც განსხვავდებიან ოლიგარქიულისაგან და არისტოკრატია ეწოდებათ. ისინი განსხვავდებიან აგრეთვე „პოლიტეიისაგან", სადაც მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან არა მხოლოდ სიმდიდრის, არამედ აგრეთვე სათნოების გამო. ეს სახელმწიფო განსხვავდება ორივესაგან და ეწოდება არისტოკრატიული სახელმწიფო. იმ სახელმწიფოებშიც კი, სადაც საერთოდ არ ზრუნავენ მოქალაქეთა ზნეობაზე, არიან ადამიანები, რომლებსაც კარგი სახელი აქვთ და პატიოსნებად თვლიან. იქ, სადაც ყურადღებას აქცევენ სიმდიდრესაც, სათნოებასა და მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, მაგალითად, კართაგენში, იქ არისტოკრატიული სახელმწიფოა, ხოლო სადაც მხოლოდ ორ რამეს აქცევენ ყურადღებას, ზნეობასა და ადამიანებს, იქ სახელმწიფო წარმოადგენს ზნეობისა და დემოკრატიისა ნარევს. ზემოდასახელებული ფორმების გარდა, არისტოკრატიას უნდა დაემატოს ეს ორი სახე და მესამე ე.წ. „პოლიტეია", რომელიც უფრო ოლიგარქიისაკენ იხრება.

თავი VI

დაგვრჩა განსახილველი ე.წ „პოლიტეია” და ტირანია. ჩვენ ისინი ასე მოვათავსეთ, თუმცა არც პოლიტეია და არც ტირანია არ არიან სახელმწიფოს დამახინჯებული ფორმები. სიმართლე რომ ითქვას, ყველა ისინი სწორ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასთან შედარებით, არიან ერთგვარი შეცდომა. ისინი მერე მიაკუთვნეს დამახინჯებულ ფორმებს, რაც წარმოადგენს გადახვევას სწორი სახელმწიფოებრივი ფორმებიდან, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ. და ბოლოს, გონივრული იქნება განვიხილოთ ტირანია, რომელშიც ყველაზე ნაკლებ არის რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი წეს- წყობილება, თუმცა ჩვენი კვლევა რესპუბლიკას ეხება.

თუ რატომ ვაწარმოებთ ამ კლასიფიკაციას, ამის შესახებ უკვე ვთქვით. ახლა კი უნდა შევუდგეთ პოლიტეიის განხილვას. დავადგინეთ რა ოლიგარქიისა და დემოკრატიის ხასიათი, ახლა უფრო ნათელი გახდება პოლიტეიის არსი. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტეია არის ოლიგარქიისა და დემოკრატიის ნარევი. ხალხი პოლიტეიას უწოდებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იხრებიან დემოკრატიისაკენ, ხოლო რომლებიც იხრებიან ოლიგარქიისაკენ, არისტოკრატიას უწოდებენ, რადგან მდიდრები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას სწავლა-განათლებას და კეთილშობილებას. ამას გარდა, ფიქრობენ, რომ მდიდრებს აქვთ ის, რის გამოც ბოროტნი ბოროტმოქმედებას სჩადიან. აქედან წარმოიშო მათი სახელწოდება „კალოკაგათია” და „ცნობილნია”.

არისტოკრატიაში სურთ, რომ უპირატესობა საუკეთესო მოქალაქეებს მიეცეს. ოლიგარქიაც, ძირითადად, კარგი და მშვენიერი მოქალაქეებისაგან შედგება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია კარგი კანონები ჰქონდეს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ხელმძღვანელობენ არა კარგი, არამედ ცუდი ადამიანები. ასევე შეუძლებელია არისტოკრატიული იყოს ის ქვეყანა, რომელსაც კარგი კანონები არა აქვს. კანონიერება არ იქნება იქ, სადაც კანონები კარგია, მაგრამ მას არ ასრულებენ. მაშ, უნდა

მივიღოთ, რომ კანონიერება ნიშნავს კანონებისადმი მორჩილებას. არის სახელმწიფოები, სადაც ემორჩილებიან კარგად შედგენილ კანონებს. მაგრამ ხდება ხოლმე ისიც, რომ ასრულებენ ცუდად შედგენილ კანონებს. კარგი კანონები კი ორგვარია: კარგი - მოქალაქეთათვის და კარგი - აბსოლუტური მნიშვნელობით.

ვფიქრობთ, რომ არისტოკრატია არის ისეთი სახელმწიფო, სადაც, პირველ რიგში, პატივს სცემენ ზნეობრივ ადამიანებს და მასში საზომია ზნეობა, ოლიგარქიაში საზომია სიმდიდრე, დემოკრატიაში - თავისუფლება. ყველა სახელმწიფო, ოლიგარქიაც, არისტოკრატიაც და დემოკრატიაც გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევს უმრავლესობის აზრს, ეი, გადამწყვეტია ის, რასაც ფიქრობს ხელმძღვანელ პირთა უმრავლესობა.

სახელმწიფოთა უმრავლესობას აქვს ერთი ნიმუში პოლიტეიის სახით, რაც გულისხმობს მდიდრებისა და ღარიბების, სიმდიდრისა და თავისუფლების ნარევს. უმრავლესობა სახელმწიფოებში მდიდრებს უკავიათ კარგი და მშვენიერი ადამიანების ადგილი.

ის თვისებები, რომლებიც აცხადებენ სახელმწიფოებში პრეტენზიას თანასწორობაზე, არიან შემდეგი: თავისუფლება, სიმდიდრე და ზნეობრიობა, მეოთხე - კეთილშობილი წარმოშობა - თან სდევს ორ უკანასკნელს, რადგან კეთილშობილება ძველებურად სიმდიდრესა და ზნეობრიობას ნიშნავს. ცხადია, რომ სიმდიდრისა და სიღარიბის ნარევს პოლიტეია უნდა ვუწოდოთ, ხოლო პირველი სამი თვისების ნარევს სხვებთან შედარებით უფრო მეტად არისტოკრატია შეიძლება ეწოდოს, გარდა პირველი, ჭეშმარიტი არისტოკრატიისა.

ამრიგად, ცხადია, არსებობენ მონარქიის, დემოკრატიისა და ოლიგარქიის სხვა სახელმწიფოებრივი ფორმებიც. ითქვა იმის შესახებ, თუ როგორი არიან ისინი, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პოლიტეია და არისტოკრატია, რომელნიც ერთმანეთისგან დიდად არ არიან დაშორებული.

თავი VII

იმის შემდეგ, რაც ვთქვით, ახლა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ, დემოკრატიისა და ოლიგარქიის გარდა, როგორ წარმოიშობა პოლიტეია და როგორია მისი წეს-წყობილება. ამით ნათელი გახდება აგრეთვე ის ნიშნები, რაც ოლიგარქიასა და დემოკრატიას განასხვავებს. მივიღოთ ეს განსაზღვრებები და თითოეული მათგანის ნახევრების შეერთებით შევადგინოთ ერთი მთელი.

შეერთებისა და შერევის კი სამი სახე არსებობს: პირველი, ორივე კანონმდებლობიდან უნდა ავიღოთ ის, რაც საერთოა ორივესათვის, მაგალითად, სასამართლო საქმეების წარმოება. ოლიგარქიაში მდიდრებს აჯარიმებენ, თუ არ მონაწილეობენ სასამართლოს საქმიანობაში, ღარიბებს კი მონაწილეობისათვის ხელფასს აძლევენ. დემოკრატიაში ღარიბებს აძლევენ ხელფასს სასამართლოში მონაწილეობისათვის, მდიდრებს კი არ აჯარიმებენ. პოლიტეია კი წარმოადგენს მათ გაერთიანებას და შუალედს მათ შორის. ასეთია ამ ორი სისტემის გაერთიანების პირველი გზა.

მეორე გზა არის შუალედი იმ დადგენილებებისა, რომელიც გამოაქვს ამ ორ სახელმწიფოს. მაგალითად, დემოკრატია სახალხო კრებაში მონაწილეობისათვის არ მოითხოვს არავითარ ქონებრივ ცენზს, ან მოითხოვს ძალიან მცირეს, ოლიგარქია კი მოითხოვს ძალიან დიდ ცენზს. ამ მხრივ მათ შორის არაფერია საერთო, ამიტომ საჭიროა მათ შორის შუალედი გზის გამონახვა.

მესამე გზა კი გულისხმობს დადგენილებების ნაწილის აღებას ოლიგარქიის კანონებიდან, ნაწილისა კი დემოკრატიიდან. მე ვგულისხმობ შემდეგს: დემოკრატიაში მაღალი თანამდებობის პირებს ნიშნავენ კენჭისყრით, ოლიგარქიაში - არჩევნებით. დემოკრატიაში თანამდებობის დაკავებისათვის არაა საჭირო ქონებრივი ცენზი, ოლიგარქიაში - საჭიროა. დემოკრატია და პოლიტეია იღებენ ამ წყობიდან ერთ-ერთ ნიშანს: ოლიგარქიიდან - მაღალი თანამდებობის პირების არჩევნებს, დემოკრა-

ტიიდან - ქონებრივი ცენზის უარყოფას. აი, ასეთია ამ სახელმწიფოების შეერთების მესამე გზა.

ამ სახელმწიფოების კარგი შეერთების საზომი არის ამ სახელმწიფოების შეფასება ერთდროულად როგორც დემოკრატიულად, ისე ოლიგარქიულად. ისინი, რომლებიც ამას ამბობენ, გრძნობენ, რომ ნარევი კარგია, ასევე განიცდება შუალედი, რომელშიც მოჩანს ორივე უკიდურესობა. ამას ადგილი აქვს ლაკედემონის სახელმწიფოში. ბევრი ამტკიცებს, რომ ლაკედემონი არის დემოკრატიული სახელმწიფო, რადგან მას დემოკრატიული სახელმწიფოს ბევრი ნიშანი აქვს. მაგალითად, ბავშვების აღზრდის საკითხი. მდიდრების შვილები იმავე პირობებში იზრდებიან, როგორც ღარიბებისა, ისინი ისეთსავე განათლებას იღებენ, როგორსაც მდიდრების შვილები, მოწიფულობის და დავაჟკაცების პერიოდ'შიც მათი პირობები არ განსხვავდება. ასევე კვება სისიტიებში ყველას ერთნაირი აქვს. მდიდრები ატარებენ ისეთსავე ტანისამოსს, როგორსაც ატარებენ ღარიბნი. ორი დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობიდან ერთს ირჩევს ხალხი, მეორეს არჩევა კი ხდება ხალხის მასებიდან. გერონტებს ხალხი ირჩევს, ეფორატის არჩევნებში კი თვითონ ხალხი მონაწილეობს. ზოგი ფიქრობს, რომ ლაკედემონელების[64] სახელმწიფო არის ოლიგარქიული, რადგან მას ოლიგარქიულის ბევრი ნიშანი აქვს. მაგალითად, ყველა მაღალი თანამდებობის პირს ირჩევენ და კენჭისყრით არასოდეს არ ნიშნავენ. თანამდებობის პირებს იშვიათად აქვთ უფლება სიკვდილით დასჯის, გაძევებისა და სხვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტეიაში ორივე სისტემა კარგად არის შეერთებული და არც ერთ მათგანს არ ეძლევა უპირატესობა. იგი თავს იცავს საკუთარი და არა გარეშე ძალებით. არც სათათბიროდ არიან მოწვეული გარეშე პირები. ეს ცუდი სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი. ამ სახელმწიფოს არც ერთ შემადგენელ ნაწილს არ სურს სხვა წეს-წყობილება.

ამრიგად, ჩვენ ვიმსჯელეთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიქმნას ე.წ. პოლიტეია და არისტოკრატიული სახელმწიფო.

---

[64] ლაკედემონი - იგივე სპარტა.

თავი VIII

დაგვრჩა განსახილველი ტირანია არა იმიტომ, რომ მასზე ბევრის თქმა შეიძლება, არამედ იმიტომ, რათა მან დაიკავოს თავისი ადგილი ჩვენს გამოკვლევაში, რადგან ჩვენ მას ვთვლით სახელმწიფოს ერთ-ერთ სახეობად. მონარქია ჩვენ უკვე განვიხილეთ წინამორბედ საუბრებ-ში, სადაც კვლევას ვაწარმოებდით ე.წ. მონარქიაზე, რათა დაგვედგინა, სასარგებლოა თუ არა ეს ფორმა და როგორ ნიშნავენ მეფეს.

ტირანიის ორი ფორმა ჩვენ განვიხილეთ იქ, სადაც მონარქიას ვიკ-ვლევდით. ორივეს აქვს ისეთი თვისებები, რაც მონარქიას ემთხვევა. ორივე ემყარება კანონებს. ზოგიერთი ბარბაროსული ტომი ახლაც ირ-ჩევს თვითმპყრობელ მეფეს და ძველ დროშიც, ადრეულ საბერძნეთში ასევე ნიშავდნენ თვითმპყრობელ მეფეებს, რომელთაც ესუმნეტები ეწოდებოდათ. მაგრამ ამ ორ მონარქიას შორის არსებობს განსხვავებაც. ისინი კანონიერებისა და ხალხის ნება-სურვილით არჩევის გამო არიან სამეფოები, მაგრამ დესპოტური მმართველობისა და საკუთარი ნება-სურვილით მოქმედების გამო არიან ტირანული.

ტირანიის მესამე სახე უფრო მეტად არის თვითმპყრობელური ხა-სიათისა. იგი ტირანულია იმიტომაც, რომ უპისპირდება აბსოლუტურ მონარქიას. იგი აუცილებლად არის ტირანული იმის გამო, რომ საუკეთე-სო მოქალაქეებს მართავს ანგარიშგების გარეშე საკუთარი და არა დაქ-ვემდებარებულთა ინტერესებისათვის. ცხადია, რომ ის არის იძულები-თი მმართველობა, რადგან არც ერთი თავისუფალი მოქალაქე არ და-ემორჩილებოდა ასეთ მმართველობას.

ზემოთქმული მიზეზების გამო ასეთია და ამდენი ტირანული სახელ-მწიფოს სახეები.

თავი IX

როგორია ყველაზე უკეთესი სახელმწიფო და ცხოვრების საუკეთესო სახე სახელმწიფოთა და ადამიანთა უმრავლესობისათვის? ეს არაა ცხოვრება ისეთი სათნოებით, რომელიც ჭარბობს ჩვეულებრივი ადამიანის სათნოებას, არც ცხოვრება განათლებით, რაც მოითხოვს ბუნებრივ მონაცემებსა და საშუალებებს, რასაც იძლევა ბედნიერი შემთხვევა. ის არც სახელმწიფოა, რომელსაც მოქალაქეთა სურვილით ირჩევენ, არამედ ესაა ისეთი ცხოვრება, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის უმრავლესობისათვის და ისეთი სახელმწიფო, რომელიც მისაღებია სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის.

ე.წ. არისტოკრატია მიუღებელია სახელმწიფოების უმრავლესობისათვის. იგი უახლოვდება ე.წ. პოლიტეიას, ამიტომ მასზე, როგორც ერთ სახელმწიფოზე, ახლა ვილაპარაკებთ. მსჯელობა ყველა ამ საკითხების შესახებ იქნება დამყარებული იმავე პრინციპებზე. თუ „ეთიკებში“ სწორადაა ნათქვამი, რომ ბედნიერი ცხოვრება არის ზნეობაზე დამყარებული ცხოვრება დაბრკოლებების გარეშე, ხოლო ზნეობა კი არის შუალედი, მაშინ საუკეთესო ცხოვრება იქნება შუალედური ცხოვრება, რომლის მიღწევა შეუძლია ყველა ადამიანს. იგივე განსაზღვრება ექნება აუცილებლად სახელმწიფოებრივ სათნოებასაც და მანკიერებას, რადგან პოლიტეია არის იგივე სახელმწიფო ცხოვრება.

ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი: ძალიან მდიდრები, ძალიან ღარიბები და მესამე - მათ შუა მყოფი. რადგან ყველა აღიარებს, რომ ზომიერება და შუალედი არის საუკეთესო მდგომარეობა, ცხადია, რომ ქონებაშიც საუკეთესოა საშუალო ქონება. გონივრულია დაეთანხმო ასეთ თვალსაზრისს, მაგრამ ძნელია დაეთანხმო ძალიან კარგს, ძალიან ძლიერს, ძალიან კეთილშობილს, და ამათ მოპირდაპირეს - ძალიან ღარიბს, ძალიან სუსტს, ძალიან დამცირებულს. პირველნი ხდებიან უფრო მეტად თავხედები და უზნეონი, მეორენი კი ბოროტმოქმედნი და წვრილმანი უზნეონი; ერთნი სჩადიან უსამართლობას თავხედობის გა-

მო, მეორენი კი ბოროტი თვისებების გამო. გარდა ამისა, ისინი არ გაურ-ბიან სახელმწიფო საქმიანობას, პირიქით, ეტანებიან მას, მაგრამ ორივე ეს ნიშან-თვისება საზიანოა სახელმწიფოსთვის. ამას გარდა, ისინი, რომლებიც ზედმეტად კეთილდღეობაში იმყოფებიან და ძალაუფლე-ბაც აქვთ, ჰყავთ მეგობრები და სხვა უპირატესობანი აქვთ, მათ არ სურთ დაემორჩილონ ხელმძღვანელობას და არც წარმოდგენა აქვთ ამაზე. ეს მათ მოსდგამთ ოჯახიდან და ბავშვობიდან. ისინი იმყოფებოდნენ რა ფუფუნებაში, არ არიან მიჩვეული მორჩილებას სასწავლებლებშიც კი, ხოლო მეორენი დიდი გაჭირვების გამო ძალიან დამცირებული არიან. ამიტომ არ იციან არც ხელმძღვანელობა და არც ქვეშევრდომობა, არა-მედ მხოლოდ მონური მორჩილება. პირველნი არ ემორჩილებიან არა-ვითარ ხელმძღვანელობას და თვითონ, როგორც დესპოტები, ისე ხელ-მძღვანელობენ. ასე წარმოიქმნა მონებისა და ბატონების სახელმწიფო, სადაც ერთნი შურით არიან აღვსილნი, მეორენი კი ზიზღით. ეს კი ეწი-ნააღმდეეგება მეგობრობას და სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს. ხო-ლო მტრებს ერთ გზაზე გავლაც კი არ სურთ.

სახელმწიფოს სურს, რომ შედგებოდეს უმეტესად მსგავსი და თანას-წორი მოქალაქეებისაგან. ეს კი ახასიათებს საუკეთესო პოლიტიკურ წეს-წყობილებას. იმ სახელმწიფოს სიმყარეს, რომლის შესახებ ვამბობთ, რომ არის ბუნებრივი შედგენილობისა, ყველაზე მეტად საშუალო კლასი იცავს. საშუალო კლასს არც სხვების ავლა-დიდება სურს, როგორც ღარი-ბებს, არც სხვებს სურთ მათგან რაიმე, როგორც მდიდრებისაგან ღარი-ბებს და რადგან არც მათ სურთ სხვებისა და არც სხვებს სურთ მათი. ამი-ტომ ისინი მშვიდად ცხოვრობენ. ამასთან დაკავშირებით კარგად აქვს ნათქვამი ფოკულიდეს: „საშუალო ფენას მრავალი უპირატესობა აქვს. მე მინდა, რომ სახელმწიფოში საშუალო ფენას ვეკუთვნოდე[65]". ცხადია, რომ საუკეთესო სახელმწიფოებრივი ურთიერთობა შეიქმნება საშუალო კლასის დახმარებით და კარგია იმ სახელმწიფოს მმართველობა, სადაც საშუალო ფენა ჭარბობს თუ ორივე მოპირდაპირე მხარეს არა, ერთ-

[65] ფოკულიდე - ცნობილი ათენელი ლირიკოსი პოეტი VII საუკუნისა ჩვ. წ.ა.

ერთს მაინც. თუ ისინი დაუკავშირდებიან რომელიმე მხარეს, წარმოშობენ წონასწორობას და ხელს უშლიან მოწინააღმდეგე მხარეების გაძლიერებას. უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც მოქალაქეებს აქვთ საშუალო, მაგრამ საკმარისი ქონება. იქ კი, სადაც ერთ მხარეს აქვს ძალიან ბევრი, მეორეს კი არაფერი, წარმოიშობა ან უკიდურესი დემოკრატია, ან სუფთა სახის ოლიგარქია, ანდა ტირანია, სადაც ორივე მხარე ჭარბად არის მოცემული. ტირანია წარმოიშობა უკიდურესი დემოკრატიისა და ოლიგარქიისაგან. გაცილებით ნაკლებ ჩნდება ის საშუალო ფენებზე დამყარებული და მათი მონათესავე სახელმწიფოებიდან. ამის მიზეზების შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ მოგვიანებით, როცა შევეხებით სახელმწიფო გადატრიალების საკითხს.

ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფოს საშუალო ფორმა არის საუკეთესო, რადგან მხოლოდ მასში არა აქვს ადგილი აჯანყებებს იმის გამო, რომ ჭარბობს საშუალო კლასი და სადაც ჭარბობს საშუალო კლასი, იქ ნაკლებ აქვს ადგილი აჯანყებებსა და არეულობებს. დიდი სახელმწიფოებიც ამავე მიზეზით, ე.ი. საშუალო კლასის სიჭარბის გამო, არიან თავისუფალი აჯანყებებისაგან, პატარა სახელმწიფოებში კი ადვილია ორი მოწინააღმდეგე კლასის გაძლიერება ისე, რომ საშუალო კლასისათვის ადგილი აღარ დარჩეს და ყველანი ხდებიან ან ძალიან მდიდრები ან ძალიან ღარიბები. დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მყარნი არიან, ვიდრე ოლიგარქიები და უფრო დღეგრძელნიც მათში საშუალო კლასის არსებობის გამო. ისინი დემოკრატიაში შეადგენენ უმრავლესობას და უფრო მეტად იკავებენ დიდ თანამდებობებს, ვიდრე ოლიგარქიაში. თუ არ არსებობს საშუალო კლასი, ღარიბები იმარჯვებენ თავისი სიმრავლით და მაშინ ადგილი აქვს ბოროტმოქმედებათა გაძლიერებას და სახელმწიფოც სწრაფად იღუპება. მაგალითისათვის შეიძლება დაგვესახელებინა საუკეთესო პოლიტიკოსები, რომლებიც გამოვიდნენ საშუალო ფენებიდან. მაგალითად, სოლონი ამ კლასიდან იყო, რასაც მისი ლექ-

სიც ადასტურებს, აგრეთვე ლიკურგე[66], რომელიც არ იყო მეფე, აგრეთვე ქარონდე და სხვანი მრავალნი.

აქედან ცხადია, თუ რატომ არის სახელმწიფოთა უმრავლესობა ან დემოკრატიული ან ოლიგარქიული. სახელმწიფოებში საშუალო კლასი წარმოადგენს უმცირესობას, რის გამოც იმარჯვებს რომელიმე უკიდურესი მხარე - ხან მდიდრები, ხან ღარიბები. ისინი, სცილდებიან რა საშუალო ფენებს, სახელმწიფოს განაგებენ საკუთარი ნება-სურვილით და ასე წარმოიქმნება ან დემოკრატია ან ოლიგარქია. ამას გარდა, ღარიბ ხალხსა და მდიდრებს შორის წარმოიშობა ომი და აჯანყებები და რომელმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს, ვერ ჰქმნის ერთ მთლიან და თანასწორუფლებიან მოქალაქეებისაგან შემდგარ სახელმწიფოს. გამარჯვებული მხარე იღებს სახელმწიფოს, როგორც საჩუქარს, და ჰქმნის ხან დემოკრატიას და ხან ოლიგარქიას. ამ ორი სახელმწიფოდან[67], რომელთაც ეკუთვნოდათ ჰეგემონია საბერძნეთში, თითოეულს ჰქონდა საკუთარი წეს-წყობილება, ხან დემოკრატიული, ხან ოლიგარქიული და ზრუნავდნენ არა ამ სახელმწიფოების, არამედ პირად კეთილდღეობაზე. ამის გამო ან სულ არ შეიქმნა საშუალო წყობის სახელმწიფო, ან იშვიათად და მცირერიცხოვან სახელმწიფოებში. წინამორბედთაგან მხოლოდ ერ-

---

[66] ლიკურგე - სპარტის კანონმდებელი IX –VIII სს. ჩვ. წ.ა. მას მიაწერენ სპარტის სახელმწიფო წეს- წყობილების შემოღებას, გადასვლას პირველყოფილი თემური წყობილებიდან კლასობრივზე, მიწების გადანაწილებას, გერუსიის, სისიტიების, სახალხო კრების - ეკლესიის, სპარტანული აღზრდის სისტემის შემოღებას და სხვ. სპარტაში არსებობდა ლიკურგეს კულტი.

სოლონი - VII-VI სს. ათენელი პოლიტიკური მოღვაწე, კოდრიდების სამეფო გვარიდან. მან სახელი გაითქვა ათენელების ბრძოლაში სალამინთან მეგარელების წინააღმდეგ. მან მოსპო მონობა ვალის გადაუხდელობის გამო, გამოისყიდა მრავალი ათენელი მონობიდან, შემოიღო ანდერძის თავისუფლება, მოახდინა წონა-ზომის ერთეულების უნიფიკაცია და სხვ. იყო ერთ-ერთი პირველი ბერძენი პოეტი, წერდა ელეგიებსა და იამბიკოებს. იგი შეიყვანეს შვიდ ბრძენთა რიცხვში.

[67] იგ. სპარტა ან ათენი.

თმა ადამიანმა[68] დაარწმუნა ხალხი შეექმნათ ასეთი წეს-წყობილება, მაგრამ თვით სახელმწიფოში უკვე არსებობდა ასეთი ჩვევა, რომ არ სურდათ თანასწორობა, არამედ ცდილობდნენ ან სათავეში მოხვედრას, ან მოთმინებით იტანდნენ ქვეშევრდომობას.

აქედან ცხადია, თუ რომელია საუკეთესო სახელმწიფო და რატომ. სხვა სახელმწიფოებიდან ზოგი მოვათავსეთ პირველ ადგილზე, ზოგი მეორეზე, რადგან ჩვენ ვთქვით, რომ ბევრია როგორც დემოკრატიული, ისე ოლიგარქიული სახელმწიფო. ამრიგად, წინ მოთავსებულნი უკეთესნი იქნებიან, ვიდრე მომდევნონი და აღარ იქნება ძნელი იმის შემჩნევა, თუ რომელია მათ შორის საუკეთესო სახელმწიფო. ყოველთვის უკეთესი იქნება ის სახელმწიფო, რომელიც საუკეთესო სახელმწიფოს უახლოვდება, უარესი იქნება ის, რომელიც დიდად არის დაშორებული საუკეთესო სახელმწიფოსგან. უნდა გამოვრიცხოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ვინმე მსჯელობს წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით. წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისში მე ვგულისხმობ ისეთ შემთხვევებს, როცა არსებობს სახელმწიფოსათვის მმართველობის სასარგებლო ფორმა, მაგრამ უპირატესობას აძლევენ იმას, რაც პირადად მათთვის არის სასარგებლო.

[68] ნაგულისხმევია ან პიტაკე ან სოლონი.

თავი X

ამის შემდეგ განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ სახელმწიფოსა და ხალხისთვის რომელი წეს-წყობილება არის სასარგებლო და რატომ. თავდაპირველად ყველა მათგანზე მივიღოთ წესად: სახელმწიფოში მომხრეთა ნაწილი უფრო ძლიერი უნდა იყოს მოწინააღმდეგეებზე. ყოველ სახელმწიფოს აქვს თვისობრიობა და რაოდენობა. თვისობრიობაში მე ვგულისხმობ თავისუფლებას, სიმდიდრეს, განათლებას და წარმოშობას. რაოდენობაში ვგულისხმობ ხალხის სიმრავლეს. შეიძლება მოხდეს ის, რომ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილთაგან თვისობრიობა ჭარბობდეს მეორე ნაწილს, ან პირიქით, რაოდენობა თვისობრიობას. მაგალითად, კეთილშობილნი რიცხობრივად შეიძლება ჭარბობდნენ არაკეთილშობილთ, ანდა მდიდრები ჭარბობდნენ ღარიბებს, მაგრამ რაოდენობა ისე არ უნდა ჭარბობდეს, როგორც თვისობრიობა რაოდენობას. ამიტომ საჭიროა, რომ ეს ორი მხარე თანაბარი რაოდენობით იყოს შერეული.

იქ, სადაც ღარიბთა მასა გადააჭარბებს ზემოაღნიშნულ წონასწორობას, ბუნებრივია, იქ წარმოიქმნება დემოკრატია. ხოლო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმებს წარმოქმნის თვით ხალხის მასის თავისებურება. მაგალითად, როდესაც ჭარბობენ გლეხები, იშვება პირველი სახის დემოკრატია, ხოლო როდესაც ჭარბობენ ხელოსნები და დაქირავებული მუშები, იქ წარმოიშობა დემოკრატიის უკიდურესი ფორმა. ასევე წარმოიშობიან დემოკრატიის შუალედი ფორმები მაშინ, თუ მრავალრიცხოვან მასას თვისობრიობით ჭარბობენ მდიდრები და კეთილშობილნი და რაოდენობით კი ჩამორჩებიან. ოლიგარქია და ოლიგარქიის სხვადასხვა სახეები ჩნდება იმის და მიხედვით, თუ მოსახლეობის რომელი სახეობა ჭარბობს.

კანონმდებელი სახელმწიფოში ყოველთვის ორიენტაციას უნდა იღებდეს საშუალო კლასზე. მაშინაც, თუ ის ადგენს ოლიგარქიული წყობილების კანონებს, უნდა ემყარებოდეს საშუალო კლასს, ხოლო თუ ად-

გენს დემოკრატიულს, მაშინ საშუალო კლასი უნდა დაუქვემდებაროს ამ კანონებს. სადაც საშუალო კლასი სძლევს ხალხის სიმრავლეს, ან ორივე უკიდურესობას, ან ერთ რომელიმე მათგანს, იქ სახელმწიფო მყარი იქნება, რადგან იქ არაა საშიშროება იმისა, რომ მდიდრები და ღარიბები ერთმანეთს დაუკავშირდებიან საშუალო კლასის წინააღმდეგ. ამათში არც ერთ მხარეს არ სურს ემონებოდეს მეორეს, ხოლო თუ შეკავშირებულნი შეეცდებიან გამონახონ ისეთი წყობილება, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა, ასეთი სახელმწიფო მხოლოდ საშუალო შეიძლება იყოს. რიგრიგობით მართვას კი ისინი არ დათანხმდებიან, რადგან ერთმანეთის არ ენდობიან. ყველგან ყველაზე მეტად ენდობიან შუამავლებს, ხოლო ესენი არიან საშუალო კლასის წარმომადგენლები. რაც უფრო მეტად იქნება სახელმწიფო შერწყმული, მით უფრო მყარი იქნება ის.

ისინი, რომლებსაც სურთ არისტოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, შეცდომებს უშვებენ არა მხოლოდ იმით, რომ მდიდრებს დიდ უფლებებს აძლევენ, არამედ იმითაც, რომ ხალხს თავიდან იშორებენ. აუცილებელია, რომ გარკვეული დროის შემდეგ ყალბი სიკეთიდან ჭეშმარიტი ბოროტება გაჩნდეს, ხოლო მდიდრების მომატება უფრო მეტად ღუპავს სახელმწიფოს, ვიდრე ხალხი.

არსებობს ხუთი საშუალება, რითაც ცდილობენ ხალხის გადმობირებას. ესენია: სახალხო კრება, ძალაუფლება, სასამართლო, შეიარაღება და სპორტი. სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ყველას აქვს, მაგრამ მდიდრები და მათზე მაღლა მდგომი პირები ჯარიმდებიან, თუ გაურბიან სახალხო კრებას. მდიდრებს არა აქვთ უფლება უარი თქვან თანამდებობაზე, ღარიბებს კი აქვთ. მდიდრებს, თუ არ მონაწილეობენ სასამართლოში, აჯარიმებენ, ღარიბებს - არა, ანდა მდიდრებს ადებენ დიდ ჯარიმას, ღარიბებს ნაკლებს, როგორც ამას ადგილი აქვს ქარონდეს კანონებში. ზოგან მიღებულია, რომ ყველა, ვინც სიაშია, უნდა ესწრებოდეს სახალხო კრებას და სასამართლოს, მაგრამ თუ სიაში შეტანილი არც კრებას ესწრება და არც სასამართლოს, მას დიდ ჯარიმას ადე-

ბენ, რათა ჯარიმის საშუალებით აღარ მოინდომოს სიაში შეტანა და ამით აღარ ჰქონდეს საშუალება არც კრებაზე დასწრებისა და არც სამართლის წარმოებისა. იგივე კანონმდებლობა მოქმედებს იარაღის ტარებისა და ფიზიკური ვარჯიშების შესახებ. ღარიბებს ნება ეძლევათ არ შეიძინონ იარაღი, მდიდრებს კი აჯარიმებენ, თუ იარაღს არ შეიძენენ. ასევე სპორტშიც, მდიდრები ჯარიმდებიან, თუ არ ვარჯიშობენ, ღარიბები კი არა, რათა მდიდრები ჯარიმის შიშით მონაწილეობდნენ სპორტულ ვარჯიშში, ხოლო ღარიბები კი არა, რადგან ჯარიმის არ ეშინიათ.

ესაა ოლიგარქიული კანონმდებლობის ეშმაკობანი. დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობაში კი ამის საწინააღმდეგო მდგომარეობაა. აქ ღარიბებს ხელფასს აძლევენ სახალხო კრებებზე დასწრებისა და სასამართლოში მონაწილეობისათვის, მდიდრებს არავითარი ჯარიმა არ ედებათ. აქედან ცხადია, რომ ვისაც სურს მიაღწიოს სამართლიან ნარევს, მან უნდა გააერთიანოს ორივე წესი: მონაწილეებს გადაუხადოს გასამრჯელო, ვინც არ მონაწილეობს - დააჯარიმოს. ამგვარად შეიძლება ყველა კლასის შეკავშირება, წინააღმდეგ შემთხვევაში მმართველობა რომელიმე ერთი მხარის ხელში აღმოჩნდება. მმართველობა უნდა იყოს მხოლოდ იმათ ხელში, ვისაც იარაღი აქვს. ქონებრივი ცენზის განსაზღერა კი ძნელია, მაგრამ იმოდენა უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეთა რაოდენობა ჭარბობდეს არამონაწილეთა რაოდენობას. ასეც შეიძლება ამის დადგენა. ღარიბ ხალხს და მაღალი თანამდებობებიდან ჩამოშორებულებს სურთ მშვიდობა, თუ მათ არავინ არ შეურაცხყოფს და ქონებას არ ართმევს. ეს ადვილი არაა, რადგან ისინი, რომლებიც სახელმწიფოს მართავენ, პატიოსანნი, ომის დროს ისინი ფეხს ითრევენ, ღარიბი ხალხი კი უარს აცხადებს ომში წასვლაზე, თუ საკვებს არ მისცემენ, მაგრამ როგორც კი მისცემენ საკვებს, მაშინვე თანახმანი არიან ომში მონაწილეობაზე. ზოგიერთ სახელმწიფოში მოქალაქეებად ითვლებიან არა მხოლოდ ისინი, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში მუშაობენ, არამედ ისინიც, რომლებიც წინად მუშაობდნენ. მაგალითად, მალაიელებში სახელმწიფოს მოქალაქეებად ესე-

ნი ითვლებიან, ხოლო სახელმწიფოს მმართველობაში იმათ ირჩევენ, რომლებიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან. საბერძნეთშიც მონარქიის შემდეგ პირველი სახელმწიფო მეომრებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად ცხენოსნებისაგან, რადგან მაშინ ომში ძალა და უპირატესობა ეძლეოდა ცხენოსან ჯარს. შეიარაღებული ფეხოსნები კი წესრიგის გარეშე გამოუსადეგნი იყვნენ. ძველ ბერძნებს კი ტაქტიკაში გამოცდილება არ ჰქონდათ, ამიტომ უპირატესობა ცხენოსან ჯარს ეძლეოდა. მაგრამ როდესაც სახელმწიფო გაიზარდა და ფეხოსან შეიარაღებულ ჯართა მნი'შვნელობამაც იმატა, მაშინ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ამიტომ, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ პოლიტეიას, მაშინ დემოკრატია ეწოდებოდა. ძველი სახელმწიფოები ბუნებრივად იყვნენ ან ოლიგარქიები, ან მონარქიები მოსახლეობის სიმცირის გამო, არ ყავდათ საშუალო კლასი რაოდენობით დიდი და რადგან ხალხი მცირერიცხოვანი იყო, ამიტომ ამჯობინებდნენ დარჩენილიყვნენ ქვეშევრდომებად.

ამრიგად, უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ არსებობს სახელმწიფოების დიდი რაოდენობა, დასახელებულთა გარდა სხვებიც, მაგალითად, არსებობს დემოკრატიის არა ერთი, არამედ რამდენიმე სახე, ასევე სხვა სახელმწიფოები. ითქვა იმის შესახებაც, თუ რა განსხვავებაა მათ შორის და რა მიზეზით, აგრეთვე თუ რომელია მათ შორის საუკეთესო და რომელ ხალხს რომელი სახელმწიფო შეჰფერის.

თავი XI

ქვემოთ ჩვენ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა აქვთ საერთო და განსხვავებული ამ სახელმწიფოებს იმ პრინციპებზე დამყარებით, რაც თითოეულ მათგანს შეესაბამება. ყოველ სახელმწიფოს აქვს სამი ნაწილი, რაც უნდა იცოდეს ყველა კანონმდებელმა, უნდა იცოდეს აგრეთვე ის, თუ რაა სასარგებლო თითოეული მათგანისათვის. თუ ეს ნაწილები წესრიგშია, სახელმწიფოც წესრიგში იქნება, სახელმწიფოს განსხვავება სხვა სახელმწიფოებისაგან ამ ნაწილების განსხვავებაზეა დამოკიდებული. პირველი ნაწილია ის, სადაც წარმოებს თათბირი სახელმწიფოს საერთო ინტერესების შესახებ. მეორე ნაწილი ეხება სახელმწიფოს მმართველობის, რაც გულისხმობს მაღალი თანამდებობების ხასიათის, საკითხებს, რასაც ისინი წყვეტენ და მათი არჩევნების ფორმას, თუ ვინ და ვისგან აწარმოებს მათ არჩევნებს. მესამე ნაწილი შეეხება სასამართლო საქმეების წარმოებას. სათათბირო ნაწილი განიხილავს შემდეგ საკითხებს: ომი და ზავი, სამხედრო კავშირების დამყარება და მათი დაშლა, კანონები, სიკვდილის განაჩენის გამოტანა და სამშობლოდან გაძევება, ქონების კონფისკაცია და პასუხისმგებლობის საკითხი. აუცილებელია, რომ ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა გადაეცეს ან ყველა მოქალაქეს, ან ზოგს. მაგალითად, გადაეცეს რომელიმე ერთ მმართველ პირს, ანდა რამდენიმეს, ანდა ზოგი საკითხი გადაეცეს ერთს, ზოგი კი მეორეს, ანდა ზოგი საკითხი გადაეცემა მმართველობის მთელ შემადგენლობას, ან მის ნაწილს.

დემოკრატიისათვის დამახასიათებელია ყველა მოქალაქის მონაწილეობა ყველა საკითხის გადაწყვეტაში. სწორედ ასეთ თანასწორობას თხოულობს ხალხი. ყველა საკითხის გადაწყვეტაში რომ ყველა მონაწილეობდეს, ამისთვის არსებობს სამი გზა. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ იცავენ რიგითობას და მმართველობაში ყველა ერთად არ იღებს მონაწილეობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ტელეკლეუს მილეთელთან და სხვა სახელმწიფოებში. იქ ყველა მოქალაქე იკ-

რიბებოდა, თათბირობდა და თანამდებობებს რიგ-რიგობით იკავებდა ფილების, პატარ-პატარა დაჯგუფებების და სხვა ნაწილების წარმომადგენლობა, სანამ ყველას არ მოუწევდა რიგი. ხოლო იკრიბებიან მაშინ, როდესაც საჭიროა კანონების, ან სახელმწიფოს საქმეები განსჯა, ან ხელმძღვანელი პირების ანგარიშების მოსმენა. შემდეგი ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ იკრიბებიან მხოლოდ სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ასარჩევად, კანონების განსახილველად, ომისა და ზავის საკითხების გადასაწყვეტად, ანგარიშის მოსმენისათვის. დანარჩენ საკითხებზე კი მსჯელობენ ამ საკითხებზე გაპიროვნებული ადამიანები, რომლებსაც ირჩევენ ყველა მოქალაქისაგან კენჭის ყრით, ან არჩევით. შემდეგი გზა: მოქალაქეები იკრიბებიან სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ასარჩევად, მათი ანგარიშის მოსმენის და ომისა და სამხედრო კავშირების დამყარების შესახებ სათათბიროდ. სხვა საქმეებს კი წყვეტენ ხელმძღვანელი პირები, რომლებსაც ირჩევენ მათი შესაძლებლობების შესაბამისად. ეს ის პირებია, რომელთაც მმართველობისათვის აუცილებელი ცოდნა სჭირდებათ. მეოთხე გზა: ყველა მოქალაქე იკრიბება და მსჯელობს ყველა საკითხებზე. ხელმძღვანელ პირებს არ გამოაქვთ არავითარი გადაწყვეტილება, არამედ აცნობენ მხოლოდ თავის წინასწარ დასკვნას. ამ მეთოდს იყენებს უკიდურესი დემოკრატია, რომელსაც ჩვენ ვთვლით მემკვიდრეობითი ოლიგარქიისა და ტირანული მონარქიის შესაბამისად. ყველა ეს გზა დემოკრატიული წყობისთვისაა დამახასიათებელი.

თუ ყველა საკითხს რამდენიმე პირი წყვეტს, მაშინ ოლიგარქიასთან გვაქვს საქმე.

აქაც არსებობს რამდენიმეე სახესხვაობა: თანამდებობის პირებს ირჩევენ ზომიერი ქონების მფლობელებისაგან და ზომიერი ქონება იძლევა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ასეთი ოლიგარქია უახლოვდება რესპუბლიკას თავისი ზომიერი ხასიათის გამო. მაგრამ როდესაც სათათბიროში მონაწილეობს არა ყველა, არამედ წინასწარ არჩეულნი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს კანონების საფუძველზე, როგორც

ზემოხსენებულ სახელმწიფოში, მაშინ სახელმწიფო ოლიგარქიული იქნება. როდესაც სათათბიროში ხელმძღვანელობა თავის თავს ირჩევს, ვაჟი ენაცვლება თანამდებობაში თავის მამას და როცა ისინი კანონებზე მაღლა დგანან, ასეთი სახელმწიფო აუცილებლად ოლიგარქიული იქნება. ხოლო როდესაც ზოგიერთ საკითხს წყვეტს ზოგიერთი პირი, მაგალითად, ომისა და ზავის, თანამდებობის პირთა ანგარიშგების და სხვ., ხოლო სხვა საკითხებს კი წყვეტენ მაღალი თანამდებობის პირნი, რომლებსაც ირჩევენ და არ ნიშნავენ კენჭისყრით, მაშინ სახელმწიფო არისტოკრატიული იქნება. როდესაც ზოგ ხელმძღვანელს ირჩევენ, ზოგს კი კენჭისყრით ნიშნავენ, ხოლო კენჭისყრა ხდება ან მარტივად, ან წინასწარ შედგენილი სიებით, ანდა ერთდროულად ორივეთი, არჩევნებითაც და კენჭისყრითაც, მაშინ წარმოიშვება ან არისტოკრატიული სახელმწიფო ანდა რესპუბლიკა.

აი, ასეთი განსხვავებებია სათათბირო ხელისუფლებაში, რაც შეესატყვისება სახელმწიფოთა განსხვავებულ ფორმებს. თითოეული სახელმწიფო მისდევს დაყოფის ამ ფორმებს. დემოკრატია იმ გაგებით, როგორც ის ჩვენ დღეს გვესმის, არის სახელმწიფო, სადაც ხალხი უფრო ძლიერია, ვიდრე კანონი. მაგრამ სათათბირო სფეროში უკეთესი იქნებოდა იმ მეთოდის გამოყენება, რომელსაც მიმართავს ოლიგარქია სასამართლოში. იქ აჯარიმებენ იმათ, ვისაც ევალებათ სასამართლო საქმეების წარმოება, მაგრამ არ ასრულებენ ამ მოვალეობას. დემოკრატიაში კი ღარიბებს ხელფასს ურიგებენ. კარგი იქნებოდა იგივე ღონისძიება სახალხო კრებებზე, სადაც ყველა ერთად იკრიბება, ცნობილი მოღვაწენი და უბრალო ხალხი. კარგი იქნებოდა აგრეთვე, თუ სათათბიროს წევრები ერთნაირად იქნებოდნენ ან არჩეულნი ან კენჭისყრით დანიშნულნი საზოგადოების ყველა ფენებიდან. აგრეთვე უკეთესი იქნებოდა, თუ უბრალო ხალხს ყველას განურჩევლად კი არ მიეცემოდათ გასამრჯელო, რადგან ისინი რიცხობრივად ბევრად ჭარბობენ პოლიტიკოსებს, არამედ პროპორციულად განაწილდებოდა ცნობილი ხალხისა და უბრალო ადამიანების წარმომადგენელთა შორის. ანდა სიიდან ამოეშალათ ისი-

ნი, რომლებიც ზედმეტნი იყვნენ. ოლიგარქიებში, ხალხის მასებიდან ან არჩევნებით უმატებენ თანამდებობების პირებს, ანდა ნიშნავენ და მათ უწოდებენ პრობულებსა და ნომოფიულაკებს[69]. მათ უნდა ემსჯელათ იმ დადგენილებებზე, რომელსაც თვითონ წამოაყენებდნენ. ასეთ შემთხვევაში ხალხი მონაწილეობს სათათბიროში, მაგრამ არ შეუძლია რაიმე ცვლილებების შეტანა მშართველობაში. ხალხს შეეძლო დათანხმებოდა ამ დადგენილებებს, მაგრამ არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა ამ დადგენილებების შემოტანაზე. ამრიგად, სათათბირო ხმის უფლება ეძლევა ყველას, მაგრამ გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებს. სახელმწიფოებში დამკვიდრებული წესის საწინააღმდეგოდ, საჭიროა, რომ მასას მიეცეს კანონის უარყოფის უფლება, მაგრამ არა ახლის შემოტანისა. ახლის შემოტანის უფლება ისევ არქონტებს უნდა ჰქონდეთ.

რესპუბლიკაში კი პირიქით ხდება: მოქალაქეთა მხოლოდ მცირე რაოდენობას აქვს კანონის უარყოფის უფლება, ხოლო ახლის შემოტანის უფლება კი არა აქვს. ეს უფლება ეძლევა უფრო დიდ კრებას.

ამრიგად, გავარკვიეთ სახელმწიფოში სათაბირო და გადამწყვეტი ხმის უფლების საკითხი.

---

[69] პრობულები - მაღალი თანამდებობის პირნი, რომლებსაც ევალებოდათ ახალი კანონების შემოღება. ნომოფულაკებს ევალებოდათ კონტროლი კანონების გატარებაზე და იმათი დასჯა, ვინც სახელმწიფოში მავნე კანონებს შემოიტანდა.

თავი XII

ამასთან არის დაკავშირებული კითხვა უმაღლესი თანამდებობების შესახებ. სახელმწიფოს ამ ნაწილსაც აქვს მრავალი სახესხვაობა. რამდენია სახელმწიფოს მმართველობის სახე, რას ეხებიან ისინი და როგორია მათი მოქმედების ხანგრძლივობა? ზოგან მათ ირჩევენ 6 თვით, ზოგან უფრო ნაკლები ხნით, ზოგან ერთი წლით, ზოგან კი უფრო ხანგრძლივად. რომელი ხელმძღვანელი თანამდებობა არის მუდმივი ან ხანგრძლივი? ანდა ერთი და იგივე პირი რამდენჯერ შეიძლება იყოს არჩეული, თუ ერთი ადამიანი არ შეიძლება ორჯერ იქნას არჩეული, არამედ მხოლოდ ერთხელ? შემდეგ, ვის შეუძლია ხელმძღვანელი პირის გადაყენება, ვინ უნდა შეცვალოს ის და როგორ? ყველა ეს საკითხი უნდა იქნას განხილული და შემდეგ მიყენებული ამა თუ იმ სახელმწიფოსადში იმისდა მიხედვით, თუ რომელს რომელი შეესაბამება.

არც იმის გადაწყვეტაა ადვილი, თუ რა ვუწოდოთ ამა თუ იმ უმაღლეს თანამდებობას. სახელმწიფო მოითხოვს მრავალ თანამდებობის პირს. ამათგან ყველას ან ირჩევენ ან კენჭისყრით ნიშნავენ, მაგალითად, პირველ ქურუმს, რომელიც განსხვავებულია პოლიტიკური თანამდებობისაგან. ამას გარდა, არსებობენ ქორეგები[70], შიკრიკები და ელჩები. მათ მოვალეობას შეადგენს ზედამხედველობა მოქალაქეებზე ან მათ ნაწილზე. მაგალითად, სარდალი ხელმძღვანელობს ყველა მეომარს, ან მათ ნაწილს; იყვნენ აგრეთვე ქალთა და ბავშვთა ხელმძღვანელები, აგრეთვე სახელმწიფო მეურნეობის ხელმძღვანელები, რომელთაც უმეტესად ნიშნავენ სიტომეტრებად[71]. ზოგ თანამდებობას ჰყავს დამხმარე პერსონალი და ამ თანამდებობებზე, თუ შესაძლებელია, ნიშნავენ მონებს. საერთოდ,

---

[70] ქორეგი - ქოროს ხელმძღვანელი. ევალებოდა გუნდის ჩამოყალიბება. ყოველი ფილა (კავშირი) ნიშნავდა ერთ ქორეგს. პელოპონესის ომის შემდეგ ერთ ქორეგს ირჩევდა ორი ფილა. ქორეგად ირჩევდნენ დიდი ქონების პატრონს.

[71] სიტომეტრებს ევალებოდათ მოსახლეობისათვის გასაცემი ხორბლის აწონა.

მარტივად რომ ვთქვათ, ხელმძღვანელს უწოდებენ კაცს, რომელსაც აქვს რჩევის მიცემის, მსჯელობის და განსაკუთრებით, მოწესრიგების უნარი, მაგრამ ამ განსხვავებას, პირდაპირ რომ ვთქვათ, არა აქვს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა. არასოდეს არა ყოფილა კამათი სახელების შესახებ, მაგრამ ამას აქვს სხვა აზრობრივი მნიშვნელობა.

რა უმაღლესი თანამდებობები, რა რაოდენობით არსებობს სახელმწიფოში? რომელია აუცილებელი სახელმწიფოსათვის, რომელია აუცილებელი, მაგრამ უსარგებლო? ამ კითხვებს მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოსათვის, მათ შორის პატარა სახელმწიფოსათვისაც. დიდ სახელმწიფოში მიზანშეწონილი იქნება ერთი თანამდებობის პირზე ერთი საქმის გაპიროვნება. მოქალაქეთა დიდი რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობდეს მოსახლეობის უმრავლესობა, მაგრამ ერთ თანამდებობაზე ერთი და იგივე კაცი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთხელ. ანდა დიდი პერიოდის შემდეგ. საერთოდ უკეთესია, თუ თითოეულ საქმეს ასრულებს ადამიანი, რომელიც ერთი საქმითაა დაკავებული, ვიდრე ის, ვისაც მრავალი საქმე აბარია.

პატარა სახელმწიფოში აუცილებელი ხდება მრავალი თანამდებობის გადაცემა მცირე რაოდენობის პირებზე. მოსახლეობის სიმცირის გამო ძნელია, რომ ხელისუფლების სათავეში ბევრნი იყვნენ. ვინ უნდა შესცვალონ ისინი? ზოგჯერ პატარა სახელმწიფოებს სჭირდებათ ისეთივე ხელმძღვანელობა და კანონები, როგორიც დიდ სახელმწიფოს, იმ განსხვავებით, რომ პატარა სახელმწიფოში აკისრებენ ერთ კაცს ერთსა და იმავე თანამდებობას. დიდ სახელმწიფოში კი ეს დასაშვებია დროის დიდი მონაკვეთის შემდეგ. პატარა სახელმწიფოში არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ ერთსა და იმავე პირებს მრავალი თანამდებობა ჰქონდეთ. ეს თანამდებობები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ამრიგად, მოსახლეობის მცირერიცხოვანების გამო აუცილებელია, რომ დიდი თანამდებობები დაემსგავსოს ბზრიალა ჭაღს. თუ ჩვენ შევძლებთ იმის

დადგენას, თუ ნებისმიერ სახელმწიფოში რამდენი თანამდებობა არის საჭირო, რამდენია არა აუცილებელი, მაგრამ მაინც საჭირო, ყოველივე ამის გათვალისწინებით ადვილია მიხვედრა, თუ რამდენი თანამდებობის დაყვანა შეიძლება ერთზე. არ უნდა დარჩეს გაუთვალისწინებელი არც ის, თუ რამდენი და რომელი ადამიანი უნდა ზრუნავდეს ერთ რომელიმე სფეროზე. ყველგან ერთი და იგივე პირებია საჭირო, თუ სხვადასხვა? მაგალითად, სხვადასხვა ბაზარში სხვადასხვა მომწესრიგებელი უნდა იყოს, თუ ერთი და იგივე? შემდეგ, თანამდებობის პირები უნდა არჩეულ იქნენ მდგომარეობის თუ ადამიანების შესაბამისად? მე ვგულისხმობ შემდეგს: ქალების ზედამხედველობისათვის სხვა პირია საჭირო და ბავშვებისათვის სხვა, თუ ერთი და იგივე? სახელმწიფოების შესაბამისად თანამდებობები განსხვავდება თუ არა? მაგალითად, დემოკრატიაში, ოლიგარქიაში, არისტოკრატიასა და მონარქია'ში ერთი და იგივე მაღალი თანამდებობა არსებობს, თუ ისინი არც რაოდენობითა და არც თვისებებით არ არიან მსგავსი? მაგალითად, არისტოკრატიაში მაღალი თანამდებობის პირები არიან განათლებული ფენებიდან, ოლიგარქიაში მდიდრებიდან, დემოკრატიაში თავისუფალი მოქალაქეებიდან, თუ ისინი განსხვავებული არიან სახელმწიფოთა ფორმების განსხვავების მიხედვით და ზოგან სასარგებლოა, რომ ისინი მსგავსნი იყვნენ, ზოგან კი განსხვავებული? ზოგან მიზანშეწონილია, რომ მათ ჰქონდეთ დიდი უფლებები, ზოგან კი მცირე. ზოგიერთი თანამდებობა დამახასიათებელია მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოსათვის. მაგალითად, მრჩევლების თანამდებობა არ არის დამახასიათებელი დემოკრატიისათვის, თუმცა საბჭო დემოკრატიულია. მაგრამ საჭიროა ისეთი დაწესებულების არსებობა, რომელიც წინასწარ შეამზადებდა ნიადაგს სახალხო კრებაზე წინადადებების გასატანად, რათა ხალხს დრო ტყუილად არ დაეკარგა. თუ ეს დაწესებულება მცირერიცხოვანია, ის ოლიგარქიისათვის იქნება შესაფერი. მაგრამ პრობულები მცირერიცხოვანი არიან, მაშასადამე, ამიტომაც ის ოლიგარქიული დაწესებულებაა. ოღონდ სადაც არსებობს

ორივე, მრჩეველებიცა და საბჭოც, იქ მრჩეველები საბჭოზე მაღლა დგანან, რადგან საბჭო დემოკრატიულია, მრჩეველები კი ოლიგარქიული.

საბჭო კარგავს თავის გავლენას ისეთი დემოკრატიის დროს, სადაც ხალხის კრება წყვეტს ყველა საკითხს. ეს კი მაშინ ხდება, როცა კრების მონაწილეებს გასამრჯელოს აძლევენ და აქვთ რა თავისუფალი დრო, ხშირად იკრიბებიან ყველა საკითხის გადასაწყვეტად. ბავშვთა და ქალთა ზედამხედველნი და სხვა სახის გამგებელნი მოქმედებენ არისტოკრატიულ და არა დემოკრატიულ სახელმწიფოში, რადგან როგორ შესძლებდნენ ქალთა ზედამხედველები აეკრძალათ ღარიბების ცოლებისათვის სახლიდან გარეთ გამოსვლა? ქალთა ზედამხედველის თანამდებობა არაა დამახასიათებელი არც ოლიგარქიისათვის, რადგან ოლიგარქების ცოლები ფუფუნებაში ცხოვრობენ.

საკმარისია ის, რაც ითქვა ამ საკითხების შესახებ. ახლა დავიწყოთ მაღალი თანამდებობების განაწილების საკითხის განხილვა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მისთვის დამახასიათებელია სამი ნიშანი და მათი შეერთებით მივიღებთ ყველა სახეს. პირველი ნიშანი მდგომარეობს იმაში, თუ ვინ ნიშნავს მაღალი თანამდებობის პირს? მეორე - ვის ნიშნავს? და მესამე - როგორ ნიშნავს? თითოეულ მათგანს აქვს აგრეთვე სამი ნაწილი: თანამდებობებზე ნიშნავენ ან ყველა მოქალაქენი, ან ზოგიერთნი, ნიშნავენ ან ყველა მოქალაქეებიდან, ან მათი განსაზღვრული რაოდენობიდან, მაგალითად, მდიდრებისაგან, კეთილშობილთაგან, ან სათნოებით ან სხვა რაიმე ნიშნით გამორჩეულთაგან, როგორც მეგარაში ირჩევენ იმათგან, რომელთაც გაძევებიდან დაბრუნებულთ, მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში დემოკრატიის წინააღმდეგ.

ეს მეთოდები შეიძლება დავაწყვილოთ, რაც გულისხმობს დაწყვილებას ნიშნით „ზოგი“ ან „ყველა“, ე.ი. მონაწილეობს ან ყველა, ან ნაწილი, ირჩევენ ყველა მოქალაქისაგან, ან მათი ნაწილისაგან, ზოგს არჩევნებით, ზოგს კენჭისყრით.

თითოეულ მათგანში არსებობს კიდევ ოთხი განსხვავება: ან ყველა ნიშნავს ყველასაგან არჩევნებით, ყველა ნიშნავს ყველასაგან კენჭის-

ყრით, ნიშნავენ ან ყველა მოქალაქისაგან, ან რიგ- რიგობით მათი ნაწილებისაგან: ფილებისა, დემებისა[72] და ფრატრიებისაგან, სანამ ყველა მოქალაქე არ იქნება ჩართული სახელმწიფო საქმიანობაში, ანდა ნიშნავენ ყველა მოქალაქისაგან, ანდა ზოგს ასე და ზოგს კი სხვაგვარად. თუ რამდენიმე მოქალაქე ნიშნავს ან ირჩევს ყველა მოქალაქისაგან ზოგან კენჭისყრით, ზოგან არჩევნებით, ანდა ზოგისაგან აწარმოებს დანიშვნას ან არჩევნებით, ან კენჭისყრით, ამგვარად მივიღებთ თორმეტ მეთოდს, იმის გამოკლებით, რაც დაწყვილებით მივიღეთ.

ამათგან დანიშვნების ორი მეთოდი დემოკრატიულია, როცა ყველა ნიშნავს ყველა მოქალაქისაგან არჩევნებით, ან კენჭისყრით.

რესპუბლიკას შეესაბამება შემდეგი მეთოდი: როდესაც მხოლოდ ნაწილს აქვს უფლება დანიშნოს ან ყველა მოქალაქისაგან, ან მათი ნაწილისაგან კენჭისყრით, ან არჩევნებით, ან ორივე გზით, რაშიც მე ვგულისხმობ კენჭისყრასა და არჩევნებს.

თუ ზოგიერთი ყველა მოქალაქისაგან ნიშნავს ნაწილს არჩევანით, ნაწილს კენჭისყრით, ან ორივენაირად - ეს ოლიგარქიისათვის არის დამახასიათებელი.

არისტოკრატიულ სახელმწიფოს ახასიათებს ზოგჯერ დანიშვნა ყველა მოქალაქისაგან, ზოგჯერ მათი ნაწილისაგან, ხან არჩევნებით, ხან კენჭისყრით. ოლიგარქიულია აგრეთვე ზოგიერთი მოქალაქის მიერ ზოგიერთის დანიშვნა არჩევნებით ან კენჭისყრით, ანდა ზოგი ნიშნავს ორივე მეთოდის გამოყენებით, თუმცა არა ერთნაირად, როცა ზოგი ნიშნავს ყველა მოქალაქისაგან, ანდა ყველა ნიშნავს ზოგისაგან - ესაა არისტოკრატიისათვის დამახასიათებელი მეთოდი.

აი, რამდენი მეთოდი არსებობს უმაღლესი თანამდებობის პირთა დანიშვნისა. ეს მეთოდები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სახელმწიფო წყობილებათა განსხვავების მიხედვით. ახლა კი ცხადი გახდა, თუ რომელი მეთოდი რომელ სახელმწიფოს შეესაბამება, როგორ უნდა მოხდეს თანამდებობებზე დანიშვნა, რა ევალება თითოეულ თანამდე-

[72] დემები - ხალხის კავშირები.

ბობის პირს და რა თანამდებობაა ეს. მოვალეობაში მე ვგულისხმობ შემოსავლისა და სამხედრო საქმის კონტროლს. მაგრამ სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან მთავარსარდლისა და ბაზრის ზედამხედველობის მოვალეობანი.

თავი XIII

სახელმწიფოს სამი ფაქტორიდან განსახილველი დაგვრჩა სასამართლო ძალაუფლება, მისი მოქმედების მეთოდები, რაც უნდა განვიხილოთ ზემოთ მიღებული პრინციპებით. სასამართლოების მოქმედება ერთმანეთისაგან განსხვავდება სამი ნიშნით: ვისგან არის დანიშნული მოსამართლე, რა უფლებები აქვს მას და როგორ ასრულებს ის თავის მოვალეობებს? კითხვაში „ვისგან" მე ვგულისხმობ, ვისგან დაინიშნა მოსამართლე: ყველა მოქალაქისაგან, თუ მისი ნაწილისაგან? კითხვაში „რა უფლებები აქვს მას", მე ვგულისხმობ სასამართლოს ფორმებს. „როგორ?" გულისხმობს, დაინიშნა მოსამართლე არჩევნებით, თუ კენჭისყრით.

ჯერ დავადგინოთ, თუ სასამართლოს რამდენი ფორმა არსებობს. არსებობს სისამართლოს რვა ფორმა: პირველი ისმენს თანამდებობის პირთა ანგარიშგებას, მეორე განიხილავს საზოგადოების ინტერესების ხელყოფის საკითხებს, მესამე განიხილავს ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას, მეოთხე არჩევს ხელმძღვანელობასა და კერძო პირთა შორის დავას ჯარიმის შესახებ, აგრეთვე მკვლელობისა და უცხოელების საკითხებს. მკვლელობის საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს ან ერთი და იგივე, ან სხვადასხვა მოსამართლის მიერ. მკვლელობის საქმე განიყოფება წინასწარ განზრახულ და შემთხვევითი მკვლელობად, აგრეთვე როცა მკვლელი თავს სცნობს დამნაშავედ, მაგრამ ის სამართლიანად მიაჩნია. სასამართლოს შემდეგი სახე ეხება გაძევებიდან დაბრუნებულთ, რომელთაც ბრალად ედებოდათ მკვლელობა, მაგალითად, როგორიც იყო სასამართლო პროცესი ათენში ფრეატეს საქმის გამო. ასეთი საქმეები ყოველთვის ცოტაა დიდ ქალაქებშიც კი. სასამართლო უცხოელების შესახებ არჩევს ან უცხოელის სარჩელს უცხოელის წინააღმდეგ, ან უცხოელის სარჩელს ადგილობრივი მცხოვრების წინააღმდეგ. ყველა ამ სასამართლოების გარდა, არსებობს აგრეთვე სასამართლოები ერ-

თდრახმიანი ან ხუთდრახმიანი[73] პატარა საქმეების, ან ცოტა უფრო დიდი საქმეების შესახებ. ასეთი საქმეების გარჩევაც საჭიროა, თუმცა მათზე არაა საჭირო დიდი რაოდენობის მოსამართლეების დანიშვნა.

მაგრამ ჩვენ გამოვტოვებთ საკითხს როგორც ამის, ასევე მკვლელობისა და უცხოელების შესახებ. განვიხილავთ საკითხს ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის შესახებ, რადგან ამ სასამართლოს არასწორი წარმოება იწვევს ხოლმე აჯანყებებსა და სახელმწიფო გადატრიალებებს. ამიტომ აუცილებელია, რომ ამ სასამართლოებში ყველა მოქალაქე იღებდეს მონაწილეობას ყველა საკითხის განხილვაში. მოსამართლენი კი ინიშნებიან ან არჩევნებით, ან კენჭისყრით. ასე მივიღებთ მოსამართლეთა დანიშვნის ოთხ მეთოდს. ამდენივე იქნება მაშინ, როცა ინიშნებიან რიგ-რიგობით. მოსამართლეები შეიძლება ინიშნებოდნენ მოსახლეობის ნაწილიდან და განიხილავდნენ ყველა საკითხს, არჩეულნი, ან დანიშნული კენჭისყრით. ანდა ზოგი მათგანი იქნება არჩეული, ზოგი კი დანიშნული კენჭისყრით. ზოგ სასამართლოში კი საქმეებს არჩევენ ერთდროულად როგორც არჩეულნი, ისე კენჭისყრით დანიშნული მოსამართლენი.

ასეთია მოსამართლეთა დანიშვნის მეთოდები, რაც ჩვენს მიერ ზემოთქმულს შეესაბამება. ამას გარდა, ეს მეთოდები შეიძლება დავაწყვილოთ. მე ვგულისხმობ შემდეგს: ზოგი მოსამართლე ინიშნება ყველა მოქალაქისაგან, ზოგი მათი ნაწილისაგან, ზოგი ორივე გზით. მაგალითად, ერთსა და იმავე სასამართლოში ზოგი მოსამართლე იქნება დანიშნული ყველასაგან, ზოგი ნაწილისაგან, ზოგი არჩევნებით, ზოგი კენჭისყრით, ზოგიც ორივე მეთოდით.

ამრიგად, ჩვენ ვთქვით, თუ მოსამართლეთა დანიშვნის რამდენი მეთოდი არსებობს. ამ მეთოდთაგან პირველი დამახასიათებელია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, როცა ყველასაგან არჩეული მოსამართლე არჩევს ყველა საქმეს. ოლიგარქიულია სასამართლო, როცა მოსახ-

[73] დრახმა - წონისა და ფულის ერთეული ძველ საბერძნეთში. მისი წონა უდრიდა 4,25 გრამს. მისი გამოჭედვა დაიწყეს VI ს. ჩვ. წ.ა.

ლეობის ნაწილისაგან დანიშნული მოსამართლე არჩევს ყველა საქმეს და არისტოკრატიულია მესამე მეთოდი, რაც რესპუბლიკასაც შეჰფერის, როცა ზოგ მოსამართლეს ნიშნავს ყველა მოქალაქე, ზოგს კი მხოლოდ ნაწილი.

წიგნი მეხუთე

თავი I

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ თითქმის ყველა იმ საკითხზე, რაზეც გვინდოდა მსჯელობა. ზემოთქმულის შემდეგ უნდა ვიკვლიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიზეზით ხდება გადატრიალება სახელმწიფოებში, რამდენია და როგორია ეს მიზეზები. რა მიზეზით იღუპება სახელმწიფო და რომელი ფორმიდან რომელ ფორმაში გადადის ის, რა იცავს ყველა სახელმწიფოს ან თითოეულს ცალ-ცალკე და რაში მდგომარეობს ამა თუ იმ სახელმწიფოს ხსნის საშუალება?

პირველ ყოვლისა, უნდა შევთანხმდეთ იმ საწყის პრინციპზე, რასაც ემყარებოდა სახელმწიფოების უმრავლესობა. ეს კი იყო სამართლიანობა და პროპორციული თანასწორობა. მაგრამ სწორედ ეს პრინციპი ესმოდათ მათ მცდარად, რაზეც ზემოთაც ვთქვით. მაგალითად, დემოკრატია წარმოიშვა რაღაც კონკრეტული თანასწორობიდან, რაც მათ აბსოლუტურ თანასწორობად ჩათვალეს. რადგან თავისუფალი ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან, ამიტომ ისინი ფიქრობდნენ, რომ ისინი მოლიანად თანასწორნი არიან. ოლიგარქია კი წარმოიშვა იმის შედეგად, რომ რაიმე ერთი თვისებით არათანასწორი ადამიანები მთლიანად არათანასწორად ჩათვალეს. მაგალითად, თუ ადამიანები ქონებით არათანასწორნი არიან, მიიჩნიეს ყველაფერში არათანასწორად. დემოკრატიაში ყველანი თანასწორად ითვლებიან, ამიტომ ყველა მიისწრაფვის თანასწორი უფლებების მოპოვებისკენ. ოლიგარქიაში კი, რადგან მოქალაქენი არათასწორნი არიან, ამიტომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი უფლებები მოიპოვოს, რადგან მათთვის „მეტი“ ნიშნავს უთანასწორობას. თითოეულ ამ ფორმას აქვს რაღაც გამართლება, მაგრამ სცდებიან აბსოლუტურობის თვალსაზრისით.

იმის გამო, რომ ყველა მოქალაქე ერთნაირად არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში, ამიტომ ხდება აჯანყება. მაგრამ ყველაზე მეტად სამართლიანი იქნებოდა იმათი აჯანყება, რომელნიც გამორჩეულნი არიან თავისი ზნეობით, თუმცა ესენი არცა ფიქრობენ აჯანყებაზე. ყველაზე უფრო გონივრული იქნებოდა, რომ სწორედ ესენი ჩაგვეთვალა

სხვებისგან აბსოლუტურად განსხვავებულად. აგრეთვე წარმოშობით კეთილშობილი ადამიანები თავის თავს არ თვლიან სხვების თანასწორად სწორედ თავისი წარმოშობის გამო, ხოლო კეთილშობილად ითვლებიან ისინი, რომლებსაც წინაპართაგან მოსდგამთ სათნოებაცა და სიმდიდრეც. ასე ვთქვათ, აჯანყების საწყისები და წყაროები ესენია. მაშასადამე, სახელმწიფოს გადატრიალება ორგვარად ხდება: ზოგჯერ ის თვით წეს- წყობილებას ეხება და არსებულის ნაცვლად შემოაქვთ სულ სხვა წეს-წყობილება. მაგალითად, ოლიგარქიის ნაცვლად ჰქმნიან დემოკრატიას, ანდა დემოკრატიის ნაცვლად - ოლიგარქიას, ანდა ამათ ნაცვლად ჰქმნიან პოლიტეიას და არისტოკრატიას. ზოგჯერ წეს-წყობილებას არ ეხებიან, არამედ ხელში იგდებენ მხოლოდ ძალაუფლებას, იქნება ეს ოლიგარქია, თუ დემოკრატია. შეიძლება გადატრიალების მიზანი იყოს სახელმწიფოს გამყარება, ან შესუსტება. მაგალითად, თუ არსებობს ოლიგარქია, სურთ უფრო მეტი ან უფრო ნაკლები ოლიგარქია. ანდა: თუ არის დემოკრატია, სურთ უფრო მეტი ან ნაკლები დემოკრატია. ასევე ხდება სხვა სახელმწიფოებში, სადაც რაიმეს უმატებენ ან აკლებენ. ამას გარდა, ზოგჯერ სცვლიან სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს. მაგალითად, შემოაქვთ, ან აუქმებენ რომელიმე თანამდებობას. როგორც ამბობენ, ლაკედემონში ლისანდრეს[74] უცდია მეფობის გაუქმება, ხოლო მეფე პავზანიას[75] ეფორიისა, ეპიდამოსშიც სახელმწიფო ნაწილობრივ

[74] ლისანდრე - სპარტელი მხედართმთავარი, თავი გამოიჩინა პელოპონესის ომში (431-404 ჩვ. წ.ა.), გაიმარჯვა ათენელებზე. მოსპო მათი ფლოტი (407-405 ჩვ. წ.ა.). ათენში გააუქმა დემოკრატია და შემოიღო ტირანია 30 ტირანით სათავეში. შემდეგ გადაწყვიტა სპარტაში ჰერაკლიდების ხელისუფლების გაუქმება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ამიტომ ის 404 წ. გადააყენეს თანამდებობიდან.

[75] პავზანია - სპარტელების მეფე 408-394 ჩვ. წ.ა.

შეცვალეს, ფილარქების[76] ნაცვლად შემოიღეს საბჭო, ხოლო ჰელეიაში[77] მოქალაქენი ვალდებულნი იყვნენ გამოცხადებულიყვნენ, როცა ხდებოდა რაიმე სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე კენჭისყრა.

აჯანყება ყველგან ხდება უთანასწორობის გამო, რადგან არათანასწორთა შორის არ შეიძლება თანასწორობის დამყარება. მაგალითად, მეფობა მთელი ცხოვრების მანძილზე არის უთანასწორობა, არსებული თანასწორთა შორის. საერთოდ, აჯანყებას ყველგან იწვევს სწრაფვა თანასწორობისაკენ. თანასწორობა კი ორი მნიშვნელობით იხმარება: თანასწორობა რიცხობრივად და ღირსების მიხედვით. რიცხობრივი თანასწორობა ნიშნავს თანასწორობას ან რაოდენობით, ან სიდიდით, ღირსების მიხედვით თანასწორობაში ვგულისხმობთ შედარებით თანასწორობას. მაგალითად, სამი სჭარბობს ორს და ორი ერთს თანასწორად, ხოლო შედარების თვალსაზრისით ოთხი სჭარბობს ორს და ორი ერთს ერთნაირად, რადგან ორიანი ოთხის ისეთივე ნაწილია, როგორც ერთიანი ორისა, ორივენი მათი ნახევრებია.

ყველანი თანახმანი არიან, რომ თანასწორობა ღირსების მიხედვით არის აბსოლუტური მნიშვნელობის მქონე. მაგრამ განსხვავება მათი შეხედულებებისა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი, რომლებიც რაიმეთი არიან თანასწორი, ერთმანეთს ყოველმხრივ თანასწორად თვლიან, მეორენი კი, რაიმეთი სხვების არათანასწორნი, თავის თავს მათგან ყოველმხრივ განსხვავებულად აცხადებენ, როგორც ადრეცა ვთქვით. ამიტომ არსებობს სახელმწიფოს ორი ძირითადი სახე: ოლიგარქია და დემოკრატია. კეთილშობილება და ზნეობა ახასიათებს უმცირესობას, სხვა თვისებები კი უმრავლესობას, რადგან კეთილშობილი და კარგი ადამიანი ასიც კი არაა სადმე, ხოლო მდიდრები ყველგან არიან. საერთოდ, სა-

---

[76] ფილაქები - ორგანიზაცია „მეგობრობის“ ხელმძღვანელები, წარმოსდგება ბერძნული სიტყვებიდან „ფილოს“ - მეგობარი, „არქე“ - ხელმძღვანელი, ან ხელმძღვანელობა.

[77] ჰელეია - ჰელიასტების სასამართლო ათენში. შედგებოდა ექვსასი ათენელი მოქალაქისაგან, რომელსაც შეუსრულდა 20 წელი.

დაც კი ეს პრინციპია გატარებული, მდგომარეობა ყველგან ცუდია, რაც დასტურდება შემდეგით: არც ერთი სახელმწიფო არაა მყარი, რომელიც კი ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ თავში და დასაწყისში დაშვებულმა შეცდომამ არ შეიძლება ბოლოს რაიმე ბოროტება არ გამოიწვიოს. ამიტომ ზოგან საჭიროა რაოდენობრივი თანასწორობის გამოყენება, ზოგან კი ღირსებისა.

საერთოდ კი, დემოკრატია ოლიგარქიასთან შედარებით ნაკლებ მერყევია. ოლიგარქიაში არსებობს გადატრიალების ორი მიზეზი: პირველი, ბრძოლა თანამდებობის პირთა შორის და, მეორე, ბრძოლა ხალხის წინააღმდეგ, რადგან ხალხი ხალხის წინააღმდეგ არ აჯანყდება. ხოლო სახელმწიფო, რომელიც უფრო საშუალო კლასს ემყარება, ვიდრე მდიდრებს, უფრო დემოკრატიას უახლოვდება და ის უფრო მყარია, ვიდრე ეს ორივე სახელმწიფო.

თავი II

რადგან ჩვენ ვიკვლევთ იმას, თუ საიდან წარმოიშობა აჯანყება და სახელმწიფოს გადატრიალება, ამიტომ ჯერ ზოგადად უნდა დავადგინოთ ამის საწყისები და მიზეზები. შეიძლება ითქვას, რომ მათი რიცხვი დაახლოებით სამია. თავდაპირველად თითოეული მათგანი ზოგადად უნდა დავახასიათოთ, უნდა დავადგინოთ, ჯერ ერთი, თუ რა მდგომარეობა განაპირობებს აჯანყებებს, მეორე, რა მიზნით ხდება ისინი და, მესამე, რა საწყისები იწვევენ პოლიტიკურ გადატრიალებებს და ურთიერთშორის ბრძოლას.

ჩვენ ზოგადად უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ის მიზეზი, რომელიც განაწყობს მოქალაქეებს აჯანყებისათვის. ისინი, რომლებიც მოითხოვენ თანასწორობას, იწყებენ აჯანყებას იმის გამო, რომ მათ ნაკლები უფლებები აქვთ სხვებთან შედარებით, თუმცა მათთან თანასწორნი არიან. ისინი, რომლებიც ემყარებიან უთანასწორობის პრინციპს, ჯანყდებიან იმიტომ, რომ მათ არა აქვთ უპირატესობა, არამედ იმდენივე, ან ნაკლები უფლებები იმათთან შედარებით, რომლებიც მათი თანასწორნი არ არიან. ეს პრეტენზიები ხან სამართლიანია, ხან არა. ისინი, რომლებსაც ნაკლები უფლებები აქვთ, იბრძვიან იმისთვის, რომ თანასწორობას მიაღწიონ, ხოლო ვისაც თანასწორი უფლებები აქვთ, იბრძვიან უპირატესობის მოსაპოვებლად. ამგვარად, ითქვა იმის შესახებ, თუ რა პირობები იწვევს აჯანყებას.

ხოლო ის მიზანი, რისთვისაც იწყება აჯანყება, არის სიხარბე და პატივმოყვარეობა და ამათი საწინააღმდეგო მოვლენები, რადგან ისინი გაურბიან გაკიცხვასა და სასჯელს, მიმართულს ან მათ წინააღმდეგ, ან მათი მეგობრების წინააღმდეგ. ხოლო მიზეზები და საფუძვლები, რაც ამოძრავებს და განაწყობს ასეთი მოქმედებისათვის და ასეთი მიზნებისათვის ან შვიდია, ან მეტიც კი. ამათგან ორი მიზეზი ემთხვევა ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულს, თუმცა ისინი იმავე გზით არ წარიმართებიან.

ისინი, რომლებიც იბრძვიან ქონებისა და პატივისცემისათვის, იბრძვიან არა ქონების მოსაპოვებლად როგორც ზემოთაც ვთქვით, არამედ იმიტომ, რომ ხედავენ, ზედმეტი ქონება და პატივი ზოგს სამართლიანი გზით აქვს მოპოვებული, ზოგს კი უსამართლო გზით.

ამას გარდა, აჯანყებას იწვევს ადამიანთა თავხედობა, შიში, უპირატესობა, ზიზღი, ზომაზე მეტი გაძლიერება, აგრეთვე ინტრიგები, სიძულვილი, დამცირება, ხასიათების განსხვავება. ამათგან თავხედობას და სიხარბეს რა მნიშვნელობა აქვს და როგორ იქცევიან ისინი აჯანყების მიზეზად, ეს დაახლოებით ცხადია. როდესაც ხელმძღვანელობაში თავს იჩენს თავხედობა და მომხვეჭელობა, მაშინ ისინი იწყებენ ბრძოლას როგორც ერთმანეთის წინააღმდეგ, ისე იმ სახელმწიფოს წინანააღმდეგ, რომელიც ამათ ასეთ უფლებებს აძლევს. მომხვეჭელობა მიმართულია ან კერძო, ან სახელმწიფო საკუთრების წინააღმდეგ. ცხადია ისიც, თუ რა შეუძლია პატივმოყვარეობას და როგორ იქცევა იგი აჯანყების მიზეზად. პატივმოყვარენი იწყებენ აჯანყებას იმიტომ, რომ ხედავენ, მათ არავითარი პატივი არა აქვთ, სხვები კი პატივში იმყოფებიან. უსამართლობა აქ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი დიდ პატივშია, ზოგი კი პატივაყრილი, მიუხედავად მათი დამსახურებისა. სამართლიანობა კი მოითხოვს, რომ ეს დამსახურების შესაბამისად ხდებოდეს. აჯანყებას იწვევს ერთის თუ ბევრის ისეთი გაძლიერება, რაც არ შეესაბამება არც სახელმწიფოს და არც მისი ხელმძღვანელობის ინტერესებს. ვფიქრობთ, ეს გარემოება წარმოშობს მონარქიას ან დინასტიურ მმართველობას. ამიტომაც ზოგჯერ მიმართავენ ხოლმე ოსტრაკიზმს, როგორც ეს მოხდა არგოსსა და ათენში, თუმცა უკეთესი იყო თავიდანვე ყურადღება მიქცეოდა იმას, რომ ასეთი გამორჩეული ადამიანები არ წარმოშობილიყვნენ, რათა შემდეგ საჭირო არ გამხდარიყო ასეთი ღონისძიების ჩატარება. ჯანყდებიან ისინიც, რომლებმაც ჩაიდინეს უსამართლობა და ეშინიათ სასჯელისა, აგრეთვე ისინიც, რომლებიც მოელიან რაიმე უსამართლობას და ცდილობენ მის თავიდან აშორებას, როგორც რო-

დოსში[78] ცნობილი ადამიანები აჯანყდნენ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მათ გასამართლებას აპირებდა. ზიზღსა და აჯანყების მცდელობას იწვევს სიძულვილიც. მაგალითად, ოლიგარქიებში, სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობა არ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში, თუმცა ფიქრობს, რომ მათ ამის უნარი აქვთ, აგრეთვე დემოკრატიაში, სადაც მდიდრებს ეზიზღებათ უწესრიგობა და ანარქია. როგორც თებეში ოინოფიუტესთან[79] ბრძოლის დროს დაიღუპა დემოკრატია შექმნილი ცუდი მმართველობის გამო. ასევე მეგარაში დაიღუპა დემოკრატია უწესრიგობისა და ანარქიის გამო. იგივე მოხდა სირაკუზაში გელონის[80] ტირანიის შედეგად. ხოლო როდოსში დაიღუპა დემოკრატია მოსალოდნელი აჯანყების წინ. გადატრიალებები ხდება აგრეთვე სახელმწიფოების არაპროპორციული გადიდების გამო.

სხეული შედგება რა ნაწილებისაგან, ამიტომ ისინი პროპორციულად უნდა იზრდებოდნენ, რათა დაცული იქნას სიმეტრია და სხეული არ მოისპოს, როგორც მოხდება მაშინ, თუ ფეხი არის ოთხი მტკაველი სიგრძისა, ხოლო დანარჩენი სხეული ორი მტკაველისა. ზოგჯერ კი პროპორცია ირღვევა არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი ცვლილებების მომატების შედეგად. ასევე სახელმწიფო შედგება ნაწილებისაგან, რომელთაგან ზოგიერთის ზრდა შეუმჩნეველი რჩება, მაგალითად, ღარიბების რიცხვის ზრდა დემოკრატიასა და რესპუბლიკაში. ეს შეიძლება შემთხვევითაც მოხდეს. მაგალითად, ტარენტში იაპუგებთან ბრძოლაში დამარცხების გამო ცნობილი ადამიანების დიდი რაოდენობა დაიღუპა, ხოლო სპარსელებთან ომიდან ცოტა ხნის შემდეგ რესპუბლიკური წყობა დემოკრატიულში გადაიზარდა. არგოსში კლეომენესთან ბრძოლის მეშვიდე დღეს[81] ლაკედემონი იძულებული იყო მოქალაქეთა

---

[78] ქ. როდოსი - დაარსდა 408-407 ჩვ. წ.ა. როდოსი აჯანყდა დემოკრატიის წინააღმდეგ, რის შედეგად როდოსიდან გააძევეს ათენელები და მათი მომხრენი.
[79] ოინოფიუტესთან ბრძოლა მიენის წინააღმდეგ მოხდა 456 ჩვ. წ.ა.
[80] გელონის მიერ სირაკუზაში ტირანიის დამხობა მოხდა 485 ჩვ. წ.ა.
[81] იგულისხმება მთვარის გავსებიდან მეშვიდე დღე, რომელიც სპარტაში ითვლებოდა წმიდა დღედ. ამ დღეს გაიმარჯვა კლეომენემ.

რიცხვში მიეღო ზოგიერთი პერიეკი. ხოლო ათენში ცნობილი ადამიანების რიცხვი შემცირდა ქვეითთა რიგებში, რადგან ლაკედემონის წინააღმდეგ ომში ყველა მონაწილეობდა სიით. ეს ხდება ხოლმე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც, მაგრამ უფრო იშვიათად. როდესაც გაიზრდება მდიდრების რიცხვი და ქონებაც იმატებს, მაშინ დემოკრატია იცვლება ოლიგარქიად და დინასტიად.

სახელმწიფოები იცვლებიან აგრეთვე აჯანყების გარეშეც ურთიერთ შეხლა-შემოხლის გამო, როგორც, მაგალითად, ჰერაში არჩევნები შეცვალეს კენჭისყრით, რათა აერჩიათ ისინი, რომლებიც არეულობას იწვევდნენ. გადატრიალებები ხდება აგრეთვე უყურადღებობის შედეგად, რის გამოც დიდ თანამდებობებზე ხვდებიან სახელმწიფოს მტრებიც, როგორც ორანში ჩამოაგდეს ოლიგარქია და სათავეში ჰერაკლიოდორე მოექცა, რომელმაც ოლიგარქიის ნაცვლად შემოიღო რესპუბლიკა და დემოკრატია. გადატრიალებები ხდება აგრეთვე წვრილმანების გამო. ხშირად შეუმჩნეველი წვრილმანები კანონებში დიდ ცვლილებებს იწვევს, როგორც ამბრაკიაში ძალიან მცირე ცენზი იყო საჭირო სათავეში მოხვედრისათვის, ამიტომ საბოლოოდ სათავეში მოხვდნენ სრულიად უქონელნიც.

აჯანყებებს იწვევს აგრეთვე მოსახლეობის ტომობრივი განსხვავება, სანამ მათ შორის ერთსულოვნება არაა მიღწეული. სახელმწიფო არ შეიქმნება ხალხის შემთხვევითი კავშირისაგან და არც ნებისმიერ დროს. ამიტომაც ისინი, რომლებმაც თავის სახელმწიფოში, ან მის მეზობლად საცხოვრებლად სხვები მიიღეს, მათი აჯანყების მსხვერპლი გახდნენ. მაგალითად, ტროიძენელებმა სიბარისში[82] საცხოვრებლად მიიღეს აქეველები. შემდეგში, როცა აქეველები გამრავლდნენ, მათ ტროიძენელები გამოაძევეს, რამაც სიბარელებს მრავალი უბედურება შეამთხვია. ასევე თურიაში მცხოვრები სიბარელები როდესაც გამრავლდნენ, მოითხოვეს მეტი მიწა, რამაც მათი გაძევება გამოიწვია. ახალმოსახლეებმა ბიზანტიაშიც მოაწყეს შეთქმულება ბიზანტიელების წინააღმდეგ, მაგრამ

[82] სიბარისი შეიქმნა 780 ჩვ. წ.ა.

ისინი მხილებული და გაძევებულნი იქნენ. ანტისელებმა მიიღეს ქიოსელი ლტოლვილები და შემდეგ მოუხდათ მათი ბრძოლით გაძევება. ზანკლელებმა მიიღეს სამოსელები, რომლებმაც ზანკლელები გააძევეს. ასევე აპოლონიელებმა, რომლებიც ევქსინის პონტოსთან ცხოვრობდნენ, დაიწყეს ურთიერთშორის შუღლი უცხოელების შემოყვანის გამო. სირაკუზაშიც[83] ტირანიის დამხობის შემდეგ უცხოელები და დაქირავებული მეომრები მოქალაქეებად აქციეს, ამათ კი დაიწყეს აჯანყება და ბრძოლაც კი. ამფიპოლელები[84], რომლებმაც მიიღეს ქალკედონელები, ამათ შემდეგში გააძევეს ქალაქიდან ამფიპოლელების უმრავლესობა.

აჯანყებებს ოლიგარქიაში უმრავლესობაც აწყობს, რომელსაც უსამართლობად მიაჩნია, რომ ის სხვებთან თანასწორია, მაგრამ მათთან თანასწორი უფლებები კი არა აქვს, როგორც ადრე ვთქვით. დემოკრატიაში კი ცნობილი ადამიანები ჯანყდებიან იმიტომ, რომ გათანასწორებულები არიან მათზე დაბლა მდგომ ადამიანებთან.

ზოგჯერ სახელმწიფოში უთანხმოება წარმოიშობა ადგილმდებარეობის გამო, როდესაც ადგილმდებარეობა არაა სახელმწიფოს შესაფერი. მაგალითად, კლაძომენელები, რომლებიც სიტრასთან ცხოვრობდნენ, ებრძოდნენ კუნძულზე მცხოვრებთ, ხოლო კოლოფონელები - ნოტიუსის[85] მცხოვრებთ. არც ათენელები არიან ერთსულოვანნი, რადგან პირველები უფრო დემოკრატიულნი არიან, ვიდრე ქალაქში მცხოვრებნი. როგორც ომში თვით პატარა ხევებზე გადასვლაც კი ფალანგებსა შლის, ასევე, როგორც ჩანს, ყოველგვარი განსხვავება განხეთქილებას იწვევს. ყველაზე მეტ არეულობას იწვევს განსხვავება ზნეობასა და უზნეობას, სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის და სხვა მეტ-ნაკლები განსხვავებანი, რომელთაგან ერთ-ერთი არის ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული.

---

[83] სირაკუზაში ტირანია დაემხო 762 ჩვ. წ.ა., რის შედეგად გამოაძევეს ტირანი თრაზიბულე.

[84] ამფიპოლისი ჩამოაყალიბეს ათენელებმა 437 ჩვ. წ.ა.

[85] ნოტიუსი - კოლოფონის პორტი.

თავი III

აჯანყებები არ ხდება წვრილმანი მოვლენებისათვის, მაგრამ მათ წვრილმანი მიზეზები იწვევენ და მსხვილმან მოვლენებს ეხებიან. პატარა მიზეზები დიდ მნიშვნელობას იძენენ, როცა ისინი გვხვდება გავლენიან პირებს შორის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სირაკუზაში ძველ დროს. სახელმწიფო დაიღუპა ორ ახალგაზრდას შორის ეროტიკულ ნიადაგზე წარმოშობილი წინააღმდეგობის გამო. როდესაც ერთ-ერთი მათგანი ქალაქიდან წავიდა, მეორემ მისი შეყვარებული გადაიბირა. სამაგიეროდ, როცა ის დაბრუნდა, შეაცდინა ამის ცოლი. შემდეგ არეულობაში ჩაება სათავეში მყოფი ყველა პირი და დაიწყო საერთო შეხლა-შემოხლა. ამიტომ საჭიროა, რომ ხელმძღვანელობამ სიფრთხილე გამოიჩინოს, რათა ხელი შეუშალოს გავლენიან და ძლიერ პირთა შორის განხეთქილების წარმოშობას. შეცდომა შეიძლება დასაწყისში იყოს დაშვებული, დასაწყისი კი, როგორც ამბობენ, მთელი საქმის ნახევარია. ამიტომ დასაწყისში პატარა შეცდომა ეტოლება შეცდომას დანარჩენ ნაწილებშიც. საერთოდ კი, ცნობილ პირთა შორის შუღლი მთელ სახელმწიფოზე ახდენს გავლენას, როგორც ეს მოხდა ჰესტიაში სპარსეთის ომის შემდეგ, როცა ორი ძმა ერთმანეთს წაეკიდა მამისეული მემკვიდრეობის გაყოფისას. მათგან ღარიბმა ძმამ თქვა, რომ მისმა ძმამ დამალა მამის მთელი ქონება და მამისაგან ნაპოვნი განძი. მან ღარიბი მოსახლეობა მიიმხრო, ხოლო მეორე ძმამ, ძალიან მდიდარმა, მიიმხრო შეძლებული ხალხი.

დელფოსში ქორწინებაში უთანხმოებამ გამოიწვია შემდგომში დიდი არეულობა. პატარძლის მოსაყვანად მიმავალმა სასიძომ გზაში რაღაც ცუდი ნიშანი იეჭვა და უკან დაბრუნდა, აღარ წავიდა საცოლის მოსაყვანად. მაშინ საცოლის შეურაცხყოფილმა ნათესავებმა მსხვერპლშეწირვის დროს მას მიუყარეს ტაძრის რაღაც საგნები და შემდეგ მოკლეს, რო-

გორც ტაძრის მძარცველი. მიტილენში[86] შუღლი ატყდა მემკვიდრე ქალების გამო, რაც შეიქნა როგორც მრავალი ბოროტების, ისე ათენელების წინააღმდეგ ომის საბაბი. ომის დროს ქალაქი ხელთ იგდო პახემ. მდიდარ ტიფანეს დარჩა ორი ქალიშვილი. დექსანდრემ მოინდომა გაერიგებინა ისინი თავისი ვაჟებისათვის, მაგრამ უარი მიიღო, მაშინ ის აჯანყდა, მიიმხრო ათენელები, რომელთა კონსულად იყო ის დანიშნული. ფოკეაში მემკვიდრე ქალიშვილის გამო ატყდა დავა მნასესა, რომელიც მნასონის მამა იყო და ევთიკრატეს შორის, რომელიც ონომახეს მამა იყო. ეს უთანხმოება გახდა ფოკეაში წმინდა ომის დასაწყისი. ეპიდამნოსშიც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა ქორწინების გამო. ერთმა ახალგაზრდამ ქალიშვილი ჩუმად დანიშნა. მაგრამ როცა ქალიშვილის მამა არქონტი გახდა, სასიძო ამის გამო დააჯარიმა. მაშინ სასიძომ, როგორც შეურაცხყოფილმა, მიიმხრო ის მოქალაქენი, რომელნიც არ მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მმართველობაში.

გადასვლა ხდება აგრეთვე ოლიგარქიაში, დემოკრატიასა და პოლიტეიაში იმის გამო, რომ რომელიმე დაწესებულებამ ან სახელმწიფოს ნაწილმა მოიპოვა კარგი რეპუტაცია, ან მეტი მნიშვნელობა. მაგალითად, არეოპაგის საბჭომ სპარსელებთან ომში გაითქვა სახელი და ქალაქში მეტი დაძაბულობა შეიტანა. ასევე, როდესაც მეზღვაური ხალხი გახდა მიზეზი სალამინთან გამარჯვებისა და მოიპოვა ზღვაზე ჰეგემონია, მან დემოკრატია გააძლიერა. არგოსში, როდესაც ცნობილმა ადამიანებმა თავი ისახელეს მანტინეის ბრძოლაში ლაკედემონელების წინააღმდეგ, ისინი შეეცადნენ დაემხოთ დემოკრატია. სირაკუზაში, როდესაც დემოსი გახდა ათენელების წინააღმდეგ ომში გამარჯვების მიზეზი, კონსტიტუციური რესპუბლიკა დემოკრატიულით შეიცვალა. ქალკიდაში, როგორც კი ხალხმა გავლენიან პირებთან ერთად ჩამოაგდო ტირანი ფოქსი, მაშინვე აიღო ხელში ძალაუფლება. ამბრაკიაში დემოსმა შეთქმულებთან ერთად, როგორც კი ჩამოაგდო ტირანი პერიანდრე, იგი სახელმწიფო ხელისუფლებას თვითონ დაეპატრონა.

---

[86] მიტილენში აჯანყება მოხდა 485 ჩვ. წ.ა.

საერთოდ, არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი ის გარემოება, რომ აჯანყებას იწყებს ის, ვინც გახდა მიზეზი სახელმწიფოს გაძლიერებისა, იქნება ის კერძო პირი, თუ მაღალი თანამდებობის მქონე ადამიანი, ფილა[87], თუ საერთოდ, სახელმწიფოს რომელიმე ნაწილი, თუ ჯგუფი, რომლებსაც შურთ იმათი, ვინც პატივცემულნი არიან. თვითონ, უპირატესობის მქონეთ, არ სურთ დარჩნენ სხვებთან თანაბარ მდგომარეობაში, ამიტომ იწყებენ აჯანყებას. სახელმწიფოს გადატრიალება ხდება მაშინაც, როცა მოწინააღმდეგე ნაწილები ერთმანეთს გაუთანაბრდებიან, მაგალითად, მდიდრები და ღარიბები, საშუალო ფენა კი ან საერთოდ არ არსებობს, ან არსებობს მცირე რაოდენობით.

თუ რომელიმე ნაწილი მოიპოვებს დიდ უპირატესობას, დანარჩენები ვერ გაბედავენ გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან შებმას. ამიტომაცაა, რომ ზნეობრივი ადამიანები არ აწყობენ აჯანყებას, რადგან ისინი, როგორც ითქვა, მცირენი არიან უმრავლესობასთან შედარებით.

საერთოდ, ყველა სახელმწიფოში საწყისი და მიზეზი აჯანყებისა და გადატრიალებისა ასეთი ხასიათისაა.

გადატრიალებები სახელმწიფოში ხდება ან ძალით, ან მოტყუებით. ძალას მიმართავენ ან დასაწყისში, ან ბოლოს იძულების გზით. მოტყუებაც ორნაირად ხდება. ისინი, რომლებიც ატყუებენ, თავდაპირველად მოტყუებულთა თანხმობით აწყობენ გადატრიალებას, შემდეგ კი ძალით, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ხელში იგდებენ ძალაუფლებას, როგორც მაგალითად, ოთხასის ბატონობის[88] დროს მოატყუეს ხალხი, რომ მეფე მათ ფულს მისცემს ლაკედემონელების წინააღმდეგ საომრად. მოტყუებულები შემდეგ შეეცადნენ, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ. ზოგჯერ კი თავიდან დაარწმუნებენ ხალხს, შემდეგ კი ისევ ხალხის თანხმობით მართავენ სახელმწიფოს.

---

[87] ფილა - მეგობარ მოქალაქეთა კავშირი ან ორგანიზაცია. წარმოსდგება ძველი ბერძნული სიტყვიდან „ფილოს“ - მეგობარი.

[88] „ოთხასის ბატონობა“ - იგ. ათენის ოლიგარქია.

საერთოდ, ყველა სახელმწიფო გადატრიალება ხდება ზემოჩამოთ-ვლილი მიზეზების გამო.

თავი IV

ამ პრინციპით უნდა განვიხილოთ ყოველ სახელმწიფოში მომხდარი ცვლილებები. დემოკრატიულ სახელმწიფოში გადატრიალებები ხდება დემაგოგების თავაშვებულობის გამო. დემაგოგები აბეზღებენ მდიდარ ადამიანებს და ამით მათ აერთიანებენ, რადგან შიში თვით ყველაზე დიდ მტრებსაც კი აკავშირებს. შემდეგ კი ხალხს აქეზებენ მათ წინააღმდეგ. ეს რომ ასე ხდება, ამის დანახვა უმეტეს შემთხვევაში ადვილია. მაგალითად, კოსში დემოკრატია დაამხეს იმიტომ, რომ გამოჩნდნენ უზნეო დემაგოგები, ხოლო ცნობილი ადამიანები გაერთიანდნენ. როდესაც დემაგოგებმა როდოსშიც მოიპოვეს ფინანსების გამგებლობის უფლება, მათ ხელი შეუშალეს ტრიერარქებისათვის[89] კუთვნილი ხელფასის გაცემას. ამიტომ მოსალოდნელი გასამართლების გამო იძულებული იყვნენ მოეხდინათ აჯანყება და დაემხოთ დემოკრატია. ჰერაკლეაშიც[90] დასახლების უმალ ხალხმა მოახდინა გადატრიალება დემაგოგების ხელმძღვანელობით. მათგან შევიწროებული გავლენიანი პირები ტოვებენ ჰერაკლეას, შემდეგ ერთიანდებიან და უკან დაბრუნებულები ამხობენ დემოკრატიას. დაახლოებით ასევე მოისპო დემოკრატია მეგარაში. დემაგოგებმა ქონების მოპოვების მიზნით გააძევეს მრავალი ცნობილი ადამიანი. როდესაც გაძევებულების რიცხვი გაიზარდა, ისინი უკან დაბრუნდნენ, ბრძოლაში აჯობეს დემოსს და დაამყარეს ოლიგარქია. იგივე მოხდა კიმშიც, სადაც თრაზიბულემ მოსპო დემოკრატია.

ვინც დააკვირდება გადატრიალებების სხვა შემთხვევებს, დაინახავს, რომ ისინიც ამავე გზით ხდებოდა. დემაგოგები, რათა ასიამოვნონ

---

[89] ტრიერარქი - სამწყება იალქნიანი გემის ხელმძღვანელი, იგივე კაპიტანი. წარმოსდგება ორი ძველი ბერძნული სიტყვიდან: „ტრიერა“ - სამწყება იალქნიანი გემი; „არქი“, იგივე „არქე“ - ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელობა.

[90] ჰერაკლეა - ქალაქი შავი ზღვის (პონტოს ზღვა - შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება) სამხრეთ ნაწილში, რომელიც დაარსდა ჩვ. წ.ა. VI საუკ. შუა წლებში. წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრს. 64 წ. (ახალი წელთაღრიცხვით) შეუერთდა რომის პროვინცია პონტოს.

ხალხს, ავიწროვებენ მდიდრებს, რითაც მათ აერთიანებენ. აწარმოებენ ან მათი ქონების დანაწილებას, ან აიძულებენ სახელმწიფო სამსახურს, ხან კი ბრალს სდებენ მათი ქონების მითვისების მიზნით.

ძველ დროში, როდესაც დემაგოგები სტრატეგები ხდებოდნენ, სახელმწიფო იქცეოდა ტირანად. მეტი წილი დემაგოგებისა ტირანები იყვნენ. იმის მიზეზი, რომ ეს ხდებოდა მაშინ, ახლა კი აღარ ხდება, ისაა, რომ მაშინ დემაგოგები სამხედრო წოდებას ეკუთვნოდნენ. მათ მჭევრმეტყველება არ იცოდნენ. ახლა კი, განვითარდა რა რიტორიკული ხელოვნება, ვისაც ლაპარაკი შეუძლია, დემაგოგი ხდება. მაგრამ საომარი გამოცდილების უქონლობის გამო არ ცდილობენ აჯანყების დაწყებას, თუ ის შემთხვევით არ მოხდა. ტირანები წინათ უფრო ხშირად გვხვდებოდნენ, ვიდრე ახლა, რადგან ზოგ პიროვნებას დიდი ძალა ჰქონდა მოპოვებული. მაგალითად, ათენში პრიტანებს[91], რომლებიც მრავალ მნიშვნელოვან საქმეს განაგებდნენ. იმის გამო, რომ მაშინ ქალაქები დიდი არ იყო, ხალხი თავის მამულებში ცხოვრობდა და თავისუფალი დრო არ ჰქონდა. ამიტომ ხალხის პროსტატები[92], თუ მათ სამხედრო მიდრეკილებებიც ჰქონდათ, ტირანებად იქცეოდნენ. ყოველივე ეს ხდებოდა იმის შედეგად, რომ ისინი მოიპოვებდნენ ხოლმე ხალხის ნდობას, ხოლო ნდობას მოიპოვებდნენ იმით, თუ ხალხს დაარწმუნებდნენ, რომ მდიდრების მტრები იყვნენ. ასე ათენში ტირანი გახდა პიზისტრატე, როდესაც პედიაკებს აუჯანყდა და თეაგენე მეგარაში გახდა ტირანი, როცა მდიდრებს საქონელი წაართვა და ამოუწყვიტა მდინარის ნაპირას საძოვრებზე. დიონისე ტირანი გახდა, როდესაც დაფნეოსს და მდიდრებს ბრალი დასდო და მათთან მტრობით ხალხი დაარწმუნა, რომ მათი მომხრეა. ხდება ხოლმე მამაპაპეული დემოკრატიის გადაქცევა ახალ დემოკრატიად იქ, სადაც მაღალ თანამდებობებს იკავებენ არჩევნებით და არა ქონებრივი ცენზით. იქ ამომრჩეველია ხალხი. დემაგოგები კი ამ-

---

[91] პრიტანები - მაღალი თანამდებობის პირები ათენში, სახელმწიფოს მეთაურები ან საბჭოს თავმჯდომარეები.

[92] პროსტატი - უცხოელი მოქალაქის მეურვე ან დამცველი ათენელი მოქალაქე.

ტკიცებენ, რომ ხალხი კანონებზე მაღლა უნდა იდგეს. ამას ისინი ამბობენ იქ, სადაც მაღალი თანამდებობის მიღება სურთ. ეს რომ არ მოხდეს, ან მოხდეს იშვიათად, საჭიროა რომ თანამდებობის პირებს ირჩევდეს არა მთელი ხალხი ერთად, არამედ ფილები.

დემოკრატიულ წყობილებაში ყველა გარდაქმნების მიზეზები ესენია.

თავი V

ოლიგარქიების დამხობა ხდება ორი გზით: პირველი, როცა ხალხის მიმართ სჩადიან უსამართლობას. ამისათვის საკმარისია, რომ ვინმე გახდეს პროსტატი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ოლიგარქიის ლიდერია, როგორც ეს მოხდა ნაქსოსში, სადაც ლიგდამისი შემდგომ ნაქსოსელების ტირანი გახდა. სხვა შემთხვევებში აჯანყებების მიზეზი შეიძლება სხვა იყოს.

ზოგჯერ გადატრიალებას ახდენენ თვითონ მდიდრები, რომლებიც სახელმწიფოს სათავეში არ არიან, ან სათავეშია მათი მცირე რაოდენობა, როგორც მოხდა ეს მასალიაში, ისტროსში, ჰერაკლეაში და სხვა სახელმწიფოებში. სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს იმათ, ვინც არ მონაწილეობდა სახელმწიფოს მმართველობაში და სათავეში მოექცნენ ჯერ უფროსი ძმები, შემდეგ უმცროსნი, რადგან ზოგან არ შეიძლება, რომ სათავეში იყვნენ მამა და შვილი, ზოგან კი უფროსი და უმცროსი ძმა. იქ, მასალიაში, ოლიგარქია გადაიხარა პოლიტეიისკენ, ხოლო ისტროსში შეიქმნა დემოკრატია. ჰერაკლეაში მცირერიცხოვანი მმართველობა გადაიზარდა 600-ის მმართველობაში.

კნიდოსში გადატრიალება მოახდინეს გავლენიანმა პირებმა, რომლებიც ერთმანეთს წაეკიდნენ იმიტომ, რომ მათგან ცოტანი მონაწილეობდნენ მმართველობაში. და როგორც ითქვა, თუ მამა იყო სათავეში, შვილი ვეღარ იქნებოდა. არც რამდენიმე ძმა შეიძლება ყოფილიყო სათავეში, არამედ მხოლოდ უფროსი. აჯანყებულმა ხალხმა აჯანყებული გავლენიანი პირებისაგან აიყვანა ლიდერი, შემდეგ დაესხა მას თავს და სძლია, რადგან ერთმანეთში მოქიშპენი სუსტნი არიან. ძველ დროში ოლიგარქიაში, რომელსაც ბასილიდები კარგად მართავდნენ, იმის გამო, რომ სათავეში იყო უმცირესობა, უკმაყოფილო ხალხმა გადატრიალება მოახდინა.

ოლიგარქიები ისპობიან როგორც თავისთავად, აგრეთვე კამათის მოყვარე დემაგოგების მიერ. დემაგოგები კი ორგვარია. ისინი თვითონ

შეიძლება იყვნენ ოლიგარქიაში, როგორც ათენში ოცდაათმა დემაგოგმა ქარიკლეს ხელმძღვანელობით მოიპოვა გამარჯვება, ასევე ფრინიქსეს ხელმძღვანელობით გაიმარჯვა ოთხასმა. ოლიგარქიაში უბრალო ხალხში დემაგოგიას ეწევიან გავლენიანი პირები, როგორც, მაგალითად, ლარისაში ე. წ. სახელმწიფოს მცველები, იმ მიზნით, რომ ისინი ხალხს აერჩიათ. დემაგოგობას ეწევიან იქაც, სადაც ოლიგარქები თვითონ კი არ ირჩევენ მაღალი თანამდებობის პირებს, არამედ ან დიდი ქონების პატრონნი, ან ჰეტერიები[93], ან ჰოპლიტები[94], ან უბრალო ხალხი, როგორც ეს მოხდა აბიდოსში, აგრეთვე იქ, სადაც სასამართლოს ირჩევენ გავლენიანი პირები. აქ დემაგოგებმა მოახდინეს გადატრიალება, რათა სასამართლოს გადაწყვეტილება შეეცვალათ, როგორც ეს მოხდა პონტოს ჰერაკლეაში.

გადატრიალება ხდება მაშინაც, როცა ზოგი ოლიგარქის ხელში ექცევა მთელი ძალაუფლება და ამიტომ ის, ვისაც სურს თანასწორობის მიღწევა, იძულებულია მიმართოს ხალხის დახმარებას.

ოლიგარქია ემხობა მაშინაც, როცა ოლიგარქები უზნეობის გამო მთელ თავის ქონებას ფლანგავენ. ამიტომ ისინი ცდილობენ ან სიახლეების შემოღებას, ან ტირანად გახდომას, ან ვინმე სხვას ამზადებენ ამისათვის, როგორც ჰიპარინი[95] ამზადებდა დიონისეს[96]. ამფიპოლისში ერთმა კაცმა, რომელსაც კლეოტიმოსი ერქვა, საცხოვრებლად შემოიყვანა მეზობელი ქალკედონელები და როცა ისინი დასახლდნენ, ააჯანყა

---

[93] ჰეტერიები - მოქალაქეთა კავშირი, იგივე კლუბი ან ორგანიზაცია, რომლის მიზანს შეადგენდა ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ და მისი დამხობა.

[94] ჰოპლიტი - ათენელი მდიდარი მოქალაქე, საკუთარი ხარჯით შეიარაღებული ქვეითი მეომარი.

[95] ჰიპარინი - პოლიტიკური მიაღვაწე, სირაკუზის ტირანის დიონისეს სიმამრი, რომელიც დიონისეს ტირანად ამზადებდა.

[96] დიონისე - იგივე უფროსი დიონისე, სირაკუზის ტირანი ჩვ. წ.ა. 446 წ-დან. თავი გამოიჩინა კართაგენთან ომში. მან სირაკუზა აქცია კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად. მეორედ იქორწინა ლოკრელ ქალზე, რომლისაგან ეყოლა ვაჟი, მომავალში „დიონისე უმცროსი“. დიონისე უმცროსი, გაძევებული დიონისესგან, ლოკრში აარსებს ტირანიას.

მდიდრების წინააღმდეგ. ეგინაში ის, ვინც ქარეტთან[97] მოლაპარაკებას აწარმოებდა, შეეცადა სახელმწიფოს გადატრიალებას იმავე მიზეზით. ზოგჯერ ცდილობენ შეარყიონ სახელმწიფო რამენაირად, ხან იპარავენ სახელმწიფო ქონებას, შემდეგ იწყებენ ჩხუბს ერთმანეთს შორის და იმათთან, ვისაც ებრძვიან ქურდობისათვის, როგორც ეს მოხდა ქალაქ ჰერაკლეაში პონტოსთან. მაგრამ თუ ოლიგარქიაში ადგილი აქვს თანხმობას, მისი დამხობა ადვილი არაა. ამის დამამტკიცებელია ფარსალის სახელმწიფო. იქ ოლიგარქები ცოტანი, მაგრამ უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე ხალხის უმრავლესობა, რადგან ერთმანეთში კარგი დამოკიდებულება აქვთ.

ოლიგარქია ისპობა მაშინაც, როცა მასში სხვა ოლიგარქია წარმოიშობა. ეს კი ხდება მაშინ, როცა წარჩინებულ ადამიანთა რიცხვი ცოტაა და ამათგანაც ყველა არ მონაწილეობს სახელმწიფოს მმართველობაში, როგორც ეს ერთხელ მოხდა ელიდაში. იქ სათავეში იყვნენ ოლიგარქები, მაგრამ გერონტებად ცოტანი დაიშვებოდნენ, რადგან ოთხასის მმართველობა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდებოდა. არჩევნები კი ხდებოდა მონარქიული წესით, მსგავსად სპარტაში გერონტების არჩევნებისა.

ოლიგარქიის დამხობა შეიძლება მოხდეს როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს. ომის დროს იმიტომ ხდება, რომ ხალხს არ ენდობიან, იძულებულნი არიან გამოიყენონ დაქირავებული ჯარი და ვინც მათ იყენებს, ხშირად ტირანი ხდება, როგორც კორინთოში[98] ტიმოფანე. და თუ მათი რიცხვი დიდია, თვითონვე გარდაქმნიან მმართველობას დინასტიურად. ზოგჯერ კი ეშინიათ ხალხისა, ამიტომ მათ მმართველობაში უშვებენ და იძულებულნი არიან, გამოიყენონ ისინი. მშვიდობიანობის დროს ოლიგარქიის დაღუპვას იწვევს ოლიგარქების ურთიერთუნდობლობა, რის გამოც ისინი მცველებად იყენებენ დაქირავებულ ჯა-

---

[97] ქარეტი - ათენელი მხედართმთავარი. მასთან მოლაპარაკება წარმოებდა 367 ჩვ. წ.ა.

[98] კორინთო - არგოსთან ომობდა 350 ჩვ. წ.ა.

რებს და შუამავლად კი მათ ხელმძღვანელს, რომელიც ხშირად ორივე მხარის უფროსი ხდება, როგორც ეს მოხდა ლარისაში ალევადების[99] მმართველობის დროს სიმონის ხელმძღვანელობით და აბიდოსში ჰეტერიების მმართველობაში, რომელთაგან ერთ-ერთი იყო იფიადე.

აჯანყებები ხდება აგრეთვე იმის გამო, რომ ერთი მხარე უარყოფს მეორის საქორწინო წინადადებას. დავობენ აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილებისა და ქორწინების გამო, როგორც ზემომოტანილ შემთხვევაში. ერიტრეაში დიაგორამ ჩამოაგდო მხედართა ოლიგარქია, რადგან განაწყენებული იყო საქორწინო გარიგებით, ჰერაკლეაში კი აჯანყება მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების გამო, ასევე თებეში. ჰერაკლეაში ევრიტიონის წინააღმდეგ, ხოლო თებეში არქიას წინააღმდეგ გამოტანილი მართებული სასამართლო განაჩენი არასწორად იყო მოყვანილი სისრულეში. გამარჯვებულმა მტრებმა ისინი ყელზე ნამორით გამოიყვანეს მოედანზე.

მრავალი ოლიგარქია დაემხო დიდი დესპოტურობის გამო სახელმწიფოში მყოფი უკმაყოფილო ელემენტების საშუალებით, როგორც დაემხო ოლიგარქია კნიდოსში და ქიოსში. გადატრიალება ე. წ. პოლიტეიაში და ოლიგარქიაში შეიძლება მოხდეს აგრეთვე შემთხვევით, ანდა იმიტომ, რომ დანიშვნები საბჭოში, სასამართლოში და სხვა თანამდებობებზე ხდება ქონებრივი ცენზის მიხედვით. ხშირად თავდაპირველად თანამდებობებს ანაწილებენ ქონებრივი ცენზით, ამიტომ ოლიგარქიაში მმართველობაში მონაწილეობს უმცირესობა, რესპუბლიკაში კი - საშუალო ფენა, მაგრამ კარგი პირობების, თუ მშვიდობის ან სხვა რაიმე ბედნიერი შემთხვევის გამო მოქალაქეების ქონება დიდად გადააჭარბებს თავდაპირველ დონეს. ასე რომ, ყველა მონაწილეობს ყველა თანამდებობაზე. ცვლილებები თავდაპირველად ხდება ნელა და შეუმჩნევლად, შემდეგ კი ის მიმდინარეობს სწრაფად.

ოლიგარქიები იღუპებიან და მათში აჯანყებები ამ მიზეზებით ხდება. საერთოდ კი, დემოკრატია და ოლიგარქია გადადიან არა საწინააღ-

[99] ალევადები - თესალიის მმართველები. მათი რეზიდენცია იყო ქ. ლარისა.

მდეგო სისტემაში, არამედ იმავე სახის სისტემაში, მაგალითად, კანონიერი დემოკრატია და ოლიგარქია გადადიან უფრო ძლიერი მმართველობის ფორმაში და პირიქით.

თავი VI

როგორც უკვე ვთქვით, არისტოკრატიულ სახელმწიფოებში გადატრიალება ხდება იმიტომ, რომ იქ მოქალაქეების მცირე რაოდენობას დიდი თანამდებობები უკავია. ეს გარემოება იწვევს აგრეთვე ოლიგარქიის დაცემას. ამის გამო არისტოკრატიაც როგორღაც წარმოადგენს ოლიგარქიას, ორივეგან არქონტების[100] რიცხვი მცირეა, თუმცა ამის მიზეზი ორივეგან ერთი და იგივე არაა. ამის გამო ვფიქრობ, რომ არისტოკრატიული სახელმწიფო ოლიგარქიულია. ეს მეტწილად მაშინ ხდება, როცა ხალხის მასა გაამაყდება და თავის თავს წარმოიდგენს სათნოებით დიდი თანამდებობის პირთა მსგავსად, როგორც ეს მოხდა ლაკედემონში, ე. წ. პართენელები, რომლებიც „მსგავსნი[101]“ იყვნენ, ამხილეს შეთქმულებაში და გააძევეს ქ. ტარენტში[102] საცხოვრებლად. აჯანყება ხდება მაშინაც, როდესაც ზოგიერთნი არ არიან სათანადოდ დაფასებული წარჩინებული ადამიანებისაგან, თუმცა პირველნი ამათ არ ჩამოუვარდებიან სათნოებით, როგორც, მაგალითად, არ იყო სათანადოდ დაფასებული ლისანდრე მეფეებისაგან. ანდა როდესაც რომელიმე მამაც ადამიანს არ უკავია არავითარი თანამდებობა, როგორც მაგალითად, კინადოსი აგესილაის მეფობის დროს აწყობს თავდასხმას სპარტიატებზე. ეს ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნაწილი ძალიან ღარიბდება, ნაწილი კი მდიდრდება, რასაც მეტწილად ადგილი აქვს ომის

---

[100] არქონტები - მაღალი თანამდებობის პირები. XI საუკ. არქონტებად იყვნენ კოდრიდების საგვარეულოს წარმომადგენლები. არქონტის უფლებამოსილება გრძელდებოდა ათი წელი. VII საუკ. ეს ვადა დაყვანილ იქნა ერთ წელზე, ხოლო V საუკ.-დან არქონტების კოლეგიამ დაკარგა მნიშვნელობა.

[101] „მსგავსნი“ - ასე უწოდებდნენ სპარტელ მოქალაქეებს, სპარტელი ქვრივებისა და გაუთხოვარი ქალების უკანონო შვილებს, რომლებსაც განათლება მიღებული ჰქონდათ სახელმწიფოს ხარჯზე.

[102] ქ. ტარენტი დაარსდა 705 ჩვ. წ.ა. სპარტელების მიერ. IV საუკუნის მეორე ნახევარში მას სათავეში ედგა პითაგორელი ფილოსოფოსი არქიტა, რომლის ხელში ტარენტმა მიაღწია დიდ აღმავლობას.

დროს. ესეც მოხდა ლაკედემონში მესენურ ომში[103], რაც ცხადია ტირტეუსის[104] ლექსიდან, რომელსაც ეწოდება „ევნომია“. ზოგნი, ომისაგან გაღარიბებულნი, მოითხოვენ მიწების გადანაწილებას. აგრეთვე მაშინ, როდესაც ვინმეს აქვს დიდი თანამდებობა და ძლიერია, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერდება, ასე რომ, შეიძლება იქცეს ერთმმართველად, როგორც, მაგალითად, ლაკედემონში პავზანია[105], რომელიც სპარსეთის წინააღმდეგ ომში სარდალი იყო და კართაგენში კი ჰანონი[106].

მეტწილად კი რესპუბლიკები და არისტოკრატიები თვითონ ემხობიან სახელმწიფოში სამართლის დარღვევის გამო. რესპუბლიკის დამხობის დასაწყისი არის ის, რომ მასში კარგად არ არის შერეული დემოკრატია და ოლიგარქია, არისტოკრატია კი ემხობა იმიტომ, რომ მასში დემოკრატია და ოლიგარქია არ ერწყმის სათნოებას. განსაკუთრებით კი დემოკრატიისა და ოლიგარქიის შერევა სურთ მრავალ რესპუბლიკაში და ე. წ. არისტოკრატიულ სახელმწიფოში.

არისტოკრატიული სახელმწიფოები ე. წ. პოლიტეიისგან ამით განსხვავდებიან და ამიტომაც არისტოკრატიები ნაკლებ და პოლიტეიები უფრო მეტად მდგრადნი არიან. ის სახელმწიფოები, რომლებიც უფრო მეტად ოლიგარქიისკენ იხრებიან, იწოდებიან არისტოკრატიებად, რომლებიც დემოკრატიისაკენ - პოლიტეიად. ეს უკანასკნელნი უფრო მყარნი არიან, ვიდრე არისტოკრატიები, რადგან ხალხის უმრავლესობა უფრო ძლიერია და უფრო მეტად იცავს თანასწორობას, მდიდარი მოქალაქეები კი, თუ მათ სახელმწიფო უპირატესობას აძლევს, თავხედდებიან და კიდევ უფრო მეტის მოხვეჭას ცდილობენ. საერთოდ კი, საითკენაც იხრება სახელმწიფო, იმ მიმართულებით გადაინაცვლებს მისი ზრდადი ნაწილი. მაგალითად, პოლიტეია იხრება დემოკრატიისაკენ, არისტოკრა-

---

[103] „მესენური ომი“ - იგივე მეორე „მესენური ომი“, რომელიც მოხდა სპარტაში ჩვ. წ.ა. VII საუკ. მოუსავლიანობის გამო.

[104] ტირტეუსი - ჩვ. წ.ა. VII საუკ. პოეტი, რომლის ერთ-ერთ ლექსს ეწოდებოდა „ევნომია(„ევ“ - კარგი, კეთილი, „ნომოს“ - კანონი).

[105] პავზანია - სპარტელი მხედართმთავარი სპარსეთის წინააღმდეგ ომში.

[106] ჰანონი - კართაგენელი მხედართმთავარი სპარსელების წინააღმდეგ ომში.

ტია - ოლიგარქიისაკენ, ან პირიქით, არისტოკრატია გადაიხრება დემოკ-რატიისაკენ, რადგან ღარიბები, რომლებიც განიცდიან უსამართლობას, საწინააღმდეგო მიმართულებით ეწევიან სახელმწიფოს. პოლიტეიები გადადიან ოლიგარქიებში, რადგან მყარია ის სახელმწიფო, რომელიც იცავს თანასწორობას ღირსებაში და თითოეულს აძლევს იმას, რაც მას ეკუთვნის.

ეს მოხდა თურიაში, სადაც დიდი ქონება იყო საჭირო თანამდებობის მისაღებად. ამიტომ ცენზი შეამცირეს, ხოლო თანამდებობათა რიცხვი გაზარდეს. მთელი მიწა კი ხელთ იგდეს ძლიერმა ადამიანებმა კანონის საწინააღმდეგოდ და რადგან სახელმწიფო ოლიგარქიული იყო, ამიტომ შეიძლებოდა გამდიდრება... ხალხმა, რომელიც ომში გავარჯიშებული იყო, სძლია დაცვას და დიდი მიწების პატრონნი იძულებული იყვნენ, რომ მათთვის მიწა დაეთმოთ.

ყველა არისტოკრატიული სახელმწიფო ოლიგარქიულია, ამიტომ იქ ყველაზე მეტად ცნობილი ადამიანები მდიდრდებიან. მაგალითად, ლა-კედემონში ქონება უმცირესობას აქვს და მათ შეუძლიათ, რაც უნდათ, ის გააკეთონ, მაგალითად, იქორწინონ იმაზე, ვისზეც სურთ. ლოკრელების სახელმწიფო ამიტომაც დაიღუპა დიონისეს ქორწინების გამო, რაც არ მოხდებოდა დემოკრატიაში და არც კარგად შერეულ არისტოკრატიაში.

არისტოკრატიულ სახელმწიფოს მეტწილად ღუპავს პატარ-პატარა შეუმჩნეველი ცვლილებები, რაც ადრეც ვთქვით ზოგადად ყველა სახის სახელმწიფოს შესახებ. როდესაც სახელმწიფოს მართვაში რაიმე დეტა-ლი გამოტოვებულია, შემდეგში ის ადვილად იწვევს უფრო დიდ ცვლი-ლებებს, სანამ მთელ სისტემას არ შეარყევს.

ეს მოხდა თურიის[107] სახელმწიფოში, სადაც სტრატეგი ხუთი წლით ინიშნებოდა. ზოგმა ახალგაზრდამ, რომლებიც მეომარი ბუნებისა იყ-ვნენ და ხალხის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, არად ჩააგდეს ხელი-სუფლება, რადგან ფიქრობდნენ, რომ ადვილი იყო ძალაუფლების მო-პოვება. ჯერ კანონის შეცვლა მოინდომეს, რათა სტრატეგი განუწყვეტ-

[107] თურიიდან ათენელები გააძევეს 413 ჩვ. წ.ა.

ლივ ყოფილიყო სათავეში, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი მათ აირჩევდა. ხელმძღვანელი პირები, რომლებსაც ევალებოდათ ამის მოწესრიგება და რომლებსაც მრჩევლებს უწოდებდნენ, ჯერ შეეცადნენ მათთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ დარწმუნდნენ რა ამის შეუძლებლობაში, ნება მისცეს ეს კანონი შეეცვალათ, ოღონდ სახელმწიფო ხელუხლებლად დაეტოვებინათ. მაგრამ როდესაც მოინდომეს მათთვის ხელის შეშლა, ვერაფერს გახდნენ და მთელი სახელმწიფო შეცვალეს დინასტიად იმათ სასარგებლოდ, ვინც ეს სიახლენი შემოიტანა.

ყოველი სახელმწიფო იღუპება ან თვით მათივე მიზეზით, ან გარეგანი მიზეზით, როდესაც მის მახლობლად, ან მოშორებით იმყოფება მისი მოწინააღმდეგე და ძლიერი სახელმწიფო, რაც მოხდა ათენსა და ლაკედემონში. ათენელებმა ყველგან მოსპეს ოლიგარქია, ლაკედემონელებმა კი დემოკრატია.

აი, დაახლოებით ყველაფერი იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სახელმწიფოებში ცვლილებები და აჯანყებები.

თავი VII

ამის შემდეგ უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს, როგორც ყველა სახელმწიფოს ერთად, ისე თითოეული მათგანის ხსნა. პირველ ყოვლისა, თუ გვეცოდინება ის მიზეზები, რაც ღუპავს სახელმწიფოებს, გვეცოდინება ისიც, რაც იცავს მათ საერთოდ. წინააღმდეგობის ერთი მხარე მეორეს წარმოშობს. დაღუპვა კი დაცვას უპირისპირდება. იმ სახელმწიფოებში, რომლებიც კარგად არიან შერწყმულნი, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ მოხდეს კანონების დარღვევა. განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება წვრილმანი დარღვევებისადმი, რადგან ქონების წვრილ-წვრილად ხარჯვა ხშირად მთელი ქონების დახარჯვას იწვევს. ეს შეუმჩნეველია, რადგან ხარჯვა ერთბაშად არ წარმოებს. ამით გონება ტყუვდება, როგორც სოფისტური დასკვნით, რომ თუ ცალკეული ნაწილი პატარაა, მაშ ყველა ნაწილიც პატარა ყოფილა. ეს ერთის მხრივ სწორია, მეორეს მხრივ არა, რადგან მთელი, ანუ ყველაფერი ერთად არაა პატარა, არამედ შედგენილია პატარა ნაწილებისაგან. საჭიროა თავდაცვა ასეთი მსჯელობისაგან, არ უნდა დავუშვათ სოფიზმები, რომლებიც შედგენილია ხალხის მოსატყუებლად. მათ თვით საქმე უარყოფს, ხოლო თუ რას ვთვლით პოლიტიკურ სოფიზმებად, ამაზე ადრე იყო ნათქვამი.

ამას გარდა, ჩვენ ვხედავთ, რომ არა მხოლოდ არისტოკრატია, არამედ ოლიგარქიაც არსებობას ინარჩუნებს არა იმიტომ, რომ მყარნი არიან, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს სათავეში მყოფნი კარგად ექცევიან როგორც მოქალაქეებს, ისე არა მოქალაქეთ. ისინი, რომლებიც არ მონაწილეობენ მმართველობაში, არ არიან მათგან შევიწროებული და მოქალაქენი, რომლებიც არ არიან სათავეში, შეჰყავთ მმართველობაში. პატივმოყვარეთ არ აწყენინებენ პატივის საკითხში, ხოლო ხალხს - ქონების მოპოვებაში. როგორც ურთიერთშორის, ისე მოქალაქეების მიმართ დემოკრატიულად იქცევიან. დემოკრატები ცდილობენ გაატარონ თანასწორობის პრინციპი, რაც მსგავს ადამიანებში არა მხოლოდ სამარ-

თლიანია, არამედ სასარგებლოც არის. როდესაც ბევრია მოქალაქეების რიცხვი, საჭიროა ისეთი დემოკრატიული კანონების შემოღება, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელებად ირჩევდნენ ექვსი თვის ვადით, რათა ყველა თანასწორუფლებიანი მოქალაქე მოხვდეს მმართველობაში. დემოსი, როგორც შემდგარი მსგავსი ადამიანებისაგან, ამავე დროს თანასწორუფლებიანი ადამიანებისგანაც არის შედგენილი. ამიტომ მათ შორის ჩნდებიან დემაგოგები, როგორც ზემოთაც ვთქვით.

შემდეგში ოლიგარქიები და არისტოკრატიები უფრო ნაკლებ გარდაიქმნებიან სამეფოებად, რადგან ვინც მცირე ხნითაა სახელმწიფოს სათავეში, მისთვის ისე ადვილი არაა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედება, ვიდრე იმისთვის, ვინც უკვე დიდი ხანია სათავეში. თითოეულ სახელმწფოში ძლიერი ადამიანები ტირანიისაკენ მიისწრაფვიან. ზოგან ესენი დემაგოგები არიან, ზოგან სამეფო გვარის წარმომადგენელნი, ანდა დიდი თანამდებობის პირნი, თანაც დიდი ხნით მყოფნი სათავეში.

სახელმწიფოს დაღუპვისაგან იხსნის არა მხოლოდ საშიშროების სიშორე, არამედ ზოგჯერ სიახლოვეც კი, რადგან მოქალაქეებს ეშინიათ ცუდი შედეგის და ამიტომ არსებულ სახელმწიფოს უფრთხილდებიან. ისინი, რომლებიც ზრუნავენ სახელმწიფოზე, მოქალაქეებში შიშს უნდა აღვივებდნენ, რათა სახელმწიფოს კი არ ანგრევდნენ, არამედ იცავდნენ მას, როგორც ღამის დარაჯები, რომლებიც შორეულ საფრთხეს მახლობლად მოაჩვენებენ ხალხს.

საჭიროა კანონიერების საფუძველზე წარმართო წარჩინებული ადამიანების კამათის სიყვარული და აჯანყებებისაკენ მიდრეკილებები. საჭიროა აგრეთვე წინასწარ განჭვრეტა თავშივე ჩასახული ბოროტებისა იმ ადამიანებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩაბმულან კამათში, ეს კი არის საქმე არა შემთხვევითი პირისა, არამედ პოლიტიკური მოღვაწისა. ასევე საჭიროა ოლიგარქიებსა და დემოკრატიებში ქონების საფუძველზე გადატრიალებების თავიდან აცილება. როდესაც სახელმწიფოში ქონებრივი ცენზი იგივე რჩება, ქონება კი მატულობს, მაშინ კარგი იქნება, თუ მთელი არსებული ქონება შედარდება თავდაპირველ რაოდენობას. იმ

სახელმწიფოში, სადაც ქონების შეფასება ხდება ყოველწლიურად, იქ ყოველწლიურად უნდა ვაწარმოოთ ეს, ხოლო დიდ სახელმწიფოში - ან მესამე, ან მეხუთე წელს. თუ ახალი შემოსავალი ბევრად სჭარბობს ან ბევრად მცირეა თავდაპირველზე, როცა მოხდება ქონების შეფასება, მაშინ საჭირო იქნება კანონის შემოღება ცენზის ან მომატებაზე, ან დაკლებაზე. თუ ქონებამ იმატა, ცენზიც უნდა გაიზარდოს, თუ იკლო, ცენზიც უნდა შემცირდეს. და თუ ამას არ გააკეთებ, მაშინ რესპუბლიკა გადაიზრდება დემოკრატიაში, ხოლო ოლიგარქია - მონარქიაში. ზოგან კი ოლიგარქიიდან წარმოიშობა ან რესპუბლიკა, ან დემოკრატია.

როგორც დემოკრატიაში, ისე ოლიგარქიასა და მონარქიაში, საერთო წესია ის, რომ ძალიან არავინ არ უნდა განადიდო სიმეტრიის დარღვევით, არამედ უნდა მისცე ან პატარა თანამდებობა დიდი ხნით, ან დიდი თანამდებობა მცირე ხნით. განდიდება კაცის დაღუპვის იწვევს, რადგან ყველა ვერ იტანს დიდ ბედნიერებას. ანდა თუ კაცს მრავალი დიდება არგუნე, ყველაფერს ერთბაშად ნუ წაართმევ, არამედ თანდათან, მეტწილად უნდა ეცადო კანონების საფუძველზე, რომ ვინმე ძალიან არ გაძლიერდეს ან მეგობრების, ან სიმდიდრის წყალობით, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება მისი გაძევება სამშობლოდან.

იმათთვის, რომლებსაც პირად ცხოვრებაში სიახლენი შემოაქვთ, მაგრამ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ დემოკრატიაში - დემოკრატიისათვის, ოლიგარქიაში - ოლიგარქიისათვის და ასევე სხვა სახელმწიფოებისათვის, საჭიროა რაღაც თანამდებობის შემოღება მათზე თვალყურის სადევნებლად. ამავე მიზეზის გამო საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ მოსახლეობის ნაწილი ზომაზე მეტად არ იყოს ფუფუნებაში. ამის თავიდან ასაშორებლად საჭირო იქნება მოპირდაპირე მხარეებს შორის დასაქმებისა და მმართველობაში მონაწილეობის განაწილება. მოპირდაპირე მხარეებში მე ვგულისხმობ წარჩინებულ ადამიანებსა და ხალხის მასას, ღარიბებსა და მდიდრებს. ან უნდა ეცადო, რომ ღარიბების მასა მდიდრებს შეურიო, ანდა გაზარდო საშუალო კლასი. ეს ბოლოს მოუღებს იმ აჯანყებებს, რასაც მოსახლეობის უთანასწორობა იწვევს.

ყოველ სახელმწიფოში მთავარია როგორც კანონი, მთელი მეურნეობის ისე მოწესრიგება, რომ გაბატონებული ფენები თანამდებობებიდან მოგებას არ იღებდნენ. ამის გატარება განსაკუთრებით ოლიგარქიულ სახელმწიფოშია საჭირო. ხალხის მასა იმით კი არაა უკმაყოფილო, რომ მმართველობას ჩამოცილებულია. მას უხარია კიდეც, თუ ვინმე მისცემს საშუალებას თავის ნებაზე გაატაროს დრო.

მაგრამ როდესაც ჰგონია, რომ ხელმძღვანელობა საზოგადო ქონებას იპარავს, მაშინ კი განიცდის როგორც იმას, რომ მმართველობას ჩამოცილებულია, ისე იმას, რომ მოგებაში წილი არა აქვს. დემოკრატიისა და არისტოკრატიის თანაარსებობის ერთი საშუალება არსებობს, თუ ვინმე შესძლებს მის განხორციელებას. კერძოდ, საჭიროა, რომ როგორც წარჩინებულ ადამიანებს, ისე ხალხის მასას ჰქონდეს ის, რაც სურს. ხელისუფლებაში ყველას მონაწილეობა არის დემოკრატიის პრინციპი, წარჩინებულების მონაწილეობა არისტოკრატიის პრინციპია. თუ ხელმძღვანელი პირები არ დაიწყებენ გამდიდრებას თავისი თანამდებობის საშუალებით, მაშინ ღარიბნი არ მოინდომებენ დიდ თანამდებობებს, რადგან ამაში მათ მოგება არ ექნებათ და თავის საქმეებს მოჰკიდებენ ხელს, მდიდრები კი დაიკავებენ მაღალ თანამდებობებს, რადგან მათ არ სჭირდებათ საზოგადო ქონების მითვისება. მაშინ მოხდება ის, რომ ღარიბები გამდიდრდებიან, რადგან საკუთარ საქმეებს მიხედავენ, ხოლო წარჩინებული ადამიანები დაზღვეული იქნებიან სათავეში შემთხვევითი პირების მოხვედრისაგან. რათა არ მოხდეს საზოგადო ქონების დატაცება, ის უნდა გადაეცეს ხელმძღვანელ პირებს მთელი ხალხის თანდასწრებით, ხოლო ამის ასლები უნდა ინახებოდეს ფრატრიებსა, ფილებსა და ლოხებში. უანგარო ხელმძღვანელობის მიღწევის მიზნით უნდა შემოღებულ იქნას საპატიო სახელების მინიჭება.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში საჭიროა როგორც მდიდრების ქონების, ისე შემოსავლის დაცვა განიავებისაგან, რაც ზოგ სახელმწიფოში ფარულად ხდება კიდეც. კარგი იქნებოდა აგრეთვე, თუ ხელს შევუშლიდით ფულის ხარჯვაში ისეთ საქმეზე, რასაც მოგება არ მოაქვს, მაგალი-

თად, გუნდის მოწყობაში, პროცესიაში ჩირაღდნებით და სხვა ამგვარში. ოლიგარქიაში მეტი ზრუნვაა საჭირო ღარიბებზე, მათ უნდა მიეცეთ შემოსავლიანი თანამდებობები, და თუ რომელიმე მდიდარი ითავხედებს ღარიბების მიმართ, მას მეტი სასჯელი უნდა დაედოს, ვიდრე ასეთივე მოქმედებისათვის თავისიანების მიმართ. შემდეგ, მემკვიდრეობა ჩუქებით კი არ უნდა გადაეცემოდეთ, არამედ შთამომავლობით და ერთმა კაცმა ერთზე მეტი მემკვიდრეობა არ უნდა მიიღოს. ასე მოხდება ქონების გათანასწორება და ზოგი ღარიბი მდიდარი გახდება.

როგორც დემოკრატიაში, ისე ოლიგარქიაში სასარგებლო იქნება, თუ იმათ, ვინც არ მონაწილეობს მმართველობაში, მიეცემათ სხვებთან თანასწორი, ან უპირატესი უფლებები, კერძოდ, დემოკრატიაში - მდიდრებს, ოლიგარქიაში - ღარიბებს, გარდა ძალიან დიდი თანამდებობებისა, რაც ეძლევათ ამისათვის განკუთვნილ მოქალაქეებს ან ყველას ერთად, ან ცალ-ცალკე.

ვისაც მაღალი თანამდებობის დაკავება სურს, მას უნდა ჰქონდეს სამი თვისება. პირველი, უნდა იყოს არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების მომხრე; მეორე, უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ შეასრულოს სახელმწიფო მმართველობის ურთულესი საქმეები; მესამე, უნდა ჰქონდეს არსებული სახელმწიფოს შესაბამისი ზნეობა და სამართლიანობა, რადგან თუ მთელ სახელმწიფოში არ არის ერთი და იგივე სამართალი, არც სამართლიანობის გაგება იქნება ერთი და იგივე. სიძნელე მდგომარეობს იმაშიც, თუ როგორ იქნება არჩეული კაცი, თუ მას ყველა ეს თვისება არ აღმოაჩნდა? მაგალითად, კაცი კარგი სარდალია, მაგრამ არც სახელმწიფოსადმია კეთილგანწყობილი და თანაც ცუდი ადამიანია, მეორე კი სამართლიანია და სახელმწიფოს ერთგული. როგორ უნდა მოხდეს არჩევა ამ შემთხვევაში? ვფიქრობთ, რომ ორ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება: რომელი თვისება ახასიათებს უფრო მეტად ყველას და რომელი ნაკლებ. გამოცდილება სამხედრო საქმეში კაცს უფრო მეტად უნდა ჰქონდეს, ვიდრე ზნეობრიობა, რადგან სამხედრო გამოცდილება ნაკლებ გვხვდება ადამიანებში, ვიდრე ზნეობრიობა, მაგრამ სახელმწი-

ფოს დაცვისა და საფინანსო საქმიანობაში უფრო მეტად ზნეობაა საჭირო, ვიდრე ეს აქვს უმრავლესობას. ამის ცოდნა ყველასათვის საერთოა, სიძნელე იმაშიც მდგომარეობს, რომ თუ კაცს აქვს მართვის უნარიც და სახელმწიფოს სიყვარულიც, მაშინ რაღა საჭიროა ზნეობრიობა? ანდა, კაცს შეიძლება ჰქონდეს ეს ორი თვისება და ამავე დროს იყოს თავშეუკავებელი და, მიუხედავად თავის თავის სიყვარულისა და ცოდნისა, თავს ვერ იმორჩილებდეს. ამიტომ არაფერი არ აბრკოლებს იმას, რომ ასეთივე თავშეუკავებელი იყოს საზოგადო საქმეშიც.

საერთოდ, როგორც უკვე ვთქვით, რაც კანონებში სასარგებლოა სახელმწიფოსთვის, ის იცავს კიდეც სახელმწიფოს. სახელმწიფოს იცავს აგრეთვე ჩვენს მიერ ხსენებული პრინციპი, რომ სახელმწიფოს მომხრეთა რიცხვი უნდა ჭარბობდეს მის მოწინააღმდეგეებს. გარდა ამისა, არ უნდა იქნას უყურადღებოდ დატოვებული მოსახლეობის საშუალო ფენა, რასაც ყურადღებას არ აქცევენ დამახინჯებულ სახელმწიფო წყობილებებში. ბევრი რამ ისეთი, რაც დემოკრატიულად მოჩანს, არღვევს დემოკრატიას და რაც ოლიგარქიულად მოჩანს, არღვევს ოლიგარქიას. ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათი სახელმწიფოა ზნეობრივი და ეწევიან მას გადაჭარბებისაკენ, ივიწყებენ, რომ როგორც ცხვირის გადახრა სწორი ხაზიდან ამაღლებისკენ, ან ჩაღრმავებისკენ არ ამახინჯებს ცხვირს და ის მაინც ლამაზი რჩება. მაგრამ თუ ამ მხრივ მოხდა გადაჭარბება, დაირღვევა ამ ნაწილის სიმეტრიულობა და თვითონ ცხვირიც დაკარგავს თავის ფორმას გადაჭარბებული ამოღრმავების, ან გადაჭარბებული ჩაღრმავების გამო. იგივე ითქმის სხეულის სხვა ნაწილებისა და სახელმწიფოს შესახებ. ოლიგარქიაცა და დემოკრატიაც, თუმცა გადახრილნი არიან სწორი სახელმწიფოებრივი ფორმიდან, მაგრამ მაინც შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყვნენ, თუ ვინმე კიდევ უფრო არ გააძლიერებს მათ გადახრას. ის ჯერ გააუარესებს სახელმწიფოს და შემდეგ სავსებით მოსპობს მას. ამიტომ კანონმდებლებმა და პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, თუ რა ღონისძიებანი იცავს ან ღუპავს დემოკრატიას, რა ღონისძიებანი იცავს ან ღუპავს ოლიგარქიას.

სახელმწიფო ვერ იარსებებს და ვერ გადარჩება მდიდრებისა და ღარიბების გარეშე. მაგრამ თუ მოხდა ქონების გათანაბრება, მაშინ სულ სხვა სახელმწიფო წეს-წყობილება წარმოიშობა. ასე რომ, ის, ვინც კანონების საფუძველზე სპობს ამ კლასებს, ის ამ სახელმწიფოსაც სპობს. ასეთ შეცდომას უშვებენ, როგორც დემოკრატიაში, ისე ოლიგარქიაში. დემოკრატიაში, სადაც დემაგოგები ხალხის მასას კანონებზე მაღლა აყენებენ და ებრძვიან მდიდრებს, სახელმწიფოს ყოველთვის ორ ნაწილად ყოფენ. ისინი მდიდრების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდნენ. ოლიგარქიაში ოლიგარქები უნდა ზრუნავდნენ ხალხის ინტერესებზე და მათ იმის საწინააღმდეგო ფიცი უნდა დასდონ, ვიდრე ახლა სდებენ. ახლა კი ზოგან ისინი ასე ჰფიცავენ: „ხალხის მასასთან ვიქნები მტრულ დამოკიდებულებაში და მის წინააღმდეგ განვიზრახავ ყველაზე უფრო ცუდს“. საჭირო იყო ამის საწინააღმდეგოდ ფიცში გარკვევით თქმა, რომ „არ ჩავიდენ უსამართლობას ხალხის მიმართ“.

ყველაზე მთავარი სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნებისათვის არის მოქალაქეთა აღზრდა სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, რასაც ახლა არავინ არ აქცევს ყურადღებას. მაგრამ ყველაზე სასარგებლო კანონებიც კი, მიღებული ყველა მოქალაქის მიერ, არ იქნებოდა სასარგებლო, თუ მოქალაქენი არ იქნებოდნენ მიჩვეული და აღზრდილი დემოკრატიაში დემოკრატიულ კანონებზე და ოლიგარქიაში ოლიგარქიულ კანონებზე, რადგან, თუ სახელმწიფოში ერთი კაციც კი არის თავშეუკავებელი, მაშინ ასეთი ყოფილა მთელი სახელმწიფო. სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი აღზრდა ნიშნავს არა იმას, რომ ასიამოვნებდნენ დემოკრატებს ან ოლიგარქებს, არამედ იმას, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ სახელმწიფოს მართვა დემოკრატიულად ან ოლიგარქიულად. ამჟამად კი ოლიგარქიაში არქონტების შვილები იზრდებიან ფუფუნებაში, ღარიბების შვილები კი ვარჯიშობენ და შრომობენ. ასე რომ, მათ შეუძლიათ და სურთ კიდეც აწარმოონ გარდაქმნები სახელმწიფოში. იმ სახელმწიფოებში, რომლებიც უფრო მეტად მოჩანან დემოკრატიულად, მიღებულ იქნა ის, რაც ეწინააღმდეგება მათ სარგებლობას. ამის

მიზეზი კი ისაა, რომ ცუდად ესმით თავისუფლების ცნება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ დემოკრატიას ორი ნიშნით განსაზღვრავენ: ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს და სახელმწიფოში ბატონობს თავისუფლება. თავისუფლება კი მათ თანასწორობა ჰგონიათ. თანასწორობა კი ესმით ისე, როგორც ეს ხალხის მასას წარმოუდგენია. ხალხის მასას კი თავისუფლება ასე ესმის: კაცს უნდა შეეძლოს მოიქცეს ისე, როგორც სურს. ამრიგად, ასეთ დემოკრატიაში თითოეული ცხოვრობს ისე, როგორც სურს და რაც მისთვის სასარგებლოა, როგორც ევრიპიდეც ამბობს[108]. ეს კი ცუდია, რადგან არ უნდა გვეგონოს, რომ სახელმწიფოს კანონების მიხედვით ცხოვრება არის მონობა, პირიქით, ესაა ხსნა.

მარტივად რომ ვთქვათ, ასეთია ის მიზეზები, რაც იწვევს სახელმწიფოს გადატრიალებასა და დაღუპვას, ანდა მის დაცვასა და მისი არსებობის გახანგრძლივებას.

[108] ფრაგმენტი ევრიპიდეს უცნობი ტრაგედიიდან. ევრიპიდე - ცნობილი ბერძენი დრამატურგი, მოღვაწეობდა პერიკლეს დროს. დაწერა ოთხმოცი დრამა, რომელთაგან ჩვენამდე ჩვიდმეტმა მოაღწია.

თავი VIII

გვრჩება განსახილველი მონარქია, რა იცავს და რა ღუპავს მას ბუნებრივად? ჩვენ რაც ვთქვით რესპუბლიკების შესახებ, დაახლოებით იგივე უნდა ითქვას მონარქიებისა და ტირანიების შესახებაც. მონარქია შექმნილია არისტოკრატიის შესაბამისად, ტირანია კი - უკიდურესი ოლიგარქიისა და დემოკრატიისაგან, რის გამოც ის ქვეშევრდომებისათვის ყველაზე უფრო მავნე ფორმაა. მას, როგორც ორი ბოროტებისაგან შექმნილს, ახასიათებს ორივე სახელმწიფოს დამახინჯებები და შეცდომები. მონარქიული სახელმწიფოს ორივე ფორმა წარმოიშობა საწინააღმდეგო საწყისებიდან. ბაზილეია შექმნილია იმ მიზნით, რათა დაიცვას რჩეული ადამიანები ხალხის მასისგან და ბაზილევსს ნიშნავენ პატიოსანი ადამიანების წრიდან ან ზნეობრივი უპირატესობის, ან ზნეობრივი მოქმედების, ან გვარში გამორჩეულობის გამო, ტირანს კი ნიშნავენ ხალხის მასიდან წარჩინებული ხალხის საწინააღმდეგოდ, რათა ხალხი მათგან არ განიცდიდეს უსამართლობას. ამას ადასტურებს ფაქტები. თითქმის მეტი წილი ტირანებისა დემაგოგებიდან წარმოიშვნენ, რადგან დაარწმუნეს ხალხის მასა, რომ ცნობილ ადამიანებს ჩამოაგდებდნენ. ასე ჩამოყალიბდა ტირანიები მას შემდეგ, რაც გაიზარდა ქალაქები, უფრო ადრე კი ტირანიები ჩნდებიან მონარქიებიდან, რომლებიც არღვევდნენ მამაპაპეულ კანონებს და დესპოტური მმართველობისაკენ იხრებოდნენ. ზოგი ტირანია კი წარმოიშვა იმ ადამიანებიდან, რომლებსაც ირჩევდნენ დიდ თანამდებობებზე. ძველად ხომ ხალხი დიდი ხნით ნიშნავდა დიდი თანამდებობის პირებს და კულტის მსახურთ. ზოგი ტირანი კი ოლიგარქებიდან გამოვიდა, რომელნიც არჩეული იყვნენ დიდ თანამდებობებზე. ყველა ამ გზით ადვილი იყო ტირანად გახდომა, თუ მოისურვებდნენ, რადგან სამეფო ხელისუფლებას ასასიათებდა დიდი ძალაუფლება. ზოგი კი პატივითა და დიდებით აღწევდა ამას. მაგალი-

თად, ფედონი[109] არგოსში და სხვა ტირანები მონარქებიდან წარმოიშ-ვნენ. ხოლო იონელი ტირანი[110] და ფალარისი[111] - საპატიო თანამდებობების გამო. პანაიტიოსი ლეონტინში, კიპსელოსი[112] კორინთოში, პიზისტრატე[113] ათენში, დიონისე სირაკუზაში და სხვები ამავე გზით დემაგოგებიდან გამოვიდნენ.

როგორც ვთქვით, მონარქია არისტოკრატიის პრინციპებს ემყარება. მონარქია შექმნილია ან პირადი ღირსების, ან შთამომავლობით მიღებული ზნეობრიობის, ან ქველმოქმედებების, ანდა ყოველივე ამის გამო, რასაც თან ერთვის მისი პირადი უნარიანობა. ყველა იმათ, ვინც ჩაიდინა ან შეეძლო ჩაედინა ქველმოქმედება ხალხისთვის ან სახელმწიფოსთვის, მიაღწიეს მეფობის პატივს. ზოგმა ომის დროს სახელმწიფო იხსნა მონობისაგან, როგორც კოდრმა[114], ზოგმა გაათავისუფლა სახელმწიფო, როგორც კიროსმა[115], ზოგმა შემოიერთა მიწები, დააარსა ქალაქები და ხალხი დაასახლა, როგორც ლაკედემონელმა, მაკედონელმა და მოლოტელმა მეფეებმა.

---

[109] ფედონი - არგოსის ტირანი ჩვ. წ.ა. 750 წ-დან.

[110] „იონელი ტირანი“ - იგივე თრაზიბულე.

[111] ფალარისი - აგრიგენტის ტირანი ჩვ. წ.ა. VII საუკ. II ნახევარში.

[112] კიპსელოსი - კორინთოს ტირანი ჩვ. წ.ა. 657-627 წწ. მან შექმნა კიპსელიდების ტირანია. ებრძოდა მსხვილ მიწათმფლობელებს, ართმევდა მათ მიწებს და სჯიდა. იცავდა გლეხებისა და ხელოსნების ინტერესებს. მისი და მისი ვაჟის პერიანდრეს ბატონობის დროს კორინთომ დიდ აღმავლობის მიაღწია.

[113] პიზისტრატე (600-527 ჩვ. წ.ა.) - ათენელი ტირანი, ორჯერ იქნა ჩამოგდებული ტირანობიდან და ორჯერვე აღიდგინა თავი. მან ათენში დაიწყო ოლიმპიელი ზევსის ქანდაკების მშენებლობა, რაც დაამთავრა მისმა ვაჟმა ადრიანემ.

[114] კოდრი - ძვ. საბერძნეთის, ატიკის უკანასკნელი მეფე ანუ არქონტი.

[115] კიროს - იგივე კიროს II, ან „კიროს დიდი“, სპარსეთის მეფე აქემენიდების საგვარეულოდან ჩვ. წ.ა. 558-330 წწ. მან დაამარცხა მიდიელები და სპარსეთი გაათავისუფლა მათი ბატონობისაგან. ამის შემდეგ მიდია სპარსეთის შემადგენლობაში შევიდა. დაიპყრო მცირე აზიის ქალაქები, ჩვ. წ.ა. 539 წ. დაიპყრო ბაბილონი და იგი სამეფო რეზიდენციად აქცია. დაიღუპა მცირე აზიაში მასაგეტების წინააღმდეგ ომში.

მეფეს სურს, რომ მდიდრებს იცავდეს ყოველგვარი უსამართლობისაგან, ხალხს - შეურაცხყოფისაგან; ტირანი კი, როგორცა ვთქვით, არაფერს საზოგადოს არ აქცევს ყურადღებას, თუ ეს პირადად მისთვის არაა სასარგებლო. ტირანის ზრუნვის საგანია სიამოვნება, მეფისა - მშვენიერება, ამიტომ ტირანის მიზანია ზრუნვა ქონების მოხვეჭაზე, მეფისა - უფრო მეტად ღირსებაზე. ამიტომ მეფეს საკუთარი მოქალაქეებისაგან ჰყავს დაცვა, ტირანს - უცხოელებისაგან.

ცხადია, რომ ტირანიას ახასიათებს როგორც ოლიგარქიის, ისე დემოკრატიის უარყოფითი მხარეები. ოლიგარქიისაგან ახასიათებს მას სიმდიდრის, როგორც საბოლოო მიზნის სიყვარული, რადგან ამით შეუძლია დაცვის შენახვა და ფუფუნებით ცხოვრება. როგორც ოლიგარქიები, ისე ტირანიები ხალხს სრულებით არ ენდობიან, ამიტომ ართმევენ მათ იარაღს, სდევნიან, აძევებენ ქალაქიდან და სხვაგან ასახლებენ. ტირანიებს დემოკრატიისაგან აქვთ გადმოღებული წარჩინებული ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი მოსპობა როგორც აშკარად, ისე ფარულად, და გაძევება, როგორც მოწინააღმდეგეებისა და ხელისუფლების მტრებისა. აქედან წარმოიშვება ერთის მხრივ, განზრახვა, რომ მართავდეს და მეორეს მხრივ, რომ არ იყოს მონობაში. ამითაა განპირობებული პერიანდრეს[116] რჩევა თრაზიბულეს მიმართ, რომ საჭიროა მაღალი თავთავების შეკვეცა, ე. ი. რომ ყოველთვის საჭიროა გამოჩენილი ადამიანების თავიდან მოშორება.

როგორც უკვე ითქვა, როგორც რესპუბლიკებში, ისე მონარქიებში, ერთი და იგივე მიზეზი აქვს გადატრიალებას უსამართლობის, შიშის, სიძულვილის, განსაკუთრებით კი თავხედობით გამოწვეული უსამართლობისა და ქონების წართმევის გამო. ხალხი თავს ესხმის მონარქიის ხელმძღვანელობას. ასე რომ, როგორც რესპუბლიკებში, ისე ტირანიებ-

[116] პერიანდრე (660-585) - კორინთოს ტირანი 627 -585 წწ. პერიანდრე აგრძელებდა მამის კიპსელოსის პოლიტიკას, ებრძოდა არისტოკრატიას, შემოიერთა ამბრაკიის, ბეოტიისა და კერკირის პროვინციები. მან და მისმა მამამ კიპსელოსმა ააგეს ზევსისა და სხვა ღმერთების მონუმენტური ქანდაკებები. პერიანდრე ბერძნებმა შვიდ ბრძენს მიაკუთვნეს.

სა და მონარქიებში გადატრიალების მიზეზი ერთი და იგივეა. მონარქებს აქვთ დიდი სიმდიდრე და პატივი, რასაც ყველა ეტანება. თავდასხმები ხდება ზოგჯერ თვით თანამდებობის პირებზე, ზოგჯერ მათ თანამდებობებზე თავდასხმები გამოწვეულია ტირანების თავხედობით და მიმართულია მათი პიროვნების წინააღმდეგ. თავხედობა კი მრავალგვარია და თითოეული მათგანი ხდება რისხვის მიზეზი. აღგზნებული ადამიანები აწყობენ თავდასხმებს შურისძიების და არა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. მაგალითად, თავდასხმა პიზისტრატიდებზე მოხდა იმიტომ, რომ შეურაცხყვეს ჰარმოდიონის და. ჰარმოდიონიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და შურს ძიობდა დის გამო. არისტოგიტონი კი შურს ძიობდა ჰარმოდიონის გამო. შეთქმულება ამბრაკიელი ტირანის პერიანდრეს წინააღმდეგ მოხდა იმიტომ, რომ მან ქეიფის დროს თავის შეყვარებულს ჰკითხა, ხომ არ დაორსულდა მისგან. ფილიპე[117] მოკლა პავსანიამ[118], რადგან მან ნება მისცა ატალას და მის მეგობრებს, რომ მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ. ამინტა უმცროსი მოკლა დერდამ[119], რადგან იკვეხნიდა მასთან კავშირს ახალგაზრდობაში. ევნუსმა მოკლა ევაგორა კიპროსელი[120], რადგან ევაგორას ვაჟმა გაიტაცა ევნუხის ცოლი, რამაც შეურაცხყო ევნუხი.

მრავალი შეთქმულება მეფეების წინააღმდეგ ეწყობა სქესობრივ ნიადაგზე შეურაცხყოფის გამო. მაგალითად, კრატესის თავდასხმა არქელაოზე[121]. კრატესს ყოველთვის აწუხებდა მასთან კავშირი, ამიტომ საკმარისი იყო მცირედი საბაბი, რომ თავს დასხმოდა მას. არქელაო დაპირდა მას თავისი ერთი ქალიშვილის მითხოვებას, მაგრამ ეს დაპირება

---

[117] ფილიპე მაკედონელი - მაკედონიის მეფე 359-336 წწ. მან მოახდინა ხელისუფლების ცენტრალიზაცია და დაამყარა მაკედონიის ჰეგემონია. იბრძოდა სპარსეთის წინააღმდეგ, განახორციელა მრავალი პროგრესული რეფორმა.

[118] პავსანია - ფილიპე მაკედონელის პირადი მცველი.

[119] დერდა - მაკედონიის ერთ-ერთი პროვინციის მმართველი.

[120] ევაგორა კიპროსელი - ქ. სალამინის მეფე ჩვ. წ.ა. 410 წლიდან.

[121] არქელაო - მაკედონიის მეფე 411-399 წწ. მის კარზე ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა 406 წ. 75 წლის ასაკში პოეტი ევრიპიდე.

არ შეასრულა, უფროსი ქალიშვილი მიათხოვა ელიმეიას მეფეს, რადგან შევიწროვებული იყო სირასა და არაბეუსის[122] წინააღმდეგ ომით, უმცროსი კი მიათხოვა მის ვაჟს ამინტას[123], რადგან იმედოვნებდა, რომ ამით გაუადვილდებოდა ურთიერთობა თავის ვაჟთან, რომელიც კლეოპატრასგან ეყოლა. მაგრამ არსებობდა სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი მათ შორის უთანხმოებისა. ეს იყო სქესობრივი კავშირი. ამავე მიზეზით მიემხრო შეთქმულებას აგრეთვე ელენოკრიტე ლარისელი. არქელაო სარგებლობდა მისი ახალგაზრდობით, მაგრამ არ შეასრულა დაპირება სამშობლოში მის დაბრუნებაზე. მაშინ მან ივარაუდა, რომ არქელაოს მასთან აკავშირებდა არა სიყვარული, არამედ უზნეობა. პითონმა და ჰერაკლიტე ენოსელებმა მოკლეს კოტიუსი[124] და ამით შური იძიეს მამის გამო. ადამა კი ჩამოსცილდა კოტიუსს, რადგან თავს შეუარაცხყოფილად თვლიდა ბავშვობაში კოტიუსისაგან კასტრირების გამო.

ბევრი, იმის გამო, რომ ფიზიკურად შეურაცხყვეს ზოგმა სამეფო დინასტიის წარმომადგენელმა, ზოგმა კი სახელმწიფო მოხელეებმა, ჰკლავდა ამათ ან აპირებდა მათ მოკვლას. როგორც, მაგალითად, მიტილენში მეგაკლი თავისი მეგობრებით თავს დაესხა პენთილიდებს, რომლებიც დადიოდნენ და ჯოხებით სცემდნენ ხალხს და ჩამოაგდეს ისინი, შემდეგში კი სმერდისმა, რომელიც პენთილმა ცოლის თანდასწრებით სცემა, მოკლა პენთილი. არქელაოზე თავდასხმის ორგანიზატორი იყო დეკამნიქე. იგი იყო პირველი, ვინც აქეზებდა შეთქმულთ არქელაოს წინააღმდეგ. ამის მიზეზი იყო ის, რომ დეკამნიქე გაბრაზებული იყო არქელაოზე, რომელმაც გადასცა დეკამნიქე პოეტ ევრიპიდეს გასაროზგად. ევრიპიდე კი გაბრაზებული იყო დეკამნიქეზე, რადგან თითქოს დეკამნიქეს ეთქვას ევრიპიდეზე, რომ მას პირი უყარსო.

ასეთი მიზეზებით ბევრი მოკლეს და ბევრის წინააღმდეგ კი შეთქმულება მოაწყვეს. ასევე შიშიც ხდება ხოლმე მიზეზი, როგორც რესპუბლი-

---

[122] არაბეუსი - მაკედონიის ერთ-ერთი პროვინციის მმართველი.
[123] ამინტა, იგივე ამინტა II - მაკედონიის მეფე 333-332 წწ.
[124] კოტიუსი - თრაკიის მეფე 382-358 წწ.

კებზე, ისე მონარქიებზე თავდასხმისა. მაგალითად, არტაპანემ[125] მოაწყო შეთქმულება ქსერქსეს წინააღმდეგ, რადგან ეშინოდა, რომ არ დაესმინათ მასთან დარიოსის შესახებ, რომელიც მან ჩამოახრჩო ქსერქსეს ბრძანების წინააღმდეგ. მას იმედი ჰქონდა, რომ ქსერქსე დაივიწყებდა ამ ბრძანებას, რომელიც მან გასცა სადილობის დროს.

ზოგჯერ ტირანებს თავს ესხმიან სიძულვილის გამო, როგორც, მაგალითად, თავს დაესხნენ სარდანაპალს[126], თუ სწორია ის, რასაც მითოლოგები ამბობენ, რომ თითქოს ის მატყლს ჩეჩავდა ქალებთან ერთად. და თუ არა ის, ვიღაც სხვა მაინც უნდა ყოფილიყო. უმცროს დიონისეზე თავდასხმა მოაწყო დიონმა, რადგან ხედავდა, რომ ის მოქალაქეებს ეზიზღებოდათ იმიტომ, რომ მუდამ მთვრალი იყო. ზოგს მეგობრები ესხმიან თავს ზიზღის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ მეფე მათ ენდობა და მათი შეთქმულება არ გამჟღავნებულა.

ზოგი ფიქრობს, რომ რაიმე გზით შესძლებს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და ზიზღის გამო აწყობს მეფეზე თავდასხმას. ადვილად აწყობენ თავდასხმებს ისინი, რომლებსაც თავისი ძალების იმედი აქვთ და საფრთხეს არაფრად აგდებენ, როგორც, მაგალითად, თავს ესხმიან სტრატეგები მეფეებს. მაგალითად, კიროსი თავს დაესხა ასტიაგეს[127], რომლის ცხოვრების სახეცა და ძალაუფლებაც მას ეზიზღებოდა, რადგან როდესაც შესუსტდა ასტიაგეს ძალაუფლება, ის ფუფუნებაში ჩაეფლო. თრაკიელი სეითი თავს ესხმის ამადოკეს[128], რომლის სარდალიც სეითი იყო.

---

[125] არტაპანე - ქსერქსეს მცველთა ჯგუფის უფროსი.

[126] სარდანაპალი - ასურეთის უკანასკნელი მეფე. როდესაც ასურეთის დედაქალაქი ნინევია გარშემორტყმული იყო მიდიელებითა და ქალკედონელებით, მან ცოლ-შვილთან ერთად დაიწვა თავი.

[127] ასტიაგე - მიდიის მეფე 594-559 წწ.

[128] ამადოკე - თრაკიის მეფე. გარდაიცვალა 390 წ.

ზოგნი კი თავდასხმას აწყობენ მრავალი მიზეზის გამო, როგორიცაა ზიზღი და სიხარბე, როგორც არიობარზანს თავს ესხმის მითრიდატე[129]. მეტწილად თავდასხმებს აწყობენ ისინი, რომლებსაც ყოფნით გამბედაობა და მეფეებთანაც საპატიო სამხედრო თანამდებობები უკავიათ. ვინც მამაციცაა და გაბედულიც, ის ადვილად ბედავს თავდასხმას. ისინი, რომლებიც თავს ესხმიან მეფეებს არა მოგების ან მაღალი თანამდებობის მიღების მიზნით, არამედ პატივმოყვარეობის გამო, არ ერიდებიან საფრთხეს. ზოგი თავს ესხმის მეფეებს სიმდიდრისა და თანამდებობის გამო, პატივმოყვარენი კი - იმიტომ, რომ ცნობილი და სახელოვანნი გახდნენ. მაგრამ, რომლებიც ამ მიზნით მოქმედებენ, მათი რიცხვი მცირეა. თავდამსხმელმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ, თუ საქმე წარმატებით არ დასრულდა, სიცოცხლის შენარჩუნებაზე არ უნდა იფიქროს. ეს ადამიანები უნდა მისდევდნენ დიონის თვალსაზრისს, მაგრამ ეს ბევრისათვის ადვილი არაა. დიონმა დიონისეს წინააღმდეგ გაილაშქრა მცირერიცხოვანი ჯარით და თქვა, რომ თუ მას რაიმე წარმატება ექნება, მისთვის ისიც საკმარისია, რომ მონაწილეობდა ამ საქმეში, მაგრამ გადადგამს თუ არა ნაბიჯს დიონისეს სახელმწიფოში, მას უმალ სიკვდილი ელის, თუმცა ასეთ სიკვდილს ის მშვენივრად ჩათვლის.

დინასტიები, როგორც სხვა სახელმწიფოები, ერთი გზით იღუპებიან, სახელდობრ გარედან, თუ მოწინააღმდეგე სახელმწიფო მასზე ძლიერი აღმოჩნდა, რადგან მათ საწინააღმდეგო პოზიციები უკავიათ. ამიტომ, ცხადია, რომ თავდასხმის მსურველებიც იქნებიან, ხოლო სურვილის განხორციელება სურს ყველას, ვისაც კი ამის უნარი აქვს, ურთიერთდაპირისპირებული სახელმწიფოები კი არიან დემოკრატია და ტირანია და როგორც ჰესიოდეც[130] ამბობს, მექოთნეს მექოთნისა შურს, რადგან უკი-

---

[129] მითრიდატე, იგივე მითრიდატე II (387-302 წწ.) - პონტოს მმართველი. მან ჩაუყარა საფუძველი პონტოს სახელმწიფოს.

[130] ჰესიოდე, „შრომები და დღეები“, 25. ცნობილი ბერძენი პოეტი VIII-VII სს. ავტორი თხზულებებისა „შრომები და დღეები" და „თეოგონია“. პირველში ის იძლევა მნიშვნელოვან ცნობებს საბერძნეთში მიწათმოქმედების მდგომარეობის შესახებ, მეორეში კი ყვება ღმერთებისა და სამყაროს წარმოშობის ამბებს.

დურესი დემოკრატია არის ტირანია. მონარქია და არისტოკრატია უპირისპირდება რესპუბლიკას, ამიტომ ლაკედემონში მოსპეს ბევრი ტირანი, სირაკუზაში კი მოსპეს მაშინ, როცა მას კარგად მართავდნენ. ზოგი ტირანია კი ემხობა მისივე მიზეზით, როცა ხელმძღვანელები იწყებენ ურთიერთშორის მტრობას, როგორც ეს მოხდა გელონის[131] წინააღმდეგ და ახლაც დიონისეს წინააღმდეგ. გელონის წინააღმდეგ გაილაშქრა თრაზიბულემ, ჰიერონის ძმამ. იგი აქეზებდა თრასიბულეს ვაჟს დემაგოგიურად, რომ ხელი მიეყო სიამოვნებისთვის, რათა თვითონ სათავეში მოქცეულიყო. მაგრამ გელონის შინაურები გაერთიანდნენ, რათა თრაზიბულეს გელონი არ ჩამოეგდო და მოხერხებულ დროს თრაზიბულე სახელმწიფოდან გააძევეს. დიონისეს წინააღმდეგ გაილაშქრა დიონმა, რომელიც მისი ნათესავი იყო, მიიმხრო ხალხი და დიონისე ჩამოაგდო, მაგრამ თვითონაც დაიღუპა.

ტირანზე თავდასხმას ძირითადად ორი მიზეზი იწვევს: სიძულვილი და სისხლი. ორივე ეს თვისება მუდამ მოსდგამს ტირანიას. სიძულვილი ზიზღიდან გამომდინარეობს, რაც ტირანიის დამხობის მიზეზი ხდება. ამას ადასტურებს შემდეგი, რომ უმრავლესობამ, რომლებმაც პირველად მიაღწიეს ტირანიას, შეინარჩუნეს ხელისუფლება, ხოლო რომლებმაც მათგან მიიღეს, ყველანი მაშინვე დაიღუპნენ, რადგან ცხოვრობდნენ სიამოვნებით, იწვევდნენ ზიზღს და იძლეოდნენ მრავალ საბაბს თავდასხმისათვის. სიძულვილის ნაწილია მრისხანებაც, რაც აგრეთვე ხდება შეთქმულების მიზეზი და ხშირად რისხვა უფრო აქტიური მიზეზია, ვიდრე სიძულვილი. უფრო ძლიერი თავდასხმები ხდება ხოლმე იმის გამო, რომ ვნება არ ემორჩილება გონებას, უმეტესად კი რისხვა თან სდევს ტირანთა უზნეობას. ამ მიზეზით დაემხო პიზისტრატიდების და მრავალი სხვა ტირანია. მაგრამ სიძულვილი უფრო ექვემდებარება გონებას, ვიდრე რისხვა, რადგან რისხვას თან სდევს ტანჯვა. ამიტომ აქ ძნელია გონივრულობის დაცვა, მტრობა კი არ შეიცავს ტანჯვას.

---

[131] გელონი - სირაკუზის ტირანი 485-475 წწ. მას შეენაცვლა მისი ძმა ჰიერო, რომელიც გარდაიცვალა 467 წ. გელონის შვილის შესახებ არაფერია ცნობილი.

რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, მივიღებთ, რომ ის მიზეზები, რაც უკიდურეს და სრულყოფილ ოლიგარქიას და უკიდურეს დემოკრატიას ღუპავს, ღუპავს აგრეთვე ტირანიას, რადგან ოლიგარქია და დემოკრატია-აც ტირანიებია, ოღონდ დანაწევრებული მრავალ პიროვნებას შორის. მონარქია გარეგანი მიზეზების გამო ნაკლებ იღუპება, ამიტომ უფრო დღეგრძელია. მაგრამ მას მისი საკუთარი მიზეზები ღუპავს. მონარქია იღუპება ორი მიზეზით: პირველი, როცა ისინი, რომლებიც მონაწილეობენ მმართველობაში, იწყებენ ბრძოლას ურთიერთშორის. მეორე, როცა მეფეები ცდილობენ ტირანებად იქცნენ და აძლიერებენ თავის უფლებებს კანონსაწინააღმდეგოდ. ახლა იქმნებიან არა ბაზილიის ტიპის სახელმწიფოები, არამედ მონარქიები, რომლებიც უფრო ტირანიებია. ბაზილია ნებაყოფლობითი მმართველობაა, რომელიც წყვეტს მრავალ მნიშვნელოვან საკითხს. ისინი მეტწილად ერთმანეთს ჰგვანან, და არც ერთი მათგანი არაა იმდენად სრულყოფილი, რომ გამოირჩეოდეს ან სიდიდით, ან მმართველის ღირსებით. ამიტომ ეს სახელმწიფოები რჩებიან არა ხალხის ნება-სურვილით, არამედ მოტყუებით, ან იძულებით. ვფიქრობ, რომ ისინი უკვე ტირანიებია. ხოლო მემკვიდრეობითი სამეფოები, გარდა ზემოხსენებული მიზეზებისა, იღუპებიან აგრეთვე იმის გამო, რომ მათი ხელმძღვანელები იწვევენ ზიზღს და სამეფო პატივის მიუხედავად, მაინც თავხედობენ, თუმცა არა აქვთ ძალა. ამ შემთხვევაში მათი დაღუპვა ადვილია, რადგან როცა არ სურთ მათი გამეფება, ვერც გამეფდებიან, ხოლო ტირანად გახდებიან მაშინაც, როცა ხალხს არ სურს.

ამრიგად, მონარქიები იღუპება, როგორც ამ, ისე მრავალი სხვა ამდაგვარი მიზეზების გამო.

თავი IX

მარტივად რომ ვთქვათ, ცხადია, მონარქიებს იცავს იმის საწინააღმდეგო მიზეზები, რაც მათ ღუპავს. მაგალითად, ზომიერება მმართველობაში. ის მონარქიები, რომლებიც ნაკლებ ძლიერნი არიან, უფრო დიდხანს ინარჩუნებენ ძალაუფლებას. ისინი ნაკლებ ხდებიან დესპოტურნი, უფრო მეტად უტოლებენ თავს ქვეშევდრომებს და ნაკლებ არიან შურის მიზეზი. ამიტომაც იარსება დიდხანს მოლოტების დინასტიამ, ასევე ლაკედემონელებისამ, რომელიც თვითვე იყო გაყოფილი ორ ნაწილად და აგრეთვე იმის გამო, რომ თეოპომპემ[132] ბევრ საკითხში ზომიერება დაიცვა, შემოიღო რა ეფორების ხელისუფლება. ამით მან შეასუსტა სამეფოს ძალა, სამაგიეროდ გაახანგრძლივა მისი არსებობა, ასე, რომ, კი არ შეამცირა სახელმწიფო, არამედ როგორღაც გაადიდა. როგორც ამბობენ, მან თავისი ცოლის კითხვაზე: არა რცხვენია, რომ შვილებს უტოვებს უფრო პატარა სახელმწიფოს, ვიდრე მან მიიღო მამისაგან? უპასუხა: „არავითარ შემთხვევაში, მე ხომ მათ უფრო დღეგრძელ სახელმწიფოს ვუტოვებ“.

ტირანებს იცავს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საშუალება. ერთი არის ტრადიციული და მას მიმართავს მონარქიული მმართველობის უმრავლესობა. როგორც ამბობენ, მეტი წილი ამ გზისა პერიანდრე კორინთელმა დაადგინა და ნაწილი სპარსელების სახელმწიფოდან არის გადმოღებული. მეორე გზა ხსნისა არის ჩვენს მიერ ზემოთქმული: გამოჩენილი ადამიანების მოსპობა და მამაცი ადამიანების თავიდან მოშორება. არ უნდა დაუშვას სისიტიები, ამხანაგობები, განათლება და სხვა რაიმე ამდაგვარი. უნდა დაიცვას ყველაფერი იმისგან, საიდანაც გამომდინარეობს ორი რამ: თავდაჯერება და ურთიერთნდობა. არ უნდა დაუშვას არც სასწავლებლები, არც შეკრებები კამათის მიზნით და მოაწყოს ისე, რომ ყველანი ერთმანეთს ნაკლებ სცნობდნენ, რადგან ნაცნობობა

[132] გელონი - სირაკუზის ტირანი 485-475 წწ. მას შეენაცვლა მისი ძმა ჰიერო, რომელიც გარდაიცვალა 467 წ. გელონის შვილის შესახებ არაფერია ცნობილი.

ნდობას აძლიერებს. უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულები ყოველთვის თვალწინ უნდა ჰყვანდეს, მეტწილად კარებწინ, ასე ნაკლებ იქნება დაფარული, თუ რას აკეთებენ. ამით ისინი მორჩილებასაც შეეჩვევიან და მონურ მდგომარეობასაც. ყოვლივე სხვა ასეთი, რაც კი სპარსული და ბარბაროსულია, შეეფერება ტირანიას და მას ერთი და იგივე შედეგი მოსდევს. არ უნდა დარჩეს დაფარული, თუ რას ამბობენ და რას აკეთებენ ქვეშევრდომები. ამისათვის საჭიროა მეთვალყურენი, როგორც სირაკუზაში ჰყავთ ე. წ. მზვერავები და ჰიერონის მცველები. მათ ჰიერონი გზავნიდა იქ, სადაც კი ხდებოდა შეკრება ან შეხვედრები. მაშინ, ამ ადამიანების შიშის გამო აშკარად ცოტას ილაპარაკებდნენ და, თუ მაინც ილაპარაკებდნენ, ეს არ დარჩებოდა შეუჩნეველი. ასე ჩამოვარდება მტრობა ურთიერთშორის, მოქალაქენი და მდიდრები ერთმანეთს წაეკიდებიან, მეგობარი კი - მეგობარს. ტირანები აღარიბებენ თავის ქვეშევრდომთ, რათა ვერ შესძლონ დაცვის შენახვა და რათა მათ, ყოველდღიური საქმეებით დატვირთულებმა, ვერ შესძლონ ტირანის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა, ამის მაგალითია ეგვიპტის პირამიდები, კიპსელიდების მიერ აგებული ძეგლები, პიზისტრატიდების მიერ სამოსზე აშენებული ოლიმპიონის ტაძარი და პოლიკრატეს[133] ნაგებობა სამოსზე. ყოველივე ამის მიზანია მოქალაქეთა მოუცლელობისა და გაღატაკების გამოწვევა გადასახადების გადიდებით, როგორც სირაკუზაში დიონისეს დროს ხუთ წელიწადში ერთხელ მოქალაქეების მთელი ქონება გადასახადებს ხმარდებოდა. ტირანებს უყვართ აგრეთვე ომების წარმოება, რათა ხალხს არ ჰქონდეს თავისუფალი დრო და განუწყვეტლივ სჭირდებოდეს ხელმძღვანელი. მონარქიას მეგობრები იცავენ, ტირანი კი არ ენდობა მათ, რადგან მათ შეუძლიათ იმის განხორციელება, რაც ყველას სურს.

---

[133] პოლიკრატე - სამოსის ტირანი 532-523 წწ. მან მრავალი მნიშვნელოვანი შენობა ააგო. აღსანიშნავია მის მიერ წყალსადენის გაყვანა, ბევრი მონუმენტური ქანდაკების მშენებლობა.

სრულყოფილ დემოკრატიას ტირანიის ყველა ნიშანი ახასიათებს: ქალების ბატონობა ოჯახში, რათა მათ გასცენ მამაკაცების საიდუმლო, და ამავე მიზეზით მონების უდისციპლინობა. მონები და ქალები არ აწყობენ შეთქმულებას ტირანის წინააღმდეგ, რადგან იმყოფებიან კარგ პირობებში და ამიტომ მხარს უჭერენ როგორც ტირანიას, ისე დემოკრატიას. ხალხსაც უნდა, რომ მეფე ჰყავდეს, ამიტომ მლიქვნელები ორივეგან პატივში არიან. დემაგოგები პატივცემული არიან ხალხში, რადგან ისინი ემლიქვნელებიან ხალხს. ტირანებშიც ისაა პატივცემული, ვინც მათ წინაშე თავს იმცირებს, რაც მლიქვნელობის გამოვლენაა. ამიტომ ტირანებს უყვართ უზნეონი, მლიქვნელები, თავისუფალი და გონიერი ადამიანები კი ამას არ იკადრებენ, რადგან ისინი პატიოსანნი არიან და არც მლიქვნელობენ. ცუდი ადამიანები კი გამოსადეგნი არიან ცუდ საქმეებში და როგორც ანდაზაც ამბობს, „ლურსმანს ლურსმნითვე ამოაძრობ“.

ტირანს არასოდეს არ უყვარს არც ღირსეული და არც თავისუფალი ადამიანი, რადგან ამ თვისებების მქონედ ტირანი მხოლოდ თავის თავსა თვლის, ხოლო ვინც თავისუფლად და დამოუკიდებლად აზროვნებს, ის სპობს ტირანის უპირატესობას და ძალაუფლებას. ისინი სძულთ ტირანებს, როგორც მათი ბატონობის მოწინააღმდეგენი, ამიტომ ტირანები უფრო უცხოელებს იყენებენ საქეიფოდ და დროს გასატარებლად, ვიდრე საკუთარ მოქალაქეებს, რადგან მისივე მოქალაქენი მას მტრობენ, უცხოელები კი არა. ყველაფერი ეს ახასიათებს და იცავს ძალაუფლებას ტირანისას, რომელსაც არავითარი ბოროტება არ აკლია.

ყოველივე ზემოთქმული სამ დებულებაზე შეიძლება დავიყვანოთ; ტირანები ცდილობენ, რომ ქვეშევრდომები სულმდაბალნი იყვნენ, რადგან სულმდაბალნი არ აჯანყდებიან მათ წინააღმდეგ. მეორე, ტირანები ცდილობენ, რომ ჩამოაგდონ უნდობლობა მოქალაქეთა შორის, რადგან ტირანს ვერ ჩამოაგდებენ მაშინ, თუ მათ არა აქვთ ურთიერთნდობა. ამიტომ ტირანები სდევნიან პატიოსან ადამიანებს, როგორც მათი ხელისუფლების მტრებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ

ემორჩილებიან მათ დესპოტურ მმართველობას, არამედ იმიტომაც, რომ მათ ენდობიან როგორც მისიანები, ისე სხვები, რადგან ისინი არ ასმენენ არც თავისიანებსა და არც სხვებს. მესამე, ტირანები ცდილობენ მოახდინონ მოქალაქეთა პოლიტიკური საქმიანობის პარალიზება, რადგან უუნაროს არაფერი არ შეუძლია და, მაშასადამე, ვერც ტირანის ჩამოგდებას შესძლებს.

ტირანების ეს ჩანაფიქრი შეიძლება დაგვეყვანა სამ განსაზღვრებაზე, რაც მათი მოქმედების საფუძველს წარმოადგენს: მოქალაქენი არ უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს, არ უნდა ჰქონდეთ მოქმედების უნარი, და სულმდაბალნი უნდა იყვნენ. ეს არის ერთ-ერთი გზა ტირანიის შენარჩუნებისა, მეორე კი არის დაახლოებით ზემოთქმულის საწინააღმდეგო მოქმედების გზა. მისი გაგება შეიძლება მონარქიების დაღუპვის მაგალითებიდან. როგორც მონარქიის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზია მისი ტირანიად გადაქცევა, ასევე ტირანიის გადასარჩენად საჭიროა მას უფრო მეტად მონარქიის სახე მიეცეს. მხოლოდ ეს შეუნარჩუნებს მას ძალას, რათა ჰქონდეს უნარი მართოს არა მხოლოდ მომხრენი, არამედ არამომხრენიც. თუ ტირანს ეს გამორჩა მხედველობიდან, დაკარგავს ხელისუფლებას.

ეს უნდა იყოს მისი მოქმედების საფუძველი, დანარჩენი კი ისე უნდა გააკეთოს, რაც მეფეს შეეფერება. პირველ ყოვლისა, უნდა იზრუნოს საზოგადო ქონებაზე, არ უნდა გასცეს საჩუქრად ის, რამაც შეიძლება ხალხის აღშფოთება გამოიწვიოს. არ უნდა გასცეს ჰეტერებზე[134], უცხოელებზე, ან ხელოსნებზე ხელგაშლილად ის, რაც მოპოვებულია ხალხის შრომითა და ტანჯვით, უნდა ჩააბაროს ანგარიში როგორც შემოსავალზე, ისე გასავალზე, როგორც იქცეოდა უკვე ზოგიერთი ტირანი. თუ ასე მოიქცევა, ის გამოჩნდება არა ტირანად, არამედ ხალხის მეურვედ და არც იმის

[134] ჰეტერა, ჰეტერები - გაუთხოვარი განათლებული ქალები, რომლებიც ეწეოდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას. ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს ცხოვრებაში, როგორც მაგალითად, ასპაზია. მათ კარზე თავს იყრიდნენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწეები და ცნობილი ადამიანები. ჰეტერა ზოგჯერ თავისუფალი ყოფაქცევის ქალს ეწოდებოდა.

შიში ექნება, რომ ქონება შემოაკლდება, რადგან ის ხომ სახელმწიფოს მმართველია. ტირანებს უხდებათ სამშობლოს საზღვრებს გარეთ გასვლა. ეს მისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე ერთად შეგროვილი ქონების დატოვება, რადგან მცველები მაშინ მის ძალაუფლებას დაესხმიან თავს და არა მის ქონებას. სამშობლოდან წასული ტირანის მცველები უფრო მეტად არიან საშიში, ვიდრე საკუთარი მოქალაქენი, რადგან მცველები რჩებიან, მოქალაქენი კი მას მისდევენ. შემდეგ, გადასახადები და საზოგადო სამსახური ისე უნდა მოაწყოს, რომ ის ხმარდებოდეს საზოგადო საჭიროებას, მაშინაც კი, თუ ის მას იყენებს საომარი მიზნებისთვის. საერთოდ, თავის თავს უნდა აჩვენებდეს არა საკუთარი, არამედ საზოგადო ქონების დამცველად და მეურვედ. თავს უნდა აჩვენებდეს არა მრისხანედ, არამედ კეთილშობილად, რათა შემხვედრთ მისი კი არ ეშინოდეთ, არამედ პატივსა სცემდნენ. მაგრამ ამის მიღწევა ადვილი არაა, თუ ის მოქალაქეებს ეზიზღებათ. თუ ტირანი სხვა საქმეებზე არ ზრუნავს, საომარზე მაინც უნდა ზრუნავდეს და მოქალაქეებსაც ასეთი წარმოდგენა უნდა შეუქმნას თავის თავზე. როგორც ტირანი, ისე მისი დაახლოებული პირები არ უნდა ექცეოდნენ თავხედურად მოქალაქეებს, არც ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს. მისი ოჯახის წევრი ქალები ასევე უნდა ექცეოდნენ მოქალაქეებს, რადგან ბევრი ტირანი დაიღუპა ქალების თავხედობის გამო.

სქესობრივ სიამოვნებებში ის ისე არ უნდა იქცეოდეს, როგორც იქცევა ახლა ზოგი ტირანი, რომლებიც დილიდან იწყებენ დროს ტარებას და ასე ყოველ დღე განუწყვეტლივ, რათა ყველა ხედავდეს და უკვირდეს მისი ბედნიერება და ნეტარება. ტირანი უნდა ეცადოს მოთოკოს თავი ამ მხრივ, ანდა სხვების დასანახად მაინც არ იქცეოდეს ასე, რადგან ადვილია შეძულება და თავდასხმა არა გონიერზე, არამედ მთვრალზე, არა ფხიზელზე, არამედ მძინარეზე.

ტირანი ყველაფერში ისე უნდა იქცეოდეს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. მან უნდა მოაწესრიგოს და გაალამაზოს ქალაქი არა როგორც ტირანმა, არამედ როგორც მზრუნველმა მეურვემ, ხალხს უნდა აჩვენებდეს,

რომ განუწყვეტლივ ზრუნავს რელიგიაზე. ასეთი ტირანისაგან ქვეშევრდომები ნაკლებ მოელიან რაიმე უკანონობას, რადგან ის ღვთისმოშიშად და ღვთისნიერად მიაჩნიათ და მას ნაკლებ ებრძვიან, როგორც ღმერთების მოკავშირეს. ტირანი არც სულელად უნდა მოჩანდეს. იმ ადამიანებს, რომლებმაც რაიმე კარგი გააკეთეს, პატივი უნდა სცეს, რომ არ იფიქრონ, თითქოს მოქალაქენი უფრო მეტად დააფასებდნენ, თუ ამის უფლება ექნებოდათ. ჯილდოები თვით ტირანმა უნდა გასცეს, ხოლო დასჯა უნდა დაავალოს სხვა ხელმძღვანელ პირებსა და სასამართლოებს.

ყოველ მონარქს იცავს ის, რომ არავინ არ უნდა განადიდოს ძალიან და, თუ განადიდებს, განადიდოს ბევრი, რათა მათ ერთმანეთს უთვალთვალონ. თუ მაინც საჭირო იქნება ერთის განდიდება, არ უნდა განადიდოს თავზე ხელაღებული ადამიანი, რადგან ამ თვისების მქონენი ყველაზე მეტად ხდებიან მოწინააღმდეგენი. თუ მონარქი გადაწყვეტს ვინმეს ძალაუფლება წაართვას, უცებ არ უნდა წაართვას ყველა უფლება, არამედ თანდათანობით, თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი ძალადობისაგან, განსაკუთრებით მისი ორი ფორმისაგან, სხეულებრივი დაზიანებისა და ახალგაზრდული გატაცებებისაგან. უფრო მეტად კი ფრთხილი უნდა იყოს. ადამიანებთან ურთიერთობაში, ქონების საკითხებში უსამართლობას ვერ იტანენ სიმდიდრის მოყვარენი, ხოლო უპატივცემულობას - პატივმოყვარენი და პატიოსანი ადამიანები. მაშასადამე, საჭიროა ან საერთოდ არ გამოიყენოს ეს ღონისძიება, ანდა ისე მოაჩვენოს, თითქოს ის გამოწვეული იყოს მამობრივი მზრუნველობით და არა სიძულვილით. გატაცებები ახალგაზრდობისადმი უნდა მოაჩვენოს ისე, რომ თითქოს მოქმედებდეს ეროტიკული მიზეზებით და არა ძალაუფლების გამოყენებით. ხოლო ის, რაც დიდ შეურაცხყოფად მოჩანს, უნდა გამოისყიდოს დიდი პატივისცემით.

ისინი, რომლებიც ემუქრებიან ტირანის სიცოცხლეს, ყველაზე საშიშნი არიან. ამიტომ საჭიროა მათგან ძლიერი თავდაცვა, რადგან ისინი მზად არიან თავიც კი გასწირონ, ოღონდ კი ტირანი მოსპონ. დიდი სიფ-

რთხილეა საჭირო იმათ მიმართ, რომლებიც შეურაცხყოფილად თვლიან თავის თავს, ან ნათესავებს. ისინი, რომლებიც ვნებით მოქმედებენ, თავის თავის მიმართაც კი შეუბრალებელნი არიან და როგორც ჰერაკლიტე ამბობს: „ძნელია ებრძოლო ვნებებს, რადგან ისინი სულსა სწირავენ“.

სახელმწიფო შედგება ორი ნაწილისაგან, მდიდრებისა და ღარიბებისგან, ამიტომ საჭიროა ისინი დაარწმუნო იმაში, რომ მათ ხელისუფლება იცავს, რათა ერთმანეთის მიმართ უსამართლობა არ ჩაიდინონ. ტირანმა მათ შორის უფრო ძლიერი მხარე უნდა მიიმხროს და, თუ ამას მოახერხებს, მაშინ მას არ დასჭირდება არც მონების განთავისუფლება და არც მოქალაქეებისთვის იარაღის ჩამორთმევა. საკმარისია ერთ-ერთი მხარის მიმხრობა, რომ მოწინააღმდეგეზე ძლიერი გახდეს.

ყოველივე ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი ზედმეტია. მიზანი ცხადია. ხელმძღვანელი პირი ქვეშევრდომებს თავს ისე უნდა აჩვენებდეს, რომ ის ოჯახის უფროსია, მეფე და არა ტირანი, არის მეურვე და არა მომხვეჭი, უნდა ეწეოდეს ზომიერ ცხოვრებას და არა გადაჭარბებულს. ცნობილ პირებთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს; ხალხს კი უნდა ხელმძღვანელობდეს. აქედან გამომდინარეობს, რომ მისი მმართველობა აუცილებლად მშვენიერი და მისაბაძი იქნება, რადგან ის მართავს არა სულმდაბალ მოქალაქეებს, არამედ საუკეთესოთ, მისი მმართველობა არ იქნება შიშისა და სიძულვილის გამომწვევი და ხანგრძლივიც იქნება. თვითონ ტირანი კი იქნება ან მთლად ან სანახევროდ ზნეობრივი და არა უზნეო, არამედ სანახევროდ უზნეო.

სახელმწიფოს ფორმებიდან ყველაზე ხანმოკლე არიან ოლიგარქია და ტირანია. ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა სიკიონის ტირანია, რომელსაც ორთაგორა[135] და მისი შვილები მართავდნენ ასი წლის განმავლობაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ ისინი ქვეშევრდომებს სამართლია-

[135] ორთაგორას და მისი შვილების მეფობა გრძელდებოდა ასი წელი, 670-570 წწ. მისი უფროსი ვაჟი იყო კლისთენე. მათ განამტკიცეს დემოსის ბატონობა არისტოკრატიაზე. განახორციელეს მრავალი სასარგებლო რეფორმა.

ნად ექცეოდნენ და ბევრ რამეში მონურად ემორჩილებოდნენ კანონებს. მიუხედავად იმისა, რომ კლისთენე[136] ომის მოყვარე იყო, არ იწვევდა სიძულვილს და უმრავლესობა მას მიემხრო მასზე ზრუნვის გამო. როგორც ამბობენ, კლისთენემ გვირგვინით შეამკო ის მოსამართლე, რომელმაც უარყო მისი გამარჯვება, ზოგი კი ამბობს, რომ ის ქანდაკება, რომელიც მოედანზე დგას, არის იმ მოსამართლის ქანდაკება, ხოლო პიზისტრატეს შესახებ ამბობენ, რომ ის დაემორჩილა არეოპაგის გადაწყვეტილებას. ამათ შემდეგ დღეგრძელი ტირანები იყვნენ კორინთელი კიპსელიდები, რომლებიც მართავდნენ სახელმწიფოს სამოცდაცამეტი წელი და ექვსი თვე. კიპსელი ტირანად იყო ოცდაათი წელი, პერიანდრე - ორმოცი წელი და ოთხი თვე, გორდიას შვილი ფრამეტიქოსი - სამი წელი. ამის მიზეზი აქაც იგივეა. კიპსელი იყო დემაგოგი და მმართველობდა დაცვის გარეშე. პერიანდრე, თუმცა ტირანი იყო, მაგრამ მეომარი კაცი იყო.

მესამე ტირანია პიზისტრატიდებისა ათენში არ იყო უწყვეტი, რადგან პიზისტრატე ორჯერ გაიქცა ტირანობიდან. ასე რომ, 30 წლისა და სამი თვიდან, ის ტირანი იყო 17 წელი. მისმა შვილებმა 18 წელი იმეფეს. ასე რომ, სულ იმეფეს 33 წელი. დანარჩენი ტირანების - ჰიერონისა და გელონის მმართველობა ხანგრძლივი არ იყო. ორივენი ტირანობდნენ 18 წლის მანძილზე. აქედან გელონი ტირანად იყო შვიდი წელი, მერვე წელს გარდაიცვალა, ჰიერონი იყო ტირანად 10 წელი, თრაზიბულე კი მეთერთმეტე თვეს იქნა გაძევებული. ტირანიების უმრავლესობა ხანმოკლე იყო.

რესპუბლიკებისა და მონარქიების დაღუპვისა და გადარჩენის მიზეზებზე თითქმის ყველაფერი ვთქვით.

[136] იგულისხმება კლისთენეს გამარჯვება ოლიმპიურ შეჯიბრებაში.

თავი X

„სახელმწიფოში“ სოკრატე ლაპარაკობს სახელმწიფოების გადატრიალების შესახებ, მაგრამ არასწორად. არაფერს არ ამბობს პირველი და საუკეთესო რესპუბლიკების გადატრიალების სპეციფიკური მიზეზების შესახებ, ამბობს, მიზეზია ის, რომ უცვლელი არაფერი არ რჩება, არამედ გარკვეული ხნის შემდეგ ყველაფერი იცვლება. ამის საფუძველი კი არის რიცხვების ისეთი მიმართება, რომ ფესვი ერთი მთელისა და მესამედიდან დაკავშირებული ხუთთან ჰქმნის ორ ჰარმონიულ შერწყმას. მე ვგულისხმობ ისეთ მდგომარეობას, როცა ამ ფიგურის რიცხვი იქცევა გეომეტრიულ სხეულად, როგორც ბუნება, რომელიც ზოგჯერ წარმოქმნის ცუდ და აღზრდისათვის გამოუსადეგარ ადამიანებს. ამას სოკრატე სწორად ამბობს, რადგან არსებობენ ადამიანები, რომელთა აღზრდა და პატიოსნად გარდაქმნა შეუძლებელია, მაგრამ რატომ უნდა იყოს ეს მიზეზი მის მიერ დასახელებული საუკეთესო სახელმწიფოს გადატრიალებისა და არა სხვა სახელმწიფოებისა, ანდა ყოველივე იმისა, რაც ხდება? თუ ცვალებადობა ხდება დროის გავლენით, როგორც ის ამბობს, მაშინ ერთდროულად უნდა იცვლებოდნენ ის მოვლენებიც, რომლებიც ერთდროულად არ შექმნილან, მაგალითად, ის რაც ცვალებადობამდე ერთი დღით ადრე შეიქმნა. ისიც სხვებთან ერთად უნდა იცვლებოდეს? ამას გარდა, რატომ უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოს გადასვლა აუცილებლად ლაკონურ სახელმწიფოში? უმეტეს შემთხვევაში ყველა სახელმწიფო გადადის თავის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ფორმაში, ვიდრე მასთან ახლო მდგომ სახელმწიფოებრივ წყობაში. იგივე ითქმის ცვალებადობის შესახებაც. სოკრატე ამბობს, რომ ლაკონური ფორმიდან ხდება გადასვლა ოლიგარქიაში, აქედან - დემოკრატიაში, დემოკრატიიდან - ტირანიაში: მაგრამ ცვალებადობა წარმოებს საწინააღმდეგო მიმართულებითაც, მაგალითად, დემოკრატიიდან ოლიგარქიაში უფრო მეტად, ვიდრე მონარქიაში.

სოკრატე ტირანიის შესახებ არაფერს არ ამბობს, იცვლება ის თუ არა და თუ იცვლება, რა მიზეზით და რომელ ფორმაში გადადის? სოკრატე იმიტომ არ ამბობს, რომ მისთვის ადვილი არ იყო ამაზე ლაპარაკი, რადგან ეს პროცესი განუსაზღვრელია. სოკრატეს აზრით, ტირანია უნდა გადაიზარდოს პირველ და საუკეთესო სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში პროცესი იქნება წრიული და უწყვეტი. მაგრამ ხდება ხოლმე ისიც, რომ ტირანია გარდაიქმნება ტირანიად, როგორც მაგალითად, სიკიონში მირონის ტირანია გარდაიქმნა კლისთენეს ტირანიად და ოლიგარქიად, როგორც ქალკიდაში ანტილეონტის ტირანია გადადის დემოკრატიაში, როგორც სირაკუზაში გელონების ტირანია გადავიდა არისტოკრატიაში, როგორც ქარილეის ტირანია ლაკედემონში და კართაგენში. ხდება აგრეთვე ოლიგარქიის გადაქცევა ტირანიად, როგორც სიცილიაში ძველი ტირანიების უმრავლესობა და როგორც ლეონტინში მოხდა გადასვლა პანეტიის ტირანიაში, გელაში კლეანდრეს ტირანიაში, რეგიაში ანაქსილაეს ტირანიაში და ასევე მრავალ სხვა სახელმწიფოში.

უაზრობაა აგრეთვე ვარაუდი, რომ გადასვლა ოლიგარქიაში ხდება იმიტომ, რომ სათავეში მყოფნი არიან ფულის მოყვარულნი და მომხვეჭნი. და არ ხსნის იმით, რომ დიდი ქონების პატრონნი უსამართლობად თვლიან იმას, რომ სახელმწიფოს მმართველობაში ისინი ისევე მონაწილეობენ, როგორც არაფრის მქონენი.

მრავალ ოლიგარქიულ სახელმწიფოში არაა დაშვებული გამდიდრება, კანონიც კი აქვთ, რომელიც კრძალავს გამდიდრებას, კართაგენში კი, სადაც წყობილება დემოკრატიულია, გამდიდრება ნებადართულია და ეს არ იწვევს წყობილების შეცვლას. უაზრობაა აგრეთვე იმის მტკიცება, თითქოს ოლიგარქიაში არსებობს ორი სახელმწიფო - მდიდრებისა და ღარიბებისა. რატომ უნდა ხდებოდეს ეს უფრო მეტად ლაკედემონში, ვიდრე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში? ლაკედემონში ხომ ყველა ერთნაირად მდიდარი არაა. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ გამხდარა იმაზე მეტად ღარიბი, ვიდრე იყო ადრე, მაინც ხდება გადასვლა ოლიგარქიიდან დემოკრატიაში, მაგრამ თუ ღარიბები მატულობენ რიცხობ-

რივად, ხდება პირიქით გადასვლა ოლიგარქიიდან დემოკრატიაში. ხდება პირიქითაც გადასვლა დემოკრატიიდან ოლიგარქიაში, თუ მდიდრები ღარიბებზე მეტად გაძლიერდნენ. მაგრამ მდიდრები ამას არ აქცევენ ყურადღებას, ღარიბები კი აქცევენ. გადატრიალების მიზეზი ბევრია, სოკრატე კი მხოლოდ ერთს ასახელებს, რომ გაღარიბებას იწვევს ის, რომ მმართველნი უზნეო ცხოვრებას ეწევიან, ვალს იღებენ პროცენტებით, რაც მათ აღარიბებს, თითქოს თავიდანვე ყველანი მდიდრები ყოფილიყვნენ. მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან როდესაც რომელიმე გავლენიანი პირი კარგავს ქონებას, ის იწყებს სიახლეების შემოტანას. ეს რომ სხვა კლასებს შემთხვეოდათ, არაფერი საშიში არ იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ხდება გადასვლა იმდენად არა დემოკრატიაში, რამდენადაც ოლიგარქიაში. აჯანყებები ხდება მაშინაც, როდესაც მოქალაქენი მოკლებულნი არიან საპატიო თანამდებობებს, თანაც განიცდიან უსამართლობას და შეურაცხყოფას, თუნდაც ქონება გაფლანგული არ ჰქონდეთ. ხოლო ქონებას ფლანგავენ იმიტომ, რომ ადამიანი აკეთებს იმას, რაც სურს. სოკრატე ამბობს, რომ ამის მიზეზი არის თავისუფლება. დემოკრატიისა და ოლიგარქიის დაღუპვის მიზეზი ბევრია, სოკრატე კი ლაპარაკობს მხოლოდ ერთ მიზეზზე.

წიგნი მეექვსე

თავი I

ზემოთ უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ სახელმწიფოში რა განსხვავება არსებობს სათათბირო და ხელმძღვანელ ორგანოებს შორის, აგრეთვე მაღალი თანამდებობების განაწილებისა და სასამართლოების შესახებ. ვილაპარაკეთ იმის შესახებაც, თუ წყობილების რა ფორმა შეეფერება ამა თუ იმ სახელმწიფოს, აგრეთვე სახელმწიფოების დაღუპვისა და გადარჩენის მიზეზების შესახებ, როგორ და რის გამო ხდება ეს. ითქვა იმის შესახებაც, რომ არსებობს როგორც დემოკრატიის, ისე სხვა სახელმწიფოების მრავალი ფორმა. ამიტომ არ იქნებოდა ურიგო გველაპარაკა მათ შესასებაც, და გვეკვლია, თუ რა არის სასარგებლო და დამახასიათებელი მათთვის. უნდა განვიხილოთ აგრეთვე მათი გაერთიანების ყველა ფორმა, რაზეც ზემოთაც იყო თქმული, ეს კი ხდება სახელმწიფოების დაწყვილების გზით, მაგალითად, არისტოკრატიისა და ოლიგარქიის, რესპუბლიკისა და დემოკრატიის. ჩვენ უნდა განვიხილოთ მათი დაწყვილების ფორმები, რაც ჯერ არ ყოფილა განხილული. მაგალითად, სათათბირო ორგანოსი და უმაღლესი თანამდებობის პირთა არჩევნები შეიძლება იყოს წარმოებული ოლიგარქიულად, სასამართლო ორგანოებისა კი - არისტოკრატიულად, ანდა სასამართლო ორგანოებისა და სათათბიროების არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ოლიგარქიულად, ხოლო უმაღლესი თანამდებობის პირთა არჩევნები კი არისტოკრატიულად, ანდა სხვა რამენაირად, მაგრამ ყოველივე ეს ვერ განხორციელდება ერთ სახელმწიფოში.

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოს როგორი დემოკრატია შეჰფერის, აგრეთვე როგორი მოსახლეობა შეჰფერის ოლიგარქიას და დანარჩენი სახელმწიფოების მოსახლეობას როგორი წყობილება შეეფერება. აქედან ცხადი გახდება, თუ რომელი სახელმწიფოა მათ შორის საუკეთესო. ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ მოვაწყოთ სხვა სახელმწიფოებრივი ფორმები, ახლა ვილაპარაკებთ. ჯერ ვილაპარაკოთ დემოკრატიაზე. ამით ნათელი გახდება აგრეთვე, თუ რო-

გორია მისი მოწინააღმდეგე სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვენ ოლიგარქია ვუწოდეთ.

უნდა განვიხილოთ ყველა ის მეთოდი, რაც დემოკრატიულია და ისიც, რაც ამას მოსდევს შედეგად. ამათი შეკავშირებით მივიღებთ დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმას. ეს ფორმები კი ერთზე მეტია, ბევრია მათ შორის არსებული განსხვავებაც. მიზეზი იმისა, რომ დემოკრატიები ბევრია, არის ორი. პირველია ის, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვით და რაც მდგომარეობს მოსახლეობის განსხვავებაში. ერთი მხრივ, არსებობს მიწათმოქმედთა სიმრავლე, მეორე მხრივ, ხელოსნებისა და დაქირავებული მუშებისა. თუ პირველ ორს შევაერთებთ და მივუმატებთ მესამეს, მივიღებთ არა უკეთეს ან უარეს, არამედ სავსებით განსხვავებულ დემოკრატიას. მეორე მიზეზზე კი ახლა ვილაპარაკებთ. ეს ის თვისებებია, რაც დემოკრატიას მოსდევს შედეგად, რაც მისთვის სპეციფიკურია და რის კომბინაციაც დემოკრატიის განსხვავებულ ფორმებს წარმოშობს. ამათგან ზოგს ექნება ეს ნიშნები ნაკლები რაოდენობით, ზოგს მეტი, ზოგს კი ყველა. სასარგებლო იქნება ამ ნიშნების ცოდნა იმათთვის, ვინც მოინდომებს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ანდა არსებულში შესწორებების შეტანას. ისინი, რომლებიც ცდილობენ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და მასში აპირებენ განურჩევლად ყველა ამ ნიშნის შეტანას, სცდებიან, როგორც ითქვა ამის შესახებ იქ, სადაც ვეხებოდით სახელმწიფოების დაღუპვისა და გადარჩენის საკითხს. ახლა კი გვექნება საუბარი დემოკრატიული სახელმწიფოების თვისებების, პრინციპებისა და მიზნების შესახებ.

დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპს თავისუფლება წარმოადგენს. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მხოლოდ ამ სახელმწიფოში აქვს ყველას თავისუფლება, რადგან ამ მიზანს ისახავს ნებისმიერი დემოკრატია. თავისუფლების ერთ-ერთი ნიშანი კი არის რიგ-რიგობით ყველას ხელმძღვანელად და ქვეშევრდომად ყოფნა, თანასწორობა კი დემოკრატიული კანონით ხორციელდება არა ღირსების, არამედ რაოდენობის მიხედვით, რადგან აქ სამართალიც ასეთია. ამიტომაც აქ სა-

თავეშია ხალხი და ის, რასაც უმრავლესობა ფიქრობს, სახელმწიფოს მიზანიც ისაა და ის ითვლება სამართლიანად. ამბობენ იმასაც, რომ ყველა მოქალაქეს თანასწორი უფლებები უნდა ჰქონდეს. ასე რომ, დემოკრატიაში ღარიბები უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე მდიდრები, ძლიერთა უმრავლესობა და მისი შეხედულება არის გადამწყვეტი. ესაა თავისუფლების ერთ-ერთი ნიშანი, და ყველა დემოკრატი სახელმწიფოს განმსაზღვრელად თავისუფლებას თვლის. მეორე ნიშანი დემოკრატიისა მდგომარეობს იმაში, რომ ვისაც როგორც უნდა, ისე ცხოვრობს, ეს კი თავისუფლების შედეგია. მონობის შედეგია იმის შეუძლებლობა, რომ იცხოვრო ისე, როგორც გინდა. აქედან გამომდინარეობს, რომ კაცი არავის არ უნდა ემორჩილებოდეს, ან არადა ეს უნდა რიგ-რიგობით ხდებოდეს. ეს პრინციპი თავისუფლებას ნიშნავს, რაც ადამიანთა თანასწორობას ემყარება.

ეს პრინციპები უდევს საფუძვლად ყველა დემოკრატიას და ესაა დემოკრატიული მმართველობის არსი, საიდანაც გამომდინარეობს მისი შემდეგი ნიშნები: ყველა ხელმძღვანელ პირს ირჩევს ყველა, ყველა ხელმძღვანელობს თითოეულს, თითოეული კი ყველას, ოღონდ რიგ-რიგობით. ყველა თანამდებობა არჩევითია, ანდა არჩევითია ის თანამდებობა, რომელიც არ მოითხოვს ცოდნასა და გამოცდილებას. თანამდებობის მისაღებად არ არის საჭირო ქონება, ანდა საჭიროა ძალიან ცოტა. არ შეიძლება ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე თანამდებობის ორჯერ დაკავება, ანდა შეიძლება იშვიათ შემთხვევაში. გამონაკლისს წარმოადგენს სამხედრო თანამდებობა. ყველა თანამდებობა არის ხანმოკლე, სადაც კი ეს შესაძლებელია. სასამართლოში მონაწილეობს ყველა მოქალაქე, რომელიც არჩეულია ყველა მოქალაქისაგან. და ისინი განიხილავენ ან ყველა საქმეს, ან მეტ ნაწილს, ანდა უდიდესსა და უმნიშვნელოვანესს, მაგალითად, ანგარიშგებას, სახელმწიფოებრივ საქმეებს, კერძოდ ხელშეკრულებებს. სახალხო კრება არის ყველაზე მთავარი ხელმძღვანელი ორგანო, არც ერთ სხვა დაწესებულებას არა აქვს ამდენი უფლებები, ან აქვს ძალიან უმნიშვნელო, ანდა მნიშვნელოვან საკით-

ხებს წყვეტს საბჭო. საბჭო უაღრესად დემოკრატიული ორგანოა, რადგან მასში მონაწილეობისათვის ხელფასი ყველა მოქალაქეს არ ეძლევა. ამის შედეგად საბჭო კარგავს თავის უფლებებს და ყველა საკითხის გადაწყვეტის უფლება გადადის ხალხის ხელში. აქ კი მონაწილენი დიდ ანაზღაურებას იღებენ, რის შესახებაც ზემოთ უკვე იყო ნათქვამი.

დემოკრატიის შემდეგი ნიშანი არის ის, რომ ანაზღაურებას იღებს ყველა - საერთო კრებაც, სასამართლოც და ხელმძღვანელობაც, ანდა ის ხელმძღვანელი პირები, რომლებიც სისიტიებში ერთად სადილობენ. თუ ოლიგარქიას ახასიათებს კეთილშობილი წარმოშობა, სიმდიდრე და აღზრდა- განათლება, დემოკრატიას, ვფიქრობთ, რომ საწინააღმდეგო ნიშნები ახასიათებს: დაბალი წარმოშობა, სიღატაკე, უხეშობა. არც ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა არ უნდა იყოს მუდმივი. თუ რომელიმე ხელმძღვანელი პირი დარჩა თავის თანამდებობაზე ადრე მომხდარი გადატრიალების გამო, მას ერთმევა უფლებები და მისი აღდგენა ხდება არა არჩევნებით, არამედ წილისყრით.

აი, ასეთია დემოკრატიისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. ყველა ერთხმად თვლის ამას დემოკრატიულ სამართლიანობად, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ყველა მოქალაქეს თანასწორი უფლებები აქვს. ესაა სწორედ დემოკრატიის ძირითადი ფორმა. თანასწორობა კი ესმით ისე, რომ ღარიბები უფრო მეტად უნდა იყვნენ ხელისუფლების სათავეში, ვიდრე მდიდრები, და ხელმძღვანელები უნდა იყვნენ არა ცალკეული პირები, არამედ ყველა. აი, ასე იარსებებს სახელმწიფოში თავისუფლება და თანასწორობა.

ამის შემდეგ ჩნდება ასეთი კითხვა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სახელმწიფოში თანასწორობა? იქნებ ხუთასის მიერ გადახდილი ცენზი თანაბრად უნდა განაწილდეს ათასზე და მათ ერთნაირი უფლებები მიეცეთ, თუ გათანასწორება უნდა მოხდეს ისე, რომ ერთნაირი ცენზი გადაიხადოს როგორც ხუთასმა, ისე ათასმა და მათ მიეცეთ უფლება, როგორც სასამართლოს, ისე ხელმძღვანელ პირთა არჩევნებისა?

რომელი სახელმწიფოა უფრო მეტად სამართლიანი, რომელიც იცავს დემოკრატიულ სამართლიანობას, თუ რომელიც მისდევს ხალხის ნება-სურვილს? ამბობენ, რომ დემოკრატიულია სამართალი მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება გამოაქვთ უმრავლესობის თვალსაზრისის მიხედვით. ოლიგარქიულია სამართალი, რომელიც მდიდრების თვალსაზრისს ემყარება. მათი მომხრეები ამბობენ, რომ საკითხი უნდა წყდებოდეს ქონების შესაბამისად. მაგრამ ეს ორივე თვალსაზრისი შეიცავს, როგორც უთანასწორობას, ასევე უსამართლობას.

თუ საკითხს წყვეტს უმცირესობა, მაშინ სახელმწიფო ტირანიული ყოფილა და თუ ერთ კაცს აქვს ყველაზე მეტი ქონება, მაშინ ეს კაცი უნდა იყოს სახელმწიფოს სათავეში. თუ უპირატესობა ეძლევა უმრავლესობას, მაშინ უსამართლობაა მდიდარი უმცირესობის ქონების კონფისკაცია, როგორც ზემოთ ითქვა.

ამრიგად, გასარკვევია, თუ რა არის ის თანასწორობა, რომელსაც ორივე მხარე ეთანხმება. გასარკვევია აგრეთვე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სამართლიანობა. ამბობენ, რომ რასაც ფიქრობს უმრავლესობა, ისაა სწორი. შესაძლებელია ეს სწორიცაა, მაგრამ არა სავსებით, არამედ სწორია ის, რასაც ფიქრობენ მდიდრები და ღარიბები ან მათი უმრავლესობა, ე. ი. ის ორი ნაწილი, რისგანაც შედგება სახელმწიფო. მაგრამ თუ მათ ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვთ, მაშინ გადამწყვეტია იმათი თვალსაზრისი, რომელთაც მეტი აქვთ ქონება, ან რაოდენობრივად მეტნი არიან. მაგალითად, დავუშვათ, რომ ერთი მხარე შედგება ათი კაცისაგან, მეორე ოცისაგან. დადგენილება მიღებულია მდიდრებიდან 6 კაცის მიერ, ღარიბებიდან 15 კაცის მიერ, მაგრამ ღარიბებს დაემატათ ოთხი კაცი მდიდრებისგან, მდიდრებს ხუთი ღარიბებისგან. მაშინ ამ ორი მხარიდან, რომელსაც აღმოაჩნდება ქონებრივი უპირატესობა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც იმ მხარის თვალსაზრისს მიენიჭება, მაგრამ თუ ორივე მხარეს ქონებაც ერთნაირი აღმოაჩნდება, მაშინ საკითხი ისევე უნდა გადაწყდეს, როგორც ახლა წყდება ხოლმე სა-

სამართლოში ან სახალხო კრებაში, ან კენჭის ყრით, ან სხვა რამენაირად.

თანასწორობისა და სამართლიანობის შესახებ ძნელია ჭეშმარიტების დადგენა, მაგრამ მაინც გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე იმათი დარწმუნება, ვისაც ძალაუფლება აქვს. თანასწორობას და სამართლიანობას ესწრაფვიან ყოველთვის სუსტნი, ხოლო ძლიერნი ამა ქვეყნისანი ამაზე სრულებით არ ფიქრობენ.

თავი II

დემოკრატიული სახელმწიფო ოთხნაირია. მათ შორის საუკეთესოა პირველი და ამის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით. პირველს მე ვუწოდებ იმას, რომელიც პირველია მოსახლეობის თვალსაზრისით. საუკეთესოა ხალხის ის ნაწილი, რომელიც მიწათმოქმედებას ეწევა. ასე რომ, დემოკრატია უნდა შეიქმნას იქ, სადაც ხალხი ცხოვრობს მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით. მათ არა აქვთ არც დიდი ქონება, არც თავისუფალი დრო, ამიტომ ხშირად არ იკრიბებიან. თუმცა მათ ყოველივე აუცილებელი აქვთ, მაგრამ მეტ დროს საქმიანობაში ატარებენ და სხვისი საკუთრების მითვისება არც სურთ. მათ მეტ სიამოვნებას ჰგვრის შრომა, ვიდრე პოლიტიკოსობა და მმართველობა, სადაც სათავეში ყოფნა დიდ სარგებლობას არ იძლევა. ხალხის მასა კი უფრო მოგებას ეტანება, ვიდრე დიდებას. ამას ამტკიცებს ის, რომ ძველ დროში არსებობდნენ ტირანიები, ახლა კი ოლიგარქიები. თუ მათ მუშაობაში ხელს არავინ არ უშლით და არც არაფერს არ სტაცებენ, მაშინ მათი ნაწილი მდიდრდება, ნაწილი კი სიღატაკეში რჩება. და თუ მათ აქვთ პატივმოყვარეობის გრძნობა, მათი მოთხოვნილება კმაყოფილდება არჩევნებში მონაწილეობითა და ანგარიშგების გაკონტროლებით. ამიტომ ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, მანტინეაში, ხალხი არ მონაწილეობს არჩევნებში, არამედ მხოლოდ ზოგიერთს ირჩევს პერიოდულად მოსახლეობის ნაწილიდან. უმრავლესობას აკმაყოფილებს ისიც, რომ აქვს რჩევის მიცემის უფლება. ეს იყო დემოკრატიის ერთგვარი ფორმა, რასაც ოდესღაც ადგილი ჰქონდა მანტინეაში.

იმ დემოკრატიისათვის, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, სასარგებლო იქნებოდა და იყო კიდეც წესი, რომლის თანახმად მაღალი თანამდებობის პირებს ირჩევს მთელი ხალხი და ანგარიშსაც იღებს მათგან, ასევე მონაწილეობს სასამართლოებში. თანამდებობის პირები კი უნდა არჩეულ იქნან იმათგან, ვისაც აქვს დიდი ქონება. რაც უფრო დიდია თა-

ნამდებობა, მით უფრო დიდი ცენზია საჭირო და თუ ქონება არ მიიღება მხედველობაში, მაშინ ყურადღება ექცევა მათ უნარიანობას.

ასეთი სახელმწიფო აუცილებლად კარგად მოწყობილი სახელმწიფო იქნება, რადგან ხელმძღვანელები ხალხის სურვილით იქნებიან არჩეული საუკეთესო ადამიანების სურვილით. საუკეთესო ადამიანებს კი არ შურთ სხვისი პატიოსნება და ისინი კმაყოფილნი არიან ასეთი წყობილებისა. ეს კი იმიტომ, რომ სათავეში მათზე უარესი ადამიანები არ იქნებიან. ისინი მართავენ სამართლიანად, რადგან კონტროლი არის სხვების ხელში. სხვისგან დამოკიდებულებაში ყოფნის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ მოიქცე ისე, როგორც გსურს, მაგრამ რაც შენ სასარგებლო გგონია, ყოველთვის არაა მომგებიანი და იმის კეთება, რაც თითოეულს სურს, კაცს ვერ დაიცავს იმ ბოროტებისაგან, რაც ყოველ ადამიანშია მოცემული.

ამრიგად, სახელმწიფოსთვის აუცილებლად სასარგებლოა, თუ მის სათავეში იქნებიან პატიოსანი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს მართავენ უშეცდომოდ და ხალხსაც არ ჩაგრავენ. ცხადია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ყველაზე კარგი სახელმწიფო ესაა. ეს კი იმიტომ, რომ მასში მოსახლეობა გარკვეული თვისების მქონეა. იმისათვის, რომ მოსახლეობა მიწათმოქმედი გახდეს, მრავალ ქალაქში არსებობს ძველთაგან დადგენილი კანონი, რომელიც კრძალავს მიწის შეძენას დადგენილ ზომაზე მეტი რაოდენობით. ეს კანონი ახლაც გამოსაყენებელია. დადგენილი იყო აგრეთვე ის, თუ ქალაქის მიმართულებით, ან ქალაქის ცენტრამდე რომელ ადგილას შეიძლებოდა მიწის ქონება. ასევე წინათ მრავალ ქალაქში მიღებული იყო კანონი, რომელიც კრძალავდა პირველი მემკვიდრეობის მიწების გაყიდვას. როგორც ამბობენ, არსებულა ოქსილეს კანონი, რომელიც უკრძალავდა ნებისმიერ მოქალაქეს მიწის პროცენტებით გაცემას. ამჟამად კი შეიძლება აფიუნტეს კანონის გამოყენება იმ საკითხებში, რომელზეც ვლაპარაკობთ. აფიუნტელები ბევრნი არიან, მაგრამ მიწა მცირე აქვთ. ყველანი მისდევენ მიწათმოქმედებას. ნებადართული არაა მიწის დიდი რაოდენობით ქონება. დაშვებუ-

ლია იმდენი რაოდენობის ქონება, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ღარიბთა შეძლებამაც კი გადააჭარბოს ქონებრივ ცენზს.

მიწათმოქმედთა შემდეგ კარგია მომთაბარე ხალხი, რომლებიც მწყემსები არიან და მეცხოველეობით ცხოვრობენ. მათ ბევრი რამა აქვთ საერთო მიწათმოქმედებთან. ისინი საომარი მოქმედებისთვისაც უკეთ არიან გავარჯიშებული, სხეულიც უფრო გამოწრთობილი აქვთ და შეუძლიათ ღია ცის ქვეშ ცხოვრება. დანარჩენი ხალხი, რომელთაგან არის შედგენილი სხვა დემოკრატიული სახელმწიფოები, ამათზე გაცილებით უარესნი არიან, ისინი ეწევიან ცუდ ცხოვრებას და ის საქმიანობა, რომელსაც ისინი მისდევენ, არ შეიცავს არავითარ სიკეთეს. ესენი არიან ხელოსნები, ვაჭრები და დღიური მუშები, რომლებიც დაეხეტებიან რა ბაზარსა და ქალაქში, ადვილად აწყობენ კრებებს. მიწათმოქმედნი კი, რომლებიც გაფანტულნი არიან მთელ ქვეყანაში, ერთმანეთს ვერა ხვდებიან და არც ასეთი შეკრებები სჭირდებათ. იქ, სადაც დასამუშავებელი მიწები ქალაქიდან დაშორებულია, ადვილია დემოკრატიული სახელმწიფოს, ან რესპუბლიკის მოწყობა. იქ ხალხი იძულებულია დასახლდეს მინდვრებზეც. ამრიგად, იქ, სადაც ვაჭარი ხალხი ცხოვრობს, დემოკრატიულ სახელმწიფოში კრებებს ვერ აწყობენ მიწათმოქმედთა გარეშე.

ამრიგად, ითქვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს პირველი და საუკეთესო დემოკრატია. ცხადი გახდა ისიც, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს სხვა სახის სახელმწიფო. ამის შემდეგ საჭიროა გადავუხვიოთ ჩვენი საუბრის თემას და გამოვყოთ ხალხის დაბალი ნაწილი.

დემოკრატიის სრულყოფილი ფორმის დროს ხელისუფლებაში ყველა მონაწილეობს, მაგრამ ამის განხორციელება არ ძალუძს ყველა სახელმწიფოს და არც ადვილია იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კარგად შედგენილი კანონები და შენარჩუნებული ძველი ჩვევები. იმის შესახებ კი, თუ რის გამო იღუპება დემოკრატია, ზემოთ ყველა ყველაფერი ითქვა. ასეთი დემოკრატიის შექმნისა და ხალხის გაძლიერების მიზნით სათავეში მყოფნი ცდილობენ ხალხის მეტი რაოდენობით

მიმხრობას და მოქალაქეებად ხდიან არა მხოლოდ კეთილშობილთ, არამედ იმათაც, რომლებიც მხოლოდ ერთი მხრივ, დედის ან მამის მხრივ არიან მოქალაქეები. ყოველივე ეს ახასიათებს ამ დემოკრატიას. ამას კი დემაგოგები სჩადიან. ეს დასაშვებია მანამ, სანამ ხალხის მასა არ გადააჭარბებს წარჩინებული ადამიანებისა და საშუალო კლასის რაოდენობას. და ეს ზღვარი არ უნდა იქნას გადალახული, რადგან თუ გადასცილდნენ ამ ზღვარს, სახელმწიფოში არეულობა წარმოიშობა. წარჩინებული ადამიანები, რომლებიც ისედაც ვერ იტანენ დემოკრატიას, კიდევ უფრო გაღიზიანდებიან, რაც გახდება მიზეზი აჯანყებისა, როგორც კირენაში მოხდა. მცირე რაოდენობის ბოროტება შეუმჩნეველია, მაგრამ როდესაც გაიზრდება, თვალში საცემი გახდება. ასეთი დემოკრატიისათვის გამოსადეგია ის ღონისძიებანი, რომელიც გამოიყენა ათენში კლისთენემ. მას ათენში დემოკრატიის გაძლიერება სურდა და კირენაში - დემოკრატიის შექმნა. ჰეტერიების, ფრატრიებისა და ფილების რიცხვი უნდა ვამრავლოთ, რელიგიური რიტუალები კი გავაერთიანოთ და შევამციროთ. ყოველივე ეს ისე უნდა ჩატარდეს, რომ მოქალაქენი ერთმანეთს შეუერთდნენ, ხოლო ძველი კავშირები კი დაიშალოს. ვფიქრობთ, რომ ყველა ის მეთოდი, რაც კი ტირანიაში გვხვდება, დამახასიათებელია აგრეთვე დემოკრატიისათვის. მე ვგულისხმობ ანარქიას მონების საკითხში, რაც როგორღაც სასარგებლოც უნდა იყოს, აგრეთვე ქალებისა და ბავშვების საკითხში და აგრეთვე ცხოვრებას ისე, როგორც კაცს მოესურვება. ყოველივე ეს იქნებოდა დამხმარე საშუალება ასეთი სახელმწიფოსთვის, რადგან თითოეულს სიამოვნებს იცხოვროს წესრიგის გარეშე, ვიდრე გონივრულად.

თავი III

კანონმდებლებს და იმათ, ვისაც ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ, მთავარი საზრუნავი ექნებათ არა სახელმწიფოს ჩამოყალიბების გამო, არამედ მისი გადარჩენის გამო. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის არაა ძნელი იარსებოს ერთი, ორი ან სამი დღე, მაგრამ მთავარია სახელმწიფოს ხსნისა და დაღუპვის საშუალებების გათვალისწინება, რაზეც ზემოთ იყო ნათქვამი. აქედან გამომდინარე, შევეცადოთ შევამზადოთ სახელმწიფოს უსაფრთხოების მეთოდები და ვერიდოთ ყოველივე დამღუპველს. მივიღოთ ისეთი კანონები, იქნება ის დაწერილი, თუ დაუწერელი, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფოს დაცვას. და სახელმწიფოს არ ვუწოდოთ, რომ ესაა დემოკრატიული ან ოლიგარქიული სახელმწიფო, რაც სახელმწიფოს იძულებულს ხდის იზრუნოს იმაზე, რომ ის იყოს ან დემოკრატიული ან ოლიგარქიული და არა იმაზე, რაც მას დღეგრძელს გახდის.

დემაგოგები კი, რომლებიც ხალხს ემლიქვნელებიან, ახდენენ დიდი ქონების კონფისკაციას სასამართლოების საშუალებით. ისინი, რომლებიც სახელმწიფოზე ზრუნავენ, ამას უნდა წინაღუდგნენ კანონებით, რომლის ძალით სასამართლოს დადგენილებით ჩამორთმეული ქონება და გადასახადები არ უნდა გადავიდეს საერთო სახალხო საკუთრებაში, არამედ უნდა მოხმარდეს რელიგიურ დანიშნულებას. ამ შემთხვევაში ბოროტმოქმედნი გაფრთხილდებიან, თუმცა სასჯელს მაინც ვერ გაექცევიან. ხალხის მასა კი ნაკლებ გამოიტანს საბრალდებო განაჩენებს, რადგან ამით მას არა აქვს რაიმე სარგებლობა. ამას გარდა, საჭიროა, რომ სასამართლოების რიცხვი, რაც კი შეიძლება, შემცირდეს, ხოლო მოუფიქრებელი საჩივრები დიდი ჯარიმის შიშით აიკრძალოს. ეს პროცესები, ჩვეულებრივ, მიმართულია არა იმდენად ხალხის, რამდენადაც წარჩინებული ადამიანების წინააღმდეგ. კარგი იქნებოდა, რომ ყველა მოქალაქე სახელმწიფოს ერთგული ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლებას არ უნდა თვლიდეს თავის მტრად.

სრულყოფილ დემოკრატიებში მოსახლეობა მრავალრიცხოვანია. მათში ძნელია სახალხო კრებების მოწვევა, რადგან ხალხს ანაზღაურება არ ეძლევა და სადაც სახელმწიფოს არა აქვს რაიმე შემოსავალი, იქ სახელმწიფო ცნობილი ადამიანების მიმართ მტრულ დამოკიდებულებაშია. დიდმა გადასახადებმა, ქონების კონფისკაციამ და ცუდმა სასამართლოებმა დაამხეს მრავალი დემოკრატია. იქ, სადაც სახელმწიფოს შემოსავალი არა აქვს, ნაკლებ უნდა მოეწყოს სახალხო კრებები. სასამართლოები კი უნდა მოეწყოს მეტი მოსამართლეების მონაწილეობით, მაგრამ იშვიათად. ამ შემთხვევაში მდიდრებს არ შეეშინდებათ ხარჯებისა, ხოლო ანაზღაურებას მიიღებენ არა მდიდრები, არამედ ღარიბი ხალხი, სასამართთლოს გადაწყვეტილებებიც უკეთ იქნება გამოტანილი, რადგან მდიდრები არ მოინდომებენ რამდენიმე დღის დაკარგვას სასამართლოში, საკუთარ საქმეებს ვერ მოსწყდებიან, მცირე დროით კი მოინდომებენ მონაწილეობას. მაგრამ, სადაც სახელმწიფოს შემოსავალი აქვს, იქ ისე არ უნდა ვმოქმედებდეთ, როგორც დემაგოგები, რომლებიც შემოსავალს ხალხს უნაწილებენ. ხალხი იღებს ამას, მაგრამ კვლავ სჭირდება ამდენივე თანხა. ამიტომ ეს დახმარება გახვრეტილ კასრს ჰგავს. ჭეშმარიტი დემოკრატი კი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ხალხი ძალიან არ გაღარიბდეს, რადგან ესაა მიზეზი დემოკრატიის დაღუპვისა. საჭიროა ზომების მიღება იმისთვის, რათა მოქალაქეების ქონება ხანგრძლივი იყოს. ეს სასარგებლოა მდიდრებისთვისაც. ის, რაც დაგროვდა შემოსავლიდან, უნდა დაურიგდეს ღარიბებს. კარგი იქნება იმდენის გაცემა, რომ თითოეულმა დააგროვოს ფული მიწის ნაკვეთის შესაძენად და მიწათმოქმედების დასაწყებად, ანდა სავაჭროს გასახსნელად. თუ თანხა ყველა მოქალაქეს არ ყოფნის, მაშინ საჭიროა შემოსავლის განაწილება ფილებში, ან სხვა რაიმე დაჯგუფებებში, მდიდრებმა კი აუცილებლად უნდა გადაიხადონ გადასახადი სახალხო კრებების მოსაწვევად, სამაგიეროდ უნდა განთავისუფლდნენ უაზრო სახელმწიფო სამსახურისგან.

კართაგენელებმა ასეთი ღონისძიებებით ხალხი დაიმეგობრეს. ისინი განუწყვეტლივ გზავნიან ხალხს გარეუბნებში სამუშაოდ და ამით ამდიდრებენ. ხოლო მდიდრები თუ გონიერნი და კეთილგანწყობილნი იქნებოდნენ, მისცემდნენ ღარიბებს გარკვეულ თანხას და ამით ხელს შეუწყობდნენ მათ დასაქმებას. კარგი იქნებოდა აგრეთვე მიბაძვა კართაგენელებისათვის, რომლებმაც გააერთიანეს ქონება და ამით ხალხს მისცეს საშუალება ესარგებლა. ამ გზით მათ მიიმხრეს ხალხის მასა. მათთან ყველა მაღალი თანამდებობა ორგვარია: ნაწილს ნიშნავენ არჩევნებით, ნაწილს კენჭის ყრით. კენჭის ყრით იმიტომ ხდება დანიშვნა, რომ ხალხის მასა მონაწილეობდეს არჩევნებში. ხოლო არჩევნები ხდება იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს უკეთ მართავდნენ. ეს შეიძლება გატარდეს სახელმწიფოს ხელმძღვანელობაშიც რიგითობის პრინციპის დაცვით, ხან არჩევნებით, ხან კენჭის ყრით.

თუ როგორ უნდა მოეწყოს დემოკრატიული სახელმწიფო, ამის შესახებ უკვე ითქვა.

თავი IV

აქედან დაახლოებით ცხადია ისიც, თუ როგორ უნდა მოეწყოს ოლიგარქიული სახელმწიფო. ის უნდა შეიქმნას დემოკრატიული სახელმწიფოსადმი დაპირისპირებით და მისდამი დაპირისპირებული ნიშნებით. ყველაზე ზომიერი და პირველი ოლიგარქია ახლო დგას პოლიტეიასთან. აქ ქონებრივი ცენზი ორგვარია; დაბალი და მაღალი. დაბალი ცენზით იღებენ დაბალ თანამდებობებს, მაღალი ცენზით კი უფრო მნიშვნელოვანს. სიმდიდრის მქონენი დაიშვებიან სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობისათვის. ამით მდიდარ მოქალაქეებს ღარიბებთან შედარებით უპირატესობა ექნებათ. ყოველთვის საჭიროა, რომ საზოგადოების საუკეთესო ნაწილს მიეცეს მმართველობაში მონაწილეობის უფლება.

ოლიგარქიის მომდევნო ფორმა უნდა ჩამოყალიბდეს ასევე, ოღონდ ოლიგარქიულობის ნაკლები დაცვით. ის ოლიგარქიები კი, რომლებიც უპირისპირდება სრულყოფილ დემოკრატიას, არიან უფრო მეტად მონარქიული და ტირანული და რამდენადაც ცუდია ის, მით უფრო მეტი დაცვა სჭირდება მას. როგორც ჯანმრთელი სხეულის მქონე ადამიანები და სამგზავროდ კარგად მოწყობილი გემები სძლევენ მრავალ უბედურებას და არ იღუპებიან, ხოლო ავადმყოფი სხეულის მქონე ადამიანები და ცუდად აგებული გემები ცუდი ეკიპაჟით ვერ უძლებენ მცირეოდენ უბედურებასაც კი.

ასევე სახელმწიფოც, რაც უფრო ცუდია, მით უფრო მეტი დაცვა სჭირდება. დემოკრატიული სახელმწიფო მთლიანად იცავს მმართველობა ში ხალხის სიმრავლეს, რაც ეწინააღმდეგება დაფასებას ღირსების მიხედვით. ოლიგარქიამ კი ხსნა უნდა ეძიოს ამის საწინააღმდეგო ღონისძიებაში - წესრიგში, რადგან არსებობს ხალხის ოთხი ნაწილი: მიწათმოქმედნი, ხელოსნები, ვაჭრები და დაქირავებული შუშები, ამიტომ არსებობს მეომართა ოთხი ჯგუფი: ცხენოსნები, მძიმედ შეიარაღებულნი, მსუბუქად შეიარაღებული ქვეითნი და მეზღვაურნი. იქ, სადაც არის შე-

საფერი ტერიტორია, ვითარდება ცხენოსნობა და იქ მიზანშეწონილია ძლიერი ოლიგარქიის ჩამოყალიბება, რადგან მცხოვრებთა ხსნა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ცხენების გამოკვება კი შეუძლიათ დიდი ქონების მფლობელთ. სადაც არის პირობები მძიმედ შეიარაღებული ქვეითებისათვის, იქ შეიძლება დაინერგოს ოლიგარქიის მეორე ფორმა, რადგან მძიმე შეიარაღება შეიძლება ჰქონდეს უფრო მდიდარ, ვიდრე ღარიბ ხალხს, ხოლო მსუბუქად შეიარაღებული ჯარი და მეზღვაურნი მთლიანად დემოკრატიულ სახელმწიფოს შეეფერება, სადაც ისინი ახლა იმყოფებიან დიდი რაოდენობით. როგორც კი აჯანყება იწყება, ისინი მეტწილად ცუდად იბრძვიან. ამისათვის საჭიროა გამოცდილებას დაესესხონ ჯარის სარდლებს, რომლებიც აერთებდნენ ცხენოსანსა და მძიმედ შეიარაღებულ ჯარს და მათ მსუბუქ კავალერიას გვერდით უყენებენ. ეს აძლიერებს ხალხის მასის ბრძოლას მდიდრების წინააღმდეგ. მსუბუქად შეიარაღებულნი ადვილად უმკლავდებიან ცხენოსნებსა და მძიმედ შეიარაღებულებს. როდესაც ოლიგარქია ამათგან ადგენს თავის დამხმარე ძალას, ის მის წინააღმდეგ არის მიმართული. საჭიროა, რომ მოხდეს განსხვავება წლოვანების მიხედვით, გამოიყოს ახალგაზრდები და ხნიერები, უფროსებმა თავის უმცროს ვაჟებს, ჯერ კიდევ პატარებს, უნდა ასწავლონ მსუბუქი შეიარაღებით ბრძოლის ხელოვნება და ბავშვობიდანვე გამოყონ მათგან ისინი, რომლებიც მომავალში ამ საქმის ოსტატები გახდებიან.

სახელმწიფოს მმართველობაში დაშვებულ უნდა იქნას ხალხის მასიდან ის მოქალაქენი, რომელთაც მოიპოვეს ქონება, როგორც ადრეც ითქვა, ან როგორც თებელებმა გამოყვეს ის მოქალაქენი, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე აღარ ეწეოდნენ ხელოსნობას. ან როგორც მასალიაში გამოყვეს ღირსეული მოქალაქენი, როგორც ხელმძღვანელობაში, ისე მის გარეთ. მთავარი ხელმძღვანელი პირები, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს, საზოგადო საქმიანობასაც უნდა ეწეოდნენ, რათა უბრალო ხალხმა თავისი ნებით უარი თქვას სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობაზე და თანაუგრძნოს თანამდებობის პირებს იმ

დიდი თანხის გამო, რასაც სახელმწიფოს უხდიან. კარგი იქნებოდა აგრეთვე ბრწყინვალე მსხვერპლშეწირვების მოწყობა თანამდებობის პირების მიერ, აგრეთვე რაიმე საზოგადო დანიშნულების შენობების აგება, რათა ხალხი, რომელიც ესწრება ნადიმებს, ხედავდეს, თუ როგორ ლამაზდება ქალაქი როგორც შემოწირულებით, ასევე ნაგებობებით. ამიტომ ის კმაყოფილი იქნება და მხარს დაუჭერს არსებულ ხელისუფლებას. ყოველივე ეს იქნებოდა წარჩინებულ ადამიანთა საქმიანობის სამახსოვრო.

ახლანდელ ოლიგარქიებში ამას კი არ აკეთებენ, არამედ უფრო შემოსავალს ეტანებიან, ვიდრე დიდებას, ამიტომ სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ეს ოლიგარქიები პატარა დემოკრატიული სახელმწიფოები არიან.

ამგვარად, ასე განვსაზღვრეთ ის, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს დემოკრატია და ოლიგარქია.

თავი V

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა განვსაზღვროთ კარგად, თუ როგორი და რამდენი უნდა იყოს ხელმძღვანელი თანამდებობები, რა მოვალეობა უნდა ეკისრებოდეთ მათ. აუცილებელი თანამდებობის პირთა გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს, ხოლო წესრიგისა და კანონიერების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს კარგად მართვა. პატარა სახელმწიფოებში ხელმძღვანელი თანამდებობების ნაკლები რაოდენობაა საჭირო, დიდ სახელმწიფოში კი მეტია საჭირო, როგორც ზემოთაც ითქვა. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი თანამდებობები უნდა გაერთიანდეს და რომელი დაიყოს.

პირველ ყოვლისა, აუცილებლად ყურადღებას მოითხოვს ბაზრის მოედანი. საჭირო იქნება თანამდებობა, რომელოც უხელმძღვანელებს ვაჭრობას და წესრიგს დაამყარებს ბაზარზე. აგრეთვე ყურადღებას მიაქცევს ხელშეკრულებებსა და სახელმწიფოსათვის აუცილებლად საჭირო საქონლის ყიდვა-გაყიდვას. სახელმწიფოსთვის ყველაზე მეტად ესაა დამოუკიდებლობის მიღწევის საშუალება, რის გამო მოხდა ადამიანების გაერთიანება სახელმწიფოში, როგორც ვარაუდობენ.

ამის შემდეგ და ამასთან ახლოს მდგომი საკითხი, რომელიც მოითხოვს ყურადღებას, არის ქალაქის საზოგადო და კერძო ნაგებობები, ისინი წესრიგში უნდა იყვნენ. ხოლო სახლები და გზები, რომელიც ინგრევა, უნდა აღდგენილ და გასწორებულ იქნას, ასევე საჭიროა მათ შორის ზუსტი საზღვრების დადგენა, რათა არ წარმოიშვას გაუგებრობანი. ასეთსავე ზრუნვას მოითხოვს სხვა ანალოგიური საკითხი. უმრავლესობა ასეთი თანამდებობის პირებს ასტინომებს უწოდებს. მათ მრავალი დანაყოფები აქვთ და თითოეულ ნაწილს ყავს თავისი ხელმძღვანელი. მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე ქალაქებში არსებობს ქალაქის კედლების, წყაროებისა და ნავსადგურების მცველები.

მეორე აუცილებელი მათთან ახლო მდგომი თანამდებობა ეხება იმავე საკითხებს, მაგრამ აკონტროლებს როგორც ქალაქის, ისე ქალაქის

გარეთ ტერიტორიას. ამ თანამდებობის პირებს ზოგი აგრონომებს უწოდებს, ზოგიც იულორთებს. ასეთი თანამდებობა კი სამი სახისაა. ერთი მათგანი აწარმოებს სახელმწიფოს შემოსავლის კონტროლს და ანაწილებს მას სხვადასხვა სფეროებზე. ამ თანამდებობის პირებს უწოდებენ აპოდექტებსა[137] და ხაზინადარებს. შემდეგი თანამდებობის პირი აწარმოებს კერძო ხელშეკრულებებისა და სასამართლო განაჩენების ჩაწერას. მათვე ეხებათ წერილობითი საჩივრების მიღება და წარდგენა სასამართლოში. ზოგან ამ მოვალეობას ინაწილებს რამდენიმე განყოფილება, ზოგან კი ერთი განყოფილება განაგებს ყოველივე ამას. მათ უწოდებენ ჰიერონომებს, მნემონებს, ეპისტატებს და სხვა ანალოგიურ სახელებს.

ამას მოსდევს უაღრესად აუცილებელი და ძნელად შესასრულებელი თანამდებობა, რომელსაც მოჰყავს სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილება, ჰკრებს გადასახადებს და თვალყურს ადევნებს პატიმრებს. ეს თანამდებობები ძნელად შესასრულებელია, რადგან დიდ სიძულვილს იწვევს. ამიტომ იქ, სადაც ამ თანამდებობის პირს არ აძლევენ დიდ ანაზღაურებას, ამ თანამდებობაზე მსურველი ცოტაა, ხოლო ვინც თანახმაა, ის თავის ფუნქციებს არ ასრულებს კანონების შესაბამისად. მაგრამ ეს აუცილებელია, რადგან არავითარი სარგებლობა არ იქნებოდა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნებოდა სისრულეში მოყვანილი. ასე რომ, თუ საზოგადოებრივი ურთიერთობა შეუძლებელია სასამართლოს გარეშე, ის უფრო შეუძლებელია მისი გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების გარეშე. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რომ ასეთი თანამდებობა არსებობდეს არა ერთ, არამედ რამდენიმე სასამართლოში. ასევე სასურველია, რომ გადასახადების ამკრების თანამდებობა დაიყოს რამდენიმე პირს შორის, აგრეთვე მისი განაწილება იმ პირთა შორის, რომლებიც სხვა თანამდებობასაც ასრულებენ, ზოგჯერ იმათ შორის, რომლებიც ახლად იწყებენ თავისი მოვალეობის შესრულებას, ანდა რომელიმე თანამდებობის პირის გადაწყვეტილება შეიძლება სის-

[137] აპოდექტები - კონტროლიორები, რევიზორები ან ხაზინადარები.

რულეში მოიყვანოს სხვამ, მაგალითად, ქალაქის პოლიციამ სისრულეში მოიყვანოს ბაზრის პოლიციის გადაწყვეტილება, ხოლო ქალაქის პოლიციის გადაწყვეტილება კი სხვებმა მოიყვანონ სისრულეში. რაც უფრო ნაკლები იქნება სიძულვილი იმათ მიმართ, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ გადაწყვეტილება, მით უკეთ შესრულდება ის. ორმაგ სიძულვილს იწვევს ის პირი, რომელსაც გადაწყვეტილებაც გამოაქვს და სისრულეშიც მოჰყავს ის. თუ ყველაფერს ერთი და იგივე პირები ასრულებენ, ისინი ყველას მტრად გადაიკიდებენ. ზოგან პატიმრების მცველები სხვები არიან და განაჩენის შემსრულებლები კი სხვები. მაგალითად, ათენში ე. წ. „თერთმეტნი“ გამოყოფილი არიან პატიმრების მცველებისაგან. კარგი იქნებოდა ამ თა ნამდებობის დაყოფაც და ამისათვის რაიმე გზის გამონახვა. ეს თანამდებობა არანაკლებ არის აუცილებელი, ვიდრე ზემოთქმული, მაგრამ პატიოსანი ადამიანები გაურბიან მას, ხოლო ცუდი ადამიანების დაყენება ამ თანამდებობაზე საშიშია, რადგან მათ უფრო მეტად დასჭირდებოდათ მეთვალყურეობა, ვიდრე სხვებს მათი მეთვალყურეობა. ამ თანამდებობაზე არ უნდა დააყენონ მხოლოდ ერთი კაცი, ან განუწყვეტლივ ერთი და იგივე. კარგი იქნებოდა ახალგაზრდების გამოყენებაც, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს[138], აგრეთვე მცველებისა, ხოლო ხელმძღვანელი პირები მათზე რიგ-რიგობით უნდა ზრუნავდნენ.

ეს თანამდებობები, როგორც ყველაზე აუცილებელნი, წინა პლანზე უნდა იქნას დაყენებული. ამათ მოსდევს არანაკლებ აუცილებელი თანამდებობები, მაგრამ უფრო მეტად მნიშვნელოვანნი, რადგან ისინი მოითხოვენ დიდ გამოცდილებასა და საიმედოობას. ესენი არიან სახელმწიფოს მცველნი და ფორმირებები საომარი მიზნებისათვის, რადგან ქალაქის კარები და კედლები მოითხოვს მცველებს როგორც მშვიდობის, ისე საომარი მოქმედების დროს. მცველები შეამოწმებენ მოქალაქეებს და საომრად დააწყობენ. ამისათვის ზოგ სახელმწიფოში ბევრი

[138] ათენში და სხვა ქალაქებში ახალგაზრდებს, როდესაც ისინი მიაღწევდნენ 18-20 წლის ასაკს, ავარჯიშებდნენ პოლიციაში სამსახურისთვის.

თანამდებობა არსებობს, ზოგან ნაკლები. მაგალითად, პატარა სახელმწიფოში ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი კაცი, ინიშნება და მათ უწოდებენ სტრატეგებს და პოლემარქებს[139]. ამას გარდა, თუ სახელმწიფოში არსებობს ცხენოსანი არმია, ქვეითნი, მოისარნი და მეზღვაურნი, თითოეული ამ განაყოფისათვის ინიშნება ცალკე ხელმძღვანელი, რომლებსაც უწოდებენ ნავარქებს, ჰიპარქებს, ტაქსიარქებს და მათი ნაწილების ხელმძღვანელები: ტრიარქები, ლოაგები, ფილარქები და მათი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები. ყველა ისინი ერთ სახეობას განეკუთვნებიან და მათ საზრუნავს საომარი მოქმედების წარმოება შეადგენს, აი, ის მოვალეობა, რაც აკისრია ამ თანამდებობის პირებს.

ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა თანამდებობის პირის ხელში გავლის დიდი რაოდენობით სახელმწიფო თანხები, ამიტომ საჭიროა არსებობდეს თანამდებობა, რომელიც მიიღებს ანგარიშს, გააკონტროლებს ამ თანხებს და მას სხვა მოვალეობა არ აკისრია.

არსებობს ყველა ამათზე მაღლა მდგომი დაწესებულება გადამწყვეტი ხმით, რომელიც განაგებს მთელ შემოსავალს და ხელმძღვანელობს ხალხის მასას, სადაც ხალხს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ის აწარმოებს იმათ შეკრებას, ვისაც სახელმწიფოში ეკუთვნის ძალაუფლება. ზოგან ამ თანამდებობის პირებს პრობულებს უწოდებენ, რადგან ისინი წინასწარ ადგენენ გადაწყვეტილებას, ხოლო სადაც დემოკრატიაა, იქ მათ საბჭოს უწოდებენ. აი, ასეთია, დაახლოებით, ის პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელსაც ეწევიან ხელმძღვანელი პირები. შემდეგი სახეობა სახელმწიფო მოღვაწეობისა არის ზრუნვა რელიგიურ კულტზე. ესენი არიან ქურუმები, რომლებიც ზრუნავენ ტაძრებზე, მათ დაცვაზე, ხოლო რომლებიც ინგრევა, მათ აღდგენაზე და საერთოდ, ყველაფერ იმაზე, რაც ღვთისმსახურებას მიეკუთვნება. ზოგან ის შეადგენს ერთი და იმავე პირის მოვალეობას, მაგალითად, პატარა სახელმწიფოებში, ზოგან ბევრისა, რომელნიც არ არიან იგივე, რაც ქურუმები. მათ მოვალეობას შეადგენს მსხვერპლშეწირვები, ტაძრებისა და მათი განძის დაცვა. ამას

[139] პოლემარქები - საომარ მოქმედებათა ხელმძღვანელები.

მოსდევს საზოგადო მსხვერპლშეწირვებისათვის გამოყოფილი ცალკეული თანამდებობა, რაც კანონით ქურუმებს არ ევალებათ, არამედ სრულდება სახელმწიფო კოცონზე. ამ მოხელეებს ზოგი არქონტებს უწოდებს, ზოგი მეფეებს, ზოგიც პრიტანებს.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, აუცილებელი შესასრულებელი საქმიანობები შემდეგია: კულტმსახურება, სამხედრო საქმე, შემოსავალ-გასავალი, ქალაქის მოედანი, ქალაქი და პორტები, ტერიტორიის დაცვა, სასამართლოები და წერილობითი ხელშეკრულებები, განაჩენის სისრულეში მოყვანა, საპატიმროების დაცვა, გადასახადების აკრება, ხელმძღვანელი პირებისაგან ანგარიშის მოსმენა და მისი კონტროლი, და ბოლოს, თათბირი საზოგადო საკითხების შესახებ.

იმ სახელმწიფოებში, სადაც მეტი აქვთ თავისუფალი დრო და კეთილდღეობა, ზრუნავენ ზნეობაზეც ქალების მეთვალყურეობაზე, ბავშვების აღზრდაზე, სპორტზე. ამას გარდა, ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, აგრეთვე პოეტებისა და აქტიორების შეჯიბრება და სხვა ამ გვარი სანახაობები.

ზოგიერთი ამ თანამდებობათაგანი არაა დამახასიათებელი დემოკრატიისათვის, მაგალითად, ქალებისა და ბავშვების მეთვალყურეობა.

ღარიბი ხალხი, რომლებსაც მონები არა ჰყავთ, იძულებული არიან გამოიყენონ ქალები და ბავშვები, როგორც მსახურნი. არსებობს სამი თანამდებობა, რომელიც ახორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას. ესენია კანონის მცველები, მრჩევლები და საბჭო. კანონის მცველები დამახასიათებელია არისტოკრატიისათვის, მრჩევლები - ოლიგარქიისათვის, საბჭო კი დემოკრატიისათვის.

აი, ყველაფერი ზოგადად ნათქვამი სახელმწიფოში თანამდებობების შესახებ.

წიგნი მეშვიდე

თავი I

ის, ვინც აპირებს. საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობილების გამოკვლევას, მან, პირველ ყოვლისა, უნდა დაადგინოს, თუ რომელია საუკეთესო ცხოვრების სახე. თუ ეს გარკვეული არაა, მაშინ არ იქნება გარკვეული არც საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობა. საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობაა იქ, სადაც პოლიტიკოსები კარგად მართავენ სახელმწიფოს არსებულ პირობებში, თუ რაიმე შემთხვევითი არ მოხდა. მაშასადამე, საჭიროა, თავდაპირველად შევთანხმდეთ იმაზე, თუ რომელი ცხოვრებაა ყველასათვის სასურველი. ამის შემდეგ კი დავადგინოთ, ერთი და იგივე თუ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობაა საჭირო ერთად და განცალკევებულად ცხოვრებისათვის.

ჩვენს ეგზოტერიულ შრომებში საკმარისად იყო ლაპარაკი საუკეთესო ცხოვრებაზე, რასაც აქ გამოვიყენებთ. არავის არ დავობს იმაზე, რომ საჭიროა სიკეთეთა დაყოფა სამ ნაწილად. ესენია გარეგანი, სხეულებრივი და სულიერი სიკეთენი. ბედნიერ ადამიანს ყველა ეს სიკეთე უნდა ჰქონდეს. არავინ არ უწოდებდა ბედნიერს იმას, ვისაც სრულებით არ გაეჩნია სიმამაცე, სამართლიანობა, გონიერება, არამედ ეშინია გაფრენილი ბუზისაც კი და რომელიც არაფრისგან არ იკავებს თავს, გადაჭარბებით იცის ჭამა-სმა, არ ერიდება უხეშ ვნებებს და გახვრეტილი გროშისთვის გასწირავს მეგობრებს. აზროვნებით კი იმდენად დაუფიქრებელია და მცდარი, რომ ბავშვსა და გადარეულს ემსგავსება.

ამის შესახებ ყველა თანახმაა. განსხვავება არსებობს ამ სიკეთეთა ოდენობისა და ხარისხის შეფასებაში. ყველას საკმარისად მიაჩნია მცირე რაოდენობის ზნეობა, ხოლო სიმდიდრე, ფული, ძალაუფლება, დიდება და სხვა ამგვარი ყველას სურს უსაზღვრო რაოდენობით. ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ ზნეობა არ მოიპოვება გარეგანი სიკეთით, არამედ, პირიქით, გარეგანი სიკეთე მოიპოვება ზნეობით. უფრო მეტად ბედნიერნი იქნებიან ის ადამიანები, ცხოვრობენ ისინი სიამოვნებით თუ სათნოებით, თუ ორივეთი, რომლებსაც ამკობთ დიდი რაოდენობით კარგი ჩვე-

ვები და გონიერება, ხოლო გარეშე სიკეთენი ზომიერად. ნაკლებ ბედნიერნი იქნებიან ისინი, რომლებიც ქონებას დიდი რაოდენობით ეტანებიან, ზნეობაში კი ჩამორჩებიან.

ამაში ადვილია დარწმუნება გონების თვალის გადავლებითაც კი. გარეგან სიკეთეებს თავისი საზღვარი აქვთ, როგორც ერთგვარ იარაღს. ყოველივე იარაღი კი არსებობს რაიმე მიზნისთვის. გადაჭარბებას ამ მხრივ, ან ზიანი მოაქვს, ან არ მოაქვს არავითარი სარგებლობა, თითოეული სულიერი სათნოება კი, რაც უფრო გადაჭარბებულია, მით უფრო სასარგებლოა, ამიტომ მათ შეიძლება ვუწოდოთ არა მხოლოდ მშვენიერი, არამედ სასარგებლოც. საერთოდ კი ცხადია, რომ თითოეული საგნის უპირატესობა შეიძლება დადგინდეს მათი ერთმანეთთან შედარებით, და როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის ვლინდება მათ შორის არსებული განსხვავებით, ასე რომ, თუ სულს უპირატესობა აქვს, როგორც ჩვენს გონებასთან, ისე სხეულთან და საერთოდ, ჩვენთან შედარებით, მაშინ აუცილებელია, რომ თითოეული საგნის მდგომარეობა მასთან იყოს დაკავშირებული. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს სასურველია სულისათვის და ყველა გონიერი ადამიანი ყველაზე მეტად სულს რჩეობს და არა პირიქით, სულს ამ მოვლენებისათვის.

თითოეული ადამიანი ბედნიერია იმდენად, რამდენადაც ის არის ზნეობრივი, გონიერი და მოქმედი. ამის საბუთი თვითონ ღმერთია, რომელიც ბედნიერია და ნეტარი არა გარეშე სიკეთეებით, არამედ თავისთავად და თავისი ბუნებრივი თვისებებით. ამიტომაც ბედნიერი შემთხვეთვა აუცილებლად განსხვავდება ნამდვილი ბედნიერებისაგან. გარეგან, არა სულიერ სიკეთეთა მიზეზი არის ავტომატური და შემთხვევითი, ხოლო გონიერი და სამართლიანი არავინ არ ხდება შემთხვევით ან შემთხვევითი მიზეზით.

თუ ამავე მსჯელობას მივყვებით, აქედან გამომდინარეობს, რომ ბედნიერია საუკეთესო სახელმწიფო, რომელიც სწორად მოქმედებს, ხოლო კარგად მოქმედება შეუძლებელია სწორად მოქმედების გარეშე. კარგად მოქმედება არ შეუძლია არც ადამიანს, არც სახელმწიფოს გო-

ნიერებისა და ზნეობის გარეშე. სიმართლეს, სიმამაცეს და გონიერებას სახელმწიფოში იგივე ფორმა და უნარი აქვს, რაც ცალკეულ ადამიანში, რომელიც ითვლება ზნეობრივად, სამართლიანად და გონიერად.

ზემოთქმული წარმოადგენს ჩვენი მომდევნო მსჯელობის შესავალს, ამიტომ არ შეიძლება მას არ შევეხოთ. მაგრამ შეუძლებელია შევეხოთ ყველა იმ საკითხს, რომელიც მასთან არის დაკავშირებული, რადგან ეს უკვე სხვა მეცნიერების საქმეა. ახლა კი შევთანხმდეთ შემდეგზე, რომ კარგი ცხოვრება როგორც ინდივიდისათვის, ისე საერთოდ, სახელმწიფოსთვის, არის ისეთი ცხოვრება, რომელიც ისეა უზრუნველყოფილი, რომ კაცს შეუძლია პატიოსნად მოქმედება. ხოლო ვინც დაიწყებს დავას ამ მეთოდის წინააღმდეგ, ჩვენ მათ ვუპასუხებთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი მსჯელობა დამაჯერებლად არ მოეჩვენებათ.

თავი II

ამის შემდეგ დაგვრჩა განსახილველი საკითხი იმის შესახებ, რომ ინდივიდის ბედნიერება იგივეა, რაც სახელმწიფოსი, თუ სხვა? პასუხი ცხადია რადგან ყველანი თანახმანი არიან, რომ ის ერთი და იგივეა. ვინც ინდივიდის ბედნიერებას ხედავს სიმდიდრეში, ის ბედნიერად ჩათვლის სახელმწიფოს, რომელიც მდიდარია, ვინც ყველაზე მეტად ტირანის ცხოვრებას სცემს პატივს, ის იმ სახელმწიფოს ჩათვლის ბედნიერად, რომელსაც უმრავლესობა ემორჩილება. ვინც ადამიანში ყველაზე მეტად აფასებს პატიოსნებას, ის უბედნიერეს სახელმწიფოდ ჩათვლის იმას, რომელიც ემყარება პატიოსნებას. აქ გადაწყვეტას მოითხოვს ორი საკითხი. პირველი, რომელი ცხოვრებაა სასურველი - მონაწილეობდე პოლიტიკურ ცხოვრებაში და გქონდეს კავშირი სახელმწიფოსთან, თუ ცხოვრობდე როგორც უცხო და ჩამოშორებული იყო პოლიტიკური ურთიერთობისაგან? შემდეგი კითხვა ასეთია: რომელი სახელმწიფო და რომელი წეს-წყობილებაა უკეთესი, ის, რომელშიც მონაწილეობა უნდა ყველას, თუ ის, რომელშიც ზოგს უნდა მონაწილეობა, უმრავლესობას კი არ უნდა, რადგან პოლიტიკური განსჯისა და შესწავლის საგანი სწორედ ესაა და არა ის, თუ რა მოსწონს ცალკეულ პიროვნებას. ამიტომ ჩვენ ძირითადად იმის განხილვას შევუდგებით, რაც პოლიტიკას ეხება, ხოლო რაც ეხება ცალკეულ პიროვნებას, ის მიგვაჩნია მეორეხარისხოვან საკითხად.

ამრიგად, ცხადია, რომ აუცილებლად საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს ისეთი წყობილება, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია წარმატებით მოქმედება და ბედნიერად ცხოვრება. ისინი, რომლებიც თანახმა არიან, რომ საუკეთესოა სათნოებით ცხოვრება, დავობენ იმის შესახებ, თუ როგორი ცხოვრებაა უკეთესი - პოლიტიკური და პრაქტიკული მოღვაწეობისა, თუ ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელიც უარყოფს ყოველივე გარეგანს და მხოლოდ თეორიულ ცხოვრებას მისდევს, ასეთი კაცი კი, როგორც ზოგიერთი ამბობს, არის მხოლოდ ფილოსოფოსი. აქედან

ცხადია, რომ ადამიანები, რომლებიც პატივმოყვარენი და სათნოების მოყვარენი არიან, როგორც წინათ, ისე ახლა ირჩევენ ცხოვრების ორ ფორმას. მე ვგულისხმობ პოლიტიკოსისა და ფილოსოფოსის ცხოვრებას. მცირე განსხვავება არაა, თუ ამ ორი ცხოვრებიდან რომელია ჭეშმარიტი. ის, ვინც გონიერია, ცდილობს, რომ როგორც საერთო სახელმწიფოებრივი, ისე ინდივიდის ცხოვრება წარმართოს საუკეთესო მიზნისკენ. ზოგნი ამბობენ, რომ ქვეშევრდომების დესპოტური მართვა წარმოადგენს უდიდეს უსამართლობას დემოკრატიული მართვა არ წარმოადგენს უსამართლობას, მაგრამ ის აბრკოლებს ქვეშევრდომების კეთილდღეობას.

გვხვდება ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომ ადამიანს შეჰფერის მხოლოდ პრაქტიკული და პოლიტიკური მოღვაწეობა, რადგან კერძო საქმიანობით დაკავებული ადამიანებისთვის არ არსებობს ისეთი ფართო ასპარეზი ზნეობისათვის, როგორც იმათთვის, ვინც საზოგადო და პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. ზოგი ასე ფიქრობს, ზოგი კი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ტირანულ და დესპოტურ სახელმწიფოს მოაქვს ბედნიერება. ზოგ სახელმწიფოში კანონებსა და წყობილებას განსაზღვრავს ის, თუ რაოდენ სჩაგრავს ეს სახელმწიფო მეზობელ ქვეყნებს. ამიტომ იქ კანონებს უმეტესად აქვთ შემთხვევითი ხასიათი, ხოლო სადაც მათ ერთი გარკვეული მიზანი აქვთ, ეს მიზანი არის ძალმომრეობა. მაგალითად ლაკედემონში და კრეტაში ომისკენ არის მიმართული როგორც აღზრდა, ასევე კანონების უმეტესობა. ის ერები, რომლებიც მიისწრაფიან სხვებზე უპირატესობის მოპოვებისკენ, დიდად აფასებენ სამხედრო ძალას, მაგალითად, სკვითები, სპარსელები, თრაკიელები და კელტები. ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობენ კანონები, რომლებიც აქეზებენ ამ საქმიანობას. მაგალითად, კართაგენში მიღებული აქვთ ბეჭდები სამკაულად იმის და მიხედვით, თუ რამდენ ბრძოლაში მიიღო კაცმა მონაწილეობა, ზოგან კი, მაგალითად, მაკედონიაში, იყო კანონი, რომ კაცს, რომელმაც არ მოკლა არც ერთი მტერი, უნდა ეტარებინა ავშარა. სკვითებში კი მიღებული იყო, რომ ვინც არც ერთი მტერი არ მოკ-

ლა, დღესასწაულებში არ უნდა დაელია საერთო სადღესასწაულო სასმისიდან. იბერებში, რომლებიც მეომარი ხალხია, მიცვალებულის საფლავზე იმდენ სარს ასვამდნენ, რამდენი მტერიც მოკლა. სხვადასხვა სახელმწიფოში მიღებული იყო ასეთი სახის სხვადასხვა ღონისძიებანი. ზოგი კანონით, ზოგი კი ჩვეულების საფუძველზე.

ვფიქრობთ, დიდი უაზრობა იქნებოდა, რომ პოლიტიკური მოღვაწე მიზნად ისახავდეს იმას, თუ როგორ დაიმორჩილოს და მბრძანებლობდეს მეზობელს, სურს ამ მეზობელს, თუ არა. როგორ შეიძლება იყოს პოლიტიკოსის ან სახელმწიფო მოღვაწის მიზანი ის, რაც კანონიერი არაა. ძალმომრეობა კი არაა კანონიერი არა მხოლოდ უსამართლო, არამედ სამართლიანიც კი. საერთოდ, ძალმომრეობა უსამართლობაა.

ასეთ მოვლენებს არა აქვს ადგილი სხვა მეცნიერებებში, არც ექიმის და არც მესაჭის საქმე არაა დაარწმუნოს ან აიძულოს ავადმყოფი ან მგზავრი. როგორც ჩანს, უმრავლესობას ჰგონია, რომ დესპოტური მმართველობა არის პოლიტიკის მიზანი, და ის, რაც თავის თავის მიმართ არ მიაჩნიათ არც სამართლიანად და არც სასარგებლოდ, სხვების მიმართ კი ურცხვად ასე იქცევიან, ისინი თავის თავის მიმართ მოითხოვენ სამართლიან მმართველობას, ხოლო სხვების მიმართ სამართლიანობას არად დაგიდევენ. თუ ბუნებრივად ადამიანები არ არიან განსხვავებულნი, როგორც დესპოტურად სამართავნი და არადესპოტურად სამართავნი, მაშინ არაა აუცილებელი, რომ ყველას დესპოტურად მართავდე. ისევე, როგორც არ უნდა სდევნიდე ადამიანებს ქეიფსა და მსხვერპლშეწირველბში, არამედ იმათ, რომლებიც ამას იმსახურებენ. ასეთი კი არიან გარეული მხეცები, რომლებიც კარგია საკვებად.

თვით სავსებით იზოლირებული სახელმწიფოც კი შეიძლება იყოს ბედნიერი, თუ იქ მმართველობა კარგია, სახელმწიფო, რომელიც სარგებლობს კარგი კანონებით, რომლის წყობა მიმართულია არა ომისკენ და არც მტრების დამორჩილებისაკენ. ხომ შეიძლება, რომ ყოველივე ამას არ ჰქონდეს ადგილი. აქედან ცხადია, რომ კარგია ზრუნვა სამხედრო საქმეებზე, მაგრამ ის არაა მთავარი მიზანი, არამედ საშუალებაა

მთავარი მიზნის მისაღწევად. კარგი კანონმდებელი ყურადღებას უნდა აქცევდეს ქალაქს, ადამიანების მოდგმას, მათ კავშირებს, რომ მათ როგორმე ჰქონდეთ კარგი ცხოვრება და შესაძლებელი ბედნიერება. რა თქმა უნდა, კანონები ერთმანეთისგან განსხვავდება. კანონმდებელის მოვალეობას შეადგენს, რომ მიაქციოს ყურადღება, თუ მეზობელი სახელმწიფო ყავს, როგორი კანონმდებლობა შეჰფერის მას და როგორ უნდა მიუდგეს მას.

მაგრამ ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, სადაც განვიხილავთ იმ მიზანს, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს საუკეთესო სახელმწიფო.

თავი III

ყველანი თანახმანი არიან, რომ ყველაზე მეტად სასურველია პატიოსანი ცხოვრება, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა ეხება მისი გამოყენების გზებს. ჩვენ ორივე ამ საკითხზე უნდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება. ერთნი უარყოფენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას და ამტკიცებენ, რომ თავისუფალი ცხოვრება სხვაა და პოლიტიკური ცხოვრება კი სხვა. და რომ ყველაზე სასურველი სახე ცხოვრებისა არის თავისუფალი ცხოვრება. ზოგი კი პოლიტიკურ ცხოვრებას თვლის ცხოვრების საუკეთესო სახედ, რადგან ვინც არაფერს არ აკეთებს, შეუძლებელია, რომ ის რაიმეს კარგად აკეთებდეს, ხოლო კარგად მოქმედება და ბედნიერება არის ერთი და იგივე. ჩვენ კი ორივე თვალსაზრისზე ვამბობთ, რომ ისინი ნაწილობრივ არის სწორი, ნაწილობრივ კი არა. ერთი მხრივ, სწორია, რომ თავისუფალი კაცის ცხოვრება სჯობს დესპოტის ცხოვრებას, რადგან არაფერი ამაღლებული არაა მონის გამოყენებაში, არც ბრძანებების გაცემაში ყოველდღიური საქმეების შესახებ. მაგრამ იმის თქმა, რომ ყოველი მმართველობა არის დესპოტური, არაა სწორი. მცირე განსხვავება არაა იმაში, თუ ვის ხელმძღვანელობ, თავისუფალ ადამიანს თუ მონას, რადგან დიდია განსხვავება თავისუფალი ადამიანისა და მონის ბუნებას შორის. ამის შესახებ ჩვენ საკმაოდ ვთქვით ჩვენს ადრეულ შრომებში. არც ისაა სწორი, როდესაც უმოქმედობას უფრო აქებენ, ვიდრე მოქმედებას, რადგან ბედნიერება არის მოქმედებაში. ამას გარდა, სამართლიანი და გონიერი ადამიანის მოქმედებას აქვს მრავალი მშვენიერი მიზანი.

ზოგი კი ეთანხმება ასეთ მოსაზრებას, რომ უკეთესია გქონდეს ძალაუფლება ყველაზე, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია მრავალი მშვენიერი საქმის განხორციელება. ამრიგად, ვისაც ბატონობა შეუძლია, არავის არ უნდა დაუთმოს ძალაუფლება, პირიქით, უნდა წაართვას და არ უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მამა ართმევს ძალაუფლებას შვილს, თუ შვილი მამას, თუ მეგობარი მეგობარს, რადგან სასურველია ყველაზე კარგი რამ, ხოლო ყველაზე კარგია კარგი საქმეების ჩადენა.

ყოველივე ეს ჭეშმარიტი იქნებოდა, თუ წართმევასა და იძულებაში იქნებოდა ყველაზე სასურველი რამ. მაგრამ რადგან ეს ასე არაა, ამიტომ მათი მოსაზრება მცდარია. არ შეიძლება მშვენიერი იყოს ის მოქმედება, რომელიც სხვა მოქმედებას ისე არ სჭარბობს, როგორც კაცი ქალს, ან მამა შვილს, ან ბატონი მონას. ასე რომ, ის, ვინც გადაუხვევს პატიოსნების გზას, ვეღარ შესძლებს მის იმდენად გამოსწორებას, რამდენადაც გადაუხვია. ისინი, რომლებიც ერთმანეთის მსგავსნი არიან, მათთვის სამართლიანობა და მშვენიერება რიგითობაში მდგომარეობს, რადგან ეს ჰქმნის თანასწორობასა და მსგავსებას, ხოლო თანასწორი ადამიანების არათანასწორობა, არამსგავსთა დამსგავსება ეწინააღმდეგება ბუნებას, მშვენიერება კი არასოდეს არაა ბუნების საწინააღმდეგო. თუ ვინმე გამოირჩევა პატიოსნებით და აქვს უნარი საუკეთესო საქმეების ჩადენისა, მშვენიერია იყო მისი მიმდევარი და გჯეროდეს მისი. ასეთ ადამიანს კი უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ პატიოსნება, არამედ ძალაუფლებაც, რომ შესძლოს მოქმედება.

თუ ეს სწორია, და თუ ბედნიერებად ვთვლით კარგ მოქმედებას, მაშინ ყველა სახელმწიფოსთვის და ცალკე ადამიანისთვის საუკეთესო ცხოვრება იქნება ცხოვრება მოქმედებაში. პრაქტიკული მოქმედება არაა აუცილებლად მიმართული გარეშე საგნებისაკენ, როგორც ზოგი ფიქრობს. არც აზროვნება არის მიზანი, რომლის გულისთვის მოქმედებს პრაქტიკოსი, არამედ მოქმედება თვითონ არის მიზანი და მისთვისვე წარმოებს როგორც აზროვნება, ისე თეორიული მოღვაწეობა. მიზანი არის კარგი მოქმედება. ჩვენ გარეგან მოქმედებათაგან კარგ მოქმედებად ვთვლით იმას, რომელსაც კაცი წარმართავს გონებით. ის სახელმწიფოები, რომლებიც იქმნებიან თავისთავად და ასეთ ცხოვრებას ამჯობინებენ, არ უნდა დარჩენ უმოქმედოდ. ამ სახელმწიფოებმა ეს უნდა განახორციელონ ნაწილ-ნაწილ, რადგან მრავალფეროვანია სახელმწიფოს ნაწილების ურთიერთობის ფორმა. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ ადამიანზე. მხოლოდ ღმერთი და მთელი კოსმოსია ისეთ მდგომარეო-

ბაში, რომელსაც არ ახასიათებს არავითარი გარეშე მოქმედება, გარდა მათთვის ბუნებრივისა.

აქედან ცხადია, რომ ასეთი ცხოვრება საუკეთესოა როგორც ცალკეული ადამიანებისთვის, ისე სახელმწიფოებისა და ადამიანისათვის საერთოდ.

თავი IV

რადგან ჩვენ მიერ ზემოთქმული არის შესავალი შემდგომი მსჯელობისა, ხოლო სხვა სახელმწიფოები ჩვენ მიერ ადრე იყო განხილული, ამიტომ გვრჩება, პირველ ყოვლისა, დასადგენი, თუ რა საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს ის სახელმწიფო, რომლის ჩამოყალიბება სასურველია მომავალში. ვერც ერთი კარგი სახელმწიფო ვერ წარმოიქმნება, თუ არა აქვს შესაბამისი მომარაგება. ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა მრავალი პირობა, როგორც აუცილებელი, მაგრამ არც ერთი მათგანი შეუძლებელი არ უნდა იყოს. მე ვგულისხმობ მოსახლეობის რაოდენობასა და ტერიტორიის სიდიდეს.

როგორც ყველა სხვა ხელოსანს, მაგალითად, მქსოველსა და გემთმშენებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამუშაოდ მასალა და რამდენადაც უკეთესი ხარისხის იქნება მასალა, მით უკეთესი ხარისხის იქნება ხელოსნის ნაწარმი, ასევე პოლიტიკოსისა და კანონმდებლის განკარგულებაში უნდა იყოს ამისათვის საჭირო და შესაბამისი მასალა. სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის რაოდენობას და მის თვისებებს. იგივე ითქმის ტერიტორიაზე, მის მოცულობასა და თვისებებზე.

უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბედნიერი სახელმწიფო უნდა იყოს დიდი მოცულობისა. თუ მათი თვალსაზრისი სწორია, მათ მაინც არ იციან თუ რომელია დიდი ან პატარა სახელმწიფო. ისინი დიდ სახელმწიფოდ თვლიან მოსახლეობის დიდ რაოდენობას, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არა მოსახლეობის რაოდენობას, არამედ მის უნარს. სახელმწიფოს აქვს თავისი საქმეები და ის იქნება დიდი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ამ საქმეების წარმატებით შესრულება. ისევე როგორც ჰიპოკრატე დიდია როგორც ექიმი და არა როგორც კაცი, რომელიც სხვებისგან დიდი ტანით განსხვავდება. მაგრამ თუ საჭიროა ვიმსჯელოთ რაოდენობის მიხედვით, უნდა ვიმსჯელოთ არა მოსახლეობის შემთხვევით რაოდენობაზე, რადგან სახელმწიფოში იმყოფებიან დიდი რაოდე-

ნობით მონები, მეტეკები და უცხოელები, არამედ იმ რაოდენობის მიხედვით, რაც სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს და რომლისაგანაც შედგება ის, როგორც მისთვის დამახასიათებელი ნაწილებისაგან. აი, ასეთი სიმრავლე არის ნიშანი სახელმწიფოს სიდიდისა, ხოლო სახელმწიფო, სადაც ბევრია ხელოსნები, მაგრამ მძიმედ შეიარაღებულნი კი ცოტანი არიან, ვერ იქნება დიდი სახელმწიფო, რადგან ერთი და იგივე არაა მოსახლეობის რაოდენობა და სახელმწიფოს სიდიდე.

ფაქტები ცხადყოფენ იმას, რომ მრავალმოსახლეობიან სახელმწიფოში ძნელია, თითქმის შეუძლებელია კარგი კანონების არსებობა. ის სახელმწიფოები, რომლებიც ცნობილნი არიან კარგი წეს- წყობილებით, არ არიან უყურადღებონი მოსახლეობის რაოდენობის მიმართ. ეს ცხადია ლოგიკური მსჯელობითაც კი, რადგან კანონი ნიშნავს წესრიგს, ხოლო კარგი კანონი კი აუცილებლად არის კარგი წესრიგი, ხოლო იქ, სადაც არის მოსახლეობის დიდი რაოდენობა, შეუძლებელია წესრიგის დაცვა. ეს ძალუძს მხოლოდ ღვთაების უნარს, რომელიც აერთიანებს მთელ ქვეყნიერებას. მაშასადამე, ის სახელმწიფო, სადაც არსებობს ზემოთქმული ზომა, იქნება მშვენიერი სახელმწიფო, რადგან მშვენიერება, როგორც ჩანს, გამოიხატება სიდიდითა და სიმრავლით. ასეთი სახელმწიფოს საზომი უნდა იყოს სიდიდე, როგორც ყოველივე დანარჩენისთვის, ცხოველებისთვის, მცენარეებისთვის, იარაღებისთვის. თითოეულ მათგანს თუ ექნება ძალიან პატარა, ან ზედმეტი სიდიდე, მას არ ექნება მისთვის დამახასიათებელი მოქმედების უნარი. ის ან საერთოდ მოკლებული იქნება მისთვის დამახასიათებელ ბუნებას, ან იქნება დამახინჯებული. მაგალითად, გემი, რომელსაც აქვს ერთი მტკაველი სიგრძე, ის არ იქნება გემი. გემი არ იქნება არც ორი სტადიონის სიდიდისა. ერთ შემთხვევაში მცირე სიდიდის გამო, მეორე შემთხვევაში ზედმეტი სიდიდის გამო ცუდად იცურავებს. ასევე სახელმწიფოც ძალიან მცირე მოსახლეობით ვერ იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. სახელმწიფო ხომ დამოუკიდებელი ერთეულია, ხოლო სახელმწიფო, რომელსაც ჰყავს დიდი რაოდენობით მოსახლეობა, მოთხოვნილებათა დაკმაყო-

ფილებაში დამოუკიდებელი იქნება როგორც ერი და არა როგორც სახელმწიფო. ძნელია ასეთი სახელმწიფოს კარგად მართვა. ანდა ვინ იქნება ასეთი მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოს სტრატეგოსი, ან ვინ იქნება მაცნე, თუ არა სტენტორის[140] ხმის მქონე ადამიანი. ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფოსთვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია მოსახლეობის ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისია უზრუნველი ცხოვრებისათვის პოლიტიკური ურთიერთობის პირობებში. სახელმწიფო, რომელიც აჭარბებს მოსახლეობის დიდი რაოდენობით, არის დიდი სახელმწიფო, მაგრამ ეს რაოდენობა განუსაზღვრელი არ უნდა იყოს. ხოლო თუ რა არის გადაჭარბება, ამის ადვილად განსაზღვრა შეიძლება ფაქტებით.

სახელმწიფოში არსებობს ხელმძღვანელისა და ქვეშევრდომის საქმიანობა. ხელმძღვანელის საქმეა სახელმწიფოს მართვა და სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა. იმისათვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართლიანი იყოს და ხელმძღვანელი თანამდებობები ღირსეულებზე იყოს განაწილებული, აუცილებელია, რომ მოქალაქენი იცნობდნენ ერთმანეთის თვისებებს. იქ, სადაც ეს არ ხდება, იქ ცუდ მდგომარეობაში იქნება როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, ისე სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანის საქმე. ორივე შემთხვევაში დაუდევარი მოქმედება არის უსამართლობა, რაც დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი სახელმწიფოებისთვის. ამას გარდა, მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამო უცხოელებისა და მეტეკების მოქალაქეებად მიღების დამალვა შეიძლება. აქედან ცხადია, თუ რომელია საუკეთესო ზღვარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის: მოსახლეობის ისეთი რაოდენობა, რაც საკმარისია დამოუკიდებლობისა და ურთიერთობის თვალსაჩინოებისათვის.

აი, როგორ უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს სიდიდე.

---

[140] სტენტორი - „ილიადის“ გმირი, ძლიერი ხმის პატრონი.

თავი V

დაახლოებით იგივე უნდა ითქვას ტერიტორიის შესახებ. კითხვა ეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს ტერიტორია. ცხადია, რომ ყველა მოიწონებს ისეთ ტერიტორიას, რომელიც საკმარისია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ასეთი კი იქნება ისეთი მიწა, რომელიც იძლევა ყოველგვარ მოსავალს, რადგან დამოუკიდებლობა გულისხმობს იმას, რომ ყველაფერი გქონდეს და არაფერი არ გაკლდეს. ტერიტორიის მოცულობა და სიდიდე ისეთი უნდა იყოს, რომ მოსახლეობას ჰქონდეს თავისუფალი დრო და შეეძლოს მისი გონივრული გამოყენება. სწორია თუ არა ეს განსაზღვრება, ამას ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით, როდესაც განვიხილავთ ქონებას და იმას, თუ როგორ და რა მეთოდით უნდა იქნას ის გამოყენებული. ამის განხილვა კი იწვევს მრავალ წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, სიძუნწისა და, მეორე მხრივ, თავაშვებული ცხოვრების გამო.

ტერიტორიის სახის განსაზღვრა არაა ძნელი, მაგრამ საჭიროა გათვალისწინებული იქნას სამხედრო პირების გამოცდილება. ტერიტორია უნდა იყოს მტრისათვის ძნელად მისადგომი, ხოლო მოსახლეობისათვის ადვილი უნდა იყოს გამოსასვლელად.

როგორც მცხოვრებლების შესახებ ვამბობთ, რომ ისინი ადვილად დასანახნი უნდა იყვნენ, ასევეა ტერიტორიაც. რადგან ტერიტორია, რომელიც კარგად ჩანს, კარგად შეიძლება დაცულ იქნას. თუ სასურველია, რომ სახელმწიფო კარგად იყოს მოწყობილი, მას კარგი მდებარეობა უნდა ჰქონდეს, როგორც ზღვის, ისე ხმელეთის მხრივ. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ერთი ძირითადი პრინციპი: მთელ ტერიტორიას დასაცავად კავშირი უნდა ჰქონდეს ქვეყნის ყველა ნაწილთან. შემდეგი პრინციპი ეხება დამზადებული ნაწარმის, მაგალითად, ხე-ტყისა და სხვა მასალების, ადვილად გადაზიდვას, რასაც კი ქვეყანა ჰქმნის.

დიდ დავას იწვევს კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის სასარგებლო ან საზიანო სახელმწიფოსთვის საზღვაო ურთიერთობაში? ამბობენ, რომ

სტუმრობა უცხოელებისა, რომლებიც აღზრდილი არიან სულ სხვა კანონებზე, სახელმწიფოსთვის არაა სასარგებლო, ასევე არაა სასარგებლო მოსახლეობის სიმრავლე. ზღვით სარგებლობენ, შემოდიან და სახლდებიან დიდი რაოდენობით ვაჭრები, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კარგად მართვის საქმეს. ცხადია, რომ თუ ეს არ მოხდება, როგორც სახელმწიფოს უშიშროებისათვის, აგრეთვე მისი მომარაგებისათვის ყოველივე აუცილებელით, სასარგებლოა ზღვის გამოყენება. ომის წარმოება უფრო ადვილია იმისთვის, ვინც ელის ორივე მხრივ დახმარებას, როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან და მტრისათვის ზიანის მიყენება, თუ ორივე მხრივ შეუძლებელია, ერთით მაინც უნდა შესძლოს, როცა მისთვის ორივე გზა ხსნილია. ის, რაც სახელმწიფოს არ გააჩნია, შეუძლია იმის მიღება, თუ ზედმეტს, რაც მას აქვს, გაგზავნის სხვა ქვეყნებში. სახელმწიფო ხომ ვაჭრობას უნდა აწარმოებდეს საკუთარი და არა სხვა სახელმწიფოების ინტერესებისათვის. სახელმწიფოები, რომლებიც თავისი ბაზრის კარს უღებენ ყველას, ამას სჩადიან მოგების მიზნით, მაგრამ თუ სახელმწიფოს ეს მოგება არ სჭირდება, მან არ უნდა შექმნას დიდი სავაჭრო პორტი. ჩვენ ახლაც ვხედავთ, რომ ბევრ სახელმწიფოს აქვს პორტები და ნავსადგურები, რომლებიც კარგად არიან დაკავშირებული ქალაქთან ისე, რომ არც მის ნაწილს წარმოადგენენ და მისგან არც ძალიან შორს მდებარეობენ, ხოლო ქალაქი მათ მბრძანებლობს ან კედლებით, ან სხვა რაიმე სიმაგრეებით. ცხადია, რომ ამ ურთიერთობას თუ რაიმე სარგებლობა მოაქვს, ის წარმოადგენს ამ ქალაქის სარგებლობას. მაგრამ თუ ამას ზიანი მოაქვს, მაშინ ამის შესახებ კანონებით უნდა მიეთითოს და განისაზღვროს, თუ ვისთან შეიძლება ურთიერთობა და ვისთან არა.

რაც შეეხება საზღვაო სიმაგრეებს, ის უნდა განვითარდეს გარკვეულ ზომამდე არა მხოლოდ ამ სახელმწიფოსთვის, არამედ იმისათვისაც, რომ ზოგიერთი სახელმწიფოსთვის იყოს საშიში და შეეძლოს თავდაცვა როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან. ამ ძალის სიდიდე და რაოდენობა უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ცხოვრების პირობების შესაბამი-

სად. თუ სახელმწიფოს სურს იცხოვროს ჰეგემონისა და პოლიტიკოსის ცხოვრებით, ეს ძალა უნდა ჰქონდეს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის შესაბამისი რაოდენობით. არაა აუცილებელი, რომ სახელმწიფოში ცხოვრობდეს მეზღვაურთა დიდი მასა, ყოველ შემთხვევაში ისინი არ უნდა იქცნენ მოქალაქეებად. საზღვაო ჯარს შეადგენენ თავისუფალი მოქალაქეები და ქვეითნი, რომლებიც ხელმძღვანელობენ და მთავარ ძალას წარმოადგენენ ზღვაოსნობაში. როდესაც სახელმწიფოში არის დიდი რაოდენობა პერიეკებისა და მიწათმოქმედთა, მაშინ იქმნება მეზღვაურების დიდი რაოდენობა. ამას ჩვენ ახლაც ვამჩნევთ ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, ჰერაკლიდების სახელმწიფოში. მათ აქვთ ტრიერების დიდი რაოდენობა, მაგრამ სხვა სახელმწიფოებს ჩამორჩებიან სიდიდით.

ასე ვწყვეტთ ჩვენ ქალაქების ტერიტორიის, ნავსადგურების, აგრეთვე ზღვებისა და საზღვაო ძალის საკითხს.

თავი VI

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მოსახლეობა უნდა ცხოვრობდეს სახელმწიფოში. ახლა ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს მას. ამის მოსაზრება შეიძლება, თუ ყურადღებას მივაქცევთ ცნობილ ელინურ სახელმწიფოებს და იმას, თუ რა ეროვნებებად არის დაყოფილი მთელი სამყარო. ცივ ადგილებში მცხოვრები ერები და ევროპელები აღსავსე არიან სიმამაცით, მაგრამ ჩამორჩებიან გონებრივად და ხელოვნების ცოდნით. ცხოვრობენ ისინი თავისუფლად, მაგრამ არ შეუძლიათ სახელმწიფო მოღვაწეობა და მეზობელი სახელმწიფოების ხელმძღვანელობა. აზიელები კი არიან მოაზროვნენი და ხელოვნების მოყვარენი, მაგრამ აკლიათ სიმამაცე, რის გამო მორჩილებასა და მონობაში იმყოფებიან. ბერძნებს კი უკავიათ რა მათ შორის ადგილი, აქვთ ორივე მხარის დადებითი თვისებები: არიან მამაცნიც და გონიერნიც, ამიტომ ცხოვრობენ თავისუფლებაში, აქვთ საუკეთესო სახელმწიფო წეს-წყობილება და შეუძლიათ ყველა ერების ხელმძღვანელობა, თუ მათ ერთიანი სახელმწიფო ექნებოდათ. იგივე განსხვავება არსებობს ელინურ ტომებს შორის. ზოგ ტომს აქვს ერთი ამ თვისებათაგანი, ზოგს კი კარგად აქვს შერწყმული ორივე ეს უნარი. ცხადია, ვისაც სურს, რომ კანონმდებლები კარგად ხელმძღვანელობდნენ სათნოებაში, უნდა ახასიათებდეთ როგორც სიმამაცე, ისე გონიერება.

როგორც ზოგი ამბობს, მცველები ნაცნობების მეგობარნი უნდა იყვნენ, მაგრამ უცნობების მიმართ შეუბრალებლები. სიმამაცე მეგობრების სიყვარულს ნიშნავს. ესაა ისეთი სულიერი თვისება, რის საფუძველზე ჩვენ გვიყვარს სხვა. ამას ამტკიცებს ის, რომ მახლობლებისა და მეგობრების უყურადღებობა უფრო გვწყინს, ვიდრე უცნობებისა. ამიტომ

უსაყვედურებდა არქილოქე[141] თავის მეგობრებს: „შენ იტანჯები შენი მეგობრების გამო“. როგორც თავისუფლება, ისე სხვების ხელმძღვანელობის თვისება ადამიანებს აქვთ ამ უნარის საფუძველზე. სული ხომ არის ხელმძღვანელი და დაუმორჩილებელი ძალა. არაა მართებული მიმართვა მცველებისადმი: იყვნენ შეუბრალებლები უცნობების მიმართ, რადგან ასეთი დამოკიდებულება არაა საჭირო არავის მიმართ. დიდსულოვანი ადამიანები შეუბრალებელნი არ არიან არავის მიმართ, გარდა უსამართლო ადამიანებისა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ესენი მისი მახლობლები არიან, როგორც ზემოთაც ვთქვით. და ეს გონივრულიც არის, რადგან ვისგანაც ელი ქველმოქმედებასა და დახმარებას, მისგან ბოროტმოქმედება ქონების წართმევას ნიშნავს. ამიტომაც არის ნათქვამი რომ „ძმებს შორის ომი სამძიმოა“, აგრეთვე, „ვისაც გადაჭარბებით უყვარს, მასვე სძულს გადაჭარბებით[142]“.

აი, დაახლოებით ჩვენი განსაზღვრებები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მოქალაქეებია საჭირო სახელმწიფოში, მათი თვისებების, აგრეთვე სახელმწიფოს ტერიტორიის სიდიდისა და თვისებების შესახებ, მაგრამ თეორიულ მსჯელობაში არ უნდა იყოს ისე ძნელი სიზუსტის დაცვა, როგორც გამოცდილებაში.

---

[141] არქილოქე პაროსელი - ჩვ. წ.ა. VI საუკუნის ცნობილი ლირიკოსი პოეტი, იამბიკური ლექსის შემქმნელი. ჩვენამდე მოაღწია მისი ლექსების ფრაგმენტებმა. იყო პოლიტიკური მოღვაწეც. იბრძოდა არისტოკრატიის წინააღმდეგ.
[142] ევრიპიდე, ფრ. 985.

თავი VII

როგორც ბუნებრივ მოვლენებში ყველა ნაწილი არ არის აუცილებელი მთელი საგნის არსებობისთვის, ასევე სახელმწიფოშიც ყველა ნაწილი არ არის აუცილებელი. ასევე სხვა კავშირებშიც რაიმე ერთი და იგივე არ უნდა იყოს საერთო ყველასათვის, იღებენ ისინი თანასწორ, თუ არათანასწორ ნაწილს, იქნება ეს საკვები, მიწის ნაკვეთი, თუ რაიმე სხვა ამდაგვარი. როდესაც ერთი მხარე წარმოადგენს მიზანს, მეორე კი საშუალებას, მათ საერთო არაფერი არ ექნებათ, გარდა იმისა, რომ ერთი მხარე იქნება მოქმედი, მეორე კი ამ მოქმედების მიმღები. მე ვგულისხმობ, ერთი მხრივ, იარაღს, რომლითაც არის დამზადებული ყველაფერი და მეორე მხრივ, ხელოსანს, რომელიც მოქმედებს. მაგალითად, სახლსა და სახლის მშენებელს შორის არაფერია საერთო, მაგრამ სახლის მშენებლის ხელოვნება ემსახურება სახლს. სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს ქონება, თუმცა ქონება არაა სახელმწიფოს ნაწილი, ქონება მოიცავს მრავალ სულიერ არსებას. სახელმწიფო კი წარმოადგენს მსგავსი ადამიანების გაერთიანებას, რამდენადაც კი შესაძლებელია, კარგი ცხოვრებისათვის.

უმაღლესი სიკეთე კი არის ბედნიერება, რაც მდგომარეობს ქველმოქმედებასა და სათნოების გამოყენებაში. მაგრამ ის ზოგს გააჩნია, ზოგს გააჩნია მცირე რაოდენობით, ზოგს კი სრულებით არა. აქედან ცხადია, რომ სწორედ ესაა სახელმწიფოების და მათი წეს-წყობილების განსხვავების მიზეზი, რადგან ადამიანები სხვადასხვა გზით და სხვადასხვა საშუალებებით მისდევენ მას, ამიტომ მათ როგორც ცხოვრება, ისე სახელმწიფო განსხვავებული აქვთ.

ახლა ჩვენ განვიხილოთ, თუ რამდენი სახე არსებობს ისეთი მოვლენებისა, რომელთა გარეშე სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია. ეს კი არის სახელმწიფოს ის ნაწილები, რომელთა არსებობა სახელმწიფოსთვის აუცილებელია. გვრჩება ჩამოსათვლელი სახელმწიფოს მოქმედებათა სახეები, საიდანაც ცხადი გახდება საკვლევი საკითხიც. პირველ

ყოვლისა, სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკვები, შემდეგ იარაღები, რადგან ცხოვრება მრავალ იარაღს მოითხოვს. მესამე, საჭიროა შეიარაღება, რაც აუცილებელია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისათვის და სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის იმათ წინააღმდეგ, რომლებიც არ ემორჩილებიან სახელმწიფოს, აგრეთვე გარეშე მტრების წინააღმდეგ, თუ ისინი რაიმე უსამართლობას ჩაიდენენ. საჭიროა აგრეთვე ფულის გარკვეული რაოდენობა, როგორც საკუთარი მოთხოვნილებებისათვის, ისე ომის წარმოებისთვის. მეხუთე და ესაა მთავარი, საჭიროა რელიგიური სამსახური, რასაც ღვთის სამსახურს უწოდებენ. რიცხვით მეექვსე და ყველაზე აუცილებელი - ესაა გადაწყვეტილებები სახელმწიფოს სარგებლობისა და სამართლიანობის შესახებ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ესაა ის საქმიანობები, რაც აუცილებელია ყველა სახელმწიფოსთვის, რადგან სახელმწიფო არაა ადამიანების შემთხვევითი გაერთიანება, არამედ, როგორც ვთქვით, ესაა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის შექმნილი გაერთიანება. თუ რომელიმე ამ ნაწილთაგანი დააკლდა სახელმწიფოს, მაშინ ეს კავშირი აღარ იქნება დამოუკიდებელი. ამრიგად, აუცილებელია, რომ სახელმწიფო შეიცავდეს ყველა ამ პირობას. აუცილებელია, რომ სახელმწიფოში იყვნენ მიწათმოქმედნი, რომლებიც ჰქმნიან საკვებს, ხელოსნები, მეომრები, მდიდრები, ქურუმები და მოსამართლენი, რომელნიც განსჯიან იმას, თუ რაა სასარგებლო და რა აუცილებელი.

თავი VIII

დავადგინეთ რა ეს, გვრჩება განსახილველი, რომ ყველა ესენი შეიძლება იყვნენ მიწათმოქმედნიც, ხელოსნებიც, მრჩევლებიც და მოსამართლენიცა თუ თითოეულ ამ საქმიანობას უნდა ეწეოდნენ სხვადასხვა ადამიანები. იქნებ ზოგ საქმიანობას უნდა ეწეოდნენ ცალკეული პირები, ზოგი საქმიანობა კი აუცილებლად საერთო უნდა იყოს ყველასთვის. მაგრამ ყველა სახელმწიფოში არაა ერთნაირი მდგომარეობა, როგორც ვთქვით. შესაძლებელია, რომ ყველანი ყველაფერში იღებდნენ მონაწილეობას, ანდა ყველა არ მონაწილეობდეს ყველა საქმიანობაში, არამედ ზოგნი მონაწილეობდნენ ზოგ საქმიანობაში. ეს კი იწვევს განსხვავებას სახელმწიფოებს შორის. დემოკრატიაში ყველა მოქალაქე მონაწილეობს ყველაფერში, ოლიგარქიაში კი პირიქით.

ჩვენ ვიკვლევთ საკითხს საუკეთესო სახელმწიფოს შესახებ. ეს კი არის ყველაზე უფრო ბედნიერი სახელმწიფო. მაგრამ ბედნიერება შეუძლებელია ზნეობის გარეშე, როგორც ზემოთ ითქვა. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელსაც აქვს საუკეთესო წეს-წყობილება და ყავს ნამდვილად და არა პირობით სამართლიანი ადამიანები, იქ მოქალაქენი არ უნდა ცხოვრობდნენ ისე, როგორც ხელოსნები, ან როგორც ვაჭრები, რადგან ასეთი ცხოვრება არაა ამაღლებული ხასიათისა და ზნეობასაც ეწინააღმდეგება.

არც მიწათმოქმედნი უნდა იყვნენ საუკეთესო სახელმწიფოს მოქალაქენი, რადგან მათ არ გააჩნიათ თავისუფალი დრო პოლიტიკური მოღვაწეობისა და ზნეობის განვითარებისათვის.

როგორც ჩანს, სამხედრო საქმე და სახელმწიფოსთვის სასარგებლოსა და სამართლიანობის შესახებ მრჩევლების საქმე უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მთავარ ნაწილებს. ისმის კითხვა: სხვადასხვა პირები უნდა ასრულებდნენ ამ მოვალეობას, თუ ერთი და იგივენი? ცხადია, რომ ამ საქმეებს ნაწილობრივ ერთი და იგივე პირები უნდა ასრულებდნენ, ნაწილობრივ კი სხვადასხვა. თითოეული ეს საქმიანობა მოითხოვს სხვა-

დასხვა ასაკს, რადგან ერთი მოითხოვს გონიერებას, მეორე კი ფიზიკურ ძალას. მაშასადამე, მათ სხვადასხვა ადამიანები უნდა ასრულებდნენ. შეუძლებელია, რომ ძალის მქონე ადამიანები აიძულო და მოსთხოვო, რომ ყოველთვის მორჩილებაში იყვნენ და თანაც ერთი და იმავე ადამიანის ხელში. იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ იარაღი, აქვთ ძალა შეინარუნონ ან არა არსებული ხელისუფლება. ამრიგად, რჩება ასეთი გამოსავალი: ორივე ამ კლასს გადაეცეს სახელმწიფო ძალაუფლება, მაგრამ არა ერთნაირად, არამედ მათი ბუნების შესაბამისად. ძალა აქვთ ახალგაზრდებს, გონიერება კი მოხუცებს, ამიტომ მათ ამის შესაბამისად უნდა გაინაწილონ ძალაუფლება, რაც იქნება სამართლიანი და სასარგებლო. ეს განაწილება უნდა მოხდეს მათი ღირსების მიხედვით. ქონებაც აუცილებლად მათ უნდა ჰქონდეთ, რადგან ქონება უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს, ხოლო მოქალაქენი ესენი არიან. ხელოსნები არ ერევიან პოლიტიკურ მოღვაწეობაში, არ ერევა არც სხვა რომელიმე კლასი, რომელსაც არა აქვს სათნოების შემოქმედების უნარი. ეს ცხადია ჩვენი ძირითადი პრინციპებიდანაც, რომ სახელმწიფოს ბედნიერი ეთქმის არა მისი რომელიმე ნაწილის, არამედ მოქალაქეების მთელი სიმრავლის მიხედვით. ცხადია ისიც, რომ ქონებაც მათ უნდა ჰქონდეთ, თუ მიწათმოქმედნი შეიძლება იყვნენ მონებიც, ბარბაროსებიც და პერიეკებიც.

გვრჩება ქურუმების კლასი. მათი მდგომარეობა სახელმწიფოში ცხადია. არც მიწათმოქმედნი, არც ხელოსნები არ შეიძლება იყვნენ ქურუმები, რადგან ღმერთის პატივისცემა შეჰფერის მოქალაქეებს. რადგან მთელი სახელმწიფო იყოფა ორ კლასად, ესენია მძიმედ შეიარაღებული მოქალაქეები და მრჩევლები, ამიტომ ღმერთების პატივისცემა შეჰფერის იმათ, რომლებსაც წლოვანების გამო აქვთ თავისუფალი დრო. აი, მათ უნდა დაევალოს ღმრთის მსახურება.

ამრიგად, ითქვა იმის შესახებ, თუ რის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა და რომელი ნაწილებია ეს. მიწათმოქმედნი, ხელოსნები და საერთოდ, დაქირავებული მუშები აუცილებელია სახელმწიფოსთვის, მაგრამ სახელმწიფოს ნაწილებს შეადგენენ შეიარაღებული

მოქალაქენი და მრჩევლები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ან მთლიანად, ან ნაწილობრივ.

თავი IX

როგორც ჩანს, არც წინათ და არც ახლა არ არის გასაგები იმათთვის, რომლებიც ფილოსოფოსობენ, რომ სახელმწიფო უნდა დაიყოს კლასებად და რომ მიწათმოქმედნი უნდა გამოიყონ მეომრებისაგან. ეგვიპტეში ეს კანონი დღესაც არსებობს, ასევე კრეტაზე. ეგვიპტეში ეს კანონი შემოიღო სესოტრიოსმა, კრეტაზე მინოსმა. როგორც ჩანს, ძველია აგრეთვე სისიტიების წესი. კრეტაზე ეს შემოიღო მეფე მინოსმა, ხოლო იტალიაში ეს წესი ბევრად უფრო ადრე არსებობდა. როგორც სწავლულნი ამბობენ, იქ მცხოვრები ოინოტრიების მეფე გახდა ვინმე იტალოსი, საიდანაც ოინოტრიებმა დაირქვეს თავისი სახელი იტალიელებისა. აქედანვე მიიღო სახელი ევროპის იმ სანაპირომ, რომელიც მდებარეობს სკულეტიკოსისა და ლამეტიკოსის ველებს შორის. ისინი ერთმანეთისგან ნახევარი დღის სავალით არიან დაშორებული. ამბობენ, რომ იტალოსმა მომთაბარე ოინოტრიები მიწათმოქმედებად აქცია და სხვადასხვა კანონები შემოიღო. მანვე პირველმა დააწესა სისიტიები. მისი ზოგიერთი შთამომავალი ახლაც სარგებლობს სისიტიებითა და მისი კანონებით.

ტირენიის მიმართულებით ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ ოპიკები, რომლებსაც მეტსახელად ლუსონებს უწოდებენ. ხოლო იაპუგიისა და იონიის ზღვის მიმართულებით ცხოვრობენ ხონები, ე. წ. სირტები, რომლებიც წარმოშობით ოინოტრიები არიან.

სისიტიების ჩამოყალიბება პირველად მათგან იღებს სათავეს, ხოლო მოსახლეობის კლასებად დანაწილება კი ეგვიპტელებისაგან მოდის. სესოტრიოსი ბევრად ადრე მეფობდა, ვიდრე მეფე მინოსი. საერთოდ, შეიძლება დასახელებულ იქნას მრავალი აღმოჩენა ბევრად ადრე ჩვენამდე. მათი რიცხვი უსაზღვროა. აუცილებელი მოთხოვნილებები ასწავლიდნენ ადამიანებს მათ გამოყენებას, ხოლო როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულ იქნა, მაშინ წარმოიშვა კეთილმოწყობისა და ფუფუნების სურვილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთსავე მდგო-

მარეობას ჰქონდა ადგილი სახელმწიფოშიც. რომ ყოველივე ეს ძველი წარმოშობისაა, ამტკიცებს ეგვიპტის მაგალითი. ეგვიპტელები ითვლებიან ყველაზე ძველ ეროვნებად, მათ ჰქონიათ კანონებიცა და სახელმწიფო წეს- წყობილებაც. საჭიროა, რომ რაც აღმოჩენილი იყო, გამოვიყენოთ, ხოლო რაც გამორჩათ, ის შევავსოთ.

ადრე უკვე ითქვა, რომ მიწა უნდა ეკუთვნოდეთ იარაღის მქონეთ და იმათ, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფოს მმართველობაში. ითქვა იმის შესახებაც, რომ მიწათმოქმედნი მათგან განსხვავებულ კლასს უნდა წარმოადგენდნენ და ითქვა ისიც, თუ რა მოცულობისა და რა ხასიათისა უნდა იყოს სახელმწიფოს ტერიტორია. ჯერ ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მიწათმოქმედთა დანაწილება. ჩვენ ვთქვით, წინააღმდეგ ზოგიერთებისა, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ საერთო საკუთრება, არამედ ისინი მიწით მეგობრულად უნდა სარგებლობდნენ, აგრეთვე არც ერთ მოქალაქეს არ უნდა აკლდეს საკვები. სისიტიების შესახებ ყველა თანახმაა, რომ ის სასარგებლოა კარგად მოწყობილ სახელმწიფოში. თუ რატომ ვეთანხმებით ჩვენ ამას, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით. სისიტიებში უნდა მონაწილეობდეს ყველა მოქალაქე, თუმცა ღარიბებისათვის ადვილი არაა შესატანის გადახდა თავისი ქონებიდან და თანაც ოჯახის შენახვა.

ღვთისმსახურებისათვის გაწეულ ხარჯებს იხდის სახელმწიფო. მიწები აუცილებლად ორ ნაწილად უნდა გაიყოს: ერთი უნდა იყოს საერთო, მეორე ნაწილი კი კერძო. თითოეული ნაწილიც ორად უნდა გაიყოს. სახელმწიფო მიწების ნაწილი უნდა იყოს საერთო სარგებლობაში, მეორე უნდა მოხმარდეს ღვთისმსახურებას და სისიტიების ხარჯებს. კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების ნაწილი უნდა მოხმარდეს საზღვრების დაცვას, მეორე ნაწილი კი უნდა მდებარეობდეს სახელმწიფოს ფარგლებში, რათა ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს მიწა ორივე ნახევარში. ასე შეიქმნება სამართლიანობა და თანასწორობა და ომის შემთხვევაში ყველა ერთი აზრისა იქნება. ზოგი სახელმწიფო არ იყენებს ამ წესს, ზოგი გულგრილად უყურებს მეზობელი სახელმწიფოების მტრობას, ზოგი კი

ზედმეტად ზრუნავს ამაზე და ზომიერების ფარგლებს სცილდება. ამიტომ ზოგ სახელმწიფოში არსებობს კანონი, რომ ვისაც მიწები აქვს მტრული სახელმწიფოების მეზობლად, არ უნდა დაიშვას თათბირზე ამ სახელმწიფოსთან ომის საკითხზე, რადგან მათ პირადი ინტერესები სწორი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას არ მისცემს.

თუ გვინდა, რომ მიწათმოქმედება კარგად მოვაწყოთ, უნდა გამოვიყენოთ მონები, მაგრამ არა ერთი ტომისა და არც ძალიან ფიცხნი. ასეთ შემთხვევაში ისინი გამოდგებიან მუშაობაში და არც საშიშნი იქნებიან რაიმე სიახლეების შემოტანით. მეორე მხრივ, ისინი შეიძლება იყვნენ ბარბაროსი- პერიეკები, რომლებსაც იგივე თვისებები ექნებათ. ის მიწათმოქმედნი, რომლებიც ცხოვრობენ კერძო მიწებზე, ამ კერძო მესაკუთრის მფლობელობაში უნდა იყვნენ, ხოლო რომლებიც ცხოვრობენ საერთო მიწებზე, უნდა იყვნენ საერთო სახელმწიფო საკუთრებაში. თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მონები, და რატომაა უმჯობესი მათ წინასწარ აღვუთქვათ თავისუფლება, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვით.

თავი X

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უნდა იყოს დაკავშირებული მატერიკთან და ზღვასთან და მთელ თავის ტერიტორიასთან. ქალაქის ადგილმდებარეობა უნდა აკმაყოფილებდეს ოთხ პირობას: პირველი, რაც ყველაზე მთავარია, ესაა ჯანმრთელობის პირობა. ქალაქები უფრო აღმოსავლეთისაკენ უნდა იყვნენ მიმართული, რადგან ქარები, რომლებიც აღმოსავლეთიდან უბერავენ, უფრო სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. მეორე მხრივ, სახელმწიფო დაცული უნდა იყოს ჩრდილოეთის ქარებისაგან, რადგან ისინი უფრო ზამთრის ქარებია. შემდეგი პირობებია: პოლიტიკური და საომარი საქმეების კარგად წარმართვა. საომარი მდგომარეობის დროს ის მცხოვრებთათვის ადვილად გამოსასვლელი უნდა იყოს, ხოლო მტრისთვის ძნელად შესასვლელი და ძნელად ასაღები. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დიდი რაოდენობით წყალი და წყაროები. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება დიდი მოცულობის წყალსაცავების აგება, რათა დაგროვებულ იქნას დიდი რაოდენობის წვიმის წყალი, ისე რომ ომის შემთხვევაში ქალაქი უწყლოდ არ დარჩეს.

ზრუნვა მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე დამოკიდებულია ისეთი ტერიტორიისაგან, რომელსაც ექნება შესაფერისი ადგილმდებარეობა. მეორე პირობა ჯანმრთელობისათვის არის წყლით მომარაგება, რაც არ არის მეორეხარისხოვანი საქმე. ის, რასაც ჩვენ ვიყენებთ დიდი რაოდენობით ჩვენი სხეულისათვის, ის განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ჯანმრთელობისათვის. ასეთი ზემოქმედების უნარი კი აქვს წყალსა და ჰაერს. ამიტომ კარგად მოწყობილ სახელმწიფოებში დიდი ყურადღება ექცევა წყალს. რადგან ყველა წყარო არ არის ერთნაირად ვარგისი და არც ერთნაირად წყალუხვი, ამიტომ იქ გამოყოფენ დასალევ წყალს სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილისაგან.

გამაგრებული ადგილებიც ერთნაირად არ არის გამოსადეგი სახელმწიფოსთვის. მაგალითად, აკროპოლი[143] შეჰფერის ოლიგარქიას და მონარქიას, დემოკრატიას შეჰფერის უფრო ვაკე ადგილი, ხოლო არისტოკრატიას არც ერთი ამათგანი, არამედ მრავალი გამაგრებული ადგილი. კერძო სახლები უნდა იყვნენ გარეგნულად სასიამოვნო და ყველა საქმიანობისათვის გამოსაყენებელი, თუ ისინი ახლებურად სწორხაზოვნად ანუ ჰიპოდამეს მეთოდით იქნებიან განლაგებული. ხოლო ომში უშიშროებისათვის უკეთესია ისეთი განლაგება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ დროში: ძნელად გამოსასვლელი უნდა იყოს უცხო ძალებისათვის, ხოლო თავდამსხმელისათვის ძნელი უნდა იყოს მასში გზის გაკვლევა. ამიტომ საჭიროა ორივე ამ მეთოდის გამოყენება. ამისთვის კარგი იქნება, თუ ისინი, რომლებიც აშენებენ ქალაქს, გამოიყენებდნენ მიწათმოქმედთა მეთოდს, რომელსაც კვადრატულ-ბუდობრივ წესს უწოდებენ. მთელი ქალაქი სწორხაზოვან ქუჩად არ უნდა ვაქციოთ, არამედ ასეთი უნდა იყოს ცალკეული ადგილები და კვადრატები. ეს კარგი იქნება, როგორც სილამაზისთვის, ისე უშიშროებისათვის.

ისინი, რომლებიც საჭიროდ არ თვლიან ქალაქის კედლებს და მოქალაქეთა ზნეობას ემყარებიან, ძველებურად მსჯელობენ, რადგან ეს ლამაზი სიტყვები ფაქტებით უარიყოფა. მაგრამ როდესაც მტერი შენი ტოლია ძლიერებით და მისი ჯარის სიმრავლე დიდად არ განსხვავდება შენი ჯარისაგან, არაა ლამაზი თავს იცავდე გამაგრებული კედლებით, მაგრამ თუ თავდამსხმელი მტერი გჭარბობს დაბალი ზნეობის მქონე მეომრების იშვიათი სიმამაცით, მაშინ რათა დაიცვა თავი, აიცილო ბოროტება და შეურაცხყოფა, ვფიქრობთ, რომ საჭირო იქნება გამაგრებული კედლებით თავდაცვა. ამას გარდა, ახლა აღმოჩენილია სასროლი იარაღები და ალყის გამრღვევი მექანიზმები. ქალაქის გარშემო კედლების უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ეძებდე მტრისათვის ადვილად დასაპყრობ გზას,

[143] აკროპოლი - ქალაქის ცენტრი, ციტადელი, ციხესიმაგრე. ათენში წარმოებულმა გათხრებმა გამოავლინა აკროპოლის მრავალი მნიშვნელოვანი სკულპტურული და არქიტექტურული ძეგლი.

სპობდე ყველა ამაღლებულ ადგილს. ასევე კერძო სახლების გარშემო კედლების აკრძალვა ჰგავს იმას, რომ არ გინდოდეს მოქალაქენი მხდალნი იყვნენ. ცხადია ისიც, რომ ქალაქში, რომელიც გარშემორტყმულია კედლით, იქ მოქალაქეებს შეუძლიათ გამოიყენონ და არც გამოიყენონ კედლები, ხოლო ვისაც კედლები არა აქვს, მას არც არჩევანი ექნება. თუ ამ გზას მივყვებით, ქალაქს არა მხოლოდ კედლები უნდა შემოვარტყათ, არამედ საჭიროა იმაზეც ვიზრუნოთ, რომ ისინი იყვნენ სათანადო წესრიგში, როგორც სილამაზისათვის, ისე საომარი მოქმედების წარმოებისთვის, როგორც ადრეც ვთქვით. როგორც თავდამსხმელი ცდილობს მიაღწიოს გამარჯვებას, არსებული და ახლად აღმოჩენილი მეთოდების შესაბამისად, ისე დამცველები უნდა ფიქრობდნენ გამოიყენონ უკვე აღმოჩენილი საშუალებები და იპოვონ თავდასაცავად ახალიც. რადგან ვინც კარგად არის მომზადებული, იმას თავს არ ესხმიან. რაკი მოქალაქენი დაყოფილი არიან სისიტიებად, ხოლო კედლები უნდა მოთავსდნენ საგუშაგო კოშკებთან და სათანადოდ გამაგრებულ ადგილებთან, ცხადია, რომ ზოგიერთი სისიტია შეიძლება განლაგდეს ასეთ საგუშაგოებში.

აი, ასე შეიძლება მოწესრიგდეს ეს საქმე.

თავი XI

ნაგებობები, რომლებიც განკუთვნილია ღვთისმსახურებისათვის და დიდი მოხელეების სისიტიები უნდა განლაგდნენ ამისთვის შესაფერის ადგილს, გარდა იმ სალოცავებისა, რომელთა ადგილსამყოფელს განსაზღვრავს ან კანონი ან დელფოს მისანი. ეს ადგილი გარეგნულად უნდა შეესაბამებოდეს მის მაღალ დანიშნულებას და ქალაქის მეზობელ ადგილებთან შედარებით კარგად უნდა იყოს დაცული. ამ ადგილის ქვემოთ უნდა მოეწყოს მოედანი, რომელსაც თესალიელები უწოდებენ „თავისუფალ მოედანს“, ის უნდა იყოს სუფთად შენახული და დაცული ყოველგვარი საქონლისაგან. იქ არც ხელოსნები, არც მიწათმოქმედნი და არც მათი მსგავსი სხვა ხალხი არ უნდა იქნას დაშვებული, იმათ გარდა, რომლებიც მოწვეული არიან უფროსებისაგან, ეს ადგილი მიმზიდველი იქნებოდა, თუ მასზე მოეწყობოდა უფროსებისათვის გიმნაზია. ეს ნაგებობაც უნდა დაიყოს წლოვანების შესაბამისად და ახალგაზრდების გარდა, იქ უნდა დაიშვებოდნენ მოხუცებიც და მთავრობის წარმომადგენელნიც. თანამდებობის პირთა წინაშე ყოფნა იწვევს ჭეშმარიტ მორიდებას და თავისუფალი ადამიანების შიშს. სავაჭრო მოედანი უნდა განსხვავდებოდეს ამ მოედნისაგან და მისგან დაშორებული უნდა იყოს. იგი უნდა მდებარეობდეს ისეთ ადგილას, რომ ადვილი იყოს საქონლის შემოტანა როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან.

რადგან სახელმწიფოს ხელმძღვანელობა შედგება ორი ნაწილისაგან - ქურუმებისა და არქონტებისაგან, ამიტომ ქურუმების სისიტიები უნდა მდებარეობდეს წმინდა ნაგებობებთან ახლოს. მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც სდებენ ხელშეკრულებებს, აწარმოებენ სასამართლო საქმეებს, იძახებენ დამნაშავეებს, ახორციელებენ ბაზრისა და ქალაქის ზედამხედველობას, ნაგებობები უნდა ჰქონდეთ მოედანთან ახლოს, თვალსაჩინო ადგილას. ასეთი ადგილი მოედანზე განკუთვნილია ყოველდღიური აუცილებელი საქმეების წარმოებისათვის. აქედან

ზედა მოედანი განკუთვნილია დასვენებისათვის, ქვედა კი ყოველდღიური აუცილებელი საქმეებისათვის.

ამ წესს უნდა მიბაძოს აგრეთვე ხელმძღვანელი თანამდებობების განაწილებამ. ამ თანამდებობის პირთაგან ზოგს უწოდებენ მცველებს, ზოგს აგრონომებს, ზოგს ქალაქის ზედამხედველებს. მათთვის საჭიროა საგუშაგოებისა და სისიტიების მოწყობა. მცველთათვის მოედანზე უნდა იყოს აგრეთვე სალოცავები - ნაწილი ღმერთებისათვის, ნაწილი კი გმირებისათვის.

მაგრამ ყოველივე ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი ზედმეტია, რადგან ყოველივე ამის მოფიქრება ძნელი არაა, ძნელია ამის შესრულება, რადგან მსჯელობა დამოკიდებულია ჩვენს სურვილზე, მისი განხორციელება კი შემთხვევაზე. ამიტომ ჩვენ ახლა თავს ვანებებთ მრავალი ასეთი საკითხის განხილვას.

თავი XII

ახლა ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა ნაწილებისაგან და როგორი მოქალაქეებისაგან უნდა შედგებოდეს ბედნიერი და კარგად მოწყობილი სახელმწიფო. ბედნიერება ყველა ადამიანის მიერ უნდა მიღწეულ იქნას ორი გზით: პირველი, მიზნისა და მოქმედების მიმართულების სწორად შერჩევით, მეორე - მისი მისაღწევი საშუალებების გამონახვით. ეს ორი გზა როგორც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისე ემთხვევა კიდეც ერთი მეორეს. ზოგჯერ მიზანი სწორად არის შერჩეული, მაგრამ შეცდომას უშვებენ მისი მისაღწევი საშუალებების დადგენაში. ზოგჯერ მისაღწევი საშუალებები სწორადაა დადგენილი, მაგრამ მიზანი ცუდადაა შერჩეული, ზოგჯერ ორივე მხარეა მცდარი. როგორც მედიცინაში ზოგჯერ ექიმები არასწორად მსჯელობენ ავადმყოფის ჯანმრთელობაზე, ზოგჯერ კი არ იციან სწორად ჯანმრთელობის მისაღწევი საშუალებები.

მეცნიერებასა და ხელოვნებაში კი საჭიროა ორივე პირობის გათვალისწინება, როგორც მიზნის, ისე მისაღწევი საშუალებების.

რომ ყველა მიისწრაფის კარგი ცხოვრებისა და ბედნიერებისაკენ, ეს ცხადია, მაგრამ ზოგი აღწევს ამას, ზოგი ვერა, რაც დამოკიდებულია როგორც შემთხვევაზე, ისე ადამიანის ბუნებაზე. კარგად ცხოვრებისათვის საჭიროა სათანადო საშუალებები, რაც ზნეობრივ ადამიანს ნაკლებ სჭირდება, ვიდრე უზნეოს. ზოგჯერ კი თუმცა პირობები აქვთ, მაგრამ თვითონ არასწორი გზით ეძებენ ბედნიერებას. ჩვენ მიზნად დავისახეთ გავარკვიოთ, თუ როგორია კარგი სახელმწიფო. ასეთი კი არის ის სახელმწიფო, რომელსაც სწორად ხელმძღვანელობენ, ხოლო სწორად მართავენ იმ სახელმწიფოს, სადაც მიზნად აქვთ დასახული ბედნიერება. აქედან ცხადია, რომ ჩვენ გაურკვევლად არ უნდა დავტოვოთ ბედნიერების საკითხი. ჩვენ ვამტკიცებთ და „ეთიკაშიც[144]“ განვსაზღვრეთ (თუ ის მსჯე-

[144] იხ. არისტოტელე, „ნიკომაქეს ეთიკა", 1098 „ა“ და 1175 „ბ“.

ლობა როგორღაც სასარგებლოა), რომ ბედნიერება არის მოქმედება, რომელიც წარმოებს ზნეობრიობის მიღწევის მიზნით, თანაც არა პირობითი მნიშვნელობით ბედნიერებისა, არამედ მისი აბსოლუტური მნიშვნელობით. „პირობითში“ მე ვგულისხმობ აუცილებელი მოთხოვნილებებით გამოწვეულ მოქმედებას, აბსოლუტურში - მშვენიერებით გამოწვეულს. მაგალითად, სასამართლოს პრაქტიკაში სამართლიანი სასჯელი და გაკიცხვა სიკეთეს ემსახურება, ის გამოწვეული არის აუცილებლობით და მშვენიერებასაც შეიცავს. მაგრამ უფრო სასურველია, რომ არავის, არც სახელმწიფოს, არც ადამიანს არ დასჭირდეს ეს ღონისძიებანი. მაგრამ ის მოქმედებანი, რომელთა მიზანია პატივისცემა და კეთილდღეობა, არიან მშვენიერი აბსოლუტური მნიშვნელობით, პირველი სახის მოქმედება მიზნად ისახავს ბოროტების მოსპობას, მეორე, პირიქით, ამზადებს ნიადაგს და წარმოშობს კიდეც სიკეთეს.

პატიოსანი კაცი გაჭირვებასაც, ავადმყოფობასაც და სხვა უბედურებასაც ადვილად იტანს, მაგრამ ბედნიერია ის საწინააღმდეგო მდგომარეობაში. ესეც ჩვენ დავადგინეთ „ეთიკაში“, რომ ის იმიტომ არის ბედნიერი, რომ თავისი პატიოსნების გამო სიკეთედ თვლის აბსოლუტურ სიკეთეს. ცხადია, რომ ასეთი კაცისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებსა და მშვენიერებას აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. ზოგი ადამიანი კი ბედნიერების მიზეზად ასახელებს გარეგან სიკეთეს. ეს იგივეა, რომ ვინმემ ლამაზი და ბრწყინვალე შესრულების მიზეზად დაასახელოს ლირა და არა დამკვრელი.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ბედნიერების ზოგი პირობა თავიდანვე უნდა იყოს მოცემული, ზოგი კი კანონმდებელმა უნდა შექმნას. სასურველია, რომ სახელმწიფოს თავიდანვე ჰქონდეს მოცემული ის სიკეთენი, რასაც ბედნიერი შემთხვევა იძლევა. ჩვენ შემთხვევას ვთვლით გადამწყვეტ ფაქტორად გარეგან სიკეთეთა მოპოვებაში, მაგრამ კარგი სახელმწიფო წარმოქმნილია არა შემთხვევით, არამედ ცოდნისა და სწორი არჩევანის საფუძველზე. სახელმწიფო ზნეობრივია მაშინ, როცა მასში მცხოვრები მოქალაქენი ზნეობრივნი არიან. ჩვენს სახელმწიფოში კი

ყველა მოქალაქე მონაწილეობს მმართველობაში. ახლა საჭიროა იმის განხილვა, თუ ადამიანი როგორ შეიძლება გახდეს ზნეობრივი. თუ სასურველია, რომ ყველა მოქალაქე იყოს ზნეობრივი და არა მხოლოდ ერთეულები, მაშინ უფრო სასურველია თითოეულის ზნეობრიობა, რადგან თითოეულის ზნეობრიობა ყველას ზნეობრიობას წარმოშობს.

სამი რამ ხდის ადამიანს კეთილად და ზნეობრივად. ესენია ბუნება, ჩვეულება და გონება. პირველ ყოვლისა, საჭიროა, რომ კაცი დაიბადოს ადამიანად და არა რომელიმე ცხოველად. ზოგჯერ ადამიანს გარკვეული სხეულებრივი და სულიერი თვისებები დაჰყვება სრულიად უსარგებლოდ, მაგრამ ჩვეულება მათ გარდაქმნის. ზოგი თვისება კი ორგვარი ბუნებისაა და ჩვეულება მას გარდაქმნის ცუდ ან კარგ თვისებად. სხვა ცხოველები ცხოვრობენ ბუნებრივი ცხოვრებით. მხოლოდ ზოგიერთნი, თანაც იშვიათად, ცხოვრობენ ჩვეულებით, ადამიანი კი ცხოვრობს გონებითაც, რადგან მხოლოდ ადამიანს აქვს გონება. ეს სამი მხარე ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა იყოს. ბევრ რამეს ადამიანები სჩადიან გონებით ჩვეულებისა და ბუნების საწინააღმდეგოდ, თუ ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს უკეთესია. ჩვენ ზემოთ განვსაზღვრეთ ის თვისებები, რომელიც უნდა ჰქონდეს კაცს და რაც სასურველი იქნებოდა კანონმდებლისათვისაც. დანარჩენი თვისებები კი აღზრდის საქმეა, რადგან ზოგნი სწავლობენ ჩვეულებით, ზოგნიც მოსმენით.

თავი XIII

რადგან ყოველი პოლიტიკური კავშირი შესდგება ხელმძღვანელებისა და ქვეშევრდომებისაგან, ამიტომ გასარკვევია, რომ ერთი და იგივენი უნდა იყვნენ მთელი ცხოვრების მანძილზე ქვეშევრდომად და ხელმძღვანელად, თუ სხვადასხვანი. ცხადია, რომ აღზრდა უნდა შეესაბამებოდეს მათი ფუნქციების განსხვავებას, თუ მათ შორის განსხვავება ისეთივე იქნებოდა, როგორც ღმერთები და გმირები განსხვავდებიან ადამიანებისაგან, ჯერ ერთი, თავისი სხეულებრივი უპირატესობით, შემდეგ სულიერით. ასე რომ, უეჭვო და თვალსაჩინო იქნებოდა მმართველთა უპირატესობა ქვეშევრდომებთან შედარებით. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რომ ერთნი მუდამ ხელმძღვანელნი ყოფილიყვნენ, მეორენი კი მუდამ ქვეშევრდომნი.

მაგრამ რადგან ამის დადგენა ადვილი არაა და არც ისეა საქმე, როგორც სკილაქსე[145] ამბობს, ინდოელების მეფე დიდად განსხვავდება ქვეშევრდომებისაგან, მაშინ ცხადია, რომ მრავალი მიზეზის გამო აუცილებელია, რომ ყველანი რიგრიგობით ხელმძღვანელობდნენ და ემორჩილებოდნენ. თანასწორობა შეიძლება გატარდეს თანასწორ ადამიანთა შორის, მაგრამ ძნელია ამის გატარება იმ სახელმწიფოში, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანობას. ქვეშევრდომებთან ერთიანდებიან ყველა ისინი, რომლებსაც სურთ სიახლეების შემოტანა, ამიტომ შეუძლებელია, რომ მმართველმა წრეებმა მათ სძლიონ. მაგრამ რომ მმართველნი უნდა განსხვავდებოდნენ ქვეშევრდომთაგან, ეს სადავო არაა. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს, ან როგორ უნდა მონაწილეობდნენ ისინი სახელმწიფოს მმართველობაში, ამაზე კანონმდებელმა უნდა იფიქროს. თუმცა, ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო თქმული. ბუნებამ თვითონ შექმნა ეს განსხვავება, როდესაც ადამიანების ერთ ნაწილს მიანიჭა ახალგაზრდობა, მეორეს ხნიერება, რომელთაგან ერთს შეშვენის

[145] სკილაქსე - ჩვ. წ.ა. VI საუკუნის II ნახევრის გეოგრაფი და მოგზაური.

ქვეშევრდომობა, მეორეს ხელმძღვანელობა. არავინ არ იქნება ნაწყენი, თუ წლოვანების გამო ქვეშევრდომია და არც თავის თავს ჩათვლის უკეთესად, თუ წლოვანების შესრულებასთან ერთად დაუშვებენ ნადიმზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე ხელმძღვანელობდეს და ემორჩილებოდეს და შეიძლება სხვადასხვა. ამიტომ აღზრდაც შეიძლება იყოს ერთი და იგივე, შეიძლება იყოს განსხვავებული. ამბობენ, რომ ვისაც უნდა, რომ კარგად ხელმძღვანელობდეს, ჯერ ქვეშევრდომი უნდა იყოს, როგორც ადრეცა ვთქვით[146]. ხელმძღვანელობა, ერთი მხრივ, არსებობს ხელმძღვანელთა სასარგებლოდ, მეორე მხრივ, ქვეშევრდომთა სასარგებლოდ. ერთ შემთხვევაში ჩვენ გვექნება დესპოტური მმართველობა, მეორე შემთხვევაში თავისუფალი ადამიანებისა.

ბერძნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა იმდენად შესრულებით, რამდენადაც მიზნით, რისთვისაც გაიცა ბრძანება. ბევრია ისეთი საქმე, რაც მოსამსახურეებს განეკუთვნება, მაგრამ რომელიც შეიძლება კარგად შეასრულონ ახალგაზრდა თავისუფალმა მოქალაქეებმა. თავისთავად მოქმედებები ერთმანეთისგან იმდენად მშვენიერებით და არამშვენიერებით არ განირჩევიან, როგორც მიზნით და იმით, რასაც ისინი ემსახურებიან. რადგან ჩვენ ვამბობთ, რომ ერთი და იგივე ზნეობა აქვთ მმართველს, მოქალაქეს და კარგ ადამიანს და რადგან კაცი ჯერ ქვეშევრდოში უნდა იყოს და მერე ხელმძღვანელი, ამიტომ კანონმდებელის მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ ადამიანები როგორმე ზნეობრივი გახადოს, როგორც ყოველდღიურ საქმიანობაში, ისე უკეთესი ცხოვრების მიღწევის მიზნით.

ადამიანის სული ორ ნაწილად იყოფა: ერთს გააჩნია გონება, მეორეს არა, მაგრამ ამ მეორე ნაწილს აქვს უნარი დაემორჩილოს გონებას. სულთან არის დაკავშირებული სათნოებანი, რომლის მიხედვით ვამბობთ, რომ ადამიანი კარგია. ამათგან თუ რომელ ნაწილშია მოცემული მიზანი, ამის დანახვა არაა ძნელი იმისთვის, ვინც ჩვენს დაყოფას იზიარებს.

---

[146] „ადრეცა ვთქვი“ - იხ. არისტოტელე, „პოლიტიკა“, წ. III.

ცუდი ყოველთვის არსებობს კარგისთვის, რაც ცხადია, როგორც ხელოვნებაში, ისე ბუნებაში. უკეთესია ის, რასაც გონება აქვს. რაციონალური ნაწილიც ორად იყოფა. ერთი მხრივ არსებობს პრაქტიკული გონება, მეორე მხრივ, თეორიული. ცხადია, რომ თეორიული ნაწილიც ასევე უნდა დაიყოს. ანალოგიური მდგომარეობაა პრაქტიკულ ნაწილშიც. ჩვენ ვამბობთ, რომ ის, რაც ბუნებრივია, უფრო სასურველია, როგორც საერთოდ, ისე სულის ამ ორ ნაწილში. თითოეული უპირატესობას აძლევს იმას, რაც უფრო სრულყოფილია. მთელი ცხოვრებაც ორად იყოფა: მუშაობად და თავისუფლებად, ომად და მშვიდობად. მოქმედებებიც ორად იყოფა: აუცილებელი და საჭირო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მშვენიერებისათვის განკუთვნილ მოქმედებებად. აქაც იმავე პრინციპით უნდა ვაწარმოოთ დაყოფა, როგორც სულის ნაწილებისა და პრაქტიკული საქმიანობების დაყოფისას. ომი არსებობს მშვიდობისათვის, მუშაობა - დასვენების მიზნით, აუცილებელი და სასარგებლო - მშვენიერებისათვის. სახელმწიფო მოღვაწე ყოველივე ამას უნდა აქცევდეს ყურადღებას თავის კანონმდებლობაში, როგორც სულის ნაწილებს, ისე პრაქტიკულ მოქმედებებს, უფრო მეტად კი საუკეთესოსა და მიზნის უპირატესობას. ასევე უნდა მოქმედებდეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. საჭიროა, რომ მოქალაქეებს შეეძლოთ მუშაობაცა და ომიც, მაგრამ უფრო მეტად მშვიდობა და დასვენება. უნდა აკეთებდნენ აუცილებელსა და საჭიროს, მაგრამ უფრო მეტად მშვენიერს. ამგვარად, ამ მიზნების გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს აღზრდა როგორც ბავშვობისას, ისე სხვა ასაკშიც, სადაც კი ეს საჭიროა. ამჟამად კი ის პოლიტიკოსი ელინები, რომლებიც გვგონია, რომ კარგად მართავენ სახელმწიფოს და ის კანონმდებელნი, რომელთაც შექმნეს ეს სახელმწიფო წეს-წყობილება, ყურადღებას აქცევენ არა საუკეთესო მიზანს, ყოველგვარ სათნოებასა და აღზრდას, არამედ უხეშად მიისწრაფიან იქით, რაც ეჩვენებათ სასარგებლოდ და გამდიდრების საშუალებად. მოგვიანებით დაახლოებით ასეთივე შეხედულება გამოთქვა ზოგიერთმა მწერალმა. ისინი აქებენ ლაკონელების წეს-წყობილებას და აღტაცებულნი

არიან იმ კანონმდებლით, რომელმაც მთელი სახელმწიფო წეს-წყობილება წარმართა ომისა და გამარჯვებისკენ. ასეთი შეხედულება ადვილად უარიყოფა თეორიულად, ხოლო ამჟამად მათ უარყოფენ ფაქტები. როგორც ხალხის უმრავლესობა მიისწრაფის იქით, რომ ბევრ ადამიანზე ბატონობდეს, და ამით მოიპოვოს სიმდიდრე, ასევე ფიბრონი აღტაცებული იყო ლაკონელების კანონმდებლით და ყველანი, რომლებიც კი წერდნენ სახელმწიფოს შესახებ, აღნიშნავდნენ, რომ ლაკონელებმა, საფრთხის დაძლევაში გავარჯიშებულებმა, მიაღწიეს ბატონობას მრავალ სახელმწიფოზე. ამჟამად კი, როდესაც ლაკონელები აღარავის აღარ ფლობენ, ცხადი გახდა, რომ ისინი არც ბედნიერნი არიან და არც კარგი კანონმდებელი ჰყავთ. მაგრამ სასაცილო იქნებოდა, რომ ლაკონელები მიჰყოლოდნენ მის კანონებს და არავის არ შეეშალა მათთვის ხელი ამ კანონებით სარგებლობაში. ამით ისინი უარყოფდნენ მშვენიერ ცხოვრებას. ისინი სწორად არ მსჯელობენ არც იმ ხელისუფლების შესახებ, რომელსაც კანონმდებელი პატივს უნდა სცემდეს, რომ თავისუფალი ადამიანების მართვა უფრო მშვენიერია და პატიოსნების შესაბამისი, ვიდრე მათი მართვა დესპოტურად. ამას გარდა, სახელმწიფო არ უნდა ჩათვალო ბედნიერად, ხოლო კანონმდებელი არ უნდა აქო იმის გამო, რომ ის ცდილობს მეზობელი ხალხების დამორჩილებას. ამის დიდი ბოროტება მოაქვს შედეგად. ცხადია, რომ მაშინ ყოველი მოქალაქე უნდა ცდილობდეს, რომ მიაღწიოს ბატონობას საკუთარ სახელმწიფოში. ამაში ლაკონელები ბრალს სდებენ მეფე პავზანიას, თუმცა მას დიდად პატივს სცემდნენ. არც პოლიტიკა და არც კანონი, რომელიც ასეთ პრინციპებს ემყარება, არაა არც სასარგებლო და არც ჭეშმარიტი. უკეთესი იქნებოდა, თუ კანონმდებელი ჩაუნერგავდა ადამიანებს სულში იმის რწმენას, რომ კერძო და საერთო სიკეთე ერთი და იგივეა. ხოლო საომარი სამზადისი იმიტომ კი არ უნდა წამოიწყო, რომ დაიმონო ისინი, ვინც ამის ღირსი არაა, არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ თვითონ არ იყო დამონებული სხვების მიერ. მეორე იმიტომ, რომ მიაღწიო ჰეგემონიას ქვეშევრდომთა სასარგებლო საქმეში და არა მათზე ბატონობას.

მესამე, რათა მიაღწიო ბატონობას იმათზე, რომლებიც მონობის ღირსნი არიან. ფაქტები ადასტურებენ იმ მოსაზრებას, რომ კანონმდებელი უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ როგორც საომარი, ისე სხვა კანონები შემოიღოს დასვენებისა და მშვიდობის მიზნით. უმრავლესობა სახელმწიფოებისა, რომლებიც ომობენ, განაგრძობენ არსებობას, მაგრამ როგორც კი აღწევენ ბატონობას, იღუპებიან, როგორც რკინა, რომელიც კარგავს თავის წრთობას მშვიდობის დროს. ამაში კანონმდებელია დამნაშავე, რადგან მან მოქალაქეებს არ ასწავლა დასვენება.

რადგან ადამიანებს, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე ერთი და იგივე მიზანი აქვთ, და რადგან აუცილებლად ერთი და იგივე განსაზღვრება ექნება კარგ ადამიანსა და კარგ სახელმწიფოს, ცხადია, უნდა არსებობდეს ის სათნოებანი, რომელიც დასვენებას განეკუთვნება, როგორც ბევრჯერა ვთქვით. ომის მიზანია მშვიდობა, შრომისა - დასვენება. სასარგებლო არიან როგორც ის სათნოებანი, რომელსაც იძლევა შრომა, ისე ისინი, რომელსაც იძლევა დასვენება. რათა შესძლო კარგად დასვენება, უნდა გქონდეს ბევრი რამ აუცილებელი. მაშასადამე, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გონიერებაც, სიმამაცეც და ძლიერებაც. ანდაზა ამბობს, რომ მონებს არა აქვთ დასვენება, მაგრამ ისინი, რომლებსაც არ ძალუძთ, იყვნენ საფრთხეში მამაცნი, თავდამსხმელთა მონები ხდებიან. სიმამაცე და ძალა საჭიროა შრომისათვის, ფილოსოფოსობა - დასვენებისათვის, გონიერება და სამართლიანობა - ორივესათვის, უფრო მეტად კი მშვიდობისა და დასვენებისათვის. ომი აიძულებს ადამიანებს იყვნენ გონიერნი და სამართლიანნი, ბედნიერება და განცხრომით ცხოვრება კი, რომელსაც თან ახლავს მშვიდობა, ადამიანს უფრო მეტად ათავხედებს. დიდი სამართლიანობა და გონიერება მართებთ იმათ, რომლებიც საუკეთესო ადამიანებად ითვლებიან, და იმათაც, რომლებიც, როგორც პოეტი[147] ამბობს, ბედნიერად ისვენებენ ბედნიერ კუნძულზე. უფრო მეტად კი იმათ სჭირდებათ ფილოსოფია, გონიერება და სამარ-

[147] ჰესიოდე, „შრომები და დღეები“, 170 და ქვ.

თლიანობა, რომლებიც მეტად განისვენებენ გარეშე სიკეთეთა უშიშროებაში.

ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელსაც სურს იყოს ბედნიერი და სამართლიანი, უნდა ფლობდეს ამ სათნოებებს. სამარცხვინოა, რომ სახელმწიფოს არ შეეძლოს ისარგებლოს სიკეთით, მაგრამ უფრო მეტად სამარცხვინოა, რომ არ იყენებდეს მას მშვიდობის დროს. მუშაობასა და ომში ის სჩანდეს კარგად, მაგრამ მშვიდობასა და დასვენებას კი ატარებდეს როგორც მონა.

მაშასადამე, სათნოება ისე არ უნდა გამოვიყენოთ, როგორც ამას ადგილი აქვს ლაკედემონში. ისინი სხვებისგან განსხვავდებიან არა იმით, რომ უდიდეს სიკეთედ არ თვლიან იმას, რასაც სხვები თვლიან, არამედ იმით, რომ ამ სიკეთეთა მიღწევა შეუძლიათ სხვა სათნოებით. ეს სიკეთენი კი არიან დიდი სიკეთენი და მათი საშუალებით ტკბობა არის უფრო დიდი, ვიდრე ტკბობა სათნოებით.

აქედან ცხადია, რომ ეს ხდება მათი საშუალებით. ახლა განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება მათი მიღწევა. ზემოთ ჩვენ გავარკვიეთ, რომ ბუნებრივად საჭიროა როგორც ჩვევა, ისე აზროვნება და დავადგინეთ აგრეთვე, თუ ბუნებრივად როგორია თითოეული ეს თვისება. დაგვრჩა განსახილველი, თუ საიდან უნდა დავიწყოთ აღზრდა, აზროვნებიდან, თუ ჩვევებიდან. ისინი ურთიერთშორის უნდა იყვნენ მჭიდრო კავშირში. შეიძლება მოხდეს ის, რომ აზროვნება შეცდეს და ვერ მიაღწიოს საუკეთესო მიზანს ჩვევებით ხელმძღვანელობის გამო. პირველ ყოვლისა, ცხადია, რომ როგორც სხვაგან, აქაც წარმოშობა ხდება რაიმე საწყისიდან და რომ საბოლოო მიზანიც რაიმე საწყისიდან ამოდის. ხოლო გონება და განსჯა ჩვენში არის ბუნებრივი მიზანი, რომლის გამო ხდება დაბადება და ჩვევებიც ამ მიზნისათვის უნდა განვავითაროთ.

შემდეგ, რადგან სული და სხეული არიან ორნი, ასევე სულშიც ჩვენ ვხედავთ ორ ნაწილს - უგუნურსა და გონიერს და თვისებებიც ორგვარია: ერთია სწრაფვა, მეორე კი გონება. რადგან სხეული წარმოშობით უსწრებს სულს, ასევე უგუნური ნაწილი წინ უსწრებს გონიერს. ესეც ცხადია.

სწრაფვა, სურვილი, ვნება დაბადებითვე თან დაჰყვება ბავშვებს, ხოლო განსჯა და აზროვნება უჩნდებათ მათ განვითარებასთან ერთად.

მაშასადამე, საჭიროა ჯერ სხეულზე ზრუნვა, შემდეგ კი სულზე. შემდეგ, საჭიროა ზრუნვა მისწრაფების განვითარებაზე. ვნებები გონებისთვის არსებობენ, სხეული კი არსებობს სულისათვის.

თავი XIV

კანონმდებელი თავიდანვე უნდა აქცევდეს ყურადღებას იმას, რომ აღსაზრდელებს სხეული რაც შეიძლება კარგ მდგომარეობაში ჰქონდეთ. ამიტომ, პირველ ყოვლისა, უნდა იზრუნოს ქორწინების საქმის მოწესრიგებაზე, დაადგინოს, თუ ვინ და როდის შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს ცოლ- ქმრული ურთიერთობით. საჭიროა კანონების შემოღება ამ კავშირების შესახებ, თუ რა ასაკია უკეთესი ამისთვის, რათა ისინი ასაკით შეეფერებოდნენ ერთმანეთს და არც მათი უნარები შორდებოდნენ ერთმანეთს ისე, რომ ერთს შეეძლოს შობა, მეორეს კი არა, მაგალითად, კაცს შეეძლოს შობა, ქალს კი არა, ან პირიქით. არ უნდა იქნას დაშვებული დიდი განსხვავება წლოვანებაში მაშინ, როდესაც ბავშვებმა უნდა შესცვალონ მამები. რადგან უსარგებლოა მოხუცებისთვის შვილების ყურადღება და შვილებისთვის დახმარება მამების მხრივ. არც ძალიან დიდი სიახლოვე უნდა იქნას დაშვებული მათ წლოვანებაში, რადგან ესეც დიდ დაბრკოლებებს იწვევს. თითქმის მშობლების ტოლი შვილები ნაკლები პატივისცემით არიან გამსჭვალული მშობლების მიმართ, ხოლო ოჯახურ ურთიერთობაში ეს მრავალ უსიამოვნებას წარმოშობს.

დაბოლოს, დავუბრუნდეთ იმ პუნქტს, საიდანაც დავიწყეთ, რომ დაბადებულ ბავშვთა სხეული უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლის მოთხოვნებს. ამის მიღწევა შეიძლება, თუ ყურადღება მიექცევა ერთ რამეს: ბავშვების დაბადების ასაკი მამაკაცებისათვის უნდა განისაზღვროს 70 წლით, ქალებისა 50- ით. ამიტომ მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობაც ამ ასაკს უნდა ემთხვეოდეს. ძალიან ახალგაზრდების კავშირი ცუდია ბავშვების დაბადებისთვის. ყველა ცხოველებში შთამომავლობა ძალიან ახალგაზრდა მშობლებისაგან არის სუსტი, მომცრო ტანისა და თანაც მეტწილად მდედრობითი სქესისა. იგივე ხდება ადამიანებშიც. ამის საბუთია შემდეგი: იმ ქალაქებში, სადაც ახალგაზრდების დაკავშირება ხდება ადრეულ ასაკში, იქ ხალხი უფრო სუსტია და ტანით პატარა. გარდა ამისა, მშობიარობის დროს ახალგაზრდა ქალები უფრო მეტად იტან-

ჯებიან და ხშირად იღუპებიან. აი, ამიტომ ზოგი ფიქრობს, რომ მისნის წინასწარმეტყველება ტროიძენელებს ეხება, რადგან მათ ბევრი ქალი დაეღუპათ სწორედ იმიტომ, რომ ადრე შედიოდნენ ქორწინებაში, და არა მოსავლის აღების გამო. გონივრულია, რომ ქალიშვილები უფრო მოგვიანო ასაკში გათხოვდნენ. ადრეულ ასაკში გათხოვილნი ძალიან ვნებიანნი არიან. ამას გარდა, მამაკაცის სხეულის ზრდას ვნებს ადრეული კავშირი, როდესაც თესლს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია განვითარება. ამასაც გარკვეული დრო აქვს, რომლის შემდეგ წყდება მომწიფება. მაშასადამე, გოგონებისთვის შესაფერია ქორწინება თვრამეტი წლის ასაკში, მამაკაცებისთვის - 37 წლის ასაკში, ან ცოტა ადრე. ამ ასაკში ქორწინების დროს სხეული უკვე მომწიფებულია სქესობრივი კავშირისათვის და შეესაბამება იმ ასაკსაც, როდესაც უნდა მოხდეს ბავშვების შობის შეწყვეტა. გარდა ამისა, ის დრო, როცა შვილები იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, ემთხვევა მოწიფულობის ასაკს, თუ მათი დაბადება მაშინვე მოსდევს ქორწინებას. მამები კი ამ დროს, 70 წლის ასაკში, უკვე სუსტები არიან.

ამრიგად, ჩვენ უკვე ვთქვით იმის შესახებ, თუ როდის არის კარგი ქორწინება. რაც შეეხება წელიწადის დროს, უმრავლესობაში შეიქმნა ჩვევა, რომ კარგია ქორწინება ზამთრის პერიოდში. მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ ის, რაც აქვთ ნათქვამი ბავშვების აღზრდის შესახებ ექიმებსა და ბუნებისმეტყველთ. ექიმები იძლევიან კარგ რჩევას სხეულის განვითარების შესახებ, ბუნებისმეტყველნი ქარების შესახებ. ისინი უფრო ჩრდილოეთის ქარებს აქებენ, ვიდრე სამხრეთისას. თუ როგორი ფიზიკური მდგომარეობა არის უკეთესი ბავშვების შობისათვის, ამის შესახებ ბევრი გვაქვს ნათქვამი წიგნებში ბავშვების აღზრდის შესახებ. ზოგადად კი ახლაც შეიძლება ითქვას საკმარისად. ათლეტური თვისებების განვითარება არაა საჭირო არც ჯანმრთელობისათვის, არც პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. არც სუსტი სხეულია გამოსადეგი მძიმე შრომისათვის, არამედ შუალედი ამ ორ უკიდურესობას შორის. ბავშვის სხეული უნდა განვითარდეს ვარჯიშით, მაგრამ არა იძულებით და არა ერთი სა-

ხის ვარჯიშით, როგორც ეს ხდება ათლეტების აღზრდაში, არამედ ისეთი ვარჯიშით, რაც საჭიროა თავისუფალი ადამიანის მოღვაწეობისათვის. ასეთი აღზრდა ერთნაირად საჭიროა როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში.

საჭიროა, რომ ფეხმძიმე ქალები ზრუნავდნენ თავის სხეულზე, არც უსაქმურად უნდა იყვნენ და არც მცირე საკვებს იღებდნენ. ამის მიღწევა ადვილად შეუძლია კანონმდებელს, თუ ის ურჩევს ყოველდღე სიარულს სალოცავებში ღმერთებთან, რომელთა განკარგულებაშია ბავშვების დაბადების საქმე. ორსული ქალების სულიერი ცხოვრება უფრო მშვიდად უნდა მიმდინარეობდეს, ვიდრე ფიზიკური. ბავშვები ჩანასახ მდგომარეობაში ხომ დედიდან იკვებებიან ისე, როგორც მცენარეები ნიადაგიდან. ახლად შობილთა შენახვისა და კვების შესახებ უნდა იყოს კანონი, რომ არ კვებონ არც ერთი მახინჯი ბავშვი. ბავშვების სიმრავლის გამო კანონი კრძალავს ბავშვთა ზედმეტ დაბადებას, რადგან მათი რაოდენობა განსაზღვრულია და როდესაც ვინმეს ჩაესახა ბავშვი ამ რაოდენობაზე მეტი, მაშინ, სანამ ჩანასახს გაუჩნდებოდეს შეგრძნებისა და სიცოცხლის უნარი, საჭიროა მისი მოსპობა. ბავშვის მოცილების კანონიერება ან უკანონობა დამოკიდებულია მისი სიცოცხლისა და შეგრძნების უნარზე.

მას შემდეგ რაც დავადგინეთ მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრების ხანა, ახლა საჭიროა განისაზღვროს ის დრო, სადამდეც ისინი უნდა ემსახურებოდნენ სახელმწიფოს ბავშვების დაბადებით. შვილები როგორც ახალგაზრდა, ისე ხნიერი მშობლებისა არიან არასრულფასოვანნი, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, ხოლო მოხუცებისა სუსტები არიან. ამიტომ პერიოდი შვილების დაბადებისა უნდა დადგინდეს გონებრივი მოწიფულობის მიხედვით. როგორც პოეტები ამბობენ, რომლებიც წლოვანებას შვიდწლედებით ადგენენ, ეს პერიოდი არის 60 წლის ასაკი. ის, ვინც ამ ასაკს გადააცილებს ოთხი ან ხუთი წლით, მან თავი უნდა შეიკავოს ბავშვების აშკარად შობაზე. მაგრამ სქესობრივ კავშირში შეიძლება შევიდეს ჯანმრთელობის ან სხვა ამდაგვარი მიზეზის გამო.

სხვა ქალთან ან კაცთან კავშირი არასოდეს და არავისგან არაა დასაშვები, სანამ ის ცოლ-ქმრულ კავშირში მყოფად ითვლება, ხოლო ბავშვების შობის პერიოდში თუ ვინმე იქნა მხილებული ასეთ მოქმედებაში, ის გაიკიცხება და დაისჯება მისი დანაშაულის შესაბამისად.

თავი XV

ახლად დაბადებული ბავშვების კვება დიდად უნდა განსხვავდებოდეს მათი სხეულის უნარიანობის მიხედვით. დაკვირვება ცხოველებზე და სხვა ტომებზე, რომლებიც ზრუნავენ უფრო საომარი თვისებების განვითარებაზე, გვასწავლის, რომ საკვები, რომელიც უხვად შეიცავს რძეს, გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ღვინის საკვები, რომელიც სასარგებლოა ავადმყოფობის დროს და მოძრაობის განსავითარებლად. რათა არ დაუმახინჯდეს ბავშვს სხეული, ახლაც ზოგი ტომი იყენებს ერთგვარ მექანიკურ საშუალებებს, რაც იცავს ბავშვის სხეულს დაზიანებისაგან. სასარგებლოა რომ ბავშვობიდანვე შევაჩვიოთ სიცივეს. ეს კარგია როგორც საომარი თვისებების განვითარებისათვის, ისე ჯანმრთელობისათვის. მრავალ ბარბაროსულ ტომებში არის ჩვეულება აბანაონ ბავშვები ცივ მდინარეში, ხოლო კელტები ბავშვებს მოკლე სამოსს აცვამენ. ყველაფერი, რის მიჩვევაც კი საჭიროა, უკეთესია, რომ თავიდანვე მივაჩვიოთ ბავშვი, ოღონდ თანდათანობით. ბავშვების სხეული ადვილად უძლებს სიცივეში ვარჯიშს მათშივე არსებული სითბოს წყალობით. დასაწყის პერიოდში სასარგებლოა ასეთი ზრუნვა ბავშვზე. ამის მომდევნო ასაკში ხუთ წლამდე, როცა არაა კარგი არც სწავლის დაწყება და არც რაიმე აუცილებელი შრომით დასაქმება, რათა ზრდას ხელი არ შეეშალოს, საჭიროა იმდენი მოძრაობა, რათა სხეული არ დარჩეს უმოქმედო მდგომარეობაში, რისთვისაც საჭიროა გამოყენებული იქნას როგორც თამაშობები, ისე სხვა საშუალებები.

ეს თამაშობები უნდა შეეფერებოდეს თავისუფალ ადამიანს, არ უნდა იყოს არც დამქანცველი და არც თავაწყვეტილი. რაც შეეხება მოთხრობებსა და ზღაპრებს, რაც ამ ასაკს შეჰფერის, ამაზე ზრუნვა ევალება იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც პედონომებს უწოდებენ. ყოველივე ეს არის გზის გამკვლევი შემდგომი ცხოვრებისათვის. თამაშობები მთლიანად უნდა იყოს მიბაძვა მომავალი ცხოვრებისა. სწორი არ არიან ისინი, რომლებიც უკრძალავენ ბავშვებს ყვირილსა და ტირილს, რადგან ეს

ხელს უწყობს ზრდას. ესაა თავისებური ფიზიკური ვარჯიში. როგორც ღრმად ამოსუნთქვა აძლიერებს მუშის ძალას, იგივე ხდება ბავშვებში, როდესაც ისინი ყვირიან. პედონომებს ევალებათ თვალყურის დევნება ბავშვის სხვა გასართობებზე და იმაზე, რომ ბავშვები ცოტა ხანს იყვნენ მონებთან. ამ ასაკში და მომდევნო პერიოდშიც შვიდ წლამდე ჩვენი ბავშვები სახლში უნდა იზრდებოდნენ. გონივრული იქნებოდა, თუ ამ ასაკის ბავშვებს გავათავისუფლებდით ისეთი მოსასმენისა და სამზერისაგან, რაც თავისუფალ ადამიანს არ შეჰფერის. კანონმდებელმა ქალაქიდან უნდა გააძევოს ბილწად მესიტყვენი, ასევე სხვა მათდაგვარნი, რადგან ბილწსიტყვაობიდან წარმოიშობა სამარცხვინო რამ და ასეთივე მოქმედება, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ამიტომ ისინი არ უნდა ხმარობდნენ, არც უნდა ისმენდნენ არასოდეს ასეთ გამოთქმებს. მაგრამ თუ აღმოჩნდა ვინმე, რომელიც ამბობს ან მოქმედებს აკრძალულის საწინააღმდეგოდ, თუ ის თავისუფალია, მაგრამ ჯერ კიდევ არა აქვს ნება სისიტიაში შესვლისა, ის უნდა იცემოს და გაიკიცხოს. მაგრამ თუ ის მოხუცია, უნდა შერცხვენილ იქნას მონური მოქმედების გამო, რაც თავისუფალ ადამიანს არ შეჰფერის.

რადგან ჩვენ ვკრძალავთ სახელმწიფოში ასეთი სახის ლაპარაკს, ცხადია, უნდა აკრძალულ იქნას ასეთი სახის წერა, ხატვა და წარმოდგენები. ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ არც ქანდაკება და არც ნახატი არ წარმოადგენდეს ასეთ მოქმედებათა მიბაძვას, გარდა ხუმრობისა ზოგიერთი ღვთაების მიმართ, რასაც კანონი უშვებს. კანონი ნებას რთავს იმათ, ვინც მიაღწია სრულწლოვანებას, პატივი სცეს ღმერთებს, როგორც თვითონ, ისე ცოლისა და შვილების სახელით. ახალგაზრდებს არა აქვთ ნება დაესწრონ იამბებს[148] ან კომედიებს, სანამ არ მიაღწევენ იმ ასაკს, როდესაც უფლება ეძლევათ ნადიმებზე დასწრებისა და წამოწოლილ მდგომარეობაში მაგარი ღვინის სმისა, თანაც მისი აღ-

[148] იამბიკური ლექსი ხშირად ატარებდა უხეშ ხასიათს უხამსი გამოთქმებით. ამიტომ ახალგაზრდებს არ უშვებდნენ მის მოსასმენად. იამბიკურ ლექსს იყენებდნენ დიონისეს დღესასწაულებზე.

ზრდა უნდა იცავდეს მას აქედან გამომდინარე ყველა ბოროტებისაგან. ჩვენ ახლა ყოველივე ამის შესახებ ვმსჯელობთ გაკვრით, მაგრამ შემდეგ საჭირო იქნება უფრო დაწვრილებით შესწავლა და განსაზღვრა იმისა, მიეცეს თუ არა ახალგაზრდას ამის ნება. ჩვენ ამჯერად შევეხეთ ამ საკითხს იმდენად, რამდენადაც ის ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ. საერთოდ, ტრაგიკოსი მსახიობი თეოდორე[149] არ აძლევდა ნებას ჯერ კიდევ არასრულყოფილ მსახიობებს მასზე ადრე გამოსულიყვნენ, რადგან მაყურებლები ეჩვევიან იმ ბგერებს, რასაც პირველად ისმენენ. ეს ხდება როგორც ადამიანთა ურთიერთობაში, ისე მათ საქმიანობაში. რადგან ჩვენ ყველაზე მეტად გვიყვარს ის, რაც პირველად გვხვდება. ამიტომ ახალგაზრდები უნდა მოვაშოროთ განსაკუთრებით იმას, რასაც შედეგად მოსდევს უზნეობა და მტრობა. ხუთი წლის შემდეგ შვიდ წლამდე ორი წელი საჭიროა, რომ ისინი ესწრებოდნენ მეცადინეობას იმ საგნებში, რომელსაც ისინი შემდეგ შეისწავლიან. აღზრდა უნდა გაიყოს ორად: პირველი, შვიდი წლიდან სქესობრივ მომწიფებამდე და მეორე, სქესობრივი მომწიფებიდან 21 წლამდე. ისინი, რომლებიც ასაკს ყოფენ შვიდ-შვიდ წლებად, ძირითადად ცუდად არ მსჯელობენ, ოღონდ საჭიროა, რომ ამ დაყოფაში ისინი ითვალისწინებდნენ ბუნებას, რადგან ყოველი ხელოვნება თუ აღზრდა მიზნად ისახავს შეავსოს ის ნაკლი, რაც ბუნებრივად დაჰყვა ადამიანს.

პირველ ყოვლისა, უნდა ვიკვლიოთ, რომ ბავშვების აღზრდაში საჭიროა თუ არა რაიმე სისტემის არსებობა. შემდეგ, რა უფრო შესაფერია, რომ აღზრდა იყოს საერთო, თუ ინდივიდუალური, რასაც ახლაც აქვს ადგილი ზოგიერთ სახელმწიფოში და მესამე, როგორი უნდა იყოს აღზრდა.

---

[149] თეოდორე - ცნობილი ათენელი მსახიობი. მონაწილეობდა სოფოკლეს „ანტიგონეს“ დადგმაში.

წიგნი მერვე

თავი I

არავინ არ დავობს იმაზე, რომ კანონმდებელი ყველაზე მეტად ახალგაზრდობის აღზრდაზე უნდა ზრუნავდეს. სადაც ეს არ ხდება, ეს ვნებს სახელმწიფოს. აღზრდა ყოველ სახელმწიფოში თავისებურია, რადგან ყოველ სახელმწიფოს აქვს მისთვის დამახასიათებელი თვისებები, რომელსაც უნდა იცავდეს. მაგალითად, დემოკრატია - დემოკრატიულს, ოლიგარქია - ოლიგარქიულს, და თუ სახელმწიფოს ჩვევები კარგია, კარგი იქნება თვითონ სახელმწიფოც. ყოველ უნარსა და ხელოვნებაში არის ის, რაც უნდა შეისწავლო და რასაც უნდა მიეჩვიო. ცხადია, იგივე მდგომარეობაა ზნეობაშიც.

რადგან ყოველ სახელმწიფოს აქვს ერთი მიზანი, ასევე ერთია აუცილებლად აღზრდის მიზანიც. აღზრდაზე ზრუნვა არის საერთო და არა კერძო საქმე. როგორც ახლა ხდება, რომ ყველა ზრუნავს თავის შვილებზე და ასწავლის მათ კერძოდ იმას, რასაც მოიფიქრებს. რადგან აღზრდა არის საერთო საქმე, ამიტომ საჭიროა ამაზე ზრუნავდეს ყველა ერთად. არც ის უნდა იფიქრო, რომ თითოეული მოქალაქე თავის თავს ეკუთვნის, არამედ ყველა მოქალაქე სახელმწიფოს ეკუთვნის. რადგან თითოეული მოქალაქე არის სახელმწიფოს ნაწილი, ამიტომ საჭიროა, რომ ყოველ ნაწილზე ზრუნვა ითვალისწინებდეს ზრუნვას მთელზე. ამ თვალსაზრისით ზოგი ლაკედემონელებს აქებს. ისინი დიდად ზრუნავენ ბავშვების აღზრდაზე და მას საზოგადო ხასიათი აქვს.

ამრიგად ცხადია, რომ უნდა არსებობდეს კანონები აღზრდის შესახებ და მათ საზოგადოებრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. არ უნდა დარჩეს გაურკვეველი, რა არის აღზრდა და როგორ უნდა ვაწარმოოთ ის. ამჟამად სადავოა, თუ როგორ განხორციელდეს ეს პრაქტიკულად, რადგან ყველას ერთნაირად არ ესმის ის, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ ახალგაზრდობა ზნეობრივად, ან უკეთესი ცხოვრებისათვის და რა უფრო საჭიროა, გონების, თუ სულის განვითარება. აღზრდის საქმეს აბრკოლებს ეჭვი და ის, რომ არაა გარკვეული, თუ რა უნდა ვასწავლოთ, ის, რაც სასარგებლოა პრაქტიკულ ცხოვრებაში, თუ რასაც მიყავს ისინი ზნეობ-

რიობისა და ამაღლებული მოვლენებისაკენ? ყველა ამ მოსაზრებას ყავს თავისი მომხრე. არ არსებობს საერთო თვალსაზრისი ზნეობრივი აღ-ზრდის შესახებ, აგრეთვე ყველას ერთნაირად არ ესმის ზნეობრიობა. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე განსხვავება მისი განვითარების თვალსაზრისთა შესახებ.

თავი II

არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სასარგებლო დისციპლინებიდან ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს აუცილებელი დისციპლინები. მაგრამ ყველა დისციპლინა არ უნდა ისწავლოს აუცილებლად, რადგან ყველა საქმე ორად იყოფა: თავისუფალი ადამიანისა და არათავისუფალისა. ცხადია, რომ ახალგაზრდობა უნდა ეზიაროს იმ საქმიანობას, რაც მას ხელოსნებად არ აქცევს. ხელოსნობად უნდა ჩავთვალოთ ისეთი საქმეები, ხელოვნება და მეცნიერება, რაც ზნეობრივი მოქმედებისათვის გამოუსადეგსა ხდიან თავისუფალი ადამიანის სხეულს, სულსა და აზროვნებას. ამიტომ ჩვენ ისეთ ხელოვნებას, რომელიც ადამიანის სხეულს აძლევს ცუდ მიმართულებას და რომელიც ხელფასით სრულდება, ხელოსნობას ვუწოდებთ. ასეთი საქმიანობა დროს ართმევს ადამიანს და ამდაბლებს.

თავისუფალი ადამიანისთვის განკუთვნილი მეცნიერებების შესწავლაც შეიძლება გარკვეულ საზღვრამდე, რაც შეჰფერის თავისუფალ ადამიანს, მაგრამ გადაჭარბება იწვევს ზემოთქმულ შედეგს.

დიდი განსხვავებაა იმაში, თუ კაცი რა მიზნით მოქმედებს ან სწავლობს. თუ კაცი ამას სჩადის თავისთვის, ან მეგობრისთვის, ან ზნეობისათვის, ეს არაა შეუფერებელი თავისუფალი ადამიანისათვის, მაგრამ ამის კეთება სხვისთვის ხშირად მიაჩნიათ მონის ან დაქირავებული მუშის საქმიანობად.

როგორც ზემოთ ითქვა, ახლახან გავრცელებული დისციპლინები ორივე მიზანს ემსახურება. ჩვეულებრივად აღზრდისათვის განკუთვნილია ოთხი დისციპლინა: გრამატიკა, სპორტი, მუსიკა და მეოთხე ადგილზე ასახელებენ ხატვას. გრამატიკა და ხატვა გამოსადეგნი არიან ცხოვრებაში და ძალიან სასარგებლონიც არიან. სპორტი ავითარებს სიმამაცეს. მაგრამ მუსიკის შესახებ კი შეიძლება ვინმემ გამოთქვას ეჭვი. ამჟამად მუსიკას უმრავლესობა მისდევს სიამოვნებისათვის, მაგრამ ვინც პირველმა შეიტანა მუსიკა განათლების სისტემაში, ის ითვალისწინებდა ბუნებას. როგორც უკვე ბევრჯერ ვთქვით, ყველაფერში მთავარია

ის, რომ არა მხოლოდ სწორად ვმოქმედებდეთ, არამედ რათა სწორად ვისვენებდეთ კიდეც. ამიტომ ამის შესახებ ჩვენ კიდევ ვილაპარაკებთ. თუ ორივე საჭიროა, მაშინ დასვენება უნდა ვამჯობინოთ მოქმედებას და მიზნად ჩავთვალოთ. მაგრამ საკვლევია, თუ როგორ უნდა დავისვენოთ. ცხადია, რომ არა თამაშით, რადგან ამ შემთხვევაში თამაში იქნებოდა ჩვენი ცხოვრების საბოლოო მიზანი. რადგან ეს შეუძლებელია, ამიტომ თამაში უნდა გამოყენებულ იქნას ჩვენი შრომის პროცესში. შრომა მოითხოვს დასვენებას, ხოლო თამაში დასვენებისთვის არსებობს. შრომა დაკავშირებულია ტანჯვასა და დაძაბულობასთან, ამიტომ საჭიროა თამაშის გამოყენება შესაფერის დროს, როგორც სამკურნალო საშუალებისა. ასეთი მოძრაობები ამშვიდებს სულს და მისგან გამოწვეული სიამოვნება იწვევს დასვენებას. დასვენება კი შეიცავს სიამოვნებას, ბედნიერებას და ნეტარებას და ყოველივე ეს წილად ხვდება არა დაკავებულ ადამიანებს, არამედ იმათ, რომლებიც ისვენებენ. ის, ვინც შრომობს, შრომობს რაიმე მიზნისთვის, რომელიც არ არსებობს, მიზანი კი არის ბედნიერება. ყველა ფიქრობს, რომ ბედნიერება დაკავშირებულია არა ტანჯვასთან, არამედ სიამოვნებასთან. მაგრამ სიამოვნება ყველას ერთნაირად არ წარმოუდგენია, არამედ თითოეულს თავისებურად და თავისი თვისებების შესაბამისად ესმის. საუკეთესო ადამიანებისთვის ის არის საუკეთესო რამ და წარმოშობილია უმშვენიერესი მოვლენებიდან. ამრიგად, ცხადია, რომ სწავლა და აღზრდა არსებობს დასვენებისთვის და ეს სწავლა და აღზრდა თვითონ თავისთავად არის მიზანი, ხოლო ის, რაც ემსახურება შრომას, როგორც რაღაც აუცილებელს, არსებობს გარეშე მიზნისთვის.

ამიტომაც, როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მუსიკა შემოიღეს აღზრდის სისტემაში, არა იმიტომ, რომ ის აუცილებელია ან სასარგებლო, რადგან ის არაფერს აუცილებელს არ შეიცავს, როგორც მაგალითად, წერა-კითხვის ცოდნა, რომელიც გამოსადეგია გაცვლა-გამოცვლაში, სახლის მეურნეობაში, მეცნიერულ მუშაობაში. ხატვაც სასარგებლოა ხელოვნების ნიმუშთა შეფასებაში. ის არაა გამოსადეგი როგორც სპორტი, რომელიც

ემსახურება ჯანმრთელობას და სიმამაცეს. მუსიკა არავითარ ამდაგვარს არ გვაძლევს. დაგვრჩა დასკვნა, რომ მუსიკის მიზანია თავისუფალი დროის გატარება. ვფიქრობთ, რომ ამის გამო შემოიღეს ის ჩვენმა წინაპრებმა. იგი განსაკუთრებით თავისუფალი ადამიანების დროის გატარების საშუალებაა. ამიტომ დაწერა ჰომეროსმა: „მხოლოდ ის უნდა მივიწვიოთ სადღესასწაულო ნადიმზე“ და ამის შემდეგ ოდისევსი ამბობს „ვინ მოიწვია მომღერალი, რომელიც ყველას ატკბობს?" მეორეგან კი ოდისევსი ამბობს, რომ საუკეთესო დროის ტარება არის მაშინ, როდესაც ადამიანები მხიარულად ნადიმზე „ერთმანეთის გვერდით სხედან და უსმენენ მომღერალს“.

თავი III

ამგვარად, ცხადია, რომ არსებობს აღზრდის ისეთი ფორმა, რომელიც აუცილებელია ბავშვებისათვის. აღზრდის ეს ფორმა არის არა მხოლოდ სასარგებლო და აუცილებელი, არამედ როგორც თავისუფალი ადამიანისთვის შესაფერი და მშვენიერი. შეიცავს ის ერთ საგანს, თუ რამდენიმეს, ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. ჩვენ ერთგვარად წინ წავედით იმიტომ, რომ გვქონდა ამის შესახებ წინაპართაგან დატოვებული შეხედულებები. ჩვენ გვაქვს მათგან დატოვებული ცნობები სასწავლო დისციპლინების შესახებ, რასაც მუსიკაც ცხადყოფს. სასარგებლო დისციპლინებიდან ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, მაგალითად, გრამატიკა, არა მხოლოდ სარგებლობისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მისი საშუალებით შეიძლება მრავალი სხვა ცოდნის გადაცემა. ასევე საჭიროა ხატვის სწავლება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დაეხმარება მათ საკუთარი ოჯახისათვის საჭირო საგნების ყიდვაში, ანდა ტანისამოსის შერჩევაში, არამედ უფრო იმიტომ, რომ ახალგაზრდა კარგად გაერკვეს სხეულებრივი მშვენიერების საკითხში. ყველგან სარგებლობის ძიება არ შეჰფერის დიდსულოვან და თავისუფალ ადამიანს. რადგან ცხადი გახდა, რომ ბავშვებს ჯერ ჩვევები უნდა გამოვუმუშავოთ, სანამ გონების განვითარებას შევუდგებოდეთ და ჯერ სხეული უნდა განვუვითაროთ და შემდეგ განსჯა. აქედან ცხადია, რომ ბავშვებს უნდა ჰყავდეთ მასწავლებლები და მწვრთნელები. ამათგან ერთნი მათ განუვითარებენ სხეულის გარკვეულ თვისებებს, მეორენი მოძრაობის უნარს.

ამჟამად კი როგორც ჩანს, სახელმწიფოების უმრავლესობა ზრუნავს ათლეტური თვისებების განვითარებაზე, რითაც უმახინჯებს სხეულს და ხელს უშლის მათ ნორმალურ ზრდას. ლაკონელები ასეთ შეცდომას არ უშვებენ, მაგრამ ისინი ახალგაზრდებს აჩვევენ მხეცურ თვისებებს, რადგან ჰგონიათ, რომ ისინი ასე უფრო მეტად მამაცნი იქნებიან. მაგრამ, როგორც მრავალჯერ ვთქვით, მთელი ყურადღება არ უნდა იყოს მიმართული ამ ერთი მიზნისკენ. არც სხვა ცხოველებში და სხვა ხალხებში ჩვენ

არ ვხედავთ, რომ სიმამაცეს იწვევდეს ყველაზე მხეცური ბუნება, არამედ მას უფრო მეტად იწვევს მოშინაურებული ცხოველებისა და ლომის ხასიათი. არსებობენ მრავალი ტომები, რომლებიც ადვილად ხოცავენ და ჭამენ ადამიანებს, როგორც პონტოსთან მცხოვრები აქეველები და ენიოსები, აგრეთვე მატერიკზე მცხოვრები სხვა ტომები, რომლებიც ამათ მსგავსნი, ან ამათზე უარესნი არიან. ისინი ყაჩაღები არიან, მაგრამ სიმამაცე კი აკლიათ. თვით ლაკონელებზეც გაგვიგია, რომ სანამ ისინი ეწეოდნენ მძიმე ვარჯიშს, სხვებს სჯობდნენ. ახლა კი როგორც სპორტში, ისე საომარ საქმიანობაში სხვებს ჩამორჩებიან. ისინი ახალგაზრდებს ავარჯიშებდნენ არა ამ მეთოდით, არამედ მხოლოდ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ ვარჯიშს არ ეწეოდნენ.

ამრიგად, აღზრდაში წინა პლანზე უნდა იყოს მშვენიერება და არა მხეცური ბუნების განვითარება. არც მგელი, არც სხვა რომელიმე ცხოველი არ იბრძოლებს მშვენიერებისათვის, არამედ მხოლოდ კარგი ადამიანი. ისინი, რომლებიც ძალიან ავარჯიშებენ ბავშვებს, მათგან ხელოსნებს ამზადებენ და აუცილებელ აღზრდას კი აკლებენ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ისინი ამზადებენ მათ მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობისთვის და თანაც ცუდად, როგორც ჩვენი არგუმენტები ამტკიცებენ. საჭიროა მსჯელობა ამის შესახებ არა მათი წარსული საქმეების, არამედ დღევანდელი მოღვაწეობის მიხედვით. მათ ამჟამად ყავთ მოწინააღმდეგენი აღზრდის საქმეში, წინათ კი არ ყავდათ.

თავი IV

ამრიგად, ყველა თანახმაა იმაზე, რომ სპორტი უნდა იქნას გამოყენებული აღზრდაში. სქესობრივ მომწიფებამდე უნდა გამოვიყენოთ მსუბუქი სპორტი, იძულებით კვებას და მძიმე შრომას კი უნდა ვერიდოთ, რათა ხელი არ შევუშალოთ ზრდას. ამას ადასტურებენ ოლიმპიური შეჯიბრებები, იქ ორს ან სამს თუ იპოვნი ისეთს, რომელთაც გაიმარჯვეს მამაკაცთა ან ბავშვთა შეჯიბრში, რადგან ისინი ბავშვობაში ზედმეტი ვარჯიშის შედეგად კარგავენ ბრძოლის უნარს. როდესაც მიაღწევენ მოწიფულობას და სრულწლოვანებას, 3 წლის განმავლობაში შეიძლება, გარდა სხვა საგნების სწავლებისა, მუშაობაც და იძულებითი კვებაც. არ შეიძლება ერთდროულად ზედმეტად გადატვირთვა ფიზიკური და გონებრივი შრომით, ორივე მხრივ დატვირთვა იწვევს საწინააღმდეგო შედეგს. ფიზიკური დატვირთვა აბრკოლებს გონებრივ განვითარებას და გონებრივი დატვირთვა - ფიზიკურს.

მუსიკის შესახებ ჩვენ ადრე უკვე გადავჭერით ზოგიერთი საკითხი. კარგი იქნებოდა დავბრუნებოდით ამ საკითხებს და განგვეგრძო ჩვენი კვლევა, რათა ჩვენი შეხედულებები გასაგები გახდეს იმათთვის, რომლებიც მოინდომებენ უფრო დაწვრილებით მუშაობას ამ სფეროში. ეს მათთვის ერთგვარი შესავალი იქნება. რა მნიშვნელობა აქვს მუსიკას, რატომ უნდა მივსდიოთ მას, იქნება მისი მიზანია გართობა და დასვენება, როგორიცაა ძილი და თრობა? მაგრამ ამათ არა აქვთ რაიმე სერიოზული მნიშვნელობა, არამედ მხოლოდ სიამოვნებისა და ზრუნვის დაძლევისათვის არიან განკუთვნილი, ან როგორც ევრიპიდე ამბობს: „ზოგნი მუსიკას იყენებენ ძილისა და თრობის მსგავსად“ და თანაც ცეკვას უმატებს. თუ უნდა ვივარაუდოთ, რომ მუსიკა იწვევს სათნოებას, როგორც სპორტი ავითარებს სხეულს, მუსიკა კი ავითარებს ზნეობრივ თვისებებს, მაგალითად, სწორ მიმართულებას აძლევს სიამოვნებას? ან იქნებ მუსიკა განკუთვნილია დროის გატარებისა და აზროვნებისათვის და იქნებ ესაა მუსიკის მესამე მნიშვნელობა?

ცხადია, რომ მუსიკა ახალგაზრდებს არ უნდა ვასწავლოთ გართობის მიზნით, რადგან როცა სწავლობენ, ისინი არ ერთობიან. პირიქით, სწავლა დაკავშირებულია შრომასთან. არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ ბავშვებსა და მოზრდილებს ერთნაირი დროის გატარება სცოდნოდათ. რადგან ის, რაც არაა დასრულებული, მას არ შეჰფერის, რაც დასრულებულს შეეფერება. შეიძლება გვევარაუდა, რომ ის, რასაც ბავშვობაში სერიოზულად სწავლობენ, ემსახურება იმას, რომ ისიამოვნონ მაშინ, როცა მამაკაცები და სრულწლოვანი იქნებიან. თუ ეს ასეა, მაშინ რა საჭიროა იმის შესწავლა როცა მათ მიდიელი და სპარსელი მეფეების მსგავსად სხვათა მიერ შესრულებული მუსიკით შეუძლიათ მიიღონ სიამოვნება და ცოდნა. აუცილებელია, რომ ისინი, რომლებმაც მუსიკა თავის პროფესიად აირჩიეს, უკეთ შეასრულებდნენ მას, ვიდრე ისინი, რომლებიც დიდ დროს ანდომებენ მას მხოლოდ შესწავლის მიზნით. თუ საჭიროა, რომ ბავშვები სერიოზულად სწავლობდნენ მუსიკას, მაშინ საჭირო იქნებოდა, რომ ისინი მოგვემზადებინა აგრეთვე მზარეულობის ხელოვნებაში, მაგრამ ეს უაზრობაა.

ასეთსავე სიძნელესთან არის დაკავშირებული კითხვა, შეუძლია თუ არა მუსიკას ზნეობის გაუმჯობესება? რატომ უნდა სწავლობდნენ ბავშვები მუსიკას, როდესაც მათ შეუძლიათ სხვებს უსმინონ და მიიღონ როგორც სწორი სიამოვნება, ისე ისწავლონ სწორი მსჯელობა? ლაკონელები არ სწავლობენ მუსიკას, მაგრამ შეუძლიათ სწორად განსაჯონ, თუ რომელია კარგი და რომელია ცუდი მუსიკა. იგივე ითქმის იმ შემთხვევაშიც, თუ მუსიკა ემსახურება თავისუფალი კაცის კეთილდღეობასა და დროის გატარებას. მაშინ რა საჭიროა მისი შესწავლა და არა სხვისი მოსმენით სიამოვნების მიღება? საჭიროა გაირკვეს აგრეთვე ჩვენი შეხედულება ღმერთების შესახებ. პოეტების მიხედვით, ზევსი არ უკრავს და არ მღერის. ისინი, რომლებიც მისდევენ ამ ხელოვნებას, ჩვენ მათ ხელოსნებს ვუწოდებთ და ის არ შეჰფერის მამაკაცს, თუ ის ან მთვრალი არ არის, ანდა თუ არ ხუმრობს.

თავი V

მაგრამ ამ საკითხებს ჩვენ მოგვიანებით შევეხებით. პირველ ყოვლისა, მოითხოვს გარკვევას საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა, რომ მუსიკა გამოყენებულ იქნას როგორც სასწავლო დისციპლინა? რა მნიშვნელობა აქვს მას, ემსახურება ის აღზრდას, გართობას, თუ სიამოვნებას? გონივრული იქნებოდა, თუ ვუპასუხებდით, რომ ის ემსახურება სამივე ამ მიზანს, და თითოეულ მათგანში მას უდევს რაღაც წილი.

გართობის მიზანია დასვენება. დასვენება აუცილებლად არის სიამოვნება. ის არის ერთგვარი წამალი იმ ტანჯვისა, რასაც შრომა იწვევს. ყველა ერთი აზრისაა იმის შესახებ, რომ დროის ტარება იწვევს არა მხოლოდ სიამოვნებას, არამედ მშვენიერებასაც. ბედნიერება კი შეიცავს ორივეს ამათ. ყოველგვარი მუსიკა არის უაღრესად სასიამოვნო რამ, სრულდება ის სიმღერით, თუ მის გარეშე. ამიტომ ამბობს მუსეია: „მოკვდათათვის ყველაზე უფრო სასიამოვნოა სიმღერა“. მუსიკა დასაშვებია იქაც, სადაც ადამიანები იკრიბებიან და დროს ატარებენ, რადგან მას შეუძლია მხიარულების გამოწვევა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ის შეიძლება ვასწავლოთ ახალგაზრდობას. რადგან ის, როგორც უვნებელი სიამოვნება, ხელს უწყობს არა მხოლოდ უმაღლესი მიზნის განხორციელებას, არამედ დასვენებასაც. რადგან ადამიანები იშვიათად აღწევენ მიზანს, ამიტომ ხშირად სწყვეტენ მის ძიებას და მიმართავენ გართობას არა უმაღლესი მიზნისათვის, არამედ სიამოვნებისათვის, რადგან სასარგებლოა დასვენება მუსიკით გამოწვეული სიამოვნებით. მაგრამ მოხდა ის, რომ ადამიანებმა გართობა აქციეს მიზნად. მიზანი ხომ შეიცავს რაღაც სიამოვნებას, მაგრამ არა შემთხვევითს და ადამიანები, ეძებენ რა სიამოვნებას, ასეთად მიიჩნევენ შემთხვევითს, რადგან მას აქვს რაღაც მსგავსება ადამიანის მოქმედების მიზანთან. ხოლო მიზანი სასურველია არა მომავალი მოვლენებისათვის, ისევე როგორც სიამოვნება სასურველია არა ამიტომ, არამედ იმისათვის, რაც უკვე მოხდა, მაგალითად, შრომისა და დასვენებისათვის. ერთ-ერთი მიზეზი იმისა,

რომ ადამიანები ეძებენ ასეთ სიამოვნებას, არის ის, რომ მათ სიამოვნება მიაჩნიათ ბედნიერებად. მაგრამ როგორც ჩანს, ადამიანები მუსიკას ეზიარებიან არა მხოლოდ ამ მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც ჩანს, ის სასარგებლოა დასვენებისთვისაც. მაგრამ მუსიკა სასურველია არა მხოლოდ ამ შემთხვევითი მიზნით, არამედ უფრო იმით, რომ მუსიკით ადამიანები იღებენ არა მხოლოდ საერთო სიამოვნებას, რასაც ყველა შეიგრძნობს, ვისაც კი შეგრძნების უნარი აქვს, არამედ იმით, რომ მუსიკა იწვევს ბუნებრივ სიამოვნებას. ამიტომ მისი მოსმენა სასურველია ყველა ხასიათის ადამიანისათვის. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ზემოქმედებს ის ადამიანის ჩვევებსა და სულზე. ეს უფრო ცხადი გახდებოდა, თუ ვინმე იტყოდა, რომ მუსიკამ გარდაქმნა მისი ჩვევა. მაგრამ რომ ეს ხდება, ამას მრავალი სხვა რამ ადასტურებს და არა ნაკლებ ოლიმპოსის მელოდიები. ყველა აღიარებს, რომ მუსიკას შეუძლია სულის ენთუზიაზმის გამოწვევა. ენთუზიაზმი კი არის სულის აფექტი. ყველა, ვინც კი ისმენს მიბაძვას მუსიკით, თუნდაც რიტმისა და მელოდიის გარეშე, განიმსჭვალება იმავე გრძნობით. მუსიკა იწვევს სიამოვნებას, ხოლო ზნეობა ნიშნავს იმას, რომ სწორედ გიყვარდეს, გიხაროდეს და გძულდეს. მაშინ ცხადი ხდება, რომ არაფრის სწავლა და მიჩვევა ისე ძალიან არაა საჭირო, როგორც მიჩვევა სწორი მსჯელობისა, პატიოსანი თვისებებისა და მშვენიერი მოქმედების მოწონებისა. რიტმსა და მელოდიაში არის დიდი მსგავსება ჭეშმარიტ ბუნებასთან, აგრეთვე სიმამაცესა და გონიერებასთან, მათ საწინააღმდეგო მოვლენებთან და საერთოდ, ეთიკურ თვისებებთან, რაც ცხადი ხდება გამოცდილებით. როდესაც მუსიკას ვისმენთ, სულიერად ვიცვლებით. ტანჯვისა და სიხარულის განცდა მუსიკაში ჰგავს იმ განცდას, რასაც ადგილი აქვს სინამდვილეში. მაგალითად, თუ ვინმეს ახარებს გამოსახულების მზერა არა რაიმე სხვა მიზეზით, არამედ მისი ფორმის გამო, აუცილებლად მისთვის სასიამოვნო იქნება სინამდვილეში იმის ნახვა, ვინც გამოსახული იყო.

სხვა შეგრძნებაში არ გვხვდება მსგავსება ეთიკურ თვისებებთან, მაგალითად, არ გვხვდება შეხებასა და გემოვნებაში, მხედველობაში

გვხვდება ნაკლებ, რადგან ის გადმოსცემს ფორმებს, ოღონდ მცირე მოცულობით და თანაც ყველას არ შეუძლია ამის შეგრძნება. გარდა ამისა, ეს არაა მიბაძვა ზნეობრივი თვისებებისა, არამედ უფრო მეტად მინიშნება ფორმებითა და ფერებით, და თანაც ის არსებობს ჩვენ სხეულებრივ განცდებში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას აღიქვამს ახალგაზრდობა. ახალგაზრდობა უნდა უყურებდეს არა პავსონის, არამედ პოლიგლოტის და სხვა მხატვრებისა და მოქანდაკეების იმ ნამუშევრებს, რაც კი მათ აქვთ ზნეობრივი ხასიათისა.

მელოდიებში კი მოცემულია მიბაძვა ზნეობრივი თვისებებისა. ეს ცხადი ხდება შემდეგით: მელოდიებს აქვთ განსხვავებული ბუნება და როდესაც ჩვენ ვისმენთ, გვიჩნდება სხვადასხვაგვარი განწყობა. მაგალითად, როდესაც ვისმენთ ნახევრად ლიდიურ მელოდიებს, უფრო მწუხარებითა და თანაგრძნობით ვიმსჭვალებით. ხოლო უფრო ნაზი ჰანგების მოსმენისას, უფრო უზრუნველი განწყობა გვიჩნდება. სხვა მელოდიები იწვევენ ჩვენმი უფრო საშუალო და გამაწონასწორებელ განწყობას. ასეთია მხოლოდ დორიული ჰარმონიული მუსიკა. ფრიგიული მუსიკა კი იწვევს ენთუზიაზმს. ამის შესახებ კარგად მსჯელობენ ისინი, რომლებიც განიხილავენ აღზრდის საკითხებს. ისინი თავის თეორიას ფაქტებით ასაბუთებენ. იგივე მეთოდი გამოდგება აგრეთვე რითმების განხილვისას. ზოგ რითმს აქვს მშვიდი ხასიათი, ზოგს უფრო მოძრავი. ამათგან ზოგი უფრო ვულგარულ მოძრაობას იწვევს, ზოგი კი უფრო თავისუფალი ადამიანის შესაფერს.

აქედან ცხადი ხდება, რომ მუსიკას შეუძლია სულის ეთიკურ მხარეზე ზემოქმედება. და რადგან მას ეს შეუძლია, მაშასადამე, მას შეუძლია აგრეთვე ახალგაზრდობის აღზრდა და ხელმძღვანელობა. ამრიგად, მუსიკის სწავლება სავსებით შეესაბამება ახალგაზრდობის ბუნებას. ახალგაზრდობა თავისი ასაკის გამო ნებაყოფლობით არ ეტანება არაფერს ისეთს, რაც სასიამოვნო არაა. მუსიკა კი თავისი ბუნებით სასიამოვნოა. როგორც ჩანს, რიტმსა და ჰარმონიას შორის არსებობს რაღაც კავშირი.

ამიტომ ბევრი ბრძენი ამბობს, რომ სული არის ჰარმონია, ზოგი კი ამ-ბობს, რომ სული შეიცავს ჰარმონიას.

თავი VI

ახლა კი შევეხოთ იმ საკითხს, რომელიც თავშივე წამოიჭრა: როგორ ვასწავლოთ მუსიკა, ისე, რომ ახალგაზრდები თვითონ მღეროდნენ და ასრულებდნენ, თუ არა? არაა საეჭვო, რომ რაიმე თვისების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თვითონ ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუ არა. ზოგისთვის ძნელია ან თითქმის შეუძლებელი, გახდეს კარგი მცოდნე ისე, თუ არ მონაწილეობს ამა თუ იმ საქმიანობაში.

ბავშვებს კი უნდა ჰქონდეთ რაიმე გასართობი. ვფიქრობთ, რომ საამისოდ გამოდგება არქიტას ჟღარუნა. ამას აძლევენ ბავშვებს, რათა ისინი აღარ ამსხვრევდნენ ოჯახის ნივთებს, ბავშვებს ხომ მოსვენება არ შეუძლიათ. ეს არის ბავშვებისათვის შესაფერი სათამაშო, ხოლო დიდებისთვის სწავლა არის იგივე, რაც პატარებისთვის ჟღარუნა. აქედან ცხადია, რომ მუსიკის სწავლების დროს მოსწავლეები უნდა იღებდნენ მასში პრაქტიკულად მონაწილეობას.

თუ რომელ ასაკს რა შეჰფერის, ამის დადგენა ძნელი არაა, აგრეთვე პასუხის გაცემა იმათთვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ მუსიკა იგივე ხელოსნობაა. პირველ ყოვლისა, იმისათვის, რომ ახალგაზრდებს შეეძლოთ საქმის განსჯა, პრაქტიკულად უნდა მონაწილეობდნენ ამ საქმიანობაში. როცა წამოიზრდებიან, ისინი თავს ანებებენ ამას, მაგრამ შეუძლიათ სწორი მსჯელობა და განცდა იმ ცოდნის გამო, რაც მათ შეიძინეს ახალგაზრდობაში.

შენიშვნაზე იმის შესახებ, რომ მუსიკის შესწავლა ახალგაზრდებს ხელოსნებად აქცევს, არაა ძნელი პასუხის გაცემა, თუ გავითვალისწინებთ იმას, როდის უნდა ისწავლონ მუსიკა იმათ, რომლებიც აპირებენ პოლიტიკურ მოღვაწეობას, რა მელოდიებით, რა რიტმით და რომელი ინსტრუმენტებით უნდა აწარმოებდნენ ისინი მუსიკის შესწავლას. ამაში დიდია სხვაობა. ასე შეიძლება უარყოფილ იქნას ზემომოტანილი შენიშვნა. თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მუსიკის ზოგი სახეობა ზემოთქმულ შედეგს იწვევს. ცხადია, რომ მუსიკის შესწავლა ხელს არ უნდა

უშლიდეს ახალგაზრდობას მომავალ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, არც ადამიანი უნდა აქციოს ხელოსნად და გამოუსადეგად საომარი და პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში და მომავალში სწავლისათვის. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ მუსიკას ვასწავლით არა იმიტომ, რომ მიიღონ მონაწილეობა პროფესიონალთა შეჯიბრებაში, არც იმ საოცარისა და ზედმეტის ასათვისებლად, რაც შემოტანილ იქნა მუსიკის სწავლებაში, არამედ საჭიროა ვასწავლოთ მუსიკა იმ დონემდე, რომ შესძლონ მიიღონ სიამოვნება მშვენიერი მელოდიებითა და რიტმით და არა მუსიკით ზოგადად, რაც შეუძლიათ ზოგიერთ ცხოველებს, მონებისა და ბავშვების მასას.

ნათქვამიდან ცხადია, თუ რომელი მუსიკალური ინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული მუსიკალურ აღზრდაში. არ უნდა იქნას გამოყენებული ფლეიტა, არც სხვა რომელიმე ინსტრუმენტი, რომელსაც პროფესიონალები იყენებენ, მაგალითად, კითარა და სხვა ამდაგვარი, არამედ უნდა გამოყენებულ იქნას ისეთი ინსტრუმენტები, რაც მათ გახდის კარგ მსმენელებად, როგორც მუსიკალური აღზრდის პროცესში, ისე სხვა შემთხვევებში. ამას გარდა, ფლეიტა არ მოქმედებს აღსაზრდელთა ზნეობაზე, არამედ უფრო მეტად აღაგზნებს მათ. ამიტომ მიზანშეწონილია მისი გამოყენება იმ სამზერ მოვლენებში, რომელთაც შეუძლიათ უფრო ზნეობრივი გაფაქიზება, ვიდრე განსწავლა. ამას უნდა დაემატოს ის, რომ ფლეიტა ზოგჯერ ეწინააღმდეგება სწავლების პროცესს, რადგან ის აბრკოლებს სიტყვის გამოყენებას. ამიტომ სწორი იყვნენ ჩვენი წინაპრები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ფლეიტის გამოყენებისა, როგორც ახალგაზრდების, ისე საერთოდ, თავისუფალი ადამიანების აღზრდის პროცესში, თუმცა ადრე კი იყენებდნენ მას. მაგრამ რადგან ბერძნებს გაუჩნდათ თავისუფალი დრო გამდიდრების გამო და ცოდნისკენ უფრო მეტი სწრაფვაც, ადრეც და განსაკუთრებით სპარსეთის ომების შემდეგ ისინი უფრო გაამაყდნენ თავისი საქმეებით და დაიწყეს განურჩევლად ყველაფრის შესწავლა. ამიტომაც მათვე შემოიტანეს ფლეიტა აღზრდის

პროცესში. მაგალითად, ლაკედემონში გუნდის ზოგი ხელმძღვანელი ფლეიტაზე თვითონ უკრავდა. ასევე ათენში ბევრი თავისუფალი ადამიანი უკრავდა ფლეიტაზე. ასე გავრცელდა ის. ეს დასტურდება იმ წარწერიდან, რომელიც მიუძღვნა თრაზიპემ ექფანტიდეს ქოროთი. მოგვიანებით კი ისევ უარყვეს ფლეიტა გამოცდილების საფუძველზე, რადგან უკეთ გაერკვნენ იმაში, თუ რას მივყავართ ზნეობისაკენ და რას არა. ასევე უარყვეს მრავალი სხვა ინსტრუმენტიც, მაგალითად, პექტიდები, ბარბითები და საერთოდ, ის ინსტრუმენტები, რომლებიც მსმენელებში სიამოვნებას იწვევდნენ, აგრეთვე შვიდკუთხედები, სამკუთხიანები, სამბიკები და ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც მოითხოვს თითებით დაკვრაში დაოსტატებას. მიზანშეწონილია აგრეთვე წინაპრების მონაყოლის გახსენება ფლეიტის შესახებ. ისინი ყვებიან, რომ ფლეიტა ათენამ გამოიგონა, მაგრამ შემდეგ გადააგდო ის. არ უნდა იყოს შემცდარი ამის ახსნაც, ათენა გაბრაზებული იყო იმიტომ, რომ ფლეიტა მას სახეს უმახინჯებდა. მაგრამ უფრო მეტად იმიტომ უარყო, რომ ფლეიტის სწავლება არაფერს არ იძლევა გონებრივი განვითარებისათვის. ჩვენ კი ათენას ვთვლით ცოდნისა და ხელოვნების ღმერთად.

თავი VII

ჩვენ უარვყოფთ პროფესიულ აღზრდას მუსიკაში, როგორც ინსტრუმენტის, ისე შესრულების თვალსაზრისით. პროფესიულად ჩვენ მიგვაჩნია სწავლება შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის. ამ დროს შემსრულებელი მოქმედებს არა საკუთარი ზნეობის ამაღლების მიზნით, არამედ მსმენელების სიამოვნებისათვის და თანაც უხეში სიამოვნებისათვის, რაც შეეფერება არა თავისუფალ ადამიანს, არამედ უბრალო ხალხს. ეს შემსრულებლები იქცევიან ხელოსნებად, რადგან ცუდია ის მიზანი, რისკენაც ისინი მიისწრაფიან. ეს მუსიკა იწვევს მსმენელების გაუხეშებას და თვითონ პროფესიონალი შემსრულებლებიც განიცდიან როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ გაუარესებას, და გასარკვევია აგრეთვე საკითხი მუსიკალური ჰარმონიისა და რიტმის შესახებ. აღზრდაში უნდა გამოვიყენოთ ყოველგვარი რიტმი და ჰარმონია, თუ შერჩევით? შემდეგ, ახალგაზრდობის აღზრდაში იგივე დაყოფა უნდა ვაწარმოოთ, თუ სხვა?

რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ მუსიკა შედგება მელოდიისა და რიტმისაგან, ამიტომ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რა გავლენას ახდენს თითოეული მათგანი აღზრდაზე. რას უნდა მივცეთ უპირატესობა, იმ მუსიკას, რომელიც კარგ მელოდიას შეიცავს, თუ რომელიც კარგ რიტმს? ბევრი რამ თქვეს ამის შესახებ ზოგიერთმა თანამედროვე მუსიკოსმა და ფილოსოფოსმა, რომელთაც აქვთ გამოცდილება მუსიკალურ აღზრდაში. იმათ, რომლებსაც სურთ დაწვრილებით შეისწავლონ ეს საკითხები, მივუთითებთ მათ შრომებს. ჩვენ კი ახლა ზოგადად ვიმსჯელებთ ამის შესახებ.

ჩვენ ვემხრობით იმ დაყოფას, რასაც აწარმოებს ზოგიერთი ფილოსოფოსი: ეთიკურ, პრაქტიკულ და ენთუზიაზმის გამომწვევ მელოდიებად, და თითოეულ ამ სახეობის მელოდიას შეესაბამება ჰარმონია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მუსიკას მოაქვს არა ერთი, არამედ მრავალი სარგებლობა. იგი ემსახურება აღზრდას, განწმენდას და სხვ. რაც შეეხება განწმენდას, ჩვენ ამის შესახებ ახლა ზოგადად ვიტყვით, ხოლო უფრო

გარკვევით ვიტყვით ნაწარმოებში „პოეტიკის შესახებ“. მესამე, ის ემსახურება დროის გატარებას, დამშვიდებასა და დაძაბულობისაგან განთავისუფლებას. ამრიგად, ცხადია, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა მელოდია, მაგრამ არა ერთნაირად. აღზრდაში უფრო ის მელოდიები უნდა გამოვიყენოთ, რომლებიც ეთიკურნი არიან, მოსასმენად კი, თუ მუსიკას სხვები ასრულებენ, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ეროტიკული, ისე ენთუზიასტური ხასიათისა. ზოგ ადამიანში მუსიკა ძლიერ სულიერ ვნებებს იწვევს. ეს ყველას ემართება, მაგრამ ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებ. მუსიკა იწვევს თანაგრძნობის, შიშის, ენთუზიაზმის განცდებს, რის გამოც ამ მოძრაობისაგან ზოგნი გათანგულნი ხდებიან. ამას ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ მელოდიებში, როდესაც ისინი აღგზნებადად ზემოქმედებენ სულზე და როგორც სამკურნალო საშუალება, კათარზისს იწვევენ.

იგივეს განიცდიან ისინიც, რომლებსაც ებრალებათ, ეშინიათ, ან სხვა რაიმე განცდა აქვთ. ყველა ამათ იგივე ემართებათ, ყველა ისინი განიწმინდებიან და შემსუბუქებას განიცდიან, რასაც უკავშირდება სიამოვნება. ასეთი მელოდიები იწვევენ განწმენდას და უწყინარ სიხარულს. მაშასადამე, ასეთი ჰარმონიითა და მელოდიით უნდა ისარგებლონ აქტიორებმა თეატრალურ მუსიკაში შეჯიბრებისას.

რადგან მაყურებელი ორგვარია: ერთი მხრივ, თავისუფალი და განათლებული, მეორე მხრივ, უკულტურო ხელოსნები, დაქირავებული მუშები და სხვა ამგვარი ხალხი, ამიტომ საჭიროა, რომ ამათთვის მოვაწყოთ სანახაობები და შეჯიბრებები დასვენების მიზნით. როგორც ადამიანის სული გადაიხრება ბუნებრივი მდგომარეობიდან, ასევე ჰარმონიებიც არის გადახრები დაძაბულობისა და სხვადასხვა შეფერილობისაკენ. თითოეული ადამიანი იღებს მისი ბუნებისათვის დამახასიათებულ სიამოვნებას. ამიტომ შეჯიბრებაში მყოფმა მუსიკოსებმა უნდა გამოიყენონ ისეთი მუსიკა, რომელიც შეესატყვისება მსმენელთა სულიერ მდგომარეობას.

აღზრდის პროცესში კი, როგორც ითქვა, უნდა გამოყენებულ იქნას ეთიკური მელოდიები და ასეთივე ჰარმონიები, როგორც ადრეცა ვთქვით. ასეთია დორიული მუსიკა. შეიძლება სხვა მუსიკის გამოყენებაც, როგორც ამბობენ ფილოსოფოსები და მუსიკალური ხელოვნების მცოდნენი.

სოკრატე „სახელმწიფოში“ დორიული მუსიკის გარდა, ტოვებს ფრიგიულსაც, რაც სწორი არაა. ინსტრუმენტებიდან ფლეიტას გამორიცხავს, მაგრამ ფრიგიულ მელოდიებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ფლეიტას მუსიკალურ ინსტრუმენტებში. ორივეს აქვთ ორგიასტული და პათეტიკური ხასიათი, ამას პოეზია ადასტურებს. ინსტრუმენტებიდან ბაკქური და სხვა ანალოგიური მოძრაობები ყველაზე მეტად ახასიათებს ფლეიტას, ჰარმონიებიდან კი ფრიგიულს, საიდანაც შეიძლება ანალოგიური განცდების მიღება. მაგალითად, ყველა აღიარებს, რომ დითირამბული პოეზია არის ფრიგიული. სხვებსაც მოაქვთ ამის დამამტკიცებელი მრავალი მაგალითი. ამიტომაც ფილოქსენემ სცადა, დითირამბები გამოეყენებინა დორიულ მუსიკაში, მაგრამ ვერ შესძლო და ამიტომ ისევ ფრიგიულ მუსიკას მიმართა, როგორც ამისთვის შესაფერს. რაც შეეხება დორიულს, ყველა აღიარებს, რომ მას ახასიათებს უფრო მეტად მშვიდი და გმირული ხასიათი. რადგან ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ შუალედს შედარებით უკიდურესობებთან და ამიტომ მისკენ მივისწრაფით, დორიულს კი ეს სხვებთან შედარებით მეტად ახასიათებს, აქედან ცხადია, რომ დორიული მუსიკა ყველაზე მეტად შესაფერისია ახალგაზრდობის აღზრდაში გამოსაყენებლად.

არსებობს ორგვარი მიზანი: შესაძლებელი და შესაფერისი. ამიტომ თითოეული უნდა მისდევდეს მისთვის შესაძლებელ და შესაფერის მიზანს, მაგრამ ესეც განისაზღვრება წლოვანებით. მაგალითად, დიდი გამოცდილების მქონე ადამიანებისათვის ადვილი არაა შეასრულონ დაძაბული მუსიკა, მათ თვითონ ბუნება უკარნახებს მიმართონ უფრო მშვიდ მელოდიებს. სოკრატეს სწორად უსაყვედურებდნენ, რომ ის აღზრდის პროცესიდან გამორიცხავდა მშვიდ მელოდიებს, რადგან მათ შე-

უძლიათ ადამიანი სიმთვრალის მდგომარეობაში გადაიყვანონ, ხოლო სიმთვრალე უფრო ბაკქურ მდგომარეობას უახლოვდება. იგი ძილს ჰგვრის ადამიანს. მომდევნო ასაკისათვის დასაშვებია ასეთი მუსიკა და ასეთი მელოდიები, მაგრამ თუ არსებობს ისეთი მუსიკა და ისეთი მელოდიები, რომელიც შეჰფერის ბავშვებს, ის არა მარტო მათ აღზრდას უწყობს ხელს, არამედ მათ გამშვენიერებასაც. ასეთი კი არის ლიდიური მუსიკა. ცხადია, რომ აღზრდის პროცესში უნდა ვხელმძღვანელობდეთ სამი პრინციპით: შუალედით, შესაფერისით და შესაძლებელით.